

ქ ე ლ თ ვ ე რ

ქ რ ვ ი ე ე ბ თ ე

ა ე ი ა ე ე ჯ თ ი რ

ს ი ბ ე ვ ე ე ი



საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი
გამომცემლობა
«ლიტერატურა და ხელოვნება»
19 თბილისი 63

„ქართველი ადვოკატების სამოსამართლო სიტყვების“ კრებული პირველად გამოდის საქართველოში.

მისი ბიზანტიური მკითხველს გააცნოს ჩვენი იურიდიული აზროვნების ერთი ბნიშენელოვანი სფერო. წიგნში წარმოდგენილია ოცდაერთი სამოსამართლო სიტყვა, წარმოთქმული სრულიად განსხვავებულ დანაშაულებათა გამო. ეს ანიკებს წიგნს თემატურ მრავალფეროვნებას გაიოჩენილი ქართველი ადვოკატის შ. რესნიწვილისა და ბ. ბარათაშვილის შესახებ მნავი სიტყვების გვერდით კრებულიში მოთვსებულია საშუალო და ახალგაზრდა თაობის ადვოკატთა გაიოვლებიც.

წარმოთქმული სიტყვები გამოირჩევიან სიმძაფრით, წამოჭრილი საკითხების აქტუალობით, ფაქტების სიკხვითა და მათი კლასიფიკაციით.

წიგნი ჩვენს მკითხველს გააცნობს ადვოკატის როლს სამართალში ბიკვაულთა ინტერესების ობიექტურად დაცვის საქმეში, ხოლო ახალგაზრდა ადვოკატებს დაეხმარება იმ რთული საკითხების გარკვევაში, რომელიც ხშირად წამოიკრება ხოლმე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

ს ა რ ე და ქ ც ი თ კ ო ლ ე გ ი ა

ბარათაშვილი ბ., კანდელიანი ნ., ჩიქოვანი ბ.

შ ე მ დ გ ე ნ ე ლ ი

ნიკოლოზ დავითაია

წინასიტყვაობა

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ვითარებაში დღის წესრიგში დგას საბჭოთა დემოკრატიზმის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების შემდგომი წინსვლა, განვითარება და სრულყოფა. ყოველივე ეს სათავეს ღებულობს ჩვენი დროის უდიდეს ისტორიულ დოკუმენტებში — პარტიის ახალ პროგრამასა და კომუნისტური პარტიის 22-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების მთელ მანძილზე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა მართლმსაჯულება მოწოდებულია მაღალი, ჰუმანური და კეთილშობილური ამოცანის შესასრულებლად. მართლმსაჯულების ყოველი მუშაკი, საბჭოთა ადამიანებთან ერთად, უნდა იბრძოდეს სამართლიანობის მაღალი პრინციპების დაცვისათვის. ამ სახელმძღვანელო დებულების საფუძველზე საბჭოთა ადვოკატები, განსხვავებით ბურჟუაზიული იურისტებისაგან, იცავენ სამართალში მიცემულის კანონიერ ინტერესებს. საბჭოთა დაცვა მხარში უდგას სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ბრალმდებლებთან ერთად, ადვოკატის დაცვით სიტყვას სასამართლო სამსჯავრო პროცესში უდიდესი იდეურ-პოლიტიკური აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ადვოკატი ენერგიულად ეძებს გზებსა და საშუალებებს, რათა კანონიერი დახმარება გაუწიოს სწორი გზიდან შემთხვევით აცდენილ ადამიანებს.

კანონით დადგენილი დაცვის ხერხების მაქსიმალურად გამოყენება სრულიად არ გულისხმობს იმას, რომ ნამდვილი დამნაშავეისათვის არსებობდეს კანონის წინაშე პასუხისმგებლობი-

დან თავის დაღწევის რაიმე შესაძლებლობა. საბჭოთა ადვოკატისათვის უცხოა და მიუღებელი იმ ხერხის ძიება, რომელთა მეშვეობით დამნაშავე თავს აარიდებს სამართლიან მსჯავრს.

ქართველი საბჭოთა ადვოკატების დაცვითი სიტყვების გამოქვეყნება მნიშვნელოვანი საქმეა. ამით თეორიული და პრაქტიკული მართლმსაჯულების მუშაკები და ფართო საზოგადოება პირველად გაეცნობა ჩვენი იურიდიული აზროვნების ერთ მხარეს.

წინამდებარე კრებული, ცხადია, არც სრულია და არც უნაკლო, მაგრამ მისი გამოტანა საზოგადოების წინაშე, ვუიქრობთ, დადებით და სასარგებლო მოვლენას წარმოადგენს.

ამ კრებულის გამოცემის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ადვოკატთა ახალგაზრდა კადრების სწორად აღზრდასა და განსწავლას, რათა ისინი ნათლად გაერკვნენ იმ რთულსა და სადავო საკითხებში, რომლებიც სასამართლო ორგანოებში ხშირად წამოიჭრება ხოლმე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

აქ წარმოდგენილი დაცვითი სიტყვები გამიზნულია ახალგაზრდა ადვოკატების არა მარტოდენ შემოქმედებითი ფორმის გაუმჯობესებისა და დახელოვნებისათვის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მათი მუშაობის იდეური და შინაარსობრივი გამდიდრებისა და გაღრმავებისათვის. კრებულში მოთავსებულ სიტყვებს, ჩვენი აზრით, ძალუძთ აგრეთვე გააცნონ მკითხველს ადვოკატის როლი კანონის ზუსტად გამოყენებისა და საპართალში მიცემულთა ინტერესების ობიექტურად დაცვის საქმეში.

ადვოკატის მოვალეობაა სამართალში მიცემულს გაუწიოს კანონიერი დახმარება, ხელი შეუწყოს ჭეშმარიტების დადგენას და უზრუნველყოს პირუთენელი მართლმსაჯულება.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ორმოცდამეექვსე მუხლის თანახმად „დამცველი მოვალეა გამოიყენოს კოდექსში აღნიშნული დაცვის ყველა საშუალება და ხერხი იმ მიზნით, რომ გამოირკვიოს გარემოებანი, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან უმსუბუქებენ პასუხისმგებლობას და გაუწიოს ბრალდებულს სხვა საჭირო იდეური დახმარება“.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ გარემოებას, რომ ადვოკატს არ ევალება იმგვარი დახმარება გაუწიოს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს, რომ ზიანი მიაყენოს სამართალში მიცემულის ინტერესებს. საბჭოთა ადვოკატს პროფესიულ მოვალეობასთან ერთად მოქალაქეობრივი შეგნებაც უკარნახებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის უსაფუძვლოდ გამართლებით არ დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი. ადვოკატს მართო შინაგანი რწმენა არ აძლევს საფუძველს მხარში ამოუდგეს სახელმწიფო ბრალმდებელს და მლითხნოვოს დასჯა, მაგრამ სასამართლოს პროცესში თუ ადვოკატი დარწმუნებულია, რომ მართლმსაჯულების სასწორი უკანონოდ იხრება მართალი პირის საზიანოდ, ამ შემთხვევაში, ის ვალდებულია, ნათელი მოპფინოს საქმის ნამდვილ ვითარებას და ამით დაეხმაროს მართლმსაჯულებას სწორ და უტყუარ გზაზე დადგომაში. საბჭოთა ადვოკატი პირუთვნელი მართლმსაჯულების მსახურია და ამიტომ სხვაგვარად ვერ იმოქმედებს.

სასამართლო პროცესში ადვოკატის პოზიცია არ უნდა იყოს შეზღუდული სამართალში მიცემულის კარნახით, ის ბრმად არ უნდა ემორჩილებოდეს მის მითითებებს, უკრიტიკოდ არ უნდა ასრულებდეს ვინმეს ნება-სურვილს, საწადელსა თუ მისწრაფებას.

ადვოკატი ვალდებულია ყოველნირივე შეისწავლოს, გამოარკვიოს და ნათელყოს ფაქტები, რომლებიც სამართალში მიცემულს ამართლებენ და სასჯელს უმსუბუქებენ. უკეთუ სამსჯავრო გამოძიებით უდავოდ დადასტურდა იმ პირის ბრალეულობა, რომელსაც ადვოკატი იცავს, იგი, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც, როგორც საერთოდ, თავისუფალი უნდა იყოს გარეშე გავლენისა და ზემოქმედებისაგან. როცა დავას აღარ იწვევს წარდგენილი ბრალდების მართებულობა, ადვოკატმა უნდა გამოარკვიოს და სასამართლოს მსჯელობის საგნად გახადოს მხოლოდ ის გარემოებანი, რომლებიც საფუძველს მისცემენ მართლმსაჯულების ორგანოს, იფიქროს სამართალში მიცემულის შემამსუბუქებელ ვითარებაზე. როგორც ცნობილია, სამართალში მიცემულის შეღავათის ფაქტორები სხვადასხვაგვარ

რია ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციებში, ამიტომ ადვოკატი მათ შესაბამისად უნდა შეუამდგომლობდეს სასამართლოში.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ისეთი შემთხვევები, როცა ადვოკატი აშკარად დარწმუნებულია მისი დაცვის ქვეშ მყოფის უეჭველ დანაშაულობაში და მაინც ეძებს ზერელე, უბადრუკ და არაღამაჯერებელ არგუმენტებს საშელავათო ვითარების დასახატავად. უნდა გვახსოვდეს, მხოლოდ გონივრულად დასაბუთებულ და ჭეშმარიტებით განმტკიცებულ მოსაზრებებს აქვს მნიშვნელობა სამართლიანი განაჩენის დადგენისათვის.

ადვოკატის მოვალეობა პირნათლად შესრულებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს სასამართლომ სასჯელის სამართლიანი ზომა შეუჩინა. თუ ადვოკატს ექვი ეპარება მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობაში, უფლება აქვს მოითხოვოს მისი გამართლება. საყოყმანო ექვებზე და უნიადაგო მოსაზრებებზე აგებული ბრალდება დაუშვებელია, ის არ გამოიყენება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის. ადვოკატი დაცვითი მხარეა სასამართლო პროცესში და ამიტომ სახელმწიფო ბრალმდებლის როლში არ უნდა გამოდიოდეს მაშინაც კი, როცა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებს სამართალში მიცემული მეორე პირის ინტერესები ეწინააღმდეგება. არაფრით არ იქნება გამართლებული პროკურორის მადლიერება იმის გამო, რომ პროცესში მონაწილე ადვოკატები საქმის ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებიდან თავს ესხმოდნენ ერთიმეორეს და ამით უადვილებდნენ პროკურორს მისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას.

ადვოკატი ყოველთვის უნდა განერიდოს შტამპს, ტრივიალურ გამოთქმებს, სქემატურობას, დეკლამაციას და მაღალფარდოვან შელამაზებას. მისი სიტყვა უნდა იყოს ღრმაიდუური, გამართული, გულწრფელი და დამარწმუნებელი.

რადგან ადვოკატის სიტყვას, სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვასთან ერთად, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ის უნდა გამოხატავდეს აღმფოთებას ყოველგვარი ბორტმოქმედების მიმართ და საზოგადოების ყურადღებას აფხიზლებდეს ყოველი სახის ცდუნებისა და დანაშაულის წინააღმდეგ. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ადვოკატის სიტყვა მხოლოდ მაშინაა მიზანმიღწეული, როცა სასამართლო საესე-

ბით იზიარებს მის მოთხოვნასა და მოსაზრებებს სამართალში მიცემულის ინტერესების სასარგებლოდ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგია ის ფაქტი, რომ 1961 წლის 27 დეკემბერს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულება, რომელშიც თანმიმდევრულად არის გამოხატული ჩვენი კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების დემოკრატიზაცია. ეს დებულება, მოქმედი კანონების შესაბამისად, მნიშვნელოვნად აფართოებს დაცვის როლსა და უფლებამოსილებას წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში. დებულებაში ახლებურად არის განსაზღვრული ხსენებული კოლეგიის ძირითადი ამოცანები და მოვალეობანი.

საბჭოთა საქართველოს ადვოკატურის წინაშე დასმული ამ დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანების განხორციელებაში, უეჭველია, გარკვეულ როლს ითამაშებს საბჭოთა ადვოკატების სამოსამართლო სიტყვების კრებულიც. იგი დაეხმარება საქართველოს საბჭოთა ადვოკატურის ახალგაზრდა წევრებს სწორი დაცვითი პოზიციის შემუშავებაში და მეტყველების კულტურის ამადლებების საქმეში.

ა. ნ. პანიჭაძე

საქართველოს სსრ ადვოკატთა
კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ნიკოლოზ კანდელაკი

ძართული სამოსამართლო მმართველთა ისტორიიდან¹

მსოფლიო მკვერმეტყველების ისტორიაში სამოსამართლო ორატორული ხელოვნება საპოლიტიკო ზეპირი მეტყველების პარალელურად ვითარდებოდა თითქმის ყოველთვის და მისსავე წარმატებას იზიარებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მათი ანალოგიური წინსვლის პროცესი გრძელდება მთელი ადრეანტიკური, გვიანანტიკური და საშუალო საუკუნეების მანძილზე. მხოლოდ ახალი ეპოქის სამოსამართლო მკვერმეტყველება ჩამორჩა საპოლიტიკო ზეპირ მეტყველებას და შედარებით ვიწრო პროფესიული გზით წარიმართა ბურჟუაზიული წესწყობილების პირობებში. ამ ვითარებას სათავე მისცა საფრანგეთის რევოლუციამ, რომლის განთქმულმა ორატორებმა თავიანთი მგზნებარე პოლიტიკური მკვერმეტყველებით დაჩრდილეს ყველა სხვა დარგის ორატორული ხელოვნება, მათ შორის სამოსამართლო ზეპირი სიტყვაც. მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში წინსვლის გზაზე დგას ფრანგული სამოსამართლო მკვერმეტყველება, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ის რუსულ სამოსამართლო მეტყველებასთან ერთად აღწევს განვითარების უაღრესად მაღალ დონეს. ამ პერიოდის რუსეთისა და საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა და ადვოკატებმა თავიანთ ორატორულ შემოქმედებაში ერთმანეთს შეუთავსეს საპოლიტიკო და სამოსამართლო საკითხები და არსებული სოციალ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ მიმართეს სამოქალაქო მოტივებით გაქვნილი ბასრი მეტყველება.

¹ წყაროებით გადმოღებულია წიგნიდან: „ძართული კლასიკური მკვერმეტყველება“, თბილისი, 1961.

ქართული სამოსამართლო მკვევრმეტყველების ისტორიული წარსულის ნათელსაყოფად, უწინარეს ყოვლისა, საგულისხმოა იოანე პეტრიწის თხზულების „პლატონური ფილოსოფიის განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში დაცული ცნობა „მეპაექრობის“ შესახებ¹. ამ ტერმინით პეტრიწი სამოსამართლო მეტყველებას გულისხმობს და ორატორული ხელოვნების ძირითად სახეთა შორის იხსენიებს მას. ეს საგულისხმო ცნობა სარწმუნოდ ხდის ხსენებული დარგის არსებობას ჩვენში, მაგრამ მისი სათანადო სისრულით შესასწავლად საჭიროა ზოგიერთი სხვა საკითხის გარკვევაც. ასეთია, მაგალითად, დამცველთა ინსტიტუტის არსებობისა და მასთან მოსაზღვრე საკითხების წრე.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამართლის ისტორიის ეს საკითხები დღეს საკმაოდ შესწავლილია ჩვენი მეცნიერების მიერ. მათ შორის უმთავრესი დამსახურება მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც განუზომელი ამაგი დასდო ძველი ქართული იურისპრუდენციის შესწავლის საქმეს. მან შექმნა ჩვენი სამართლის ისტორია და ნათელი მოჰფინა ეროვნული კულტურის ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროს. ასეთ მყარ და სარწმუნო ნიადაგზე დაყრდნობით ბევრი უცნობი და ბუნდოვანი მოვლენა იქნა გარკვეული ხსენებული მიმართულებით თანამედროვე მეცნიერებაში. ამ მოვლენათა რიგს ეკუთვნის ბრალდებულის დამცველთა არსებობის საკითხი ძველ საქართველოში.

ვიდრე მას შევეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სამართლის პირველწყაროებსა და მასალებში მოიპოვება ბევრი საყურადღებო დოკუმენტი, რომელთა შინაარსი ან ადასტურებს რაიმე არსებულ მოვლენას, ან მიუთითებს რომელიმე სავარაუდო ფაქტზე. ასეთი პირდაპირი და არაპირდაპირი ჩვენების გზებით უცილობლად დასტურდება დამცველთა ინსტიტუტის არსებობა ჩვენში უძველესი დროიდანვე.

ერთ ასეთ ცზას წარმოადგენს სიგელ-გუჯარების ჩვენებანი, რომელთა შესწავლამ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა აკად. ი. ჯავახიშვილი: „საფიქრებელი ხდება, რომ ბრალდებულთ სასა-

¹ იოანე პეტრიწი, შრომები, II, 1937, გვ. 223.

მართლოში დამცველებიც შეიძლება ჰყოლოდათ, რომელნიც ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან განსათავისუფლებლად, თუ მოსალოდნელი მსჯავრის სიმკაცრის შესამსუბუქებლად, მოსამართლეს სხვადასხვა საბუთსა და მოსაზრებას უდგენდნენ. ასეთ დამცველს „მეოხი“ ჰქმევია¹.

ქვემოთ მეცნიერი განაგრძობს:

„ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ს ა და მ ე ო ხ ი ს „წარმოდგომა და წინაშე საყდრისა წარდგომა“, როგორც ჩანს, ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო წ ე ს ი უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო“².

აქ დამცველის ფაქტობრივ დამოწმებასა და უფლებრივ ფუნქციებთან ერთად ნახსენებია მისი უძველესი ქართული სახელწოდება მეოხი, რაც დღეს გავრცელებული უცხო წარმომავლობის — არაბული ვექილისა და ლათინური ა დ ვ ო კ ა ტ ი ს შესატყვისია. მათ შორის პირველს იცნობს ძველი ქართული წყაროებიც. ასე მაგალითად, პროფ. ილ. აბულაძის მოწმობით სამოციქულოს თარგმანის ერთი ძველი ხელნაწერის კაბადონის კიდეზე ეფრემ მცირე აღნიშნავს: „შეისწავე. რამეთუ ამას ს ვ ნ ო ლ ო რ ო ს ს ა, რომელ არს თანამოსარჩლე, მესხთა მიერ ვარქირი ჰქვან, მიზღებით მოყვანებულსა მოსარჩლესა“³.

იმავე ტერმინს საბა ასე განმარტავს: „თანამოსარჩლე, ვ ა ქ ი რ ი მიზღური მოსარჩლე, რომელ არს სვინოდროსი“. ორივე განმარტების მიხედვით არსებული ვ ა რ ქ ი რ ი-ვ ა ქ ი ლ ი-ვ ა ქ ი რ ი იგივე ბერძნული ს ვ ნ ო ლ ო რ ო ს ი-ს ვ ი ნ ო ლ რ ო ს ი-ს ვ ი ნ ა დ რ ო ს ი, დღევანდელ ქართულში გავრცელებული ვექილის შესატყვისია, რომლის გვერდით ძველ ქართულში თვითმყოფალი წარმოშობის მეოხიც არსებულა.

ეს არის ამ ჩვენებათა ერთი მხარე.

აქ არის მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც გვაცნობს ხსენებული ცნების სხვა ქართულ ფორმებ-

¹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, 1928, გვ. 497.

² ი ქ ვ ე, გვ. 498.

³ საქმე მოციქულთა, გვ. 012-013.

საც. ეს ფორმებია: თ ა ნ ა - მ ო ს ა რ ჩ ლ ე და მ ო ს ა რ ჩ ლ ე. როგორც ჩანს, ეს ტერმინებიც ყოფილა გავრცელებული ძველად ჩვენი სამართლის წარმოებაში. ამასვე მიუთითებენ დამცველის გვიან დამოწმებული სახელები: ქ ო მ ა გ ი და მ ო ნ ა ც ვ ლ ე კ ა ც ი, რომლებიც არსებული წყაროების მიხედვით XVIII საუკუნის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ. ამ უკანასკნელი ცნობების აზრი ნათლად განსაზღვრულია დავით ბაგრატიონის „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვაში“¹.

ამ საყურადღებო ცნობებით, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ძალა ენიჭება იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით საქართველოში აღრიდებულა უნდა არსებულიყო საგანგებო უფლებით აღჭურვილი დამცველთა ინსტიტუტი. ამრიგად, მართებულად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე მკვლევართა დადებითი დასკვნები ბრალდებულის დამცველთა არსებობის შესახებ ძველ საქართველოში.

ერთი ასეთი დასკვნა ეკუთვნის პავლე ინგოროყვას, რომელიც „მერჩულეთა“ ინსტიტუტის რაობასთან დაკავშირებით შემდეგს აღნიშნავს: „მე-10-11 საუკუნეებში საქართველოში ყოფილან მეცნიერი იურისტები, რომელთაც ეწოდებოდათ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“. ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელიდან ირკვევა, რომ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ საგანგებოდ მოიწვეოდნენ ხოლმე სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს — სახელმწიფო დარბაზის — სხდომაზე რთული იურიდიული საკითხების განხილვის დროს“².

სპეციალურ ნარკვევში — „ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში“ — მკვლევარი აპ. როგავა საისტორიო ხასიათის არგუმენტების გათვალისწინებამ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: „საქართველოში უძველეს დროიდანვე, არა უგვიანეს IV საუკუნისა (ფოთის აკადემიის არსებობის დროიდან), არსებობდა ადვოკატთა, პროფესიონალ „მეოხთა“ ინსტიტუტი, რომლის მრავალსაუკუნოვან პროფესიულ-კულტურულ

¹ დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, გამოც. აპ. როგავასი, 1959, გვ. 346.

² პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 23.

ნიადაგზე XI—XIII საუკუნეებში, ცხადია, უნდა წარმოშობილიყო ადვოკატურის უფრო განვითარებული ფორმა¹.

ბაგრატ მეოთხის ცნობილ სიგელში ხსენებული „მეცნიერი საბჭოთა საქმეთანი“ პ. ინგოროყვას მართებული აზრით საერო სამართლის დარგის საგანგებო წარმომადგენლებია, რომლებიც თავიანთი სპეციალური განათლებისა და მაღალი თანამდებობის კვალობაზე აწარმოებდნენ საბჭოთა საქმეების კვლევა-ძიებას². სამართლებრივი საქმეების ასეთი წარმოება, უნდა ვიფიქროთ, მწყობრად გამოთქმული აზრების დაპირისპირებით ანუ პაექრობით მიჰდინარეობდა და მხარეთა კამათის სახით ტარდებოდა. ამის დასტურს წარმოადგენს იმავე დოკუმენტის ცნობა: „რომელი სიტყუს გებაჲ იყო მათ შორის, მოვისმინეთ“³.

საგულისხმოა, რომ აქ და სხვა მდროინდელ ძეგლებში, პაექრობის აზრით ხსენებული სიტყვის გება შემდეგ ხანებში ბრალდებულის თავის გასამართლებელ სიტყვას შეერქვა⁴. ეს ერთი საბუთია იმისა, რომ ქართული სამართლის უძველესი ტრადიციები მუდამ აქტუალურ ძალას იჩენდნენ ეროვნული მართლმსაჯულების წარმოებაში. ამავე წარმოების სიმტკიცის მაჩვენებელია ჩვენი მდიდარი, ტევადი და პროგრესული კლასიკური კანონმდებლობა, რომლის წერილობით ძეგლებს უხვად მოუღწევია ჩვენამდე თითქმის ყოველი ეპოქიდან და ფრაგმენტული თუ სრული სახით შემოუნახავს ძველი სამართლის მშობლიური მონაპოვარი.

ეს საუნჯე თავისთავად მეტყველებს იმის თაობაზე, რომ ქართველებს მისი შესაფერისი სამოსამართლო მჭევრმეტყველება უნდა ჰქონოდათ თავის დროზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს მოსალოდნელი სიუხვით არ მოუღწევია ჩვენამდე. პირიქით, ერთი შეხედვით სრულიად მოულოდნელი სიცარიელე იქცევს ჩვენს ყურადღებას სამოსამართლო ორატო-

¹ აპ. როგავა, ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში, გვ. 38.—„საბჭოთა სამართალი“, 1958, № 4.

² იხ. პ. ინგოროყვა, დასახელებული წიგნი, გვ. 23.

³ საქართველოს სიძველენი, II, 1909, გვ. 3.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2, 1929, გვ. 497.

რული ხელოვნების სფეროში, სადაც მხოლოდ საგანგებო დაკვირვებით შეიძლება მივაგნოთ ჩვენთვის მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს.

ამ ფაქტების მიხედვით ქართული სამოსამართლო მკვერ-მეტყველება შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად, რომელთაგან პირველი ბერძნულ-რომაულ გავლენას ატარებს, და უფრო ადრინდელია, ხოლო მეორე ორიგინალური შემოქმედებით ხასიათდება, და შედარებით გვიანდელია. ეს უკანასკნელი თავისი წარმოქმნის დროთი ემთხვევა ხსენებული გავლენის დასასრულს და შემდეგ საკუთარი გზით განაგრძობს განვითარებას თვითმყოფადი ეროვნული კულტურის საფუძველზე.

პირველი სახის მკვერმეტყველების სრული და ტიპობრივი ნიმუშია კოლხთა წარმომადგენლის საბრალდებო სიტყვა გუბაზ მეფის მკვლელობის გასამართლებზე¹. ეს სიტყვა და მისი შემნები ცნობები დაცულია აგათია სქოლასტიკოსის (VI ს.) საისტორიო თხზულებაში. ამ ცნობების მიხედვით, ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული კოლხეთთან კავშირის დიდი მნიშვნელობა, 554 წელს, არქეოპოლისში მოაწყო გუბაზ მეფის მკვლელობის გასამართლება. სამართლოში საბრალდებო სიტყვა უთქვამს კოლხთა წარმომადგენელს. ამ ორატორის სახელს ისტორიკოსი არ ასახელებს. მას ნათქვამი აქვს: „კოლხთა კაცები, რომელნიც ბრალმდებლებად იყვნენ დანიშნულნი, წამოდგნენ მაშინვე, როდესაც მსაჯულმა გამოუცხადა — თქვენი ბრალდებები წამოაყენეთ თუ გსურთო — და, რადგან საბრალმდებლო ბევრი ჰქონდათ სათქმელი, თქვეს შემდეგი...“² ამას მოსდევს საბრალდებო სიტყვის ტექსტი.

კოლხთა წარმომადგენლის საბრალდებო სიტყვა მწყობრი მტყველებისა და თანმიმდევრული მსჯელობის იშვიათი მაგალითია. ის გამართულია მყარი ლოგიკური შეგნებით და განმტკიცებულია ზუსტად მიზანმიმართული ეფექტური არგუმენტებით. მთელი ქმნილება მკიდროდ შეკრული და უხარვეზოდ შეერთებული ნააზრევია, რომლის იდეურ საყრდენს სა-

¹ ქართული მკვერმეტყველება, გამოც. ნ. კანდელაკისა, 1958, გვ. 116—121.

² გეორგიკა, III, გამოც. ს. ყაუხჩიშვილისა, 1936, გვ. 129.

ზღვრავს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სამართლიანი შურისგება. ამ შინაარსობლივ მხარეს სიტყვაში ძალას აძლევს გულგრილობის საფარველით შენაღბული შინაგანი გზნება, რომლის სინათლით შეფერილია ნაწარმოების გარეგნული სახე. აზრის, ფორმისა და დამაჭერებლობის პარმონიული შეთავსებითა და განუყოფელი ერთიანობით ხასიათდება ეს შიარეული წარმოშობის ორატორული ძეგლი, რომელსაც თავისი ღრმა ბუნებრივი არსებისა და მაღალი ხელოვნური ოსტატობის წყალობით დღემდე არ დაუქარგავს დიდი მნიშვნელობა.

ორატორი იწყებს ფაქტის კონსტატაციით:

„ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საქმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასაჩელი მიეზლოს. მაგრამ, თქვენი კანონების მიხედვით თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით... რა გამართლება შეიძლება ვუპოვოთ იმათ, რომელთაც ისე შეუპოვრად მოკლეს ასეთი დიდებული კაცი, თქვენი მეგობარი და მოკეთე, მოკავშირე ომიანობის დროს და მშვიდობიანი ცხოვრებისა და ზავის დროს, უზენაესის შესახებაც თქვენნაირად მოაზროვნე და თქვენი წესების მიმდევარი, და რომელთაც უდიდესი მტრობა გამოიჩინეს თქვენ მიმართ, თქვენს მტრებს კი სამსახური გაუწიეს. მოკლული ხომ მეფე იყო, მსაჯულო, არა დაბალი გვარისა, და ვაჟკაცობით განთქმული, და რომაელთა საქმეებისათვის მუდამ იყო მკვლევლებზე უფრო ერთგული“¹.

სიტყვის შემდეგ ნაწილში ორატორი ჩერდება კოლხთა მძიმე მდგომარეობაზე და ლოგიკური გზით ასკვნის რომის პოლიტიკური ვითარების გაუარესებასაც, რადგან „თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსავე ნაწილში მოდუნებულია, ველარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილად ატარებს, ვი-

¹ ქართული მკვლევრებზე, გვ. 116-117.

ნაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას“¹.

ყოველივე ამის მიზეზად ბრალმდებელი დამნაშავეთა საქციელს ასახელებს და მკაცრად ამხელს მათ ცბიერ, მოღალატურ და მანკიერ ბუნებას. ორატორი უთითებს მკვლელთა შეუწყნარებელ მახინჯ მხარეებზე — ამქლავნებს მათ მაცდურობას, ორპირობასა და ვერაგობას. მას უნძიმება ბოროტოქმედებად მიაჩნია დამნაშავეთა მზაკვრული მონაგონი, თითქოს ქვეყნის სასარგებლო საქმე ჩაიდინეს. ის აქ ხელავს აღმაშფოთებელ პირფერობასა და შეუპოვებელ წინააღმდეგობას, რასაც ნილაბს ხდის შემდეგი ბრძნული გამონათქვამით:

„იმთავითვე ხომ სარგებლობა და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, სიმბეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეუტრევენლა, მათი ერთად არსებობა არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი“².

ბრალმდებელი. თანდათან ავიწროებს მეტყველების თემატიკურ არეს და კონკრეტული ფაქტების გამოვლენით ამახვილებს მსმენელთა ყურადღებას; ის ამქლავნებს უსამართლო მოქმედების შედეგს, ღრმა აზროვნებას სინათლით წკვდება ჩადენილი ბოროტების მიზეზს და უღმობელი ლოჯიკის ცეცხლით ანადგურებს მოპირდაპირის უკანასკნელ საფარს.

ორატორი ამბობს:

„მოწინააღმდეგესა და მტერს ხომ საქნის მიხედვით გამოიცნობ ადამიანი და არა სიშოლის მრჩედვით. ცხადია, მტრად უნდა ჩავთვალოთ ის, ვინც იმას აკეთებს ხალისით, რაც მოწინააღმდეგეებს ესია მოვინებათ, თუნდაც ის შენთან იყოს და შენთან ერთად ლაშქრობდეს და ახლო ნათესაურ კავშირში იყოს შენთან. ეხლა: ისინი ამბობენ. რომ მოკლეს არა მეგობარი, არა მეფე, არამედ მტერი, ტირანი და სპარსელების მომხრე. კიდევ მეტი: ისინი ისეთ უსამართლობამდე მივიდნენ, რომ განსვენებულს აპრალებენ მედიზმსაც; საბრალო! სიკვდილის შემდეგაც ვერ განთავისუფლდა უბედურებისაგან, და ეხლაც, როდესაც მას აღარ შეუძლია თავი იმართლოს, მოღალატეობა-

¹ ქ. რთული მკვერმეტყველება, გვ. 117.

² იქვე, გვ. 117-118.

ში ედება ბრალი. რომელი კანონი — თქვენი ან ბარბაროსებისა — მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანო ადამიანს და მერე წაუყენო ბრალდება? ისინი თვითონ არიან მსაჯულებიც, მტრებიც და ბრალმდებლებიც, ყველაფერი ერთად შეასრულებს და საქმის გაურჩევლად სრულიად უდანაშაულო კაცს ისეთი სასჯელი არგუნეს, როგორც შეეფერებოდა მართლაც ტირანობაში გამტყუნებულს. ესლა კი, როდესაც თავის გამართლება სჭირდებათ, მოდიან და ბრალსა სდებენ უსამართლოდ დასჯილ კაცს“¹.

ორატორი ისევ უბრუნდება ბოროტმოქმედების აქტს, ირგვლივ უტრიალებს მომხდარ უბედურებას, ასწერს მკვლელთა მოტივებს, მიუთითებს მათს უსაფუძვლობაზე, და რომაელთა პირუთვნელი სამართლის მოხსენიებით ამზადებს ნიადაგს სასურველი განაჩენისათვის.

გადამწყვეტი რწმენის შესაქმნელად ბრალმდებელი იმალლებს პათეტიკურ ხმას და რიტორიკული განმეორების გზით ასურათებს გუბაზის ადამიანურ და მეფურ სიდიადეს.

ორატორი ასე მიმართავს რომაელ მსაჯულებს:

„ვინ იყო რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ იყო რომ ხოსროს მეგობრობა უკუაგდო და იმდროს, როდესაც ეს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მიდიელეების სათარეშოდ იყო გამხდარი და თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდნენ, მაშინვე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა, შინ წასულიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირვებას, თუკი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი. სად ხართ, კანონებო, სად არის სამართალი!“².

¹ ქართული შვედრმეტყველება, გვ. 118.

² იქვე, გვ. 120-121.

ასეთი მძლავრი და ზვიადი გამონათქვამით ამთავრებს კოლხი ორატორი სიტყვის ძირითად ნაწილს, რომლის შემდეგ კიდევ რამდენიმე მახვილი მოსაზრებით აშუქებს საქმის ვითარებას, მოაგონებს მსაჯულს მაღალ დანიშნულებას და მეტად მკაცრი, მაგრამ დიდად საჩივრითიანი განაჩენისაკენ მოუწოდებს სასამართლოს.

ქართული ორიგინალური სამოსამართლო მკვერმეტყველების სათავეები დამოწმებულია ადრინდელ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში. აქ ძუნწად და გაცვრით წარმოდგენილი ძასალით შეიძლება ვივარაუდოთ ჩვენში სამართლის წარმოების ზოგიერთი მხარე, კერძოდ, ზეპირი სიტყვის ადგილი მართლმსაჯულების საქმეში. ეს ადგილი, თავისი მნიშვნელობით, მეტად საპატიო ჩანს და საკმარისად ძველიც უნდა იყოს, შემონახული ცნობების მიხედვით, მაგრამ, სამწუხაროდ, გაუშუქებულია თვით სიტყვების უქონლობის გამო: როგორც აღინიშნა, სამოსამართლო მკვერმეტყველების სფერო უღარიბესი დარგია ჩვენი ორატორული ხელოვნებისა.

ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ კერძო ხასიათის იურიდიული ძიებანი, რაც სამართლის წარმოების მთავარ შინაარსს წარმოადგენდა, თითქმის ყოველთვის, მათი განსაზღვრული მნიშვნელობის გამო, ჩვენს წინაპრებს წერილობითი აღბეჭდვის ღირსად არ უცვნიათ და შთამომავლობისათვის არ შეუენახავთ. მიუხედავად ამისა, როგორც ითქვა, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ცოცხალი მეტყველება ჯეროვან სიმადლეზე მდგარა ქართულ მართლმსაჯულებაში.

ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, მაგალითად, ჩვენი მკვერმეტყველების უძველესი საისტორიო წყაროს სტრაბონის „გეოგრაფიის“ ცნობა იმის შესახებ, რომ იბერიის მოსახლეობის ოთხი „გვარიდან“ პირველი ნაწილი „...მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე გვარი არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე“¹.

აქ, როგორც ვხედავთ, მკვერმეტყველები გამოყოფილი რამდენი-

¹ სტრაბონი, გეოგრაფია, გამოც. თ. ყაუხჩიშვილისა, 1957, გვ. 130.

მე სოციალური ფენა, რომელთაგან ჩვენთვის საყურადღებოა ორი მათგანის წარმომადგენლები: 1. ვინც „მოსამართლეობენ“ და 2. „რომლებიც ზრუნავენ მეზობლებთან სამართალზე“.

ეს უკანასკნელი ქვეყნის დიპლომატიური მართვის მესვეურებია.

რაც შეეხება იმათ, ვინც „მოსამართლეობენ“, ვფიქრობთ, მართლმსაჯულების წარმოება ევალებათ და ქვეყნის შინაგან საქმეებს განაგებენ.

ამ ფუნქციების შესრულების ერთი პირობა უთუოდ სამოსამართლო მჭევრმეტყველება იქნებოდა.

უფრო გარკვეულ სურათს ვხედავთ ქართულ წყაროებში. იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობაში“ სიტყვის წარმოთქმის თანაბარი უფლების საპირობება სამსჯავროში გამოხატულია შემდეგნაირად: „განვისაჯნეთ მე და ვარსკენ პიტიახში მუნ, სადა იგი არა არს თუალღებაჲ, წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა. სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყვაჲ ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ „ქრისტესა“¹.

ცოცხალი სიტყვის ძალა და მისი მეშვეობით წარმოებულ განსჯის სიმართლე ბევრგან ხაზგასმულია შემდეგი დროის იურიდიულ ძეგლებსა და დოკუმენტებში. ასე, მაგალითად: „...ქკუიანი იქნების, და კარგად ეცოღინების ბჭობაჲ და უსამართლოს არას იტყვს“²,—ნათქვამია ღირსეული მოსამართლის შესახებ ბავრატ კუროპალატის საკანონმდებლო კრებულის მითითებაში.

თვით სპეციალური სამოსამართლო ტერმინები — ბჭე, ბჭობა, საბჭო, ჯჯა, განსჯა, მსაჯული თავიანთი სემანტიკური მნიშვნელობით უახლოეს კავშირშია მეტყველებასთან, რაც ზეპირი სიტყვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს სამართლის პრაქტიკაში.

ქვემოთ ამ პრაქტიკის ზოგიერთი ისტორიული მონაცემია წარმოდგენილი.

¹ იაკობ ცურტაველი, მარტკლობაჲ. შუშანიკისი; გამოც. ი. აბულაძისა, 1938, გვ. 41.

² ი. დოლიძე, ძველი ქართული საწართალი, 1953, გვ. 335.

ძველი ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ადრინდელ ორიგინალურ საისტორიო წყაროს VI საუკუნის ჰაგიოგრაფიული ქმნილება „ევსტათი მცხეთელის მარტილობა“ წარმოადგენს. ამ ძეგლის დიდ ნაწილს მთავარი მოქმედი პირის დაცვითი სიტყვა შეადგენს: ეს სიტყვა ძვირფასია ჩვენთვის ჯერ როგორც ეროვნული მქადაგებლობის ადრეული ნაწარმოების შემცველი და შემდეგ როგორც ზეპირი მეტყველების როლის მაჩვენებელი სამართლის წარმოებაში. ამჟამად ჩვენ ეს უკანასკნელი მხარე გვინტერესებს.

ევსტათი მცხეთელის დაცვითი სიტყვა, თქმული ქართლის მარზპანის ვეიან ბუზმირის წინაშე არა მარტო გვიჩვენებს ცოცხალი მეტყველების ფართო ადგილს მართლმსაჯულების საქმეში, არამედ თვითონ წარმოადგენს ასეთი მეტყველების შესანიშნავ ნიმუშს, რომლის მეოხებით ნათელი ეფინება ჩვენი სამოსამართლო მჭევრმეტყველების შორეულ წარსულს.

სამსჯავროში, სადაც „სიტყვს—მიმგებელ იყო... მსაჯული-სა მიმართ ნეტარი ევსტათი“¹, ამ უკანასკნელს წარმოუთქვამს სამი ნაწილისაგან შემდგარი სიტყვა. ეს ნაწილებია: შესავალი, სამოელის ქადაგების შინაარსი და დაკვნა. მათ შორის პირველი და მესამე ნაწილები სამოსამართლო მჭევრმეტყველების კლასიკური ნიმუშებია და შორეული წარსულის ცოცხალი მეტყველების მაღალ დონეს გვიჩვენებენ.

სამოსამართლო მჭევრმეტყველების შემხები და ნათელმოფელი თითო-ოროლა საისტორიო ცნობა ვეხვდება შემდეგი დროის ჰაგიოგრაფიულ ძეგროლობაშიც, მაგრამ სიტყვების ტექსტები არსად არაა დაცული და მათი ისტორიული სახის წარმოდგენა მხოლოდ შემოვლილი გზით ხერხდება. ასეთ გზად შეიძლება გამოვიყენოთ წამებულთა სიტყვის განი მოპირდაპირე მხრის სამსჯავროში, რომლის წინაშე იდგნენ ხშირად ქრისტიანობის დამცველები. თავდადებულ მარტილთა ცხოვრებაში ყველაზე მეტად სიტყვისა და საქმის ერთიანობა ხიბლავდა თანამედროვეებს, რომელთაც სწორედ ეს მიუჩნევიათ უმთავრეს სააღმზრდელო მოვლენად და მისი მხატვრუ-

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გამოც. ს. გუბანივი შვილისა, 1946, გვ. 46.

ლი ასახვით ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შეუქმნიათ. ასეთ ვითარებაში შესრულებული საქმის თანაბრად უნდა დაცულიყო ნათქვამი სიტყვა, როგორც ადამიანის ზნეობრივი სახის ერთი უცდომელი მაჩვენებელი. ასეც მომხდარა, ოღონდ ამ სიტყვას, ცხადია, ყველგან არ გააჩნია ორატორული მონოლოგის სახე, ვინაიდან ის ყოველთვის ზეპირი გავლენის ფუნქციით არ ისაზღვრებოდა და ამიტომ თავისი არსებითი ბუნებით მჭევრმეტყველების გარეთ რჩებოდა.

სამოსამართლო ზეპირი სიტყვის ისტორიული სურათის აღსადგენად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ქართული კანონიკური სამართალი, რომლის ერთი ადრინდელი ძეგლის ფრაგმენტ¹ მოღწეულია ჩვენამდე თამარის უწინარესი დროიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ X საუკუნის მიწურულიდან ჩვენში ფეხს იკიდებს და ვითარდება ორიგინალური საეკლესიო-ურიდიული მწერლობა. კიდევ უფრო ადრე აღწევს თავის კლასიკურ მწვერვალს ჩვენი ბიოგრაფიულ-დოკუმენტალური ლიტერატურა, რომელიც მომდევნო პერიოდშიც ინარჩუნებს მოპოვებულ დონეს და ყალიბდება სასულიერო კულტურის უმდიდრესი დარგის სახით. ამ დარგის სახელოვანი მესვეურები — გიორგი მერჩულე, ექვთიმე მთაწმიდელი და გიორგი მთაწმიდელი — ქრისტიანული სამართლის მეცნიერების დიდი წარმომადგენლებია, რომლებიც სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობასთან ერთად გამოირჩეოდნენ „რჩულის“ (resp. კანონების) ცოდნითა და იურიდიული დამსახურებით.

პავლე ინგოროყვას დამაჯერებელი მოსაზრებით, ხსენებულ ეპოქაში ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ საერო და სასულიერო სამართალს, რომელთაგან პირველის მცოდნეს საბჭოთა საქმის მეცნიერს უწოდებდნენ, ხოლო მეორისა — მერჩულეს². ის გარემოება, რომ სახელოვან მწერალს მერჩულეს ეწოდება, არა მარტო მისი ღრმა ცოდნის მაუწყებელია სასულიერო სამართლის დარგში, არამედ მისივე მაღალი ოსტატობის მაჩვენებელია სამოსამართლო მჭევრმეტყველების სარბიელზე. ამრიგად, აქ შემოვლილი გზით დას-

¹ იხ. ი. დოლიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 343—345.

² პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 23.

ტურდება გიორგი მერჩულის ორატორული დამსახურება, რაც მისი ნაწარმოების ენობრივი ფორმითაც ივარაუდება.

ექვთიმე მთაწმინდელის საგულისხმო ღვაწლს სამოსამართლო მკვერმეტყველების დარგში გვიჩვენებს მისი თავისუფალი და ქართულ სინამდვილესთან შეფარებული თარგმანები კანონიკური ძეგლებისა, რომელთა უმრავლესობა სასულიერო ცხოვრების მოწესრიგებას ისახავდა მიზნად და მისივე ნორმების იურისდიქციით ისაზღვრებოდა. ამასვე ადასტურებს გიორგი მთაწმინდელის თხზულება „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, საიდანაც ჩანს ექვთიმე მთაწმინდელის უდიდესი ავტორიტეტი სასულიერო აზროვნებისა და საეკლესიო პრაქტიკის სფეროებში, რომელთა შეუდარებელ მესვეურად ის დიღხანს ითვლებოდა ბიზანტიასა და საქართველოში.

გიორგი მთაწმინდელის თვალსაჩინო წვლილს სამოსამართლო მკვერმეტყველების ასპარეზზე გვაუწყებს მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის სამი უდავო ფაქტი: ცდა სამონასტრო ცხოვრების დემოკრატიზაციისა¹, თარგმანები საეკლესიო სამართლის დარგში² და პაექრობა ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე 1057 წელს.

კლასიკური პერიოდის ქართული სამოსამართლო მკვერმეტყველება არსებითად ძვევ კანონიკური სამართლის ფარგლებში რჩება და მისი მძლავრი გავლენით ვითარდება. ამის უტყუარი მაჩვენებელია XII საუკუნის მანძილზე მოწვეული საეკლესიო კრებები ჩვენში და მათი საქმიანობის გამომხატველი დოკუმენტები. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რუის-ურბნისის კრების ძეგლის — წერა,³ რომელიც შეიცავს იურიდიულ ნორმებს, კანონებსა და დადგენილებებს, რაც უეჭველს ხდიან სამოსამართლო მკვერმეტყველების ისტორიულ არსებობასა და სოციალურ დანიშნულებას.

რუის-ურბნისის „ძეგლის-წერა“ შედგება სამი ძირითა-

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2, 1929, გვ. 63-80.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 208-209.

³ საქართველოს სამოთხე, გამოც. მ. საბინინისა, 1882, გვ. 518-530.

დი ნაწილისაგან, რომელთაგან პირველი — ზოგადი ჭასიათის შესავალია, და ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობისაა, ხოლო მეორე — კრების კანონმდებლობა და მესამე — ეკლესიის სინედოკონი უაღრესად საყურადღებო ნაწილებია საერთოდ და, განსაკუთრებით, მკვერამეტყველების საკითხის გასარკვევად. ისინი ჯერ თავისთავად წარმოადგენენ მკვერად გამართულ წერით მეტყველებას და შემდეგ ორატორული ხერხებით მომარჯვებულ შესრულებასაც გულისხმობენ: ერთი — დადგენილი საეკლესიო კანონების დაცვის თვალსაზრისით, ხოლო მეორე — აღიარებული უზენაესი პირების შესხმის აზრით; და აი სწორედ ეს კანონების დაცვის საპრობლემა მიუთითებს სამოსამართლო მკვერამეტყველების არსებობაზე. ამ მხრივ არის ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანი რუის-ურბნისის კრების „ძეგლის-წერა“.

შედარებით ნაკლები მნიშვნელობისაა მერმინდელი კანონიკური ძეგლები, რომლებზედაც აღარ ვჩერდებით არა მარტო იმიტომ, რომ ისინი მკრთალად ასახავენ სამოსამართლო მკვერამეტყველებას, არამედ იმიტომაც, რომ XIII საუკუნის დასასრულიდან მძლავრად ვითარდება ქართული სამოქალაქო კოდიფიკაცია, რომელმაც შეითავსა საეკლესიო სამართალი და ერთობლივი გავლენის ქვეშ მოაქცია საერო და სასულიერო მართლმსაჯულება. ამიერიდან სამოქალაქო იურიდიული ძეგლები მიუთითებენ ჩვენში სამოსამართლო მკვერამეტყველების ისტორიულ არსებობაზე.

ამ ძეგლებიდან დროის მიხედვით უწინარესი „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომლის საბოლოო ჩამოყალიბება XII საუკუნის დასასრულს მიეკუთვნება. დაახლოებით იმავე დროისაა ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი. შედარებით მერმინდელია გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის-დება“, რომელიც XIV საუკუნის შუა წლების კუთვნილებაა. უფრო გვიანდელია აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი, რომელიც იმავე საუკუნის მეორე ნახევრის ქმნილებაა.

ჩვენი საერო სამართლის შემდგომი დიდი მოწესრიგება ხდება XVIII საუკუნეში. — ჯერ ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებულის შედგენისა და შემდეგ ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის კანონმდებლობის სახით.

ძველი ქართული სამართლის ეს ხანგრძლივი აღმავლობის პროცესი, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა სამოსამართლო მკვევრმეტყველების ჩეროვან განვითარებას, რაც საკუთრივ ორატორული ხელოვნებით არ დასტურდება, მაგრამ მას უეჭველად გულისხმობს. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს XVIII საუკუნის ქართული მკვევრმეტყველების საერთო აყვავება, რასაც, უთუოდ, სამოსამართლო ორატორული ხელოვნებაც იზიარებდა. საგულისხმოა ერთი ფაქტიც: ჩვენი მკვევრმეტყველების უდიდესი წარმომადგენლის ს. ლიონიძის ზედწოდება, რაც საგანგებოდ აღბეჭდილია ორატორის პირად ბეჭედზე¹, მსაჯულია. ეს სიტყვა თანამედროვე მნიშვნელობით იხმარებოდა ჩვენში ძველთაგანვე და მისი გადაქცევა უდიდესი ორატორის საკუთარ სახელად იმას მოასწავებს, რომ ჩვენი წინაპრების შეგნებაში განუყოფელია მოსამართლისა და მკვევრმეტყველის არსებითი მხარეები. იგივე ფაქტი იმასაც მოწმობს, რომ ს. ლიონიძე სამოსამართლო მკვევრმეტყველების ისეთივე ხელოვანია, როგორი ოსტატიცაა სხვა დარგების ზეპირი მეტყველებისა.

ამით ვამთავრებთ ძველი ქართული სამოსამართლო მკვევრმეტყველების ზოგად მიმოხილვას.

XIX საუკუნის პირველ ხანებში ახალი სამოსამართლო ორატორული ხელოვნება, როგორც დავით ბაგრატიონის ვრცელი სპეციალური „მიმოხილვიდან“² ჩანს, ძველი წარმატებით კმაყოფილდებოდა და მისი ტრადიციული საუნჯით სარგებლობდა. უფრო მოგვიანებით რუსეთის უმაღლეს სკოლებში მიღებული განათლებისა და პრაქტიკულ მუშაობაში შექმნილი ოსტატობის წყალობით, რასაც დაერთო მოწინავე რუსული და ფრანგული სამოსამართლო მკვევრმეტყველების გავლენა, ჩვენში მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დგება ხსენებული დარგის ორატორული ხელოვნება.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ამ ხელოვნების დიდი წარმომადგენლებია: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და ნიკო ნიკოლაძე. აქვე უნდა დავასახელოთ იმა-

¹ იხ. ხელნაწერი H1—4416.

² იხ. დ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახელებული წიგნი.

ვე პერიოდის გამოჩენილი ადვოკატები: ლუარსაბ ლოლუა, დავით ლორთქიფანიძე და მოსე ქიქოძე.

შემდეგ ხანებში, XX საუკუნის დასაწყისიდან, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ უახლესი პერიოდის ცნობილი იურისტები: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, იოსებ ბარათაშვილი, შალვა მესხიშვილი და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ღვაწლი სამოსამართლო მკვერმეტყველების დარგში.

1864—68 წლებში მომრიგებელ-შუამავლად და 1868—73 წლებში მომრიგებელ-მოსამართლედ მუშაობის დროს, გარე კახეთის კუთხეებსა და დუშეთის მაზრაში, ილია ხელმძღვანელობდა რთულ პროცესუალურ ოპერაციებს, გამოდიოდა მრავალი სახის სამოსამართლო სიტყვებით და აწარმოებდა ღრმადგონივრულ, პრინციპულ და ობიექტურ მართლმსაჯულებას. ამ პერიოდში დიდი მწერალი, რა თქმა უნდა, ბევრ შესანიშნავ სიტყვას იტყოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ტექსტები დაკარგულია.

ასევე არ შენახულა ილიას მიერ 1907 წლის აპრილის უკანასკნელ რიცხვებში, პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე წარმოთქმული ვრცელი სიტყვა სიკვდილით დასჯის მოსპობის თაობაზე, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ავტორისეული კონსპექტური ჩანაწერების მეშვეობით.

ი. ჭავჭავაძის ორატორული მემკვიდრეობის ეს ჩვენამდე მოუღწეველი სფერო, უეჭველია, სამოსამართლო ზეპირი მეტყველების ძვირფასი განძის შემცველი იქნებოდა.

ა. წერეთლის სამოსამართლო ორატორულ შემოქმედებას გვაცნობს მისი უშუალო მონაწილეობა ე. წ. „სვანთა პროცესში“, რომელიც შედგა 1876 წლის ნოემბერში. ეს პროცესი წარმოადგენდა კოლონიალური პოლიტიკისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ 1875-76 წლებში აჯანყებულ სვანთა გასამართლების ინსცენირებას, რომლის ანტიხალხური, უსამართლო და ყალბი ტენდენციები მკაცრად ამხილა აკაკიმ თავისი ვრცელი, დასაბუთებული და მკვერი დაცვითი სიტყვით.

ამ პროცესის მასალები და აკაკის სიტყვის ტექსტი შენახულია ნიკო ნიკოლაძის ჩანაწერებით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია. ის სტენოგრაფიული სიზუსტით

გვაცნობს ხსენებული პროცესის მსვლელობას და გვიჩვენებს პოეტის ამაგს სამოსამართლო მქვერმეტყველების დარგში¹.

ცნობილია, აგრეთვე, აკაკის ზშირი მონაწილეობა ისტორიული პირებისა და მხატვრული პერსონაჟების ლიტერატურულ კასამართლებაში, სადაც პოეტს ბევრჯერ შესანიშნავი სიტყვა წარმოუთქვამს და ამით საგრძნობი წვლილი შეუტანია სამოსამართლო მქვერმეტყველების განვითარებაში².

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამოსამართლო მქვერმეტყველების ისტორიული განვითარების საქმეში გარკვეული როლი უნდა ეთმავა ხალხურ სამართალს და მისი წარმოების ტრადიციულ წესებს. ჩვენი ადათობრივი, საწესჩვეულებო, სამედიატორო და სხვა სახის საპართალი, რომელთა საერთო სახელწოდებად ძველ ქართულში „ჩვეულებითნი სჯულნი“ უნდა იხმარებოდეს, უეჭველია, სათანადო გავლენას მოახდენდა სამოსამართლო ორატორულ ხელოვნებაზე. ეს გავლენა, რა თქმა უნდა, ჯერ ხალხურ სამოსამართლო ზეპირ სიტყვას შეეხებოდა და შემდეგ იმავე დარგის კლასიკურ მეტყველებაზე გავრცელდებოდა. ასეთი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხალხური სამართალი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ჩვენი კლასიკური კანონმდებლობისა, რომლის შემადგენლობაში სხვა წყაროებთან ერთად ადათობრივი სამართლის კვალიც მოიპოვება. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის წყაროების ძიებამ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა პროფ. ი. დოლიძე: „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში სასამართლო პრაქტიკის გამოყენების საქმეში დიდი როლი შეასრულა შუაკაცთა და ბჭეთა სასამართლომ, რაც ნათლად ჩანს აღნიშნული კანონმდებლობის სათანადო მუხლებიდან. შუაკაცთა მომრიგებელი სასამართლო ადათობრივი სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობდა. მოდავე მხარეები შუაკაცებად (ანუ მედიატორებად) მსცოვან ადამიანებს ირჩევდნენ, რომლებიც კარგად იცნობდნენ ძველ წესებსა და

¹ იხ. Судебная хроника, (ნ. ნიკოლაძის პირადი არქივი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერი № 3—53); ა. კლი, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875—1876 წ.წ. (საისტორიო მონაბე, I, თბილისი, 1945).

² იხ. „თემი“, 1915, № 206; ხელნაწერი № 106 (H—1493).

ჩვეულებებს. შუაყაყთა მოვალეობას მოდავე მხარეთა შერიგება წარმოადგენდა, რითაც ზღვარი ეღებოდა ქიშპობასა და შურისძიებას¹.

ასეთ პირობებში შეუძლებელია ხალხურ მართლმსაჯულებას არ წარმოეშვა თავისი შესაბამისი მკვერმეტყველება, რომელიც, ვფიქრობთ, კლასიკური სამოსამართლო ორატორული ხელოვნების ანალოგიურ როლს შეასრულებდა ხალხური სამართლის წარმოებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის მაჩვენებელ პირდაპირ წყაროს — სიტყვების განძს — არ მოუღწევია ჩვენამდე. მიუხედავად ამისა მაინც შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე საგულისხმო ფაქტი, სახელდობრ, ქართულ ხელნაწერებში შემონახული „სიტყვისგებანი“ და სამედიატორო სასამართლოს განაჩენები, რომლებიც ხალხური სამოსამართლო მკვერმეტყველების არსებობასა და ფუნქციებზე მიუთითებენ იმავე დარგის კლასიკური ორატორული შემოქმედების გვერდით.

ასეთია ძველი ქართული სამართლის ძეგლებისა და საისტორიო დოკუმენტების შემწეობით გათვალისწინებული ჩვენი სამოსამართლო მკვერმეტყველება, რომლის მოამაგეებს, უნდა ვიფიქროთ, რუსთაველთან ერთად სწამდათ: „ქ მ ნ ა მ ა რ თ ლ ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა ხ ე ს ა შ ე ი ქ მ ს ხ მ ე ლ ს ა ნ ე დ ლ ა დ“ და სჯეროდათ, რომ ამ დიდი მნიშვნელობის საქმეში გადამწყვეტი ძალა პირუთვნელ და გონივრულ სიტყვას ეკუთვნოდა.

¹ ი. დოლიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 122.

ს ი ზ ყ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
შალვა მესხიშვილისა
ს. ა. სტოლერმანის
საქმეზე

საქმის მოკლე შინაარსი

1920 წლის 15 იანვარს, ქ. თბილისში, ღირიყორმა სამუელ სტოლერმანმა, თავის ბინაში, რევოლუციურიდან ორი გასროლით მოკლა ცოლი ალქესანდრა სტოლერმანი. შემდეგ იგი გამოცხადდა სათანადო ორგანოში და წინასწარი გამოძიების დროს უჩვენა, რომ თუმცა მკვლელობა ჩაიდინა, მაგრამ თავს დამნაშავედ არ ცნობს.

ს. ა. სტოლერმანი მიცემული იქნა სამართალში იმუამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 1451 მუხლის პირველი ნაწილით. სახელმწიფო ბრალმდებელმა ბრალდება დამტკიცებულად ცნო და მოითხოვა მიესაჯოს ს. სტოლერმანს კატორღა 15 წლის ვადით.

ბრალდებულს იცავდა ადვოკატი შალვა მესხიშვილი, რომელმაც დაუმტკიცა სასამართლოს, რომ ბრალდებულმა მკვლელობა ჩაიდინა პათოლოგიური აფექტის დროს და მოითხოვა მისი გამართლება.

საქმე გაარჩია თბილისის დროებითმა საგანგებო საქმეთა სასამართლომ (1920 წლის 4 მარტს), რომელმაც დამტკიცებულად ცნო, რომ ს. სტოლერმანმა ცოლი მოკლა ავადმყოფური სიშმაგის შემოტყვის დროს და გამოუტანა მას გამამართლებელი განაჩენი¹.

¹ გამოჩენილი ქართველი იურისტი შალვა მესხიშვილი, რომელიც 1960 წელს გარდაიცვალა, 35 წლის მანძილზე მოღვაწეობდა, როგორც საბჭოთა ადვოკატი და სამართლიანად ითვლებოდა საბჭოთა საქართველოს ადვოკატურის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წევრად. ამ დროის განმავლობაში მას უამრავ სამოსამართლო პროცესში მიუღია მონაწილეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დარჩენია საბჭოთა სასამართლოში წარმოთქმული რომელიმე დაცვითი სიტყვის წერილობითი ტექსტი. ამის გამო ჩვენ საკუროდ ჩავთვალეთ, შეგვეტანა კრებულში შ. მესხიშვილის ცნობილი სიტყვა, წარმოთქმული ს. ა. სტოლერმანის საქმეზე 1920 წლის 4 მარტს რედ.

ადვოკატ შალვა მისხიშვილის სიტყვა

პატივცემულო მოსამართლენო!

სამუელ ალექსანდრეს ძე სტოლერმანს, 45 წლისას, ბრალი ედება, რომ წინასწარ განიზრახა რა კანონიერი ცოლის ალექსანდრა ფედოტის ასულ სტოლერმანის მოკვლა, 1920 წლის 15 იანვარს დილით, თავის ბინაზე, სასამართლოს ქუჩა № 31, რევოლვერიდან ორი გასროლით მოკლა მძინარე ცოლი. ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების 1451 მუხლის პირველი ნაწილით.

როგორც წინასწარ, ისე სასამართლო გამოძიებაზე სტოლერმანმა განაცხადა, რომ არ უარყოფს ცოლის მკვლელობას, მაგრამ თავს დამნაშავედ არა ცნობს. სახელმწიფო ბრალდებულმა, პატივცემულმა მოქ. რიყამაძემ ბრალდება სცნო დამტკიცებულად და იშუამდგომლა თქვენს წინაშე, სტოლერმანი დამნაშავედ სცნოთ და მიუსაჯოთ კატორღა 15 წლის ვადით.

სამუელ სტოლერმანმა რომ მძინარე ცოლი მოკლა, ეს უდავოდ დადასტურებულია და არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მართო ფაქტი მკვლელობისა არ არის საკმარისი სტოლერმანის დამნაშავედ აღიარებისათვის. თანახმად დებულების 91 მუხლისა სასჯელი ბოროტმოქმედებისათვის დაედება სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოროტმოქმედების ჩაღენა უდავოდ არის დადასტურებული და ეს სამართალში მიცემულს უნდა ჩაეთვალოს ბრალად, ესე იგი, თუ შერაცხადმა პიროვნებამ შეგნებულად, ამ შემთხვევაში წინასწარი განზრახვით, ჩაიდინა ბოროტმოქმედება.

შერაცხადობა კი არის მხოლოდ გამოვლინება მიზეზობრივი კავშირისა ბრალდებულის შეგნებულ ნებისყოფასა და ჩადენილ ბოროტმოქმედებას შორის.

ასე განმარტა სენატმა ჩერნილკინის საქმე 1869 წლის № 368 დადგენილებით.

საქმის მასალებს ანალიზი კი უდავოდ ადასტურებს, რომ სტოლერმანს ცოლის მკვლელობის არც წინასწარი და არც უეცარი განზრახვა არა ჰქონია.

სტოლერმანმა ცოლი მოკლა ისეთი უეცარი, მძიმე სულიერი ავადმყოფობის დროს, როცა გონება და ნება სრულიად გამოთიშულნი იქნენ და აღგზნებული სტოლერმანი არ აძლევდა თავის თავს ანგარიშს, თუ რას სჩადიოდა. დებულება რომ დამაჭრებელი და უდავო გახდეს საჭიროა საქმის მასალების ანალიზი. ამისათვის კი ცოტა შორიდან უნდა დავიწყო.

ნება მიბოძეთ, მოკლედ მოგახსენოთ ერთი უბედური ადამიანის შესახებ.

სტოლერმანმა მომავალი მეუღლე 15 წლის წინათ გაიცნო ციმბირში, სადაც ლოტბარად მუშაობდა. სტოლერმანის მეუღლე კი ახლად იწყებდა მსახიობის სასცენო 'კარიერას'. მათ დაიწყეს ერთად ცხოვრება. განვლო წელიწად-ნახევარმა და ქალმა მოითხოვა, რომ სტოლერმანთან ერთად ცხოვრება დაეკანონებინა. სტოლერმანმა მიიღო მართლმადიდებლობა და ჭვარი დაიწერა. დაქორწინების შემდეგ ცოლსა და ქმარს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, რომელიც თანდათან უფრო ღრმავდებოდა. ამის მიზეზი იყო მეუღლეთა ხასიათის შეურაცხებლობა და სხვაობა.

ქმარი იყო სუსტი ნებისყოფის კაცი, წყნარი, ჩუმი, გატაცებული მხოლოდ მუსიკით. სრულებით არმცოდნე ყოველდღიური ჭირ-ვარამისა, ჯანითაც სუსტი, სათუთი აგებულებისა. ცოლი კი იყო ჯან-ღონით სავსე. ძლიერი ბუნებით დაჯილდოვებული ქალი. იგი ვერ იტანდა თავის სურვილების ვერავითარ წინააღმდეგობას და როგორც ქმართან, ისე უცხოსთან, აშკარად ავლენდა თავის უხეშ ბუნებას. იგი ქმრის უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. მთელი შემოსავალი მის ხელში იყო. ყიდულობდა ფასიან ქაღალდებს და შეჰქონდა ბანკში თავის სახელზე. ქმარს კი ხშირად რამდენიმე მანეთიც არა ჰქონოდა. ალექსანდრა ფედოტის ასული ერეოდა ქმრის სალოტბარო და სამუსიკო მოღვაწეობაში, თუმცა მუსიკისა თითქმის არაფერი ესმოდა.

სტოლერმანი ებრაელია. თქვენ კარგად მოგეხსენებათ რა მდგომარეობაში იყვნენ ებრაელები თვითმპყრობლობის დროს.

მათ მოკლებული ჰქონდათ ადამიანის ელემენტარული უფლებები. მათ სასტიკად სდევნიდნენ. საკმარისია მოიგონოთ კიშინიოვში, ოდესაში და სხვა ადგილებში მომხდარი დარბევა და ხოცვა, ბეილისის აღმაშფოთებელი პროცესი, რომ ნათლად წარმოადგინოთ სურათი ებრაელთა მღვდომარეობისა თვითმპყრობელობის დროს.

მუშაობით დაქანცულ სტოლერმანს, როგორც ებრაელს, ცხოვრება მაინცდამაინც არ უღიმოდა, მას ოჯახში უნდა ჰქონოდა დასვენების, ნერვების დაწყნარების, ხელშეუშლელი მუშაობის პირობები. აქ უნდა ეგრძნო, რომ იგი ადამიანია და როგორც ებრაელს, ზიზლით არ უყურებენ.

მაგრამ მეუღლემ სტოლერმანს ოჯახში ჯოჯოხეთი შეუქმნა.

ცოლი სტოლერმანს თითქმის ყოველდღე ეჩხუბებოდა და სცემდა კიდევ.

ხშირად უცხო პირების დასწრებით ლანძღავდა, ეძახოდა ქეციან ურიას, იდიოტს და სხვა ამგვარს. ეს მარტო ოჯახში არა ხდებოდა. ესენტუყის პარკში დიდი ჩხუბი გაუმართა და ქოლგით ხელში გამოუდგა გასალახავად.

1919 წელს თბილისის ოპერას ეწვია მომღერალი ქალი კოშიცი. ავადმყოფობის გამო მან სახლში მიიწვია სტოლერმანი, რათა „პიკის ქალიდან“ პარტია გაემეორებინა. ეს არ მოეწონა სტოლერმანის ცოლს და ნება არ მისცა ქმარს წასულიყო კოშიცის ქალთან. ამიტომ 29 დეკემბერს „პიკის ქალს“ კოშიცის მონაწილეობით სტოლერმანის მაგივრად ლოტბარობდა კორშონი. როცა წარმოდგენის დაწყებამდის გამოცხადდა, რომ ღირექციამ არ იცის თუ რატომ არ ლოტბარობს სტოლერმანი, მისმა მეუღლემ ოპერის დარბაზში საჯაროდ გალანძღა კოშიცის ქალი და მას „ინტრიგანკა“ უწოდა.

ყველაფერი ეს დადასტურებულია სტოლერმანის ექიმ აბაკელიას, სტოლერმანის ბინის პატრონის ნადეჟა ფილიპოვიჩის, ნატალია კუნედას, თეატრის კომისარის, ალექსანდრე წუწუნავას ჩვენებებით. რაც შეეხება, კერძოდ, მომღერალ კოშიცთან შეტაკებას, წუწუნავამ აჩვენა: „იმ დროს თეატრში არ ვიყავი. როცა ტელეფონით შემატყობინეს მაშინვე მივედი თეატრში. აქ სტოლერმანის ცოლი შემხვდა. ვუთხარი, რომ ასეთი საქციელი სახელმწიფო დაწესებულებაში დაუშვებე-

ლია-მეთქი. სტოლერმანის ცოლმა მიპასუხა, მე კარგად ვიცი რასაც ჩავდივარ, პარლამენტში ერთმანეთს სკამებს ესვრიანო“.

წუწუნავამ აჩვენა, რომ გასცა განკარგულება სცენაზე უცხო პირნი არ-შეეშვათ. როცა კაპელდინერმა ქალმა სტოლერმანის ცოლს სცენაზე შესვლის ნება არ მისცა, მან ისე მძლავრად ჰკრა ზელი თეატრის მუშაკს, რომ იგი ცუდად გახდა.

სტოლერმანის ცოლი ზანდაზან შეიჭრებოდა ხოლმე სცენაზე და ოპერის თანამშრომელთა თანდასწრებით შეურაცხყოფას აყენებდა ქმარს. ამას ადასტურებენ სასამართლოში დაკითხული მოწმენი: წუწუნავა, ევლახოვი, გურესი, სუხოროუკოვი, ბელსკი.

რატომ არ დაანება თავი სტოლერმანმა ასეთ ცოლს?

16 იანვარს დაკითხვის დროს სტოლერმანმა აჩვენა: „ცოლი სისტემატურად მეჩხუბებოდა, სხვათა დასწრებით მცემდა. მოსკოვში ცოლის მოქმედებამ იქამდის მიმიყვანა, რომ გადავწყვიტე გავცლოდი მას. მან გაზეთებიდან გაიგო სად ვიყავი და ჩემთან გამოცხადდა. ახალი აურზაურისა და შეურაცხყოფის შიშით იძულებული ვიყავი მეცხოვრა მასთან“.

ალექსანდრე. წუწუნავამ აჩვენა: „ჩვენ ვურჩევდით სტოლერმანს, გასცილებოდა ცოლს. სტოლერმანმა გვიპასუხა, თქვენ არ იცნობთ მას. თვითმფრინავით მოფრინდება იქ, სადაც ვიქნები და უარეს დღეს დამაყენებსო“.

თქვენი ნებართვით, წავიკითხავ საბრალდებო აქტის რამდენიმე ადგილს:

„სტოლერმანი პოულობდა მუსიკაში არა მარტო ცხოვრების წყაროს, არამედ ხელოვანის უნგარო და უმაღლეს ესთეტიკურ სიამოვნებას. ცოლი კი მარტო ფულზე ფიქრობდა და აიძულებდა ქმარს, მისდა უნებურად მოეთხოვა გასამრჯელოს მომატება. ცხელ ზაფხულში, აგარაკიდან ისტუმრებდა ქმარს კონცერტების გასამართავად, ფულის საშოვნელად, დაღლილ ლოტბარს ღამე არეცხინებდა იატაკს. ორი წლის წინათ სტოლერმანი ჩამოვიდა თბილისში და სახელმწიფო თეატრში პირველი ლოტბარის ადგილი დაიკავა. სტოლერმანი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა „აბესალომ და ეთერს“, დიდი შრომა გასწია ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეზე“.

მალე აპირებდა „აბესალომის“ ლოტბარობას. ამის გამო ნამდვილი ომი გამოუცხადა მეუღლემ; მან შეიძულა ქართული ნაწარმოებები, უწოდებდა მათ საძაგელს და ვულგარულს და ქმარს უკრძალავდა მათ შესწავლას. ერთხელ უთხრა კიდევ ქმარს, თუ არ წაიღებ ბინიდან „აბესალომის“ პარტიტურას, დაგიხევო“.

მინდა მოგაგონოთ სტოლერმანის ჩვენება გამოძიებაზე: „როცა ვუთხარი, რომ ჩვენ პატივისცემით უნდა მოვეპყრათ ქართველ ხალხს, ცოლმა ირონიით მიპასუხა: ჩქარა მოვლენ დენიკინელები და გასწმენდნენ მთელ საქართველოსო. საერთოდ იგი რეაქციონერი იყო“.

განვაგრძობ საბრალდებო აქტიდან კითხვას:

„1920 წლის 14 იანვარს სტოლერმანი ლოტბარობდა მომდერალი ზალიპსკის საბენეფისოდ დადგმულ ოპერა „ფრა დიავოლოს“. შინ რომ დაბრუნდნენ, ცოლმა დიდი ჩხუბი აუტეხა: ყველანი ბენეფისებს მართავენ, დიდძალ ფულებს იღებენ, შენ კი ამის მოწყობა არ შეგიძლიაო, დაუკაწრა ხელე-ბი, გადაუგდო საწოლი ოთახიდან ბალიში მისაღებ ოთახში და თვითონ დაწვა დასაძინებლად. სტოლერმანს გაუხდელს ჩაეძინა, დილით ადრე გაიღვიძა; მოინდომა ცოლის ძილით ესარგებლა და გადაშალა „აბესალომის“ პარტიტურა, რომელშიც რამდენიმე ფურცელი დახეული აღმოჩნდა. გახელებულმა სტოლერმანმა რევოლვერიდან ორი გასროლით მოკლა მძინარე ცოლი. რევოლვერი რამდენიმე დღის წინათ ცოლის თანდასწრებით ამოიღო თეთრეულიდან და თან ატარებდა“.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომ თბილისის ოპერის თეატრში მუშაობის დროს სტოლერმანი დაუახლოვდა ქართველი ერის სიამაყეს ზაქარია ფალიაშვილს. ძალიან აფასებდა „აბესალომის“ მუსიკას და, მიუხედავად ცოლის წინააღმდეგობისა, თავს არ ანებებდა მის პარტიტურაზე მუშაობას.

უნდა ხაზი გავუსვა, რომ „აბესალომის“ პარტიტურა ხელნაწერი და ერთადერთი ეგზემპლარი იყო..

პროკურორმა მოგახსენათ, რომ სტოლერმანმა ლაჩრულად მოკლა ცოლი, ფხიზელისათვის სროლაც ვერ გაბედაო.

სწორედ ეს ადასტურებს, რომ სტოლერმანს ცოლის მოკვ-

ლის განზრახვა არა ჰქონია. როდის უნდა აღძვროდა სტოლერმანს მოკვლის განზრახვა? ან დიდი ხნით ადრე უნდა გადაეწყვიტა ცოლის მოკვლა, ან მკვლელობის წინა ღამეს უნდა განეზრახა ეს. თუ დიდი ხნით ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი, სტოლერმანი უფრო ადრე მოკლავდა ცოლს, რომელიც სისტემატურად სტანჯავდა.

თუ მკვლელობის წინა ღამეს აღძრა ეს სურვილი, უეჭველად ჩხუბის შემდეგ, დაძინებამდის ესროდა. როცა მოკვლა გადაწყვეტილი გაქვს და იარაღიც ხელმისაწვდომია, აფთარი დედაკაცის შიში ვერ შეგაჩერებს.

თუ იმ ღამეს გადაწყვეტა, რომ მძინარეს მოკლავდა, სტოლერმანი არ დაიძინებდა და უთვალთვალებდა ცოლს, რომ მძინარე მოკვლა.

სტოლერმანმა დაიძინა, და როცა დილით გაიღვიძა, ცოლს ჯერ კიდევ ეძინა, ადგა თუ არა რევოლვერს კი არ ეცა, არამედ პარტიტურას, რომ დამშვიდებით ემუშავნა. ეს ზუსტად დადასტურებულა და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელიც უდავოდ ამტკიცებს, რომ სტოლერმანს არა ჰქონდა ცოლის მოკვლის განზრახვა. მაშ რა მოხდა? საჭიროა დაკვირვება და ანალიზი სტოლერმანის ფსიქიური მდგომარეობისა, რომ 'შეცდომა არ იქნეს დაშვებული.

როცა სტოლერმანმა დახეული პარტიტურა ნახა, ამას მოჰყვა ისეთი სულიერი აღზნება, რომ გონება და ნება გამოთიშულნი იქნენ. ამ უეცარი სულიერი შემოტევის დროს (რომლის შედეგი იყო სიშმაგე) სტოლერმანმა მოკლა თავისი ცოლი.

ექსპერტიზის დასკვნით, სტოლერმანი დაავადებულია ნევრასტენიის მძიმე ფორმით.

მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ მრავალი წლის განმავლობაში იგი განიცდიდა მძიმე შეურაცხყოფას და იტანჯებოდა ცოლის სისტემატურად უხეში და დამამცირებელი მოქმედებით. სტოლერმანში თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილების გრძნობა. მკვლელობის წინა ღამეს ცოლმა დიდი ჩხუბი აუტეხა, მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა და ხელები დაუკაწრა.

სტოლერმანმა დილით „აბესალომ და ეთერის“ ხელნაწერი პარტიტურის ერთადერთი ეგზემპლარის დახეული ფურ-

ცლები რომ ნახა, ეს იყო ის ბიძგი, რომელმაც გამოიწვია უეცარი შიშე სულიერი ავადმყოფობა, რომლისთვისაც ნიადაგი დიდი ხანია მზადდებოდა მის ფსიქიკაში.

ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება მივაქციო პროფესორ სიკორსკის ცნობელ შრომას „თეორიული და კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები სასამართლო ფსიქოლოგიის მოკლე ნარკვევით“.

პროფესორი სიკორსკი აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდ სასამართლო-ფსიქიატრიულ ინტერესს ექსპერტისათვის და სასამართლოსათვის იწვევენ, უმეტეს შემთხვევებში ის შიშე ბოროტმოქმედებანი, რომელნიც ჩადენილნი არიან უეცარი შეტევის დროს, როცა ადამიანი საერთოდ ფსიქიურად დაავადებული არ არის. ხანმოკლე, მაგრამ მეტად ბოროტი ფსიქიური არანორმალობის შემდეგ სუბიექტს უბრუნდება ჩვეულებრივი საღი მდგომარეობა. მეცნიერებაში ასეთ მოვლენებს უწოდებენ პათოლოგიურ აფექტს. კანონმდებლობაში ასეთი შემთხვევები გათვალისწინებულია დებულების 92 მ. 3 პუნქტით. რითია გამოწვეული გამანადგურებელი და სრულიად ბრმა ხასიათის მოძრავი რეაქციების ძალა? პროფესორ სიკორსკის აზრით, განსაზღვრულ მდგომარეობაში, მაღალი ფსიქიური ცხოვრება, რომელსაც შეადგენს გონების, გრძნობის და ნების ერთიანობა, უეცრად ჩერდება და მის ადგილს იკვირს უფრო დაბალი ფსიქიური ცხოვრება, ინსტინქტების ცხოვრება.

ინსტინქტი, რომელიც აღარ არის შეზღუდული გონებით და ნებით, გამოვლინდება მისთვის დამახასიათებელი სტაქიურობით და სიბრძავით, თუ სუბიექტი ხანდახან შეგნებას სრულიად. მოკლებული არ არის, შეგნება მეტად სუსტია დაბალი ფსიქიზმის წინაშე და საქმე გვაქვს არა ფიზიოლოგიურ აფექტის პათოლოგიურ აფექტად გადასვლასთან, არამედ უმაღლესი ფსიქიზმის უეცრად შეჩერებასთან და ინსტინქტების (მათთვის დამახასიათებელი ძლიერებით და სიბრძავით) გამოვლინებასთან.

მე მინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო იმას, რომ პათოლოგიური აფექტის აღძვრისათვის სრულებით საჭირო არ არის, რომ მას ფიზიოლოგიური აფექტი უძღოდეს

წინ. სწორედ ასეა სტოლერმანის შემთხვევა. შეიძლება საკი-
როც არ იყო პროფესორ სიკორსკის აზრის მოყვანა.

პატივცემულმა ექსპერტებმა, ექიმებმა დავით გედევანიშ-
ვილმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა და ვლადიმერ ციციშვილმა
ჩემ მიერ დასმულ კითხვებზე წერილობითი პასუხები გასცეს.

პატივცემულმა დავით გედევანიშვილმა მოახსენა სასამარ-
თლოს ექსპერტების მიერ ერთხმად დადგენილი დასკვნა,
რომ ბორტმოკმედების ჩადენის დროს სტოლერმანი იმყო-
ფებოდა პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში. სასამართ-
ლოს და მხარეთა მრავალ შეკითხვებზე ექიმმა გედევანიშვილ-
მა ექსპერტების აზრი მეცნიერულად დაასაბუთა.

მე უდავოდ დადასტურებულად მიმაჩნია, რომ სტოლერმანს
ცოლის მოკვლის განზრახვა არა ჰქონდა. დილით „აბესალომის“
პარტიტურის ფურცლები დახეული რომ ნახა, უეცრად, მე-
ტად მძიმე, ხანმოკლე ფსიქიური დაავადების დროს, სიშმაგის
მდგომარეობაში, ჩაიღინა მკვლელობა. თანახმად დებულების
92 მუხლის 3 პუნქტისა ჩადენილი არ უნდა ჩაითვალოს ბრა-
ლად, თუ ბოროტება ჩადენილია ავადმყოფური შეტევების
დროს, რომელთა შედეგია სიშმაგე, ან მეხსიერების სრული
გამოთიშვა და თუ სტოლერმანს ეს არ ჩაეთვლება ბრალად,
მაშინ არც შეიძლება მისი დამნაშავედ ცნობა.

ამიტომ სტოლერმანი გამართლებული უნდა იქნეს.

პატივცემულმა პროკურორმა მოქ. რიუამაძემ იშუამდგომ-
ლა მიუხაჯოთ სტოლერმანს კატორღა 15 წლის ვადით. სტო-
ლერმანმა 15 წლის კატორღა უკვე მოიხადა ცოლთან ცხოვ-
რების დროს.

აოა, მე შელავათს არ ვთხოვლობ.

უდანაშაულო სტოლერმანისათვის შელავათი დაუშვებე-
ლია.

მე მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე.

ვშუამდგომლობ თქვენ წინაშე, რათა დადასტურებულად
სცნოთ, რომ სტოლერმანმა ცოლი მოკლა პათოლოგიური
აფექტის მდგომარეობაში და გამოუტანოთ მას გამამართლე-
ბელი განაჩენი.

ს ი ზ უ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ბიძინა ბარათაშვილისა
ს. ვ. მოღეზაძის
საქმეზე

საქმის მოკლე შინაარსი

1957 წლის 6 ნოემბერს, მუშა ღუთარ ალექსანდრეს ძე მასხარაშვილი თბილისიდან სოფელ კაცხში გაემგზავრა, რათა ნოემბრის საზეიმო დღეები თავის ოჯახში გაეტარებინა. 8 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, ოთარ მასხარაშვილი ვილაც უცნობმა პირმა გარეთ გაიხმო. სახლიდან გასული ოთარი უკან აღარ დაბრუნებულა, ის უგზო-უკელოდ დაიკარგა. რამდენიმე კვირის შემდეგ სახლიდან 300 მეტრის დაშორებით იპოვეს მხეცურად მოკლული მასხარაშვილის გვამი.

როგორც გამოძიებით გამოირკვა, ოთარ მასხარაშვილის მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე ჩაიდინა სულიკო ვლადიმერის ძე მოდებაძემ.

ს. მოდებაძე მიცემული იქნა სამართალში სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლის „ა“ პუნქტით. საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განსვლელმა სესიამ კითხურაში, 1960 წლის 10—16 ნოემბერს.

სასამართლომ ს. მოდებაძე დაქნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და ნიუაჯა მას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.¹

ადვოკატი ბ. ა. ბარათაშვილი გამოვიდა ამ საქმეში სამოქალაქო მოსარჩლის წარმომადგენლად.

¹ ა. ქ. და ქვემოთ, უმრავლეს შემთხვევაში, სამართალში ნიცემულა გვარები შეცვლილია.

ადვოკატ ბიძინა ბაკათაშვილის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

ამ საქმეში მე გამოვდივარ როგორც სამოქალაქო მოსარჩლის წარმომადგენელი. განსვენებული ოთარ მასხარაშვილის დედამ ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების ღრის წაწაღვინა სამოქალაქო სარჩელი იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც ოთარ მასხარაშვილის ოჯახმა სამართალში მიცემული სულიკო მოდებაძის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად განიცადა. მე მხარს ვუჭერ სარჩელს და გთხოვთ, დააკისროთ ზარალის მთლიანად ანაზღაურება ოთარ მასხარაშვილის მკვლელს.

მაგრამ, რამდენადაც, ოთარ მასხარაშვილის მკვლევლობისათვის სამართალში მიცემული სულიკო მოდებაძე გადაჭრით უარყოფს წაყენებულ ბრალდებას და ანტიციებს თავის სრულ უდანაშაულობას, მე იძულებული ვარ შევგებო საქმის არსებით მხარეს, მოგახსენოთ ჩემი მოსაზრებანი სულიკო მოდებაძისათვის წაყენებული ბრალდების საფუძვლიანობის თაობაზე და, მაშასადამე, ჩვენს მიერ წარმოდგენილი სარჩელის საფუძვლიანობის შესახებაც.

წინასწარი მოფიქრებით, განზრახვით ჩადენილი მკვლელობა მუდამ ითვლებოდა უმძიმეს დანაშაულად და ასეთი დანაშაულის ჩამდენი ყოველთვის მკაცრად ისჯებოდა.

ბუნებრივია, რომ დღეს, ჩვენს ქვეყანაში დაუნდობელი ბრძოლაა ადამიანის სიცოცხლის დასაცავად მკვლელთა ხელყოფისაგან. ბრძოლა მკვლელთა ასალაგმავად წარმოადგენს არა მარტო სახელმწიფო ორგანოების, კანონმდებლობის, არამედ ჩვენი საზოგადოებრიობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

ამიტომ სავსებით გასაგებია, თუ რატომ გამოეხმაურნენ ჩვენი საზოგადოების ფართო ფენები და პრესა, ასე მძაფრად, ასე აღშფოთებით იმ საშინელ ტრაგედიას, რომელიც დატრი-

აღდა ჰიათურის რაიონის სოფელ კაცხში 1957 წლის 8 ნოემბერს.

30 წლის ჰაბუკი, თბილისში მცხოვრები მუშა და ამავე დროს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სტუდენტი ოთარ მასხარაშვილი, 1957 წლის ნოემბრის დღესასწაულზე, თბილისიდან სოფელ კაცხში ჩავიდა, რათა ეს დღეები თავის მშობლიურ ოჯახში — დედასთან და დასთან ერთად გაეტარებინა. 8 ნოემბერს, ღამის 11 საათზე მასხარაშვილის ოჯახის წევრებმა ფანჯრიდან მთვარის შუქზე შეამჩნიეს ვიღაც უცნობი. იგი ეზოზე გარშემოვლებულ ყორეს გადაღმა იდგა და მასხარაშვილების სახლის ფანჯარას უთვალთვალებდა. ის ადგილი, სადაც უცხო პირი იდგა, სულ 8-10 მეტრით იყო დაცილებული ფანჯარას. ასეთ უღროდ დროს უცნობი კაცის გამოჩენამ და მისმა უცნაურმა საქციელმა ოჯახის წევრები, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა და ისინი ყველანი — ოთარ მასხარაშვილი, დედამისი, ოთარის და — ნორა და მათთან ამ დროს სტუმრად მყოფი ნორას სკოლის ამხანაგი, საჩქაროდ გარეთ გამოვიდნენ ამ უცხო პირის ვინაობის გამოსარკვევად. შემოუარეს სახლს, გადავიდნენ ყორეზე, მიმოათვალიერეს ირგვლივ ყოველი კუთხე, მაგრამ უცნობი გაუჩინარდა.

ნოემბრის ცივი და სუსხიანი ღამე იყო. ქალებს შესცივდათ და სახლში შემობრუნდნენ, ოთარი კი გარეთ დარჩა — ცოტას კიდევ მიმოვიხედავ, ეგებ ის უცნობი გამოჩნდესო. გავიდა კარგა ხანი, თითქმის ერთი საათი, ოთარი კი არ ჩანდა. ეს მით უფრო გასაკვირი იყო, რომ მას პალტოც კი არ მოუსხამს, ხოლო ფეხი ქოშებში ჰქონდა წადგმული და ასეთი სახით ამ სუსხიან ღამით დიდხანს გარეთ დაყოვნება ძნელი იყო. ძალზე შეშინებული დედა და და კვლავ გარეთ გამოცვივდნენ, კარგა მანძილი შემოირბინეს სახლის ირგვლივ, სოფლის კიდემდე წვდებოდა მათი ძახილი, მაგრამ ოთარი, თითქოს ქვესკნელმა შთანთქაო, — უკვალოდ გაქრა. ქალების კვიღაზე, ძილს მიცემული მეზობლები ფეხზე წამოცვივდნენ, და ახლა მთელი სოფელი შეუდგა დაკარგული ოთარის ძებნას, მაგრამ ამაოდ: იმ ღამით ოთარის ფეხის კვალსაც ვერ მიაგნეს. დილით ძებნა კიდევ უფრო მეტი ენერგიით გაჩაღდა. ამჯე-

რად სოფლელებს მიეშველნენ მილიციის თანამშრომლები, პროკურატურის მუშაკების სამძებრო ძალების თანხლებით და სხვ. გულდასმით შემოიარეს სოფლის მიდამოები, ხელით მოსინჯეს ყოველი ხის ძირი, ყოველი ბუჩქი, მთის ფერდობები, ხევები, კლდის ნაპრალები, მაგრამ დაკარგული ოთარ მასხარაშვილი ვერ იქნა და ვერ იპოვეს.

სოფლად ხმა დაირხა — ოთარი ვილაცას თბილისში უნახავს, მერმე ბათუმშიო და ა. შ. გამწარებული დედა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში გადადიოდა, მაგრამ დაკარგული ადამიანის პოვნის ყოველგვარი ცდა უნაყოფო აღმოჩნდა. უკვალოდ გაქრა შეუბღალავი, უმწიკვლო, დინჯი, თავდაქერილი, თავზიანი, პატარაობიდანვე შრომას და გარჯას ჩვეული ახალგაზრდა.

და მხოლოდ 26-ე დღეს კაცხის მცხოვრებლებმა შეამჩნიეს, თუ როგორი გაშმაგებით ართმევდნენ პირიდან ძალები ერთმანეთს ადამიანის მკლავს. ეს თავზარდამცემი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ სოფელს, და ოთარ მასხარაშვილის ახლობლები, მთელი სოფელი — დიდი და პატარა ისევ მოეფინა სოფლის მიდამოებს. ამჯერად ძებნას უქმად არ ჩაუვლია. მასხარაშვილების სახლიდან დაახლოებით 300 მეტრის მანძილზე, ბუჩქებში იპოვეს სულ ერთიანად გაძვალტყავებულ გვამი, რომელსაც შუბლი, თმა და ქვედა კიდურები შემორჩენოდა ცოტად თუ ბევრად უცვლელად. ეს იყო ოთარ მასხარაშვილის გვამი.

ძიების მასალებით გამოიჩვენა, რომ 8 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, უცნობის საძებნად გარეთ გამოსულ ოთარ მასხარაშვილს თავს დასხმია, შეუბოჩკავთ და შორს გაუტაცნიათ, მერმე დანებით აუკუწავთ, აღულებული წყლით დაუთუთქავთ, მკვდარი მრავალი დღის განმავლობაში უგზო-უკვალოდ უტარებიათ, შემდეგ მისი სახლის მახლობლად უქანვე მიუთრევიათ და ბუჩქებში მიუგდიათ.

ამ მკვლელობის ჩადენა ბრალად დაედო სოფელ კაცხის მცხოვრებს სულიყო ვლადიმერის ძე მოდებაძეს.

განა გასაკვირია ყოველივე ამის შემდეგ, თუ რატომ გამოეხმაურა ამ საშინელ მკვლელობას ასეთი სიმძაფრითა და აღშფოთებით ჩვენი საზოგადოებრიობა, ჩვენი პრესა, რატომ მის-

წვდა ამ საზარელი აშბის ხმა საბჭოთა კავშირის შორეულ კუთხეებს, რატომ დაიდგა გლოვის კარავი მასხარაშვილების ოჯახში, რატომ ბოზოქრობს შეუნელებელი მწუხარებისა და ვარამის ცეცხლი მოკლულის დედის გულში, რატომ მოითხოვენ ჭიათურის რაიონის ასობით და ათასობით მუშა, კოლმეურნე, მოსამსახურე მკვლელის სასტიკად დასჯას?

ჩემთვის იწვევ, როგორც ყველა აქ დამსწრე პირისათვის, ნათელია, რომ შვილის მოკვლით დაკოდილი დედის გულს ველარაფერი განკურნავს, თუნდაც მკვლელის სისხლით უხვად მოიწყას მისი შვილის საფლავი; დედის ამ დანაკარგს ველარაფერი ვერ აანაზღაურებს, მაგრამ კანონმა, საბჭოთა მართლმსაჯულებამ ამის გამო თავისი სიტყვა უნდა თქვას, მკვლელს უნდა მიეზღოს სრულად ის, რაც მან თავისი ბოროტი მოქმედებით დაიმსახურა.

ჩვენ გვესმის სანაშაულოში მიცემულისა და მისი ინტერესების დამცველის შიში, რომ ამ საყოველთაო აღშფოთებამ არ მოახდინოს ზეგავლენა სასამართლოზე, არ გააპრუდოს მართლმსაჯულების ხაზი; გვესმის, რომ, როდესაც მკვლელობის საკითხი სასამართლოს მსჯელობის საგანი ხდება, როცა სასამართლო იწყებს გამოძიებას საქმეზე მატერიალური ჭეშმარიტების დასადგენად, ყოველგვარი ვნებათა დელვა, აღშფოთება და გულისწყრომა უნდა მისწყდეს და მიყუჩდეს სასამართლოს ზღურბლთან, რათა მას საშუალება მიეცეს საღი გონებით, მიუდგომლად და მიუკერძოებლად გადაჭრას საკითხი, გამოიტანოს სწორი და კანონიერი განაჩენი.

ღიახ, ასეთი მოთხოვნა სავსებით სწორი და მართებულია. არავის არ სურს სულიკო მოღებამის სამსხვერპლო ტარად მიტანა ოთარ მასხარაშვილის საფლავზე, არავის არ უნდა უღანაშაულო ადამიანის დასჯა. ეს კიდევ უფრო გულშემზარავი და შემადრწუნებელი იქნებოდა, ვიდრე ოთარ მასხარაშვილის მკვლელობა.

ჩვენ სულიკო მოღებამეს ბრალად ვდებთ ოთარ მასხარაშვილის მკვლელობას, არა უბრალო ეჭვების, არამედ უტყუარი ფაქტების საფუძველზე.

სამართლაში მიცემული სულიკო მოღებამე და მისი ინტერესების დამცველნი მიუთითებენ, რომ არ არსებობს არც

ერთი მოწმე, რომელსაც დაენახოს მკვლელობის ფაქტი, დაენახოს, რომ ეს მკვლელობა ჩაიდინა სულიყო მოდებამ; არ არსებობს მოწმე, რომელსაც თავისი ყურით გაეგონოს თვით სულიყო მოდებამისაგან ან ვინმე მისი ახლობლისაგან, რომ მასხარაშვილი სწორედ მან მოკლა; არ არსებობს ნივთიერი მტკიცება, რომელიც ადასტურებდეს, რომ მკვლელი სულიყო მოდებამა.

მაშასადამე, — გვეუბნებიან ჩვენ, — ბრალდების მხარეს არ გააჩნია სულიყო მოდებამის მიმართ პირდაპირი მხილება-ნი, პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები; მის განკარგულებაშია მარტოოდენ არაპირდაპირი მამხილებელი საბუთები.

ერთ წუთს დავეშვათ, რომ ჩვენ ხელთ არა გვაქვს არავითარი პირდაპირი მამხილებელი საბუთი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ უძლურნი ვართ მარტოოდენ არაპირდაპირი მამხილებელი საბუთებით უდავოდ დავამტკიცოთ ბრალდება, ვამხილოთ ნამდვილი მკვლელი? არავითარ შემთხვევაში! არაპირდაპირი მამხილებელი საბუთები საესებით საკპარისია ბრალდების უდავოდ დადასტურებისთვის, როდესაც ისინი შეკრულია ერთ მტკიცე ჯაჭვად, როდესაც ან ჯაჭვის ყველა რგოლი შეხამებულია ერთმანეთთან, როდესაც არაპირდაპირი მხილებანი წარმოადგენენ მხილებათა არა უბრალო გროვას, არამედ მთლიან, ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებულ საბუთთა სისტემას, როდესაც მათი ერთობლიობა გამოირიცხავს ყოველგვარ სხვა ვერსიას, გარდა ერთისა — ბრალდების ვერსიისა.

დაუშვებელია პირდაპირი და არაპირდაპირი მამხილებელი საბუთების ერთიმეორისადმი დაპირისპირება იმ აზრით, რომ პირველს უპირატესობა აქვს მეორესთან შედარებით მატერიალური ჭეშმარიტების დადგენის საქმეში. ეს უპირატესობა დამოკიდებულია თვით ამ მხილებათა საფუძვლიანობაზე. დანაშაულებრივი ფაქტის შემსწრე, დანაშაულის შემთხვევის უშუალო მოწმის ჩვენება, თუ ის განაწყენებულია რაიმე მიზეზის გამო ამა თუ იმ პირზე, ან რაიმე მიზეზით განწყობილია მის წინააღმდეგ, შეიძლება ისევე ყალბი იყოს, როგორც ზოგიერთი სახის არაპირდაპირი მხილება. ზოგიერთი ცნობილი პროცესუალისტი კი აღნიშნავს, რომ უფრო ხშირ შემ-

თხვევაში წინასწარი შეცნობით ყალბ ჩვენებას იძლევა დანაშაულებრივი ფაქტის უშუალო მოწმე „Заведомо ложным,— აღნიშნავს პროფ. სტროგოვიჩი,— бывает обычно прямое доказательство и очень редко косвенное“.

საერთოდ კი დამამტკიცებელი, მამხილებელი საბუთების დაყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ საბუთებად ერთგვარ პირობით ხასიათს ატარებს და მათი დაპირისპირება უპირატესი მნიშვნელობის თვალსაზრისით ნაკლებ დამაჯერებელი და უმართებულოა. მათი მტკიცებითი ძალა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დამოკიდებულია მათს საფუძვლიანობაზე და სასამართლოს სრული შესაძლებლობა აქვს არაპირდაპირი მამხილებელი საბუთებით უტყუარად დაადგინოს სამართალში მიცემულის ბრალეულობის საკითხი.

მაგრამ სამართალში მიცემულის მტკიცება, თითქოს მის მიმართ არ არსებობს პირდაპირი მამხილებელი საბუთი — სწორი არ არის. ასეთი პირდაპირი მამხილებელი საბუთია სულიყო მოღებამის აღიარება; ხანგრძლივი უარყოფის შემდეგ სულიყო მოღებამემ 1959 წლის 26 ოქტომბერს საკუთარი ხელით დაწერილ ახსნა-განმარტებაში აღიარა, რომ ოთარ მასხარაშვილი მის მიერ არის მოკლული და ამ დროიდან მოყოლებით, ვიდრე სასამართლოს სხდომამდე, იგი განუწყვეტლივ ადასტურებდა ამ ფაქტს წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ყველა თავის ჩვენებაში.

ახლა ჩვენ გვეუბნებიან — რასაც თქვენ ამბობთ სწორია, მაგრამ, როდესაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს ყოველგვარი ზეგავლენისა თუ ზემოქმედების გარეშე, თავისი ნებასურვილით და ბოლომდე თავს დამნაშავედ ცნობს — ასეთ პირობებშიც კი აღიარება არ შეიძლება ჩაითვალოს ამომწურავ მამხილებელ საბუთად, ასეთ ვითარებაშიც ეს აღიარება შეიძლება წარმოადგენდეს არსებითად თვითგანთქმას, ცილისწამებას საკუთარი თავისადმი, ნაკარანხევს სხვადასხვა მიზეზებითა და მოსაზრებებით. სწორედ ამიტომ მოითხოვს კანონი, რომ აღიარება ისევე როგორც სხვა სახის დამამტკიცებელი საბუთი, ყოველმხრივ შემოწმდეს სხვა გარემოებებთან დაკავშირებით, კრიტიკულად იქნეს განხილული და შეფასებული.

მიუთითებს რა ამ გარემოებაზე, სამართალში მიცემული შორდებადის დამცველი გვიყენებს კითხვას: თუ ასე ღვას საკითხი ნებაყოფლობითი აღიარების შესახებ, რაღა უნდა ითქვას ისეთ აღიარებაზე, რომელიც მიღებულია ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების, ძალდატანების შედეგად.

სულიყო მოღებამე ხომ თავგამოდებით ამტკიცებს დღეს: მართალია, მე ვაღიარე დანაშაული, მაგრამ ვაღიარე ჩემი ნებასურვილის წინააღმდეგ; მართალია ახსნა-ჯანმარტებანი, სადაც მე ვაღიარებ დანაშაულს, დაწერილია ჩემი ხელით, მაგრამ ჩემი ხელი იმას წერდა, რასაც გამომძიებელი მიკარნახებდაო. და რომ ეს ასეა, — ირწმუნება დღეს სულიყო მოღებამე, — ამას ამტკიცებს შემდეგი ფაქტი: მე კატეგორიულად უარვყოფდი ჩემდამი წამოყენებულ ბრალდებას, როდესაც გამომძიებას ამ საქმეზე აწარმოებდა ქიათურის მილიცია, უარვყოფდი ქიათურის რაიონის პროკურატურაში, უარვყოფდი, როდესაც ამ საქმის გამომძიება დაევალა ქუთაისის პროკურატურას, უარვყოფდი პირველხანებში, მაშინაც კი, როდესაც გამომძიებას ხელი მოკიდა საქართველოს სსრ პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა. და თუ ამის შემდეგ ჩემს მიმართ არ იქნა გამოყენებული გამოძიების დაუშვებელი, კანონით აკრძალული მეთოდები, იძულება, ძალდატანება, თუ გამსჭვალული ვიყავი გულწრფელი მონანიებისა და აღიარების სურვილით, რატომ ველუმდი მანამდე და უეცრად აზვირთდა ჩემში ამ მონანიებისა და გულწრფელობის გრძობათა ტალღაო.

ასე აყენებს დღეს საკითხს სულიყო მოღებამე. მაგრამ, ასეთი ზოგადი მსჯელობა როდია საკმარისი მოღებამის აღიარებათა გასაბათილებლად. სამართალში მიცემულის აღიარება, რარიგ საექვოც უნდა იყოს იგი, მაინც მოითხოვს სერიოზულ ანალიზს და მისი გაბათილება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქმით, მასალებით, ფაქტიური მონაცემებით დადასტურდება, რომ უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა მართლაც მოისურვა უდანაშაულო ადამიანის დასახვრეტად განწირვა თავისი სახელის დასამკვიდრებლად, თუ იგი წაეიდა ასეთი დიდი, შემზარავი დანაშაულის ჩადენაზე, თუ მან მართლაც გამოიყენა ზემოქმედების, ძალდატანების მეთოდები და ამის

შედგად მიიღო მისი აღიარება, თუ ამავე დროს დამტკიცდება სხვა ფაქტებიც, სხვა გარემოებათა მიხედვითაც, რომ ეს აღიარება ყალბია. ვინაიდან ამ შემთხვევაში საკითხს არ წყვეტს მართო ძალდატანების გამოყენება. კანონით აკრძალული ხერხებისა და მეთოდების გამოყენება გამოძიებისას, რა თქმა უნდა, დაუშვებელი და ყოველად შეუწყნარებელია და ამის ჩამდენი გამომძიებელი სასტიკად უნდა დაისაჯოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა აღიარა დანაშაული, საქმის არსება აქ უკვე ის კი არ არის, თუ რა გზით იქნა მიღებული ეს აღიარება, არამედ ძირითადი და მთავარი ისაა, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ნებით თუ უნებლიეთ, ნებაყოფლობით თუ იძულებით მიღებული აღიარება.

სულიკო მოდებაძის აღიარების გასაბათილებლად არ გამოდგება იმაზე მითითება, რომ იგი თავდაპირველად გადაჭრით უარყოფდა წაყენებულ ბრალდებას მილიციაში, ჰიათურის რაიონის პროკურატურაში, ქ. ქუთაისის პროკურატურაში და ა. შ.

იშვიათია ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე თავიდანვე გულწრფელად აღიარებს თავის დანაშაულს. ჩვეულებრივად იგი ყოველნაირად ცდილობს დაფაროს თავისი დანაშაული, დიდხანს ჭიუტობს და არ ტყდება მანამ, სანამ საქმის ყველა გარემოებათა ხანგრძლივი, დაძაბული, ყოველმხრივი გამოძიების შედეგად ნათელი არ ხდება, რომ ის ნამდვილად დამნაშავეა. ამიტომ დამნაშავის მიერ თავისი ბრალის მოგვიანებით აღიარება სრულიადაც არ ნიშნავს თავისთავად იმას, რომ ეს აღიარება მიღებულია ძალდატანებით.

პირველად სულიკო მოდებაძე უდიდეს საქმეთა გამომძიებელთანაც უარყოფდა ბრალდებას, იშველიებდა ალიბის, მიუთითებდა ალიბის დასამტკიცებლად მთელ რიგ მოწმეებზე, ამტკიცებდა, რომ იგი სოფელ კაცხის ცენტრში არ ყოფილა, არ გაუვლია ოთარ მასხარაშვილის სახლთან, რომ სამხედრო სამსახურში უნდა წასულიყო 17 ნოემბერს და არა 31 ოქტომბერს და სხვა და სხვა. მაგრამ, როდესაც უდიდეს საქმეთა გამომძიებელი კვალდაკვალ მიჰყვა მის ჩვენებებს და ნათელი ყველა მისი ჩვენების სიყალბე, როდესაც ალიბი გაქარწყლდა, მოწმეები დაუპირისპირდნენ მოდებაძეს და ამხილეს იგი სიცი-

რუეში, როდესაც გამოიჩინა, რომ იგი ნამდვილად იყო სოფელ კაცხის ცენტრში და იყო არა მარტო, არამედ ორი ამხანაგის თანხლებით, როდესაც დამტკიცდა, რომ სწორედ ის იდგა ოთარ მასხარაშვილის სახლის წინ 1957 წლის 8 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, როდესაც განიავდა მოდებამის მტკიცება, თითქოს იგი სოფელ კაცხის ცენტრში მოხვდა. უცნობ პირებთან ერთად კინოსურათის საყურებლად, როდესაც დადგინდა, რომ მოდებამე ჯარში უნდა წასულიყო 31 ოქტომბერს, წავიდა 17 ნოემბერს განზრახული დანაშაულის განხორციელების შემდეგ, როდესაც მთელი მისი ნამოქმედარი შუის სინათლეზე გამოვიდა—ყოველივე ამის შემდეგ, ყველაფრითა და ყველას მიერ მხილებულმა, სულიერად გატეხილმა და განიარაღებულმა მოდებამე გადაწყვიტა ელიარებინა თავისი დანაშაული და აღიარა კიდევ.

პატივცემულო მოსამართლენო, მე გთხოვთ გაითვალისწინოთ ბრალდებულის განსაკუთრებული მდგომარეობა გამოძიების პროცესში, მისი ფსიქოლოგიური განწყობა, მთელი ის ვითარება, რომელშიაც იგი მოქცეულია. ბრალდებულს ნამდვილად აქვს ჩადენილი დანაშაული, მაგრამ იგი თავს იცავს, მთელი ძალ-ღონით ცდილობს თავი დაიძვრიოს განსაცდელი-საგან და ამ მიზნით თხზავს სხვადასხვა ვერსიას, იწყებს თავდაცვის ზღუდეების, თავდაცვის შენობის აგებას. აი მან უკვე ჩაუყარა საძირკველი ამ შენობას, ააგო კედლები, გადახურა იგი, გაჩარხა და მოაპირკეთა დეტალები და, რაც დამახასიათებელია, იგი განსაკუთრებით ცდილობს ნატიფად გამოკვეთოს სწორედ ეს დეტალები. მაგრამ, როდესაც ის ხედავს, რომ მის მიერ ასეთი ვაი-ვაგლახით ნაგები შენობა მის თვალწინ იწყებს რღვევას, სახურავიდან უკვე ეონავს წვიმის წვეთები, შენობას სცვივა აგურები, ირღვევა კედლები, ერთი სიტყვით, როდესაც მის მიერ შეთხზული თავდაცვის ვერსია გამოძიების მიერ დაგროვილი მასალებით, მამხილებელი საბუთებით სულ ერთიანად ნივდება და ქარწყლდება — ბრალდებულში ხდება უეცარი ფსიქოლოგიური გარდატეხა და ამას მოსდევს აღიარება.

ამდენად, სულიკო მოდებამის აღიარება გულდასმით, სათუთად, დიდი ცოდნითა და დაკვირვებით ჩატარებული გამოძიების ნაყოფია.

მიუხედავად ამისა ს. მოდებაძე მაინც ჯიუტად გაიძახის — იძულებული გამხადეს და მათქმევეინეს ის, რაც არ ჩამიდენიაო. საქმეში წარმოდგენილია მასალები, რითაც დასტურდება, რომ გამოძიებას ამ საქმეზე უწევდნენ ქმედით კონტროლს; სული-
ყო მოდებაძემ პირველად ჩადენილი დანაშაული აღიარა 1959 წლის 26 ოქტომბერს და ამ დაკითხვას ესწრებოდა საქართვე-
ლოს სს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე და რესპუბ-
ლიკის პროკურორის თანაშემწე. მე არ ვფიქრობ ვისმეს შეეძ-
ლოს იმის დაჭერება, რომ უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა
რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის თვალწინ დაუშინა
მუშტები ბრალდებულს. ამას არც სულიყო მოდებაძე ამბობს.
მოდებაძე მანამდე უარყოფდა ბრალდებას, მიუხედავად იმისა,
რომ უდიდეს საქმეთა გამომძიებელი, მოდებაძის დღევანდელ
ჩვენებას თუ დავუჯერებთ, თითქოს მის მიმართ იყენებდა ძა-
ლას, გამოძიების დაუშვებელ ხეჩხებს. და აი, ამის შემდეგ
მასთან მიდიან რესპუბლიკის პროკურატურის მეთაური, რეს-
პუბლიკის პროკურორის თანაშემწე. დადგა ყველაზე ხელსაყ-
რელი მომენტი, როდესაც ბრალდებულს შეუძლია ამხილოს
უდიდეს საქმეთა გამომძიებლის შეუწყნარებელი საქციელი,
შესჩივლოს პროკურატურის ხელმძღვანელ მუშაკებს, რომ მას
სცემენ, აწამებენ, რომ იგი მართალია და უდანაშაულოდ იტან-
ჯება. მაგრამ ბრალდებული ს. მოდებაძე ასე როდი იქცევა. პი-
რიქით, სწორედ რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელ-
თა თანდასწრებით აღიარებს თავის დანაშაულს და დაწვრილე-
ბით ასურათხატებს ამ დანაშაულის ვითარებას.

რით აიხსნება მოდებაძის მიერ თავისი პოზიციის ასე მძაფ-
რად შეცვლა? იმითო, გვეუბნებიან, რომ გამომძიებელმა წი-
ნასწარ შეამზადა სულიყო მოდებაძე ცოდვათა ასეთი მონანი-
ებისათვის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ზეგავლენის
გზით და, განაწყო რა იგი ამდაგვარად, მოაწყო საზეიმო ვითა-
რება ამ აღიარების დემონსტრირებისათვის — მოიწვია რეს-
პუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელი მუშაკები და მათი
თანდასწრებით აღიარებინა მოდებაძეს თავისი დანაშაული.
თუ ეს მართალი და სწორია, როგორ მოხდა, რომ ბრალდებუ-
ლი მოდებაძე მანამდე ერთხელ მაინც არ გატყდა, როგორ მოხ-
და, რომ გამომძიებელმა ერთხელ მაინც არ მოახდინა ამ აღი-

არების წერილობითი ფიქსაცია. რა გარანტია ჰქონდა გამომძიებელს, რომ დანაშაულის ჭიუტად და გადაჭრით უარყოფელი ბრალდებული თავს ცნობდა დამნაშავედ რესპუბლიკის პროკურორის წინაშე და ამრიგად მთელი მისი საზეიმო ინსცენირება არ ჩაიშლებოდა და გამომძიებლის მთელი ცდა მარცხით არ დამთავრდებოდა?

კიდევ მეტი. 1959 წ. 21 დეკემბერს მოდებამეს წაუყენეს ბრალდება და უკანასკნელად დაკითხეს. მოდებამემ კვლავ ცნო თავი დამნაშავედ ოთარ მასხარაშვილის მკვლელობაში: „ბრალდება გამომეცხადა, — უპასუხებს მოდებამე დასმულ კითხვაზე, — მაგრამ მე განზრახ მკვლელობა არ ჩამიდენია და მკვლელობის დროს არავინ მომხმარებია. ვიყავი მარტო“ ამით დამთავრდა საერთოდ გამოძიება ამ საქმეზე. ამის შემდეგ აღარავინ აღარ დაკითხულა. და აი 22 დეკემბერს მოდებამე ციხიდან წერს განცხადებას რესპუბლიკის პროკურორის მოადგილეს. რას წერს იგი ამ განცხადებაში? იქნება უარყოფს ბრალდებას, თავის მონაწილეობას ოთარ მასხარაშვილის მკვლელობაში, იქნება უამბობს პროკურორს, რომ მისი აღიარება ხანგრძლივი წამების ნაყოფია? სრულიადაც არა. ის ამ განცხადებაში ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის დანაშაულს, ოთარ მასხარაშვილის მოკვლის ფაქტს!

შეიძლება დაისვას კითხვა, მაშ რა აზრი ჰქონდა საერთოდ ასეთი განცხადების გაგზავნას რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის სახელზე, რად დასჭირდა მოდებამეს ერთხელ კიდევ მოეხსენებია მისთვის თავისი დანაშაული? დასჭირდა იმიტომ, რომ შეეტანა გარკვეული ცვლილება თავის აღიარებაში. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს, რომ ამ განცხადებაში ბრალდებული მიუთითებს — გამომძიებელმა მე ძალა დამატანაო, მაგრამ არა იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ოთარ მასხარაშვილის მოკვლაზე, ის ამ მკვლელობას ამჯერადაც აღიარებს, არამედ ამ მკვლელობის დეტალების გადმოცემის ნაწილშიო. მართალია, ოთარ მასხარაშვილი მე მოვკალი, — წერს მოდებამე, — მაგრამ არ არის სწორი ჩემი ჩვენების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია იმაზე, თითქოს მე მოკვლის გეგმაში სახედრით გადამქონდა და ეს დაინახა გზად მიმავალმა მოჭერიგოლ კაპანაძემ. ეს სინამდვილეს არ შეეფერება, ეს მე ძა

ლით მათქმევინა გამომძიებელმაო, — აღნიშნავს მოღებაძე. მაშასადამე, მოღებაძე დავობს არა ძირითადი, მთავარი ფაქტის, არამედ დეტალების გამო.

ამბობენ, რომ მოღებაძეს ეშინოდა და იმიტომ ვერ უჩიოდა გამომძიებელს. მაგრამ ამ განცხადებებიდან ჩანს, რომ მას გამომძიებლის არავითარი შიში და რიდი არ ჰქონია. იგი სწორედ რომ უჩივის გამომძიებელს სრულიად მოურიდებლად: მან მაიძულა და ისეთი რამ ჩამაწერინა ჩვენებებში, რაც არ ყოფილაო, — ესე იგი ჩამაწერინა, რომ მკვდარი სახედრით გადაქმონდა და ეს გამვლელმა ხალხმა დაინახაო. და თუ მან გაბედა გამომძიებლის მხილება ამ ნაწილში, რატომ არ წავიდა უფრო შორს, რატომ არ უარყო თვით მკვლელობის ფაქტი, ის, რაც უქადდა მას საშინელ საფრთხეს, რაზედაც დამოკიდებული იყო მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი?

რად დასჭირდა მოღებაძეს ასეთი განცხადების გაგზავნა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილისათვის — გვეკითხებიან ჩვენ. რად დასჭირდა და იმიტომ, რომ შეეცვალა მკვლელობის სურათი. ამ განცხადებაში მოღებაძე აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონია განზრახვა მოეკლა ოთარ მასხარაშვილი, მაგრამ იძულებული გახდა ასე მოქცეულიყო, რადგან თვით ოთარ მასხარაშვილმა შემომძიებია დანით და რომ არ მოვეკალი, ხელიდან გამოვტაცე მას მისივე დანა და მივაყენე კრილობაო. აი რატომ დასჭირდა ბრალდებულ მოღებაძეს ამ განცხადების დაწერა: დასჭირდა იმიტომ, რომ თავი გამოეყვანა თავდასხმის მსხვერპლად, დაემტკიცებინა, რომ მისი მოქმედება — ეს იყო აუცილებელი მოგერიება, ანდა აუცილებელი მოგერიების საზღვრის გადაცილება. ბოლოს, ბრალდებული გამოძიებაშივე შეახვედრეს თავის ადვოკატს. თითქოსდა ახლა მაინც მიეცა მოღებაძეს საშუალება უარეყო ბრალდება, ემართლებინა თავი, ემხილებინა გამომძიებელი, გამოეთქვა თავისი აღშფოთება გამომძიებლის უხეში, უკანონო მოქმედების გამო. მაგრამ არა, მოღებაძემ აქაც დაადასტურა თავისი დანაშაული — ოთარ მასხარაშვილის მკვლელობა.

რა იყო ამ მკვლელობის მოტივი, მამოძრავებელი სტიმული, რამ ჩაადენინა მოღებაძეს ასეთი საშინელი დანაშაული? უმოტივო მკვლელობა არ არსებობს. მოტივი შეადგენს ამ სახის და-

ნაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. მაშასადამე, მკვლევლობის ფაქტის ნათელსაყოფად აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, მოტივის ზუსტად დადგენა. დადგენილია კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მკვლევლობის მოტივი? დიხს, ეს მოტივი მტკიცედაა დადგენილი.

მოდებაძეს ამ შემთხვევაში ამოქმედებდა შურისძიების გრძნობა. სულიკო მოდებაძეს 1954 წლის 23 მარტს მსჯავრი დაედო მოქალაქეთა ძარცვისათვის და მიესაჯა 10 წლის თავისუფლების აღკვეთა. სწორედ განსვენებული ოთარ მასხარაშვილი იყო ერთ-ერთი ძირითადი მოწმეთაგანი, რომელმაც წინასწარი გამოძიებისას და სასამართლოს სხდომაზე ამხილა სულიკო მოდებაძე ამ მეტად მძიმე დანაშაულის ჩადენაში. ოთარ მასხარაშვილის ჩვენებამ გადაწყვიტა სულიკო მოდებაძის ბედი და მისი ჩვენება დაედო საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს მოდებაძის მიმართ. სწორედ ამის გამო დაისადგურა სულიკო მოდებაძის გულში შეურიგებელი მტრობისა და შურისძიების გრძნობამ ოთარ მასხარაშვილის მიმართ. მართალია, ის დიდხანს მალავდა ამ ამბავს, არ გაუმხელია იგი გამომძიებლისას მომკვლევ ორგანოში, ჭიათურის რაიონის პროკურატურაში, ქუთაისის პროკურატურაში, მაგრამ გამოძიებამ შეძლო გამოერკვია ოთარ მასხარაშვილის მკვლევლობის ნამდვილი მიზეზი.

ამ საიდუმლოებას ფარდა ახადა უწინარეს ყოვლისა თვით სულიკო მოდებაძის დამ ნათელა მოდებაძემ. მან აღიარა, რომ მისი ძმა დალუპა ოთარ მასხარაშვილმა, რომ სულიკო მოდებაძეს სასამართლო პროცესზე დანაშაულს უმტკიცებდა სწორედ ოთარ მასხარაშვილი.

მოწმე ოთარ ჩიხელიძემ, რომელიც ესწრებოდა სულიკო მოდებაძის გასამართლებას 1954 წ. 23 მარტს, უჩვენა, რომ სასამართლოს სხდომაზე მოდებაძემ მუქარით მიმართა მასხარაშვილს და უთხრა: „შენ ჩამაგდე, მაგრამ მე არასოდეს არ დავფიქვებ ამას და, როცა პატიმრობიდან გავთავისუფლდები, ანგარიშს გაგისწორებო“.

1954 წელს პატიმრობაში მყოფ მოდებაძესთან ერთ კამერაში იმყოფებოდა მოქალაქე ლევან კეკელიშვილი. 1957 წელს, პატიმრობიდან უკვე დიდი ხნით აღრე განთავისუფლებულმა

კველიშვილმა, როდესაც გაიგო ოთარ მასხარაშვილის მოკვლის ამბავი, მაშინვე მიუთითა სულიკო მოდებაძეზე, როგორც მკვლელზე, ხოლო სულიკო მოდებაძის საქმის ძიებისა და მისი გასამართლების დროს უჩვენა, რომ სულიკო მოდებაძე გელსა და შხამს ანთხევდა ოთარ მასხარაშვილის გახსენებაზე და გაიძახოდა: „ოთარმა დამლუპა, მაგრამ პატიმრობიდან გამოვალ და მის სისხლს დავლევო“.

დადასტურდა ისიც, რომ სულიკო მოდებაძის შთაგონებათა და მისდამი სოლიდარობის გრძნობის გამო, მოდებაძის გულშემატყვიარმა ამხანაგებმა ერთხელ სცემეს კიდეც ოთარ მასხარაშვილს „ჯაშუშობისათვის“. ასე მონათლეს მათ ოთარ მასხარაშვილის მიერ კეთილშობილური მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულება — მძარცველისა და ყაჩაღის მხილება.

სულიკო მოდებაძემ ველარ შეძლო ამ მხილებათა უარყოფა და იძულებული შეიქმნა ელიარებინა, რომ მძარცველობისათვის მისი გასამართლების დროს „მთავარი მოწმე, ე. ი. ჩვენი მამხილებელი იყო მასხარაშვილი“, რომ სასამართლოს სხდომაზე იგი მართლაც დაემუქრა მამხილებელ პირებს. ყოველივე ეს დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი მოდებაძის მიმართ მძარცველობისათვის გამოტანილი განაჩენითა და სამსჯავრო გამოძიების ოქმით.

ამ ფაქტს უდაოდ ადასტურებს აგრეთვე მოდებაძის მიერ გადასახლების ადგილიდან და საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნის დროს სახლში გამოგზავნილი წერილები. ყველა თავის წერილში, რომელიც კი მოდებაძემ გამოუგზავნა თავისიანებს გადასახლებიდან, იგი განუწყვეტლივ იხსენიებს იმათ, ვისი მამხილებელი ჩვენებითაც დაისაჯა, ემუქრება მათ სამაგიეროს მიზღვით. სულიკო მოდებაძის ახლობელი პაშა მოდებაძე აღნიშნავს: „სულიკო მოდებაძე მე მწერდა წერილს რომ ჩამოვალ, ჩემს მტრებს გავუსწორდებო“.

ასე მოეფინა ნათელი შუქი ოთარ მასხარაშვილის მკვლელობის მოტივს.

როდესაც მთელი სოფელი — ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, თავზარდაცემული ამ საშინელი მკვლელობით, დღე და ღამე გაფაციცებით ეძებდა მოკლულის გვამს, სოფელ კაცხის მცხოვრებთაგან მხოლოდ სულიკო მოდებაძე იყო

გვერდზე გამდგარი. მას არათუ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ძებნაში, არ მიუქითხავს ოთარ მასხარაშვილის ნათესავებისათვის, არამედ სრულიად გაეცალა სოფელს. ამის შემდეგ საბჭოთა არმიის რიგებში სამხედრო სამსახურის მოსახდელად წასული მოდებამ, წამდაუწუმ წერს წერილებს თავისიანებს — მაცნობეთ, როგორ მიდის ოთარ მასხარაშვილის მკვლევლობის საქმის ძიება, ვისზეა მიტანილი ექვი, რას ამბობენ სოფელში. ამ წერილებიდან ჩანს, რომ სულიყო მოდებამ, შორს წასული, მაინც ვერ ისვენებს, შფოთავს, შიშობს, ბორგავს, თავისიანებს აფრთხილებს, საშინელი განსაცდელის მოლოდინშია. სწორედ გამოძიების მიერ საქმეზე დართულმა ამ წერილებმა აიძულა მოდებამ ელიარებინა, რომ იგი ოთარ მასხარაშვილმა დალუპა და რომ ამის გამო მისდამი მტრულად განწყობილი — ემუქრებოდა მას სამაგიეროს გადახდით, ანგარიშის გასწორებით.

მოდებამის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და ნათელი მამხილებელი საბუთია მოწმე გრიგოლ კაპანაძის ჩვენებები. გრიგოლ კაპანაძე ეს ის კაცია, ვინც ქიათურიდან სოფლად მიმავალმა ოთარ მასხარაშვილის სახლთან გავლისას 1957 წ. 8 ნოემბერს ღამის 11 საათზე დაინახა ამ სახლის მახლობლად მღვთო-მი სულიყო მოდებამ, დაინახა სულ რამდენიმე მეტრის მანძილზე შარავზიდან, რომლითაც გრ. კაპანაძე სახლში მიემართებოდა. გრ. კაპანაძემ ასეთი ჩვენება მისცა გამოძიებას, იგივე გაიმეორა მოდებამესთან დაპირისპირებისას და იგივე უჩვენა ადგილობრივი დათვალიერებისათვის სოფელ კაცხში ჩასულ სასამართლოს შემადგენლობას, თვალნათლივ მოხაზა რა ის ადგილი, სადაც იდგა 8 ნოემბერს ღამის 11 საათზე სულიყო მოდებამ.

სამართალში მიცემულმა მოდებამ წინასწარი გამოძიებისას დაადასტურა ეს ფაქტი, მაგრამ დღეს უარყოფს მას და მიუთითებს, რომ გრ. კაპანაძემ ასეთი ჩვენება მისცა იმის შემდეგ, რაც იგი დააპატიმრესო. ეს ლიტონი განცხადებაა. რა საფუძველი ჰქონდა გამომძიებელს წინასწარ დაეპატიმრებინა გრ. კაპანაძე, საიდან უნდა სცოდნოდა გამომძიებელს, თუ ვინ იყო გრ. კაპანაძე, ან რისი მოწმე იყო იგი, თუ ასეთი რამ მართლაც არ ჰქონდა გაცხადებული გრ. კაპანაძეს. კაპანაძემ ეს

იმთავითვე უამბო თავის მეზობლებს. ეს კარგად იცოდა სულიკო მოდებამდე და, როდესაც ის დააპატიმრეს იმ მიზნით, რომ უვნებელყო კაპანაძის მხილება, მან თავისებურ ხერხს მიმართა, გამომძიებელს მოახსენა, რომ გრ. კაპანაძემ დაინახა — როგორ გადაჰქონდა მას მოკლული ოთარ მასხარაშვილის გვამი, ესაუბრა ამის თაობაზე სულიკო მოდებამდე, მაგრამ ახლა ყოველივე ამას მალავს, ფარავს ჩემს დანაშაულსო.

რა არის ამის შემდეგ გასაკვირი, თუ გამომძიებელმა პროკურორის ნებართვით დააკავა გრ. კაპანაძე, რომელიც უარყოფდა იმას, რაშიც იგი მკვლელმა ამხილა დაპირისპირების დროს? მაგრამ რა წუთსაც გამოირკვა, რომ სულიკო მოდებამდე მიმართავდა ხერხს კაპანაძის ჩვენების გასაბათილებლად და აშკარად სტყუოდა, მას შემდეგ, რაც სულიკო მოდებამდე თვითონვე აღიარა თავისი ჩვენების სიყალბე ამ ნაწილში, — გრ. კაპანაძე გაანთავისუფლეს.

გრ. კაპანაძე დააკავეს არა იმის გამო, რომ იგი არ ამბობდა, როგორ და რა პირობებში დაინახა სულიკო მოდებამდე 8 ნოემბერს ოთარ მასხარაშვილის სახლის წინ. ეს კაპანაძეს, ვიმეორებთ, იმთავითვე ნათქვამი ჰქონდა, არამედ სულიკო მოდებამის ჩვენების გამო: გრ. კაპანაძე ერთგვარად ჩემი თანამონაწილეა ოთარ მასხარაშვილის მკვლელობაში, ყოველ შემთხვევაში ამ მკვლელობისა და მკვლელის აშკარა დამფარველიო.

თქვენს განკარგულებაშია, პატივცემულო მოსამართლენო, სულიკო მოდებამის ხელით დაწერილი ჩვენებები, სადაც ის აღიარებს თავის დანაშაულს. ამას ერთვის მოწმე გრ. კაპანაძის ჩვენება, რომ შემთხვევის დღეს, 8 ნოემბერს ღამის 11 საათზე სწორედ სულიკო მოდებამდე იღვა ოთარ მასხარაშვილის სახლის წინ. განა ცხადი არ არის, რომ მოწმე კაპანაძის ჩვენება მთლიანად ემთხვევა ამ აღიარებას, განამტკიცებს მას, უღავოდ ხდის სულიკო მოდებამის დანაშაულს?

მაგრამ ბოროტმოქმედების მანხილებელია არა მარტო მოწმეთა ჩვენება, ნივთიერი მტკიცება, არამედ თვით ბრალდებულის ქცევაც. მხილებათა სისტემაში ბრალდებულს ქცევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მე მხედველობაში მაქვს არა ის, თუ როგორ უჭირავს ბრალდებულს თავი, თუ რა სა-

ხით მეღვინეობა მისი სულიერი განცდები გარეგნულად დაკითხვის თუ მოწმეთა ჩვენებების მოსმენის დროს, თუმცა ამასაც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა. მე მხედველობაში მაქვს ის ხერხები, რომელსაც მიმართავს იგი თავის დასაცავად: როდესაც ბრალდებული ასახელებს ცრუ მოწმეებს, წინააწარ არიგებს მათ, ადგენს ყალბ საბუთებს, ასწორებს თარიღებს საბუთებზე, გამუდმებით ცვლის ვერსიებს, სტყუის ფეხის ყოველ გადადგმაზე. ბრალდებულის ასეთი ქცევა თავისთავად წარმოადგენს მეტად სერიოზულ ნიშნებს.

როგორ იქცევა ამ მხრივ სულიყო მოღებამე? თავის მართლების მიზნით მან წამოაყენა ალიბი, მიუთითა, თითქოს მ ნოემბერს მთელი დამე ის სახლში იმყოფებოდა, გარეთ ფეხი არ გაუდგამს და ნოწმეთ დასახელა ლუბა ჭანკვეტამე, რომელიც ვითომდა ადრე საღამოდან შუალამემდე იმყოფებოდა მის ოჯახში. ლუბა ჭანკვეტამე პირველად მართლაც განაცხადა, რომ იგი ნამდვილად იმყოფებოდა მ ნოემბერს საღამოს მოღებამეების ოჯახში, სადაც იყო აგრეთვე სულიყო მოღებამეც და ივანშმა მათთან ერთად. მაგრამ როდესაც ნოწმეებმა ვერა ჭანკვეტამემ, მერი თხელიქემ და ოლია კველიშვილია ამხილეს იგი ტყუილში და პირისპირ განუცხადეს, თუ როგორ შესჩივლა მათ ლუბა ჭანკვეტამემ—სულიყო მოღებამის ბებია ძალას მატანს, მაიძულებს ტყუილი ვთქვა, თითქოს მე მათთან ვიყავი მ ნოემბერს დანიო.—ლუბა ჭანკვეტამემ თქვა სინართლე. ყველა შემდეგ ჩვენებაში და ასევე აქაც, თქვენი შეკითხვების პასუხად, ლუბა ჭანკვეტამე აღიარებს, რომ იგი მ ნოემბერს საღამოთი მოღებამეების სახლში არ ყოფილა, რომ პირველი ჩვენება მან მისცა სულიყო მოღებამის ბებიის რჩევითა და ჩაგონებით, რაშიც შეპირდნენ გასამარჯელოს—კაპის ყიდვას.

ასე გამოეცალა ნიადაგი სულიყო მოღებამის მიერ წამოყენებული ალიბის.

პირველი დაკითხვების დროს სულიყო მოღებამე ირწმუნებოდა, რომ მ ნოემბერს საღამოს 6 საათზე იგი ჭიათურიდან წავიდა პირდაპირ სახლში, ისე რომ არსად არ გაუვლია, არსად არ შეჩერებულა; მივიდა თუ არა სახლში, „დაწვა და დაიძინა, და მხოლოდ მეორე დღეს მოგვიანებით გაიგო ოთარ მასხარაშვილის დაკარგვის ამბავი“. მაგრამ მოწმეებმა გოგუცა მოღე-

ბაძემ და საშა კუპატაძემ ამხილეს იგი ტყუილში, დაადასტურეს, რომ 8 ნოემბერს ღამით სულიკო მოღებაძე მათ ნახეს სოფელ კაცხის ცენტრში ორ უცნობ კაცთან ერთად. გაწბილებული სულიკო მოღებაძე იძულებული გახდა შეეცვალა თავისი ჩვენება და ახლა სულ სხვაგვარად იწყობს ლაპარაკს. ჯერ ამტკიცებდა: მართალია, სოფელ კაცხის ცენტრში გავიარე, მაგრამ ჩემთან არავინ სხვა არ ყოფილაო. შემდეგ ესეც შეცვალა და განაცხადა: სოფელ კაცხის ცენტრში გავიარე ჩემს ამხანაგებთან ზაურ კაპანაძესთან და ომარ მოღებაძესთან ერთადო. როგორც ზაურ კაპანაძემ, ისე ომარ მოღებაძემ კატეგორიულად განაცხადეს, რომ სულიკო მოღებაძესთან ერთად ისინი 8 ნოემბერს კაცხში არ ყოფილან.

თითქოსდა თავისთავად საკითხს იმის შესახებ — ნამდვილად იყო თუ არა სულიკო მოღებაძე სოფელ კაცხის ცენტრში 8 ნოემბერს ღამით, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და არავითარ დამოკიდებულებაში არ იმყოფება ძირითად ფაქტთან — ოთარ მასხარაშვილის მკვლელობასთან. ეს მართლაც ასეა, თუ ამ ფაქტს ავიღებთ იზოლირებულად, დამოუკიდებლად. მაგრამ თუ ამ ფაქტს ავიღებთ სხვა მამხილებელ საბუთებთან კავშირში, მაშინ ცხადი გახდება მისი მეტად დიდი მნიშვნელობა სულიკო მოღებაძის დანაშაულის მტკიცებისათვის. სწორედ სულიკო მოღებაძე ამტკიცებდა თავიდან, რომ იგი ჭიათურიდან პირდაპირ სახლში მივიდა, დაწვა და დაიძინა, სწორედ იგი ცდილობდა განემტკიცებინა ეს გარემოება ლუბა ჭანკვეტაძის დახმარებით, გაებათილებინა გრიგოლ კაპანაძის ჩვენება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი სახლში კი არ მისულა და დაუძინია, არამედ სოფელ კაცხში დაძროდა ორი უცნობი კაცის თანხლებით. იგრძნო რა ამ მხილების ძალა და მნიშვნელობა, სულიკო მოღებაძე შეეცადა გაეჩარწყლებინა იგი, მოენახა რაიმე მიზეზი, რომელიც გაამართლებდა მის ყოფნას სოფელ კაცხში 8 ნოემბერს ღამით და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მან წამოაყენა ახალი საბუთი: მე არ ვაპირებდი კაცხში გავლას, მაგრამ გზად მიმავალმა წავიკითხე სოფელ ნავარძეთში აფიშა: მოსახლეობას აუწყებდნენ, რომ 8 ნოემბერს ახალ კინოსურათს უჩვენებენ სოფელ კაცხში, მეც ამიტომ გადავუხვიე გზას და სოფელ კაცხში წავედიო. ჩემთან ერთად იყვნენ რაჩიკ ყიფ-

შიძე, მელანო ყიფშიძე და გურამ თხელიძე, მათ შეუძლიათ დაამოწმონ, რომ ასეთი აფიშები ნამდვილად იყო გაკრული, — აცხადებს სულიკო მოღებაძე. ხსენებულმა მოწმეებმა არ დაადასტურეს სულიკო მოღებაძის ჩვენება და აღნიშნეს, რომ ასეთი აფიშა მათ თვალით არ დაუხანავთ. მაშინ სულიკო მოღებაძემ მოწმედ დაასახელა სოფელ კაცხის კლუბის გამგე ელიკო მოღებაძე.

ელიკო მოღებაძემ მართლაც დაუდასტურა სულიკო მოღებაძეს, რომ 8 ნოემბერს სოფელ კაცხში უნდა ეჩვენებიათ ახალი კინოფილმი, მაგრამ სენსი არ შეუღა, რადგან კინომექანიკოსი ავად გახდაო. ელიკო მოღებაძემ აწასთან წარმოადგინა სოფლად ჩატარებული მასობრივ კულტურულ ღონისძიებათა რეგისტრაციის ქურნალი, სადაც აღნიშნული იყო; რომ სოფელ კაცხში 8 ნოემბრისათვის დანიშნული იყო ახალი კინოსურათის დემონსტრაცია. თითქოს ერთი გარემოება ბრალდებულ სულიკო მოღებაძის ჩვენებიდან ნამდვილად გამართლდა. შეიძლება ვისმეს ეფიქრა კიდევ — სულიკო მოღებაძე არცთუ სავსებით წყალწაღებულა, მისი ჩვენებები სულ ერთიანად სიცრუე და სიყალბე როდია, მათში ერთი სიმართლე მაინც მოიპოვება, მაგრამ ფაქტიურ გარემოებათა შემოწმების შედეგად ეს მოლოდინიც გაცრუვდა. ეს მტკიცებაც ისეთივე სიყალბე აღმოჩნდა, როგორც სულიკო მოღებაძის ყველა დანარჩენი ნაამბობი.

სოფელ კაცხის კლუბის გამგის მიერ წარმოდგენილ მასობრივ კულტურულ ღონისძიებათა ქურნალში, სადაც ლაპარაკია 8 ნოემბერს კინოსურათის დემონსტრაციის შესახებ, თარიღი გადასწორებული აღმოჩნდა: იქ, სადაც წერია „11 ნოემბერი“, რიცხვი „11“ ამოფხეკილია და ჩაწერილია ციფრი „8“. გამოიკვა, რომ ახალი კინოსურათი ნაჩვენები უნდა ყოფილიყო არა 8 ნოემბერს, არამედ 11 ნოემბერს. მოწმე ელიკო მოღებაძეს სამართალში მიცეპული სულიკო მოღებაძის თხოვნით — „11 ნოემბერი“ გადაუსწორებია „8 ნოემბრად“. ეს გარემოება დადასტურეს თვითონ ელიკო მოღებაძემ და კაცხის სოფსაბჭოს მდივანმა ელენე მოღებაძემ.

კინომექანიკოსმა ცერცვაძემ და კინოდანადგარის მზიდავი ავტომანქანის მძღოლმა ი. აბესაძემ უჩვენეს, რომ 8 ნოემბერს

არც ერთი მათგანი ავად არ ყოფილა, მათი მიზეზით კინოსურათის ჩვენება არ ჩაშლილა და არც შეიძლებოდა ჩაშლილიყო, რადგან 8 ნოემბერს არავითარი კინოფილმის ჩვენება სოფელ კაცხში არ ყოფილა დაგეგმილი.

ჭიათურის რაიონის სანხედრო კომისარიატმა 1957 წლის ოქტომბერს განოიძახა სულიკო მოღებაძე, როგორც წვევამდელი, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისათვის მისი ვარგისიანობის შესამოწმებლად. სულიკო მოღებაძე მართლაც შეამოწმეს, იგი ჯარისათვის ვარგისი აღმოჩნდა. ამის საფუძველზე განიწერა უწყება და ჩაბარდა მოღებაძეს. ამ უწყებაში აღნიშნული იყო, რომ ს. მოღებაძე ჯარში განსაწესებლად უნდა განიცხადებულყო 31 ოქტომბერს. მაგრამ სულიკო მოღებაძე სანხედრო კომისარიატში არც 31 ოქტომბერს და არც მომდევნო დღეებში არ გამოცხადდა, რის გამოც საქმე გადაეცა ჭიათურის რაიონის პროკურატურას ს. მოღებაძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

სულიკო მოღებაძე აცხადებს, რომ ყოველივე ეს გაუგებრობის შედეგია. სანხედრო კომისარიატმა შეცდომა დაუშვა, უწყებები ერთმანეთში აურია: მისი უწყება ჩაბარდა სხვა მოქალაქეს, რომლის გვარი და სახელი ემთხვევა სულიკო მოღებაძის სახელსა და გვარს, განსხვავება ნბოლოდ მანის სახელშია. ამასთან დაკავშირებით ღაიკითხა მეორე სულიკო მოღებაძე — სახელდობრ სულიკო ტრიფონის ძე მოღებაძე და გამოიჩქვა, რომ არავითარი აღრევა უწყებებისა არ მომხდარა, რომ ისინი სულ სხვადასხვა რაზმში იყვნენ ჩარიცხული და მათი ჯარში გაწვევის თარიღებიც სულ სხვადასხვა იყო.

სანხედრო კომისარიატში აღმოჩნდა ყალბი საბუთი, ყალბი უწყება, სადაც აღნიშნულია, რომ სულიკო ვლადიმერის ძე მოღებაძე „უნდა გამოცხადდეს“ 1957 წ. 17 ნოემბერს. ნამდვილად, სულიკო ვლადიმერის ძე მოღებაძეს ჩაბარდა უწყება, სადაც აღნიშნული იყო, რომ იგი ჯარში გასაწვევად უნდა გამოცხადებულყო 31 ოქტომბერს. დადასტურდა ჭიათურის რაიონის სანხედრო კომისარიატის ხელმძღვანელ მუშაკების — რამიშვილისა და ივანიშვილის დაკითხვით, რომ არავითარი ახალი ოფიციალური უწყება სულიკო მოღებაძის სახელზე არ გამოწერილა, რომ საქმეში წარღებნილი „უწყება“ არის ყალ-

ბი და შედგენილია სამხედრო კომისარიატის ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ სულიკო მოღებამის ზეგავლენით.

რატომ არ გამოცხადდა სულიკო მოღებამე სამხედრო კომისარიატში დანიშნულ დღეს — 31 ოქტომბერს, რამ შეუშალა ხელი? არ გამოცხადდა იმიტომ, რომ არ უნდა ნოეხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე, არ გამოცხადდა და არც აპირებდა გამოცხადებას. ამას აღასტურებს თვით სულიკო მოღებამე: „ვეცილობდი საბჭოთა არმიის რიგებში არ მოვხვედრილიყავი, — უჩვენებს მოღებამე, — დაედით გივი მოღებამესთან და ვთხოვდი, რომ მას ეთხოვა... არ გავეწვიეთ“. როგორც ჩანს, ვერც მისი ნათესავის — გივი მოღებამის პროტექციამ გაქრა და სულიკო მოღებამის, როგორც დეზერტირის, საქმე გადაეცა პროკურატურას. სულიკო მოღებამე არც პროკურატურაში ცხადდება. მაგრამ გაღის დრო, დაღა ნოეზბრის დღესასწაული და სწორედ 7 ნოეზბერს სულიკო მოღებამემ გაიგო, რომ სოფელ კაცხში ჩამოვიდა მისი დამლუბკელი, ვისი მიზეზითაც მან წარავალი წელი გაატარა საპატიმროში. მას ხომ არაფერი არ დავიწყებია, მისი გული ხომ ისევე აღსავსე იყო ბოლმითა და შურისძიების გრძნობით ოთარ მასხარაშვილისადმი. სწორედ ახლა დაუდგა ხელსაყრელი დრო თავისი განხრახვის განსახორციელებლად და კიდევ მიაღწია საშადელს, ღანით აკუწა თავისი მტერი და როდესაც ყინი მოიკლა, როდესაც სოფელში დაიწყო ვითქმა-მოთქმა, რომ ამ საქმის ჩამდენი იყო სულიკო მოღებამე, მან საჭიროდ ჩათვალა გასცლოდა ხიჯათს, ეპოვა საინფერო თავშესაფარი. გაქცევა, მიმალვა მასზე მიტანილი ეჭვებს განმტკიცებს ნიშნავდა. და აი, მწარე ფიქრებში რომ იყო გართული, გაახსენდა სამხედრო კომისარიატი, ჯარი. ეს ხომ საუკეთესო გამოსავალი იყო შექმნილ სახედისწერო მდგომარეობიდან: ჯარში გაიწვიეს და წავიდა! ეს კი ნიშნავდა ფეხადგმული ჰორებისა და ეჭვების თუ მთლიანად მოსპობას და აღგვას არა, ერთგვარ შენელებას მაინც. გაივლის ხანი, ოთარ მასხარაშვილის მკვლელობით გამოწვეული აღრზაური, მღელვარება და აღშფოთება დაცხრება, დრო და ყამი ყველაფერს განკურნავს, ყველაფერი დავიწყებას მიეცენა და ჯარიდან დაბრუნებულ სულიკო მოღებამე შეძლებს თამამად, ლაღად და გაბედულად შეადოს სოფლის კარი. დიახ, ეს საუ-

კეთესო გამოსავალი იყო და სულიკო მოდებამეც 17 ნოემბერს მივიდა სამხედრო კომისარიატში, გამოაწერინა თანამშრომელს სამხედრო კომისარიატის უფროსთა უცნობებლად ახალი უწყება და იმ დღეებზე გაუდგა გზას დანიშნულ სამხედრო ნაწილში გამოსაცხადებლად. მაგრამ არ გამართლდა სულიკო მოდებამის იმედები. არც ჯარში აღმოჩნდა მისთვის საიმედო თავშესაფარი. გამოძიება გაჰყვა დანაშაულის კვალს და ამ კვალმა იგი სულიკო მოდებამემდე მიიყვანა.

ჩვენ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ერთ გარემოებას. სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ, გააუქმა რაპირველი განაჩენი მოდებამის მიმართ და დაუბრუნა რა იგი პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის, მიუთითა: მოდებამის ჩვენებები იმდენად წინააღმდეგობრივია, რომ საჭიროა კიდევ ერთხელ მათი გულდასმით და კრიტიკულად შემოწმებაო.

რაში გამოიხატება ეს წინააღმდეგობანი?

მოდებამე პირველ ჩვენებაში, არ უარყოფს რა თავის მისვლას 8 ნოემბრის ღამით მასხარაშვილების ოჯახში, აღნიშნავს: დიდი ხანია, რაც ოთარ მასხარაშვილის და ნორა მიყვარდა, ხშირად ვხვდებოდი მას და იმ ღამითაც ნორას სანახავად მივედიო.

მეორე ჩვენებაში მიუთითებს: 8 ნოემბერს ღამით მასხარაშვილების სახლში მივედი იმის გამო, რომ ჩემმა ბებიამ ოთარ მასხარაშვილს ფული გაატანა თბილისში ფირფიტების საყიდლად და მეც ამ ფირფიტების წამოღება მინდოდაო.

ერთ-ერთ თავის ჩვენებაში მასხარაშვილის მოკვლის ვითარების განმარტებისას მოდებამე უჩვენებს, რომ მან სასიკვდილოდ დაჭრილი ოთარ მასხარაშვილი სახედარზე გადაჰკიდა და მიიტანა თავისი ბიძის პლატონ მოდებამის სახლში, სადაც იმ დროს არავინ არ იმყოფებოდაო.

მეორე ადგილას კი ამას უარყოფს და ამბობს: დაჭრილი ოთარ მასხარაშვილი ადგილზე დაეცა, მე მივატოვე იგი, გავიქეცი და ამის შემდეგ რა მოხდა არ ვიციო.

აი ყველა ის წინააღმდეგობა, რაც მოცემულია მოდებამის ჩვენებებში. რისი მაჩვენებელია ეს წინააღმდეგობანი? განა რომელიმე ამ ჩვენებაში მოდებამე უარყოფს ოთარ მასხარაშვილის მოკვლის ფაქტს? პირიქით, იგი ყველა ამ ჩვენებაში

დაბეჯითებით ადასტურებს, რომ მასხარაშვილი მოკლა მან და არა სხვა ვინმემ.

ზოდებაძის ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობანი ოღნავადაც ვერ არყევენ ძირითად ფაქტს — ოთარ მასხარაშვილის მოკვლას მოდებაძის მიერ. ხოლო თუ იგი წინააღმდეგობებში ვარდება ოთარ მასხარაშვილის ოჯახში 8 ნომბერს ღამით მისვლის მიზეზთა განმარტებისას და თხზავს ამის თაობაზე სხვადასხვა ყალბ ვერსიებს, — ამას მხოლოდ იმის გამო აკეთებს, რომ დაფაროს ოთარ მასხარაშვილის მოკვლის ნამდვილი მიზეზი, ნამდვილი მოტივი, დაარწმუნოს გამოძიება, რომ ის მასხარაშვილების ოჯახში ოთარის მოსაკლავად არ მისულა, ასეთი განზრახვა არ ჰქონია, რომ თვითონ ოთარმა გაიწია მასზე ღანით და ისიც იძულებული გახდა თავდაცვის მიზნით ღანითვე დაეჭრა ოთარი.

არავის არ შეუძლია ამ წინააღმდეგობათა მიზეზად დასახოს ძალის გამოყენება მოდებაძის მიპართ, ვინაიდან თუ მოდებაძე თავის ჩვენებებს წერდა სხვისი ზეგავლენით, შიშით, მაშინ ყველა მისი ჩვენება იქნებოდა ერთნაირი, თავისუფალი ყოველგვარი წინააღმდეგობისაგან, სწორედ ისეთი, როგორც აწყობდა ძალით, დაშინებით და მუქარით მოქმედ გამომძიებელს.

ეს წინააღმდეგობანი არამცთუ არ არყევენ მოდებაძისათვის წაყენებულ ბრალდებას, არამედ განამტკიცებენ მას, ყველასათვის ცხადყოფენ, თუ ყოველმხრივად მხილებული მოდებაძე — როგორი თავგამოდებით, გააფთრებით ცდილობდა, ხან ერთი და ხან მეორე ყალბი ვერსიის წამოყენებით გაერღვია მხილებათა ჯაღოსნური რკალი და ერთი მაინც დაემტკიცებინა, რომ ოთარ მასხარაშვილის მკვლელობა ატარებს შემთხვევით ხასიათს, რომ ამ მკვლელობის დროს იგი მოქმედებდა თავდაცვის მიზნით, ძლიერი სულიერი აღელვების ვითარებაში.

სამართალში მიცემული მოდებაძე და მისი დამცველი ამტკიცებენ, თითქოს არსებობს ოთარ მასხარაშვილის მკვლელობის უფრო რეალური ვერსია. როდესაც ოთარ მასხარაშვილის ოჯახის წევრები დაკარგულ ოთარის ამოღ ძებნის შემდეგ უკან დაბრუნდნენ, მათ გამოარკვიეს, რომ გარეთ გაკი-

დებულ კალათაში გასახშობად ჩაწყობილი ყველი ადგილზე აღარ აღმოჩნდა, ყველის ნაცვლად მასში ქვა ნახეს.

ხედავთ, მკვლელი ქურდი ყოფილა, ყველის ქურდიო — გვეუბნებიან ჩვენ. თურმე ყველის ქურდს დადევნებია ოთარ მასხარაშვილი და მასთან დავის დროს დაჭრილა სასიკვდილოდ. ნამდვილად ასეთი ვერაია სრულიად უნიათო და უმწეოა.

ჯერ ერთი, მოღებამე სწორედ ქურდობისა და ძარცვისათვის იყო დასჯილი. ასეთ მოქმედებაში იგი გადასახლებიდან დაბრუნების შენდევაც იყო შემჩნეული. და რაადენადაც მოწმე გრ. კაპანაძის ჩვენებით დადასტურებულა, რომ მ ნოემბერს ღამით მასხარაშვილების სახლთან მღგარა ს. მოღებამე, გამოდის რომ კაცის მკვლელიცა და ქურდიც მოღებამე ყოფილა.

ნეორე, ყველი გასახშობად გაუკიდებიანთ რამდენიმე თვით აღრე, სანამ ოთარ მასხარაშვილის მკვლელობა მოხდებოდა და არავინ არ იცის როდის მოიპარეს ეს ყველა: მ ნოემბერს ღამით თუ დიდი ხნით აღრე მ ნოემბრამდე.

სპეციალურად და საგულდაგულოდ ამ ყველის მოსაპარად გადამთიელი კაცი სოფელ კაცხში არ გამოცხადდებოდა, მაგრამ ვთქვათ, რომ ეს ჩაიდინა ვიღაც მოხეტიალე გარეწარმა. გადავიდა ეზოში, მიათვალ-მოათვალე რა კარ-მიღამო, შემოუარა სახლს და წააწყდა აივანზე გამოკიდებულ კალათს, რონელშიც დაახლოებით 2-3 კილოგრამი ყველი იყო. რად დასჭირდა ამ წვრილფეხა ქურდს მოპარული ყველას ნაცვლად კალათაში ქვების ჩადება? ასე შეიძლება მოიქცეს ნხოლოდ ავზნიანი სტუმარი, რაიმე სანქმეზე მისული, ხელუკლმართი მეზობელი, ნაცნობი, რომელმაც მოპარული ყველის მაგივრად კალათაში ქვა ჩადო იმ ნიზნით, რომ ერთბაშად არ გამოემუდვენებიანთ ყველის ქურდობა და ადგილზევე არ ემჩილებინათ იგი. მაგრამ ასე შეუძლებელია მოქცეულიყო გადამთიელი ქურდი, რომელიც ამ ოჯახს სტუმრად არ სწვევია და არც იქ დარჩენას აპირებდა.

და თუ შინცდამაინც უცხო კაცი ყველისა თუ სხვა სანოვავის მოსაპარად მივიდა მასხარაშვილების ოჯახში ღამის 11 საათზე და კიდევ განახორციელა თავისი განზრახვა, ამოიღო

კალათიდან ყველი და მის მაგივრად ჩადო ქვა, რატომ დაყოვნდა იგი ადგილზე, შემოუარა სახლს და გაჩერდა პირდაპირ ფანჯარასთან, გაქვევდა ერთ ადგილას, ბიჯიც არ გადასდგა? ამოცანა ხომ შესრულებულია, ყველი ქურდს უკვე ზურგზე აქვს მოკიდებული, რატომ ელოდება ოჯახის წევრების გარეთ გამოსვლას? და აი, ბოლოს გაიღო სახლის კარი და 4 ადამიანი ხმაურით გარეთ გამოცვივდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველის ქურდმა მიაგდო ნოპარული ყველი, ანდა ყველით ხელში მოსწყდა ადგილიდან და თავი მისცა ტყე-ველს. ნასხარაშვილებმა შემოირბინეს მანძილი დაახლოებით სამასი მეტრი რადიუსით, მაგრამ ფანჯარასთან მდგომი ვერსად იპოვეს. ამ ღრობის განმავლობაში უცნობი, თუ იგი ყველის ქურდი იყო, ცხრა მთას იქით უნდა ყოფილიყო გადაკარგული.

ან შეიძლება ყველის ქურდი გაგულისდა იმის გამო, რომ გაბედეს და ნას დაედევნენ, ჩაუსაფრდა ოთარ მასხარაშვილს და იხელთა თუ არა დრო — შეებრძოლა მას და მოკლა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შემდეგ მაინც დამშვიდდა იგი, აიღო ძირს დავარდნილი და დაგდებული ყველი, მიატოვა მოკლული და საჩქაროდ გასცილდა სახიფათო ადგილს. ასეთ შემთხვევაში ადგილზე უნდა ყოფილიყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შებმულ ადამიანთა რაიმე კვალი, ნიშანწყალი, სისხლის წვეთები, სისხლის მთელი გუბე, ყველის ნაფჩვენები, ტანსაცმლის ნაფლეთები და, რაც მთავარია, მოკლულის გვანი. მაგრამ თქვენთვის, პატივცემულო მოსამართლენო, ცნობილია, რომ მოკლულის გვამი 25 დღის განმავლობაში ვერ აღმოაჩინეს ვერც სოფელ კაცხში და ვერც ახლომახლო სოფლებში. ვერ აღმოაჩინეს აგრეთვე ბრძოლის რაინე ნაკვალევი. მოკლულის გვამი მასხარაშვილების სახლიდან 300 მეტრის მოშორებით მიიტანეს და ბუჩქებში მიაგდეს დიდი ხნის შემდეგ. ცხადია, ოთარ მასხარაშვილი ადგილზე არ მოუქლავთ, იგი გაიტყუეს, შემდეგ თავს დაესხნენ, გააბრუეს, შეპოქეს და გაიტაცეს. ოთარ მასხარაშვილი მოკლულია სულ სხვა ადგილას და სხვა ვითარებაში. ამრიგად, ვერსია იწინა შესახებ, რომ ოთარ მასხარაშვილი მოკლულია ყველის ქურდის მიერ, აბსოლუტურად გამორიცხულია.

თქვენ ხედავთ, პატივცემულო მოსამართლენო, თუ როგორ

უწყვეტ ჯაჭვად არის აქ გადაბმული მამხილებელი გარემოებანი: მტრობა და შუღლი სულიყო მოღებადის მხრივ ოთარ მასხარაშვილისადმი, აღიარება, ყალბი ვერსიები, საბუთების გაყალბება, ცრუ, წინასწარ დარიგებული მოწმეების დასახელება, ზღაპარი აღიბის შესახებ, მუქარის წერილები. ერთ მძივად ასხმული ეს მხილებები იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ოთარ მასხარაშვილი მოკლა სწორედ სულიყო მოღებადემ.

ყოველივე ეს მე მოგახსენეთ ჩემ მიერ წარმოდგენილი სამოქალაქო სარჩელის საფუძვლიანობის ნათელსაყოფად და გთხოვთ, როცა სათანადო სასჯელს გამოუტანთ ოთარ მასხარაშვილის მკვლელს, მასვე დააკისროთ ჩვენი სარჩელით განსაზღვრული თანხის ანაზღაურება.

ს ი ზ ყ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ჯამბაკურ ბაქრაძისა
ჯ. ა. ტარსაიძის
საქმეზე

საქმის მოკლე ზინაარსი

1958 წლის 3 მაისს, დღის 2 საათზე ქ. მცხეთაში თავის დახრჩობის მიზნით, მტკვარში გადავარდა ახალგაზრდა ქალი ეთერ ჭიოშვილი. ის რამდენიმე ათეულ მეტრზე ატარა წყალში; შემდეგ შემჩნეული იქნა მდინარის ნაპირას მომუშავე კალატოზების მიერ, რომელთაგან ერთ-ერთი გადაეშვა წყალში და გადაარჩინა ქალი.

პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად ეთერ ჭიოშვილის გაუპატიურებისათვის — ჯანსულ ტარსაიძე მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

პროცესზე ჯანსულისა და ეთერის დაპირისპირებით, მოწმეთა ჩვენებით, ექსპერტიზის დასკვნით და დაზარალებულის მშობელთა დაკითხვით გამოიკვეა, რომ ახალგაზრდებს ერთმანეთი ჰყვარებიან და მოკლე დროის მანძილზე რამდენჯერმე უცხოვრიათ ერთმანეთთან ნებაყოფლობით. ეთერის მიერ დახრჩობის განზრახვა გამოუწვევია მამის სიმკაცრეს ქალიშვილის მიმართ. •

ტარსაიძე შექმნილი ვითარების პირობებშიაც თანახმა იყო ცოლად შეერთო ეთერი.

სასამართლომ, რომელიც შედგა ქ. მცხეთაში 1958 წლის 28 მაისს, გაამართლა ჯანსულ ტარსაიძე.

აღვოქაბ ჯამბაქურ ბაქრაძის სიტყვა

აქხანაგო მოსამართლენო!

პატივემულმა პროკურორმა თავისი გამოსვლა შემდეგ სიტყვებით დაამთავრა: „თვალწინ მიდგას ის შემხარავი სურათი, როცა უმწეო ქალი მტკვრის ტალღებში გადაეშვა სიკვდილის შესახვედრად. მე მოვითხოვ: ამ სახარელი აქტის გამოწვევს — ბრალდებულ ჯანსულ ტარსაიძეს აღეკვეთოს თავისუფლება 10 წლით“.

მართლაცდა შეშხარავი სურათია... მაგრამ თქმა იმისა, რომ ამ აქტის გამომწვევე ჯანსულ ტარსაიძეა, არ მიმაჩნია მართებულად. სწორედ ამიტომ შევეცდები ნათელყო და დავასაბუთო ის, რამაც ეთერი მიიყვანა მტკვრის ტალღებამდე, ხოლო ჯანსული — დანაშაუის სკანანდე.

თქვენ წინაშეა ახალგაზრდები — ქალი და ვაჟი. მათ უხდებათ სახალხო. მთელი ქალაქის საზოგადოების წინაშე ილაპარაკონ თავიანთ გრძობებზე. ახლა იხინი იძულებულნი არიან გაანხილონ თავიანთი ინტიმური სულიერი სამყარო.

რა მოხდა? რისთვის გასწირა ეთერიმ აილაძეზე, სიყვარული, ახალგაზრდობა?

რა იყო ყოველივე ამის ნამდვილი მიზეზი? აი, საკითხთა ის კვანძი, რომელიც დიდი გულისყურით უნდა გაიხსნას და არა ასე ზეჩელებ და ფორმალურად: ჯანსულმა ხელყო ეთერის უნანყოება, ხოლო ამ უნანასკნელმა სიცოცხლის ფასად გადაწყვიტა შებლალული სახელისა და პატიოსნების აღდგენა.

ეთერმა აქ დამაჯერებლად გვიამბო ყველაფერი: „მე და ჯანსულს ერთმანეთი გვიყვარდა, ხშირად ვხვდებოდით ერთიმეორეს, კსაუბრობდით, ვოცნებობდით და ალერსით ვტკბებოდით. ერთხელ დღის 4 საათზე ქალაქის ბაღში შევეყევი. მტკვრის პირას, ვერხვების ხეივანში ჩამოვჭექით, ალერსისა და ხვევნის შემდეგ თავი ვერ შევიკავეთ... ჯანსული ცოლად წაყვანას მპირდებოდა, იმედითა და რწმენით ვცოცხლობდი. ჩვე-

ნი სიყვარულის ამბავი ბევრმა გაიგო, მათ შორის მამაჩემმაც. მე კი ღვთის რისხეასავით მეშინოდა მამაჩემისა“.

უადგილო არ იქნება ვიკითხოთ: რისთვის ეშინოდა ეთერს მამისა? ბუნებით მკაცრი მთიელია ვანო ჭიოშვილი, იგი ამაყი, პატივმოყვარე და ზვიადი ადამიანია. მას შეუქმნია მტკიცე ოჯახი, რომლითაც ის სამართლიანად ამაყობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ხედავს, რომ ეს სიმტკიცე უფრო შიშზეა დამყარებული, ვიდრე სიყვარულსა და მორიდებაზე. და აი, ამ ოჯახის ერთმა წევრმა „ნაბოლარა ეთერამ“ გაარღვია ეს რკალი, გაექცა მშობლის მრისხანე თვალს.

იფეთქა ჭიოშვილის მძვინვარებამ. წარმოიდგინეთ მშობელი ალესილი ნაჯახით ხელში, სიკვდილით დამუქრება, ლანძღვა, გინება, გარეთ გაგდება, შიში, შიმშილი, სიცივე, შერცხვენა და შეურაცხყოფა.

ეთერი მძიმედ განიცდიდა, რომ მკაცრი მამა ფეხქვეშ თელავდა ოჯახის სხვა წევრების ადამიანურ ღირსებებს; წამდაუწუმ ლანძღავდა ცოლს, უშვერი სიტყვებით იხსენიებდა მის მშობლებს, იგინებოდა, ყვიროდა და ღრიანცელით იკლებდა მეზობლებსა და მახლობლებს.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ წინასწარი გამოძიების მთელი მასალა, ეთერის ჩვენებათა სახით, გამოვლენაა იმ ავადმყოფური მრისხანებისა, რომლის შიშით ერთხანს სიცრუეს ლაპარაკობდა ეთერი, ხოლო დღეს, როცა იგი წარსდგა სამსჯავროს წინაშე, როდესაც მან რეალურად იგრძნო ჯანსუღის მძიმე ხვედრი, მასთან ათი წლით განშორების საშიშროება — ის მთლიანად შეიცვალა, გამაგრდა, გასალკლდეკდა, თავი დააღწია მამის გავლენას, თვალზე მოარიდა მის მზერასდა... სიმართლე სთქვა.

თუ გნებავთ ნუ დაუჭერებთ მას ისევე, როგორც აქამდე არ უჭერებდით. მივმართოთ საქმის მასალებს, და თუ ფაქტების ანალიზმა იგირე დაგვიდასტურა, რაც აქ ითქვა ბრალდებულისა და დაზარალებულის მიერ, მაშინ დავასკვნათ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირის აღიარება კეშმარტებას შეიცავს.

საქმეში დაცულია სამედიცინო საექსპერტო შემოწმების ოქმი, რომელშიც ნათლად არის გარკვეული შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: საქალწულო აპკის დაზიანება თვითმკვლე-

ლობის მცდელობამდე ორი კვირით ადრე მაინც არის მომხდარი. დაზარალებული შემოწმებულია 3 მაისს. ბრალდებულის ჩვენება, რომ მან 21 აპრილს პირველად, ხოლო 1 მაისს მეორედ იცხოვრა დაზარალებულთან, სავსებით შეეფარდება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას. თუ სასამართლომ ოდესმე უნდა დაუჭეროს საექსპერტო დასკვნას, როგორც ჭეშმარიტების დადგენაში მეცნიერულ დამხმარეს, ყველაზე მეტად ამ შემთხვევაში უნდა დაუჭეროს.

ამრიგად, 21 აპრილის შემდგომ, ორი კვირის განმავლობაში დაზარალებულს არ უცდია თავის დახრჩობა, არც რაიმე მნიშვნელოვანი შემფოთება გამოუმქდავენებია და არც არავისთან არაფერზე უჩივლია. ერთი წუთითაც რომ დაუშვათ, რომ რაიმე სახის ძალადობას ჰქონოდა ადგილი, მაშინ აუხსნელი დარჩება ფაქტების თანმიმდევრული მწკრივი, რომელსაც სრულ ნებაყოფლობით დასაწყისამდე მივყავართ. მართლაცდა თუ 21 აპრილს ძალადობას ჰქონდა ადგილი, რატომ მაშინვე არ მოუვიდა შეურაცხყოფილ დაზარალებულს სურვილი თავის დახრჩობისა? ან რად არ ამხილა მან მოძალადე ორი კვირის განმავლობაში? ანდა რად გაჰყვა ორი კვირის შემდეგ ისევ იმ ბაღში იმავე მოძალადეს და ხელმეორედ იცხოვრა მასთან?

საერთოდ ყოველგვარი სულიერი ტრამვა დასაწყისშია უფრო ძლიერი და დროთა განმავლობაში ის ჩვეულებრივად ფერმკრთალდება. ყველაფერი ამ ქვეყანაზე ხომ საუკუთესო მკურნალს — დროს ემორჩილება! უკეთუ სქესობრივ ძალადობას ვაღიარებთ აქ თვითმკვლელობის გაზრნახვის მოტივად, მაშინ ეს განზრახვა 21 აპრილს უნდა წარმოქმნილიყო. ის კი წარმოიშვა 3 მაისს და შესრულებული იქნა მაშინვე, სულიერი აღელვების შედეგად. ეს შემზარავი აფექტი თავისებური პროტესტი იყო მართლაცდა უსულგულო ფიზიკური მოძალადის მოქმედების მიმართ და, სამწუხაროდ, ასეთ მოძალადედ მოგვევლინა თვით დაზარალებულის მშობელი მამა. სხვა საბუთებთან ერთად, ამას ამტკიცებს თვითმკვლელობის მცდელობის წინ, ოსურ ენაზე დაწერილი წერილი, რომელიც დაცულია საქმეში. ამ წერილში ბევრია გაურკვეველი ადგილი, მაგრამ ერთი რამ მკაფიოდაა ნათქვამი: ჯანსულს არაფერი დაუშავებია. ეს წერილი მეტყველებს იმას, რომ ტარსაიძე უდანაშაუ-

ლოა. ამას ადასტურებს თვითონ დაზარალებული, რომელმაც ბრალდებულის გამამართლებელი წერილობით დოკუმენტი შექმნა თვით სიკვდილის წინ.

სწორედ ჩვენშია შესაძლებელი მართებული მსჯავრის დადება, სადაც შრომისა და დამსახურების, ქცევისა და მოქმედების, სიტყვისა და საქმის მიხედვით ლებულობს ყველა კუთვნილსა და სამაგიეროს.

დაუბრუნეთ ჯანსული ეთერს. ისინი შექმნიან საკუთარ ოჯახს. მაგრამ ეს მოხდება ჯანსულის გამართლების შემთხვევაში. მისი დასჯა კი სამუდამოდ დააშორებს მათ.

დღეს აქ ბრალდებულისა და დაზარალებულის როლში მოვლენილი ახალგაზრდები ბუნებისა და გულის კარნახით დიდი ხანია შეუერთდნენ ერთმანეთს გრძნობით, სურვილითა და საწადელით. ფაქიზი და წმინდა, მაგრამ ხანმოკლე და უღიმღამო აღმოჩნდა ეს შეერთება. ნუ შეუწყობთ ხელს მის დარღვევას! ნუ გააღრმავებთ ნაპრალს! დე ხანდაზმულობისა და გამოცდილების სიბრძნემ აქციოს ეს სიყვარული უხარეზო და უჩრდილო, ურყევ და მტკიცე გრძნობად!

ორი გზა არის თქვენ წინაშე, პატივცემულო მოსამართლენო! — ფართო შარაგზა სწორი განსჯის სინათლით განათებული და ვიწრო ბილიკი უმართებულო განაჩენით დაბნელებული. პირველი — გზაა ბედნიერების, მეორე — უბედურებისა. მე იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენ პირველ გზას დაადგებით.

ს ი ზ უ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ანდრო გელოვანისა
ბ. ი. კილაძის
საქმეზე

საქმის მოკლე ზინაარსი

1954 წლის 26 იანვარს დილით, თბილისში, მარქსის სახელობის მოედნის მახლობლად ბეტონის საკანალიზაციო მილში ნაპოვნი იქნა ახალგაზრდა კაცის გვამი. მასში ამოცნობილ იქნა სერგო არმენაკის-ძე არუთინოვი.

არუთინოვის გვამს აღმოაჩნდა სხეულის მძიმე დაზიანება, მათ შორის ორი ღრმა ჭრილობა კისრის არეში.

ეჭვი მიტანილი იქნა საღამოს საშუალო სკოლის მოსწავლე ბიკენტი იოსების ძე კილაძეზე.

პირვანდელ ჩვენებებში კილაძემ გადაჭრით უარყო არუთინოვის მკვლელობაში რაიმე მონაწილეობა და განაცხადა, რომ არუთინოვი მოკლულია ალბათ მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს დასცილდნენ, ხოლო მკვლელობის შესახებ არაფერი იცის.

1954 წლის 29 იანვარს კილაძემ თავისი ხელით დაწერილ განმარტებაში აღიარა, რომ სერგო არუთინოვი მოკლულია მის მიერ.

მკვლელობის მოტივად კილაძემ დაასახელა ის გარემოება, რომ თითქოს არუთინოვმა დაცინვით ბაღერინა უწოდა და მოინდომა მასთან მამათმავლური სქესობრივი კავშირის დაჭერა.

საქმე განიხილა ქ. თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელმაც კილაძე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 17 წლით.

სამართალში მიცემული კილაძე სამსჯავრო სხდომაზეც არ ცნობდა თავს დამნაშავედ და მის მიერ დაწერილი განმარტების შინაარსს ფსიქიკური დაბნეულობით ხსნიდა.

სამართალში მიცემულ კილაძეს იცავდა ადვოკატი ა. გელოვანი, რომელიც ბრალდებულის სრულ გამართლებას თხოულობდა.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა საკასაციო საჩივარში აღნიშნული მოტივები და ხსენებული განაჩენი უცვლელად ძალაში დატოვა.

განაჩენის ძალაში შესვლიდან 6 თვის შემდეგ, ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, საგამომძიებლო ორგანოების მიერ სრული უეჭველობით იქნენ დადგენილნი არუთინოვის ნამდვილი მკვლელები დ. ბახურაული და გ. ვარამაშვილი.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ გაუქმებული იქნა როგორც სახალხო სასამართლოს განაჩენი, ისე ხსენებული კოლეგიის დადგენილება და საქმე წარმოებით შეწყდა.

ადვოკატ ანდრო ბელოვანის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

მე სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია ის მღელვარება, რომელიც ამჟამად ამ დარბაზში სუფევს, თქვენ მიერ განსახილველი საქმის გამო.

ეს მღელვარება, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ბოროტმოქმედის მტარვალური ხელყოფით. რის შედეგად 1954 წლის 25 იანვარს სიცოცხლეს გამოესალმა ახალგაზრდა კაცი სერგო არმენაყის ძე არუთინოვი.

მართლაცდა, როგორ შეიძლება არ განიცადო ეს აღმაშფოთებელი საქციელი და მთელი გრძნობით არ გაილაშქრო მისი ჩამდენის წინააღმდეგ!

მაგრამ მღელვარებისათვის აქ სხვა საფუძველიც არსებობს.

ეს საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული მკვლელობა ბრალად აქვს წარდგენილი ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მერხზე მჭდომ მოსწავლეს — ბიკენტი სიმონის ძე კილაძეს, რომლის უმწიკვლო ბავშვური ცხოვრება აქამდე უზნეობისა და უსაქციელობის არც ერთი ლაქით არ ყოფილა შებღალული.

როგორ შეიძლება არ განიცადო ამ ბრალდების მომაკვდინებელი სიმძიმე და მთელი გრძნობით არ გაილაშქრო შექმნილი გაუგებრობის წინააღმდეგ. რასაც მოსალოდნელია მოჰყვეს კვლავ აღმაშფოთებელი მსხვერპლი!

ამრიგად, განსახილველი საქმით დაინტერესებული ყოველი პირისათვის სრული საფუძველი არსებობს მღელვარებისათვის, მაგრამ, როგორც ეს თქვენ კარგად მოგეჩსენებათ. მღელვარება არასოდეს არ ყოფილა მიჩნეული ჰუმანიტების დადგენისაკენ მიმავალ საიმედო გზად და ხშირად წარმოადგენდა სამწუხარო და სავალალო სასამართლო შეცდომების წყაროს, რამდენადაც მას წონასწორობიდან გამოჰყავს საქმეზე ჩვენ-

ბისა და დასკვნის მიმცემი პირები, მიუდგომლობის უნარს უკარგავს ბრალმდებლობის გამწევ მხარეს, ხელს უშლის დამცველს სწორად გააზრებული დაცვითი პოზიციის განხორციელებაში. ეს ფაქტორები არც თქვენ მოგცემენ საშუალებას, პატივცემულო მოსამართლენო, გამოითანოთ კეშმარიტებას ამსახველი და სამართლიანობის შემცველი განაჩენი.

ამიტომ ჩვენ, როგორც საბჭოთა მართლმსაჯულების მსახურნი, ვალდებულნი ვართ დაეძლიოთ მოზღვავებული მღელვარება და საკითხის სწორად გადაჭრისათვის მოვიმარჯვოთ მხოლოდ და მხოლოდ საპროცესო წესებით დადგენილ საქმის მასალათა ნათელი იურიდიული ანალიზის მეთოდით.

ამ თვალსაზრისით, მტკიცედ უნდა განვაცხადოთ, რომ განსახილველი საქმის მიმართ ბევრი რამ არის შესასრულებელი.

ჩვენ არაერთი საფუძველი არ გვაქვს, დამაჯერებლად მივიჩნიოთ ბრალდების ვერსია და გადაჭრით ვაცხადებთ, როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო გამოძიების შედეგად დადგენილი გარემოებანი მხოლოდ მათი ზერელე შეფასების გამო შეიძლება მიჩნეული იქნენ სამართალში მიცემული კილაძის ბრალდების დამამტკიცებელ მონაცემებად.

საქმის მასალების ღრმა ანალიზი კი, პირიქით, აშკარად ხდის კილაძის უდანაშაულობას ამ საქმეში და ცხადყოფს რომ მას არაერთი მონაწილეობა არა აქვს მიღებული არუთინოვის სიცოცხლის ჩაქრობაში.

კილაძის მიმართ წარდგენილი ესოდენ მძიმე ბრალდება მთლიანად დამყარებულია მეტისმეტად საექვო, მაგრამ მათი მოჩვენებითი მტკიცებითი ძალის გამო, საბედისწერო ხასიათის მქონე მხილებებზე.

ყოველივე ეს კი, რაღა თქმა უნდა, ართულებს ჩემს როლს ამ პროცესში როგორც სამართალში მიცემული კილაძის დამცველისა, მაგრამ ამავე დროს, მას უფრო საპატიოდაც ხდის.

მე მინდა პირნათლად შევასრულო დამცველის ეს მძიმე, მაგრამ ღირსეული მოვალეობა და ნათელვყო თქვენ წინაშე კილაძის უდანაშაულობა.

პატივცემულო მოსამართლენო განსახილველ საქმეზე

თქვენ უკვე მოისმინეთ ჩემი პროცესუალური მოწინააღმდეგის, სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვა.

თავის სიტყვაში სახელმწიფო ბრალმდებელმა უსაფუძვლოდ აუარა გვერდი სამსჯავრო პროცესის შედეგად წამოჭრილ საკითხებს და მღელვარების ზეგავლენით გაიმეორა საბრალდებო დასკვნის ის ტექსტი, რომელიც აქ გამოქვეყნებულ იყო ჯერ კიდევ სამსჯავრო გამოძიების დაწყების ეამს.

ამის მიხედვით, მის შიერ მთლიანად გაზიარებული იქნა ბრალდების ფორმულა, რომელშიც ნათქვამია, რომ კილაძეს, გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, გაძარცვის მიზნით თითქოს მოეკლას არუთინოვი და გაეტაცებინოს განსვენებულის კუთვნილი ხალათი, შარვალი, ფული, ტრამვაით მგზავრობის უფასო ბილეთი, ფეხსაცმელი და სხვა.

ყოველივე ამის შესაბამისად, პროკურორმა დაბეჯითებით გთხოვათ თქვენ დამნაშავედ ცნოთ კილაძე იმ დანაშაულობათა ჩადენაში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხ. „აბ. და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4/VI ბრძანებულების — „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ — მე-2 მუხ. მე-2 ნაწ. და საჭიროდ მიაჩნია სრული სისასტიკით დასაჯოს ის.

საქმის მასალების მიხედვით კი ასეთი მოთხოვნის საფუძვლები არ არსებობს და სახელმწიფო ბრალმდებლის ეს შუამდგომლობა თქვენ მიერ არავითარ შემთხვევაში არ უნდა აქნეს გაზიარებული.

ამის დასამტკიცებლად დაცვას მრავალი დამაჯერებელი მონაცემი გააჩნია.

ამიტომ მე ჩემს დაცვით სიტყვაში განზრახული მაქვს სასამართლოს ყურადღება გავამახვილო საქმის მასალებიდან გამომდინარე მნიშვნელოვან მონაცემებზე და სავსებით დავასაბუთო კილაძის ბრალდების დასადგენად გამოყენებულ მტკიცებათა უსაფუძვლობა.

ამ თვალსაზრისით, მკვლელობის მოტივის, ბრალდების აღიარებისა და არაპირდაპირ მამხილებელ გარემოებათა გამო, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელ საჭიროებად ვთვლი ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ განსახილველი საქმის ბრალდ-

ბის ვერსიის დამაჯერებლობისათვის არ შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს ისეთი განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტიური დასაყრდენი, როგორცაა: მკვლელობის მოტივი.

დარწმუნებულად ვარ, ეს საკითხი თქვენი ჯეროვანი ყურადღების საგანს წარმოადგენს და მე ვალდებულად მიმაჩნია მოვახდინო მისი კრიტიკული გადაფასება.

საქმე ისაა, რომ კილაძის მიმართ წარდგენილი ბრალდების დასაბუთებისათვის არ არსებობს სხვა რაიმე პირდაპირი ხასიათის მტკიცება, ვარდა 1954 წ. 29 იანვარს ბრალდებულის ხელით დაწერილი ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ არუთინოვი მოკლულია მის მიერ. ამით აიხსნება ის, თუ რატომ აქვს ამ დოკუმენტს მინიჭებული უაღრესად გადამჭრელი მნიშვნელობა ბრალდებისათვის: წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების მთელს მანძილზე.

ამრიგად. სახეზეა ეგრეთწოდებული აღიარება, რომელსაც იმ მტკიცებათა შორის მეტად თავისებური ისტორია და ადგილი გააჩნია.

თუ რა ხარისხობრივი მაჩვენებლებითაა შესრულებული აღიარებად მიჩნეული, ამ ახსნა-განმარტებაზე დაკისრებული, ესოდენ არსებითი მნიშვნელობის მქონე პროცესუალური როლი და რამდენად დამაჯერებელია ის, ამაზე დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

ამეამად გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ის გარემოება, რომ ამ აღიარებაში კილაძის მიერ დასახელებული მკვლელობის მოტივი, მძიმე პირადი შეურაცხყოფის სახით, უსაფუძვლოდაა მიჩნეული თვით საბრალდებო დასკვნით და უკუგდებულია სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარმოთქმული საბრალმდებო სიტყვის მიხედვითაც.

ამ მხრივ სახელმწიფო ბრალმდებლის მოსაზრება სავსებით მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული.

მე ჩემს სიტყვაში, ამ აღიარების მტკიცებითი ძალის ანალიზის დროს, განსაკუთრებით შევჩერდები იმაზე, რომ არუთინოვს მართლა არ მიუყენებია არავითარი შეურაცხყოფა კილაძისათვის. არამცთუ იმ საბედისწერო ღამეს, არც სხვა შემთხვევაში და კილაძის ახსნა-განმარტებაში განგებაა შეთხზუ-

ლი ამბავი იმის შესახებ, რომ არუთინოვს თითქოს მოენდომე-
ბინოს მასთან მამათმავლური სქესობრივი კავშირის დაქვერა.

მაგრამ, აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სახელმწიფო
ბრალმდებელთან ერთადერთი გარკვეული დასკვნა უნდა იქ-
ნეს გამოტანილი.

ეს დასკვნა კი ისაა, რომ ამ ერთადერთი პირდაპირი და
კილაძის ბრალდებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე
მტკიცების საფუძველზე, რომელსაც მისი აღიარება წარმოად-
გენს, არუთინოვის მკვლელობის მოტივის დადგენას გამოც-
ლილი აქვს ყოველგვარი ნიადაგი და ეს იმიტომ, რომ კილაძის
ახსნა-განმარტებაში არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი მკვლე-
ლობის სხვა რაიმე მოტივზე. გარდა ჩვენ მიერ შეთხზულად
მიჩნეული, პირადი შეურაცხყოფისა.

ჩაღა თქმა უნდა, ამით კილაძის ბრალდების საფუძვლია-
ნობის თვალსაზრისით მეტისმეტად მერყევი ვითარებაა შე-
ქმნილი, ხოლო მდგომარეობის გამოსწორებისათვის ბრალდ-
ების მხარეს არავითარი მონაცემი არ გააჩნია.

მართალია, საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილ-
ში ნათქვამია, რომ არუთინოვის მკვლელობა კილაძეს, ჩადე-
ნილი აქვს ანგარებით, მისი გაძარცვის მიზნით, და ამ მოსაზ-
რებას მხარი დაუჭირა სახელმწიფო ბრალმდებელმაც, მაგრამ
საამისო მასალა არც საბრალდებო დასკვნის ავტორს და არც
სახელმწიფო ბრალმდებელს არ მოუმარჯვებიათ.

ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ მკვლელობის
ამ მოტივით ჩადენაზე საბრალდებო დასკვნის ისტორიულ ნა-
წილში არც ერთი სიტყვით არაა მოხსენებული მტკიცებითი
მნიშვნელობის მქონე რაიმე სახის წყარო.

საამისო მტკიცებისათვის საჭირო მონაცემებს, არც სახელ-
მწიფო ბრალმდებელი არ შეხებია თავის საბრალდებო სიტყ-
ვაში და ეს ყოველივე მომხდარია იმის გამო, რომ არც წინას-
წარი და არც სამსჯავრო გამოძიებათა შედეგად მკვლელობის
ამ მოტივის დადგენისათვის საჭირო მასალა მიღებული არ
ყოფილა.

ამრიგად ნათელია, რომ მოსაზრება თითქოს არუთინოვის
მკვლელობა ჩადენილია ანგარების მოტივით, მოკლებულია

ყოველგვარ რეალურ დასაყრდენს, და მხოლოდ ზოგადი ხასიათის ლიტონ განცხადებას წარმოადგენს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრალდების საფუძვლიანობაში შექმნილი მერყევი მდგომარეობა ვერავითარ გამოსავალს ვერ პოულობს და ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ განსახილველი საქმის მიხედვით მკვლელობის მოტივი საესებით დაუდგენელია.

შერაცხადი ადამიანის უმოტივო მოქმედება კი ეჭვის ქვეშ აყენებს ამ მოქმედების რეალობას ყველა შემთხვევაში და მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ადამიანის ბრალულ მოქმედებასთან.

ეს განსაკუთრებით მწკავედ იგრძნობა განზრახ ჩადენილ დანაშაულობებთან დაკავშირებით, რომელთა შორის გამოირჩევა განზრახ მკვლელობა. მოტივი — ადამიანის ცნობიერი ნებისყოფითი აქტის განმსაზღვრელი შინაგანი ძალაა, რომელიც გარკვეული მიზნისაკენ მიმართულ სწრაფვას იწვევს. ეს მიზანი ისახება მოტივის ზეგავლენით და ამდენად შეუძლებელია მკვლელობის განზრახვა წარმომდგარი იქნეს მოტივის გარეშე.

ყოველივე ამის გამო ცხადია, რომ გარკვეული მოტივის დაუდგენლად. კილაძის მიერ არუთინოვის განზრახვი მკვლელობა უაღრესად დაუჯერებელია და მეტისმეტად საეჭვო.

ბრალდების ამ მომაკვლინებელი ხარვეზის ამოვსებას საესებით უშედეგოდ შეეცადნენ კილაძის წინააღმდეგ განწყობილი მოწმეები. მათ სასამართლოს შესთავაზეს ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებული საკუთარი ფანტაზიის უბადრუკი ნაყოფი და ენაჭარტალობის ფართო ასპარეზის შექმნა მოინდომეს.

ამ მხრივ აღსანიშნავია მოწმეების: მოსე არუთინოვის, გიორგი გონალოვისა და ედიკ ოგანესიანის მიერ ხაზგასმული ვერსია იმის შესახებ. რომ კილაძეს ეს მკვლელობა თითქოსდა ჩადენილი ჰქონდეს შურისძიების ნიადაგზე — განსვენებული არუთინოვი თითქოს ინტიმურ კავშირში იმყოფებოდა კილაძის უახლოეს მეგობრის ნ. ქ-ის დედასთან; ბ. ბ.-ილთან.

თქვენ მოწმის სახით დაკითხეთ თვით ბ. ბ.-ილი, რომელიც უკვე ხანდაზმული ქალია. მის მიმართ ასეთ განცხადებას მხო-

ლოდ ცილისმწამებლური ხასიათი აქვს და თავისი შვილებისათვის თავდადებულ დედას, ვინც მრავალი წლის განმავლობაში პატიოსანი შრომით ცხოვრობდა, საამისო არაფერი დაუმსახურებია.

ასევე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია არუთინოვის მკვლელობის მოტივად რომანული ხასიათის მქონე ეჭვიანობის დასახელება, რაც გამოსჭვიოდა მოწმეების ევა დემეტრადისა და მარიამ ტერაზანოვის ჩვენებებში.

ისინი აღნიშნავენ, რომ განსვენებულ არუთინოვს თითქოს შეეყვარებოდა კილაძის საცოლე — ნათელა კუჭავა და ცდილობდა მისი გულის მოგებას. დასახელებულ მოწმეებს მიაჩნიათ, რომ არუთინოვი მოკლულია კილაძის მიერ სიყვარულში მეტოქეობის გაწევისათვის.

სინამდვილეში კი არავითარ ამის მსგავსს ადგილი არ ჰქონია:

სამსჯავრო გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ არუთინოვს არამცთუ უყვარდა ნათელა კუჭავა, არც კი იცნობდა მას და საერთოდ არაფერი იცოდა მისი არსებობის შესახებ.

ამრიგად არუთინოვის მკვლელობის მოტივის აღმოჩენის ეს ცდები მოჭორილია და ხელოვნურადაა წარმოქმნილი. ამიტომ, რომ მათ სახელმწიფო ბრალდების ვერავითარი ყურადღება ვერ დაიმსახურეს, რაც მე სავსებით სამართლიანად მიმაჩნია.

მაგრამ არ შემოიძლია ჩემი გულისწყრომა არ გამოვთქვა იმის გამო, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა ყოველგვარი მნიშვნელობის მიღმა დატოვა საქმის სხვა ისეთი მონაცემები, რომელთა მიხედვითაც არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ მიკვლელი იქნეს ამ აღმაშფოთებელი მკვლელობის ჭეშმარიტი მოტივი.

სამწუხაროდ ამ მონაცემების მიმართ ჯეროვანი ყურადღება არ ყოფილა დათმობილი არც წინასწარი გამოძიებისა და არც სასამართლო-სამსჯავრო პროცესის მხრივ.

სინამდვილეში კი ისინი ასეთ ყურადღებას სავსებით საფუძვლიანად იმსახურებენ.

მათ შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს საქმეში გაკვრით წარმოდგენილი მასალა: იმ ინცინდენტის შესახებ, რომელსაც

თითქოსდა ადგილი ჰქონდა არუთინოვის მკვლელობის საღამოს პლენაროვის პროსპექტზე მდებარე სასაუზმეში — არუთინოვს, სასაუზმის მუშაკსა და სხვა უცნობ პირთა შორის.

ამ ეპიზოდის დაზუსტებას შეუძლებელია გარკვეული მნიშვნელობა არ ჰქონოდა მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ თქვენ საქმის მიხედვით მშვენივრად იცით, რომ არამცთუ ეს უცნობი პირები არ ყოფილან დადგენილნი, არავის უცდია სასაუზმის მუშაკის დაკითხვაც კი.

ასევე აღსანიშნავია, საგამომძიებლო მასალებით საფუძვლიანად გარკვეული და, ვფიქრობ, უაღრესად ყურანდსაღები გარემოება, რომ იმ ადგილთან ახლოს, სადაც არუთინოვის გვამი იქნა აღმოჩენილი, ცხოვრობს მოქალაქე ა. კ-ვა, რომელთანაც არუთინოვი უახლოეს ინტიმურ კავშირში ყოფილა და ხშირად დადიოდა მასთან ბინაში.

როგორც ა. კ-ვას ჩვენებიდან ჩანს, წინასწარი შეთანხმებისამებრ, არუთინოვი მასთან უნდა მისულიყო სახლში, სწორედ მისი მკვლელობის შემთხვევის საღამოს და ამიტომ ბუნებრივია, თუ რაოდენ აუცილებელი იყო ყურადღების გამახვილება ამ დეტალის შესასწავლად: ხომ არ გამხდარა არუთინოვი მსხვერპლი ამ ნამდვილი რომანული ურთიერთობისა?

ეს მოსაზრება მით უფრო საგულისხმოა, რომ ამ უბედური შემთხვევის დროს ქ. თბილისში ჩამოსული იყო კ-ვას ყოფილი ქმარი, რომელიც თბილისში აღარ ცხოვრობს, მაგრამ აქ ყოფნისას ყოველთვის დადიოდა თავის ყოფილ ცოლთან.

სამწუხაროდ, საგამომძიებლო ორგანოებს ამ მიმართულებით მუშაობა არ გაუღრმავებიათ და საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულების თვალსაზრისით სრულიად არაფერი არააგაკეთებული ჩვენთვის საინტერესო საკითხის გამოსარკვევად.

მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ მონაცემთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის მაინც ის მასალაა, რომელიც მეტყველებს, რომ არუთინოვის მკვლელობა ნამდვილად ჩადენილია ანგარებით, გამოძიებით დაუდგენელ უცნობ ბოროტმოქმედთაგან. ამის შესახებ ნათქვამია საბრალდებო დასკვნაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ არუთინოვი გაძარცვის მსხვერპლია.

ყოველივე ეს კი იძლეოდა შესაძლებლობას, განსახილვე-

ლი საქმის მიხედვით დადგენილიყო ყოველი ჩვენთაგანისათვის სანუკვარი ჭეშმარიტება.

სინამდვილეში ასე არ მოხდა და საამისო საფუძვლის უქონლობის მიუხედავად, ბრალდების მხარე დადასტურებულად თვლის კილაძის მიერ ამ მკვლელობის ჩადენას. განცვიფრებას იწვევს, თუ რატომ არ იყო მაქსიმალურად გამოყენებული საქმიდან გამომდინარე ყველა ის შესაძლებლობა, რომლებიც უცნობ ბოროტგანმზრახველებს ნაცნობად გახდიდნენ. და ამით საბრალდებო ვერსიას ჭეშმარიტი საფუძველი დაედებოდა?

სხვას რომ თავი დავანებოთ, ასეთი შესაძლებლობა გარკვევით მოჩანდა და დღესაც მოჩანს მოწმე აეთანდილ ნიკოლოზის ძე ბილანიშვილის ჩვენებებში, რომელიც ყველა დაკითხვის დროს, როგორც წინასწარ, ისე სამსჯავრო გამოძიებაზე, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ „მას დღესაც კი ხვდებიან ის საექვო პირები, რომლებიც კილაძესა და არუთინოვს ადევნებიან 1954 წ., 25 იანვარს, საღამოს საათებში, როდესაც ისინი მთვრალეები იყვნენ და დადიოდნენ ჯერ პლენანოვის პროსპექტზე, ხოლო შემდეგ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე“.

ასევე განსაკუთრებით უნდა იქნეს აღნიშნული არუთინოვის მკვლელობის დროს გატაცებული მისი კუთვნილი ტანსაცმლისა და ნივთების ბედი, რომელთა აღმოსაჩენადაც საგამომძიებლო ორგანოების მხრივ არ ყოფილა მიღებული ჯეროვანი ზომები.

სხვათა შორის, კილაძისათვის არც უკითხავთ თუ სად წაიღო მან არუთინოვის კუთვნილი ნივთები! ეს კი სავსებით ბუნებრივი კითხვა იქნებოდა, თუკი კილაძის მიერ მკვლელობის აღიარება მისი დამკითხველისათვის ოდნავ მაინც დამაჯერებელი იყო.

ყოველივე ამის გამო, არუთინოვის მკვლელობის ნამდვილი მოტივისა და საქმის ჭეშმარიტი შინაარსის დადგენის მიზნით, დაცვამ, ჩემი სახით, თქვენ წინაშე იზუამდგომლა, რათა საქმე კვლავ საგამომძიებლო ორგანოებს დაბრუნებოდა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

თქვენ, პატივცემულო მოსამართლენო, არ დააკმაყოფილეთ ეს შუამდგომლობა და გაიზიარეთ სახელმწიფო ბრალ-

მდებლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქმის მიხედვით, საქმაო მასალები მოიპოვება მისი ამ სახით არსებითად განხილვისათვის.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამ მასალათა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს მიერ ზევით რამდენჯერმე მოხსენებულ, კილაძის ხელით დაწერილ ახსნა-განმარტებას, სადაც მას აღიარებული აქვს არუთინოვის მკვლელობის ჩადენა.

ეს მართლაც ერთადერთი პირდაპირი მტკიცებაა კილაძის ბრალდების დასაბუთებისათვის, მაგრამ, ვფიქრობ, ის ვერ ამართლებს ბრალდების საფუძვლებს და სახელმწიფო ბრალმდებელმაც ვერ შეძლო ეჩვენებინა ჩვენთვის მისი დამაჯერებელი მტკიცებითი ძალა.

ვნახოთ რას წარმოადგენს კილაძის ეს აღიარება და რა მტკიცებითი ძალის შემცველია ის?

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ბრალდებულის მიერ ბრალდების აღიარებაზე, უპირველეს ყოვლისა მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული ის გარემოება, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებულ დამამტკიცებელ საბუთთა შორის, ის არავითარი უპირატესობით არ სარგებლობს. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ მისთვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება, როგორც საუკეთესო მტკიცების სახეობისათვის, ეწინააღმდეგება ჩვენი პროცესის კატეგორიულ მოთხოვნას — რომ დაშვებული არ იქნეს ფორმალური მტკიცება.

საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემაში ბრალდების აღიარებას მტკიცებათა შორის სავსებით დაკარგული აქვს, მისთვის ძველად მინიჭებული „გვირგვინოსანი დედოფლის“ მნიშვნელობა. აღიარება საჭირო შინაგანი რწმენის შემქმნელი მტკიცებითი ძალის მატარებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მოკლებულია შინაგან წინააღმდეგობებს, შესრულებულია მხოლოდ ქვეშარიტების ცხადყოფის მიზნით, პოულობს დადასტურებას საქმის მიხედვით დადგენილი სხვა მონაცემებით და არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსა და გარემოებებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, საჭიროა მისი, ისე როგორც ყველა

სხვა დამამტკიცებელი საბუთის, ყოველმხრივი კრიტიკული შემოწმება და შეფასება.

ყოველივე ამის გამო კილაძის აღიარების სახით წარმოდგენილი მტკიცების ეს სახეობა მოკლებულია დამაჯერებლობის ძალას და მასზე დაყრდნობით კილაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება ვერავითარ დასაბუთებას ვერ პოულობს.

ამ მხრივ უეჭველად ღირსშესანიშნავია ის, რომ კილაძემ თავის აღიარება უარყო ჯერ კიდევ ადრე, წინასწარი გამოძიების სტადიაში, და ბოლომდე ანვითარებს პირვანდელ ჩვენებებში მიცემულ განმარტებას, რომ არუთინოვის მკვლელობის შესახებ მან არაფერი არ იცის.

ასეთივე ჩვენება მისცა მან სასამართლოსაც, და მიმაჩნია, რომ ამ აღიარების უარყოფის მისივე მოტივირება უაღრესად დამაჯერებელია და ნათელყოფს იმას, თუ რისთვის და რა პირობებში მოუხდა მას განეცხადებია საგამომძიებლო ორგანოსათვის, რომ არუთინოვი თითქოს მას მოეკლას.

საქმე ისაა, რომ არუთინოვის გვამის აღმოჩენის დღიდანვე საგამომძიებლო ორგანოების ხელში თავი მოიყარა კილაძის წინააღმდეგ მეტყველმა, თუმცა უაღრესად საეჭვო ხასიათის, მაგრამ მოჩვენებითი მტკიცებითი ძალის მქონე, საბედისწერო მნიშვნელობის მატარებელმა მხილებებმა.

აღმოჩნდა, რომ არუთინოვის გვამის პოვნის წინა დღეს ე. ი. 1954 წლის 25 იანვარს, დაახლოებით საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე, კილაძე და არუთინოვი ერთად გამოსულან ნოდარ ქუთათელაძის ბინიდან, სადაც მათ უსვამთ არაყი. ამავე დროს დადგენილი იქნა, რომ კილაძეს სახის არეში მიყენებული ჰქონდა მსუბუქი დაზიანებანი, რომელთა გამო მან გამოძიებას განუცხადა, რომ არაფერი არ ახსოვს. ასევე გამოჩვეული იქნა ისიც, რომ კილაძის დედას — ელენე ანდლულაძეს, შემთხვევის დამესვე გაურეცხია მისი ვაჟის ტანსაცმელი, რომელიც საკმაოდ დასვრილი ყოფილა.

მე ჩემი სიტყვის ბოლო ნაწილში, რა თქმა უნდა, დაწვრილებით შევჩერდები როგორც ამ მხილებათა, ისე სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ თავის საბრალმდებო სიტყვაში გამოუყენებელ სხვა არაპირდაპირ მტკიცებათა უსაფუძვლობის შესახებ.

ამ შემთხვევაში თქვენს ყურადღებას ზივამქცევ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ თვით კილაძეს, რომელიც ესოდენ მოწვევებითი ძალის მქონე მხილებათა მარწუნებში აღმოჩნდა, სავსებით მიუღწევლად ეჩვენა მათი დაძლევა და თავისი უღანაშაულობის დამტკიცება.

ამის ირგვლივ მან ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი განმარტება მოგცათ თქვენ და დასძინა, რომ მას, მეტად უბაღრუკ მდგომარეობაში ჩავარდნილს, ციხის საკანშიც აღმოუჩნდა თითქოს მისდამი გულშემატკივრობით ამოქმედებული პატიმარი, ვინმე მახარაშვილი, რომელმაც მოინდომა „ჩემგან დაუმსახურებელი ხვედრის შემსუბუქება და ამ მიზნით მომაწოდა მის მიერ დამუშავებული, ჩემი მომავალი ჩვენების დაწვრილებითი შინაარსიო“.

ცხადია, ასეთ „გულშემატკივრებს“ არაფერი დაეჭვრებათ და მათი მომსახურებით არავინ არ უნდა ისარგებლოს. მაგრამ ასეთ რთულ ვითარებაში განა შეეძლო გარკვეულიყო ისეთი გამოუცდელი ახალგაზრდა, როგორიცაა სამართალში მიცემული?

რა თქმა უნდა, არ შეეძლო, და მიღებული რჩევა-დარიგების თანახმად მან გამოძიებას მისცა, ამჟამად მის აღიარებად წოდებული, ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ არუთინოვი მოკლა მან, რადგან ამ უკანასკნელმა ჯერ ნებაყოფლობით მოისურვა მასთან მამათმავლური სქესობრივი კავშირის დაჭერა, ხოლო შემდეგ კი ძალით მოინდომა ასეთი უზნეო მოქმედების განხორციელება.

როგორც მოგესწინებათ, მიუხედავად დაცვითი მხარის მოთხოვნისა, მახარაშვილის დაკითხვა სამსჯავრო სხდომაზე არ ყოფილა უზრუნველყოფილი. ის, ჩვენთვის უცნობ მოსაზრებათა გამო, არც საბრალდებო დასკვნაზე დართულ სიაში არაა შეტანილი, თუმცა წინასწარი გამოძიებისათვის მას, როგორც მოწმეს, ვრცელი ჩვენება აქვს მიცემული.

ამის გამო სასამართლოს არ ჰქონდა შესაძლებლობა დაეზუსტებია მახარაშვილის როლი ამ საქმეში, მაგრამ ერთი კი ცხადია: ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს სავსებით დამაჯერებლად მივიჩნიოთ კილაძის მიერ თავისი აღიარების ეგზომ მოტივირებული უარყოფა.

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ კილაძის ეს წერილობითი დოკუმენტი ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია და არუთინოვის მოკვლის აღიარება არ ხასიათდება მტკიცებისათვის საჭირო დამაჯერებლობით, რადგან შესრულებულია ბრალდებისაგან თავის დაღწევის მიზნით.

კილაძის ამ ახსნა-განმარტების უსწორობა. მისი ისეთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, რასაც წარმოადგენს დასახელებული მკვლელობის მოტივი, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, სახელმწიფო ბრალმდებელსაც დადგენილად მიაჩნია.

ამ საკითხზე ასეთივე თვალსაზრისია გამოთქმული საბრალდებო დასკვნაშიც და ამ მხრივ არაფერს არ ცვლის ლიტონ განცხადებაზე დამყარებული მოსაზრება, თითქოს კილაძეს ასეთი მოტვის მოყვანა დასჭირდა მძივე დანაშაულის დასაფარავად.

კილაძის ეს ახსნა-განმარტება უარყოფილია როგორც საბრალდებო დასკვნით, ისე სახელმწიფო ბრალმდებლის შეხედულებითაც, და მათ არუთინოვის მკვლელობა დამნაშავეთა ჯგუფის მიერ ჩადენილად მიაჩნიათ.

და ეს მაშინ, როდესაც კილაძის ახსნა-განმარტებაში არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი არუთინოვის მკვლელობაში მასთან თანამონაწილე პირებზე და ხაზგასმულია, რომ მკვლელობა ჩადენილი აქვს მხოლოდ მას -- ერთს.

ყოველივე ეს კი ამტკიცებს იმას. რომ კილაძის მიერ თავისი აღიარების უარყოფა და მისი დამი ბრალმდებლის უარყოფითი დამოკიდებულება, შექმნილია ამ აღიარების, როგორც მტკიცების, მეტისმეტად მერყევი ხასიათით.

მაგრამ გადამწყვეტი მაინც ის შინაგანი წინააღმდეგობაა, რომელსაც შეიცავს კილაძის ეს ახსნა-განმარტება ისეთ უმნიშვნელოვანეს მონაცემთან დაკავშირებით, როგორიცაა მკვლელობის ჩადენის ადგილი.

რაში გამოიხატება ეს წინააღმდეგობა?

როგორც თქვენთვის ცნობილია, თავის ამ ახსნა-განმარტებაში კილაძე თითქოს არუთინოვთან მომხდარ ინციდენტის ადგილად ასახელებს მარჯანიშვილის ქუჩას, თეატრის მახლობლად. კილაძე ამავე დროს იქვე დასძენს, რომ „არუთინოვმა სწორედ იქ გამოიჩინა ჩემს მიმართ ძალადობა, ფეხი დამიდო და წამაქცია, „მე ჩავვარდი ორმოში, მოგვიხდა შებრძოლება.

არუთინოვმა ცხვირის არეში მომაყენა დაზიანებანი და მე კი დანით მივაყენე ჭრილობა“.

სათანადო შემოწმების შედეგად დადგენილია, რომ მარჯანიშვილის ქუჩის დასახელებულ ადგილზე არავითარი ორმო არ ყოფილა, და შეუძლებელია კილაძე არარსებულ ორმოში ჩავარდნილიყო და იქ არუთინოვი მოეკლას.

ასეთი ორმო, ადგილობრივი დათვალიერების თანახმად, აღმოჩენილია მხოლოდ არუთინოვის გვამის პოვნის ადგილზე, რომელიც მარჯანიშვილის ქუჩიდან შორსაა და მდებარეობს კამოს ქუჩაზე, კარლ მარქსის სახელობის მოედნის მახლობლად. ჩვენს გაოცებას საზღვარი არა აქვს! როგორ შეძლო ადამიანის ფანტაზიამ მარქსის სახელობის მოედანზე აღმოჩენილი ორმოს გადაადგილება მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან?

ამავე დროს დიდ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ კილაძის ამ ახსნა-განმარტებაში აღნიშნული მთელი რიგი გარემოებანი აშკარად ეწინააღმდეგებიან განსახილველი საქმის მიხედვით უდავოდ ცნობილ ცალკეულ ფაქტიურ მონაცემებს.

მაგალითად, იმ დროს, როცა კილაძე თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ არუთინოვის მკვლელობა მან ჩაიდინა ჯიბის პატარა საკეცი ჭაყვით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მკვლელობის იარაღად გამოყენებულია ბებუთის მსგავსი დანა, რომლის სიგრძე უდრის 17 სანტიმეტრს.

ეს დანა, როგორც მოგეხსენებათ, აღმოჩენილია არუთინოვის გვამის პოვნის ადგილზე და მომხდარია მისი, როგორც ნივთიერი დამამტკაცებელი საბუთის, შემოწმება კრიმინალისტური ლაბორატორიის მიერ.

კილაძე თავის ახსნა-განმარტებაში გარკვევით ლაპარაკობს, რომ მან შეუმჩნევლად ამოიღო ჯიბიდან ფანქრის სათლელი ჭაყვა და ერთის მოქნევით ჩაჰკრა არუთინოვს მუცლის არეში. სინამდვილეში კი არუთინოვისათვის მკვლელს ყელი გამოუჭრია, არუთინოვს მიყენებული აქვს ორი ჭრილობა, რომელთაგან ერთი უფრო ღრმაა და მიიმართება მარჯვენა დერილისებრ მორჩიდან კისრის დიდ მალეხამდე, რომლის

არეშიც გადაჭრილია ყველა კუნთი და სისხლის დიდი ძარღვები.

ამ საკითხზე წარმოდგენილი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, ცხადია, არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ასევე, კილაძის ახსნა-განმარტების მიხედვით, არუთინოვის მკვლელობა მას ჩადენილი აქვს მარტო, მხოლოდ არუთინოვთან პირისპირ ბრძოლაში. საქმის მასალებიდან კი ნათლად ჩანს, რომ არუთინოვი მოკლულია ბოროტმოქმედთა ჯგუფის მიერ, რომელთაგან მისი ყელის გამომჭრელი არის ცაცია.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ არუთინოვი წყლის საკანალიზაციო მილში შეთრეული იყო ფეხებით. რასაც ერთი კაცი ვერ შეძლებდა. მკვლელი რომ ცაცია იყო ეს დასტურდება კრილობის მამართულებით.

კილაძის ეს ახსნა-განმარტება არ პოულობს რაიმე დადასტურებას საქმის სხვა რომელიმე უტყუარი მასალით და არაფრით არაა გამაგრებული.

არავითარი მასალა არ შიიპოვება აგრეთვე იმის დასადგენად, რომ შემთხვევის აღვილზე აღმოჩენილი ბებუთის მსგავსი დანა კილაძის კუთვნილება იყოს.

გთხოვთ ყურადღება გაამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთის სახით საქმეს არ ერთვის არუთინოვის არც ერთი, გატაცებულად მიჩნეული ნივთი საერთოდ, და კერძოდ ისეთი, რომელიც კილაძის ხელში იყოს აღმოჩენილი.

ამ ნივთების აღმოსაჩენად არც ყოფილა მიღებული საჭირო ზომები და, როგორც ზევით აღვნიშნე, საგამომძიებლო ორგანოებს უბრალო ცნობისმოყვარეობის მიზნითაც კი არ უკითხავთ კილაძისათვის თუ სად არის გატაცებული ნივთები.

ასევე არ ყოფილა მიღებული ზომები არც იმის დასადგენად, თუ ვის მიერ იყო ჩაფლული მიწაში არუთინოვის გვამის მახლობლად აღმოჩენილი მისი პირადობის დამადასტურებელი საბუთები.

წინასწარ გამოძიებაზე არც ეს საკითხი ყოფილა დასმული კილაძის წინაშე და დღესდღეობით არავითარი მონაცემი არა გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ ეს კილაძის ვაკეობებულად ჩავთვალოთ.

ყოველივე ეს კი მეტყველებს, რომ კილაძის ხელით დაწერილ, ამ ახსნა-განმარტების მეწყევი ხასიათი უნუგეშოა და აქედან გამომდინარე, არუთინოვის მკვლელობის აღიარება, ყოველგვარ დამაჯერებლობასაა მოკლებული.

ამიტომ, არუთინოვის ნამდვილ მკვლელთა დადგენისათვის საჭირო იყო დამატებითი გამოძიებით მოპოვებული ყოფილიყო დამაჯერებელი მტკიცებების აუცილებელი მასალები. როგორც მოგეხსენებათ, დაცვამ თავის შუამდგომლობას, საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ, ეს გარემოებაც დაუდო საფუძვლად, მაგრამ ის თქვენ მიერ გაზიარებული არ ყოფილა.

ხსენებული შუამდგომლობის საწინააღმდეგოდ, სახელმწიფო ბრალმდებელი საქმეში არსებულ მასალათა სისრულეს დაემყარა და ამ თვალსაზრისით ხაზი გაუსვა წარმოდგენილ არაპირდაპირ მტკიცებებს; ისინი განსახილველ საქმეში მართლაც საკმაოდ მოიპოვებიან, მაგრამ, ვფიქრობ, ვერც მათზე დამყარებით მართლდება კილაძის ბრალდების დასაბუთების იმედები და სახელმწიფო ბრალმდებელმაც ვერ შეძლო ეჩვენებია ჩვენთვის მათი დამაჯერებელი მტკიცებითი ძალა.

ვნახოთ რას წარმოადგენენ ეს არაპირდაპირი მტკიცებანი და რა ძალის შემცველნი არიან ისინი?

როგორც ცნობილია, არაპირდაპირი მტკიცებითი მოტივებით სარგებლობა განსაკუთრებულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

არაპირდაპირი მტკიცება დამაჯერებელ საბუთს წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი უტყუარობა დადგენილია საქმის სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან, მათ შორის სხვა არაპირდაპირ მტკიცებებთან შეჯერებისა და შეპირისპირების შედეგად. მაგრამ ეს საკმარისი არაა. ამასთან ერთად საჭიროა დადგენილი იქნეს სრული მიზეზობრივი კავშირი, უტყუარად მიჩნეულ არაპირდაპირი მტკიცებით განსწილ ფაქტიურ გარემოებასა და ბრალდების შემცველ ფაქტს შორის.

ამ თვალსაზრისით გადაჭრით უნდა ითქვას, რომ კილაძის ბრალდების დასამტკიცებლად გამოყენებული არაპირდაპირი მტკიცებები ვერ ქმნიან ბრალდების მტკიცების ურყევ ვერ-

სიას და აქ ფართო სარბიელი აქვს მიცემული საექვოდ მიჩნე-
ულ, ცალკეულ გარემოებათა საფუძველზე დამყარებულ, საე-
გებისო ხასიათის მქონე მოსაზრებებს.

განვიხილოთ ეს არაპირდაპირი მტკიცებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე პირველადი ამ არა-
პირდაპირ მტკიცებათა შორის არის ის გარემოება, რომ არუ-
თინოვის გვამის პოვნის წინა დღეს, საღამოს ჟამს, კილაძე და
არუთინოვი, ორივენი ძალზე მთვრალეები, ნამდვილად ერთად
არიან გამოსულნი ქუთათელაძის ბინიდან და ერთადვე ყოფი-
ლან ჯერ პლენხანოვის პროსპექტზე, ხოლო შემდეგ მარჯანი-
შვილის ქუჩისა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს გადასა-
კვეთთან.

მაგრამ განა აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ
არუთინოვის მკვლელობა უეჭველად კილაძეს აქვს ჩადენილი,
მაშინ როდესაც არაფრით არაა გამორიცხული ის გარემოება,
რომ ბოროტმოქმედება ჩადენილია სწორედ მას შემდეგ, რაც
არუთინოვი და კილაძე ერთმანეთს დასცილდნენ?

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ კილაძისა და არუთინო-
ვის ერთად ყოფნა განსაზღვრული დროის განმავლობაში, თა-
ვისთავად, მხოლოდ უბრალო ექვის აღმძვრელ გარემოებას
ქმნის და არავითარ განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახუ-
რებს, ვიდრე დადასტურებული არ იქნება მათი ერთად ყო-
ფნა შემთხვევის დროს.

საამისო მასალა კი საქმის მიხედვით ჩვენ ხელთ არაა.

ასევე სინამდვილეა ისიც, რომ კილაძეს, რომელიც დაპა-
ტიმრებული იყო გვამის აღმოჩენის დღეს, შუალამის 12 საათ-
ზე, ცხვირზე აღმოაჩნდა განაკაწრები, რის შესახებაც მას თა-
ვიდანვე გაცხადებული აქვს, რომ არ ახსოვს ვისგან და სად
მოუვიდა ეს.

ვფიქრობ, არც ამის მიხედვით შეიძლება რაიმე დავასკვნათ.
ვინაიდან არაფრით არაა გამორიცხული, რომ კილაძემ ეს გან-
აკაწრები მიიღო სწორედ მას შემდეგ, როცა არუთინოვს და-
სცილდა.

ამიტომ თავისთავად, ეს განაკაწრებიც მხოლოდ უბრალო
ექვის აღმძვრელი გარემოება იქნებოდა, მაგრამ საქმის სხვა

მონაცემებთან მისი შეჯერების შედეგად ის ვერც ამ ძალას ინარჩუნებს.

ამის დამადასტურებელია საქმის ერთი ღირსშესანიშნავი მასალა, რომლის მიხედვითაც წამოიჭრება ასეთი კითხვა — მსუბუქი ავტომანქანის დაჯახების შედეგად ხომ არ მიუღია კილაძეს ეს დაზიანება?

ამ მხრივ აღსანიშნავია საქმეზე მოწმის სახით დაკითხული გუშაგი მრლიციელის თათარაშვილის ჩვენება, რომ იმ საღამოს, დაახლოებით 8 ს. მას შეატყობინეს: პლენანოვის პროსპექტზე მდებარე № 106 სახლის წინ ვიღაც ახალგაზრდა კაცს დაეჯახა ავტომანქანა და არ დააშავაო.

ამასვე ადასტურებენ მოწმეები ღვევი კვერნაძე და ნინო დოლოძე. ეს უკანასკნელი იმასაც კი აღნიშნავს, რომ სამართალში მიცემულ კილაძეში მან ამოიცნო მანქანის დაჯახებით დაზარალებული ახალგაზრდა.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის ექიმ ურუშაძის მიერ სამსჯავრო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით არ ყოფილა გაზიარებული საბრალოდებო დასკვნაში გამოთქმული შეხედულება, რომ კილაძის სხეულის დაზიანებანი ხასიათის მიხედვით თითქოს არ შეიძლება მიყენებული ყოფილიყო მანქანის დაჯახებით.

რაც შეეხება იმას, რომ კილაძეს უნდა სცოდნოდა თუ რისგან აქვს ცხვირზე განაყაწრები, ამაზე საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: საქმის მასალაზე დადგენილია და არავითარ დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ კილაძე შემთხვევის ღამეს თითქმის სავსებით უგონოთ მთვრალი უნახავთ, როგორც ეს აღნიშნული იყო სამსჯავრო სხდომაზე დაკითხული იმ მოწმეთაგან, რომლებიც კილაძეს ბავშვობიდანვე იცნობენ. მისთვის ასეთი მდგომარეობა სავსებით უჩვეულო იყო და ამიტომ უფრო დასაჯერებელია, რომ მას იმდამინდელი ბევრი რამ არ ახსოვს.

მაგრამ კილაძე კიდევ რომ შეგნებულად მალავდეს დაზიანებათა წარმოშობილ ნამდვილ ამბავს, ნუთუ აქედან აუცილებლად გამორიცხული უნდა იქნეს სხვა ყოველგვარი დასკვნა,

გარდა იმისა, რომ ამით იგი მაღალს არუთინოვის მკვლელობის ჩადენის ფაქტს?

რა თქმა უნდა, არა. მას ასეთი ჩვენების მიცემა შეეძლო სულ სხვა მოსაზრებითაც, მაგალითად, იმისათვის, რომ არ სურს გაამყდონ პიროვნება, ვინც ცხვირი გაუკაწრა, ან არ უნდა დაასახელოს ადგილი, სადაც ამ დროს იმყოფებოდა, არ ამხილოს მორალური თუ სხვა საყოფაცხოვრებო მოტივებით. ამის უფლებას სამართალში მიცემულს აძლევს ჩვენი კანონი და ყოველად გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს ეს უფლება. გამოყენებული იქნეს ბრალდების მტკიცებისათვის, რაოდენ სეკვოდაც არ უნდა მივიჩნიოთ სამართალში მიცემულის ჩვენება.

სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ისიც, რომ კილაძის დედას ელენე ანდლულაძეს გაურეცხია თავისი ვაჟის ტანსაცმელი შემთხვევის დამსვე. კილაძის ბრალდების მტკიცების დროს აქ განცხადებული იყო, რომ არუთინოვის მკვლელის სისხლიანი ნაკვალევის დაფარვის მიზნითაა ეს ტანსაცმელი გარეცხილი.

სინამდვილეში კი ეს ასე არაა, და ამ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვა მნიშვნელოვანი გარემოებანი.

მართალია, საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ კილაძის ტანსაცმელი ნამდვილად ძალზე დასვრილი იყო, მაგრამ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია თქმა იმისა, რომ ეს ტანსაცმელი აუცილებლად არუთინოვის სისხლით ყოფილიყო დასვრილი.

ასეთი დასკვნის დამაჯერებლობა გამორიცხულია სხვა უამრავი შესაძლებლობით და განსაკუთრებით იმ მონაცემებით, რომელიც ავტომანქანის დაჯახებასთან არის დაკავშირებული.

ამიტომ, ამ დასვრილი ტანსაცმლის გარეცხვა კვლავ უბრალო ეჭვის აღმძვრელი გარემოებაა და არ ატარებს მტკიცებისათვის საჭირო ნიშნებს.

ამასთანავე ღაფქენ, რომ ოჯახური ხელმოკლეობის გამო ეს ტანსაცმელი კილაძის ერთადერთი სამოსი იყო; კილაძის დედა კი მრეცხავი ქალია, და მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ამ სამოსის გარეცხვა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ან პირდაპირი მტკიცების გამაგრების ერთი ცდა, რომელიც სრული კრახით დაგვირგვინდა.

საკითხი შეეხება განსვენებული არუთინოვის ახლო ნათესავის, საქმეზე მოწმედ დაკითხულ ეკატერინე ტერტეროვას. თაოსნობით სახელდახელოდ გამოგონილ ამბავს, თითქოს კილაძის დედას, ანდლულაძის ქალს, ეთქვას: „ჩემმა შვილმა მითხრა, კაცი შემომაკვდა და მეც იმიტომ გავრეცხე მისი ტანსაცმელი ასე საჩქაროდ“.

ვამბობ სახელდახელოდ გამოგონილი-თქო იმის გამო, რომ ტერტეროვას ასეთი ჩვენება მიცემული აქვს წინასწარი გამოძიების დამთავრების წინა დღეს, და ის გულუბრყვილო ზღაპარს მიაგავს.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი: მოწმე ტერტეროვა ჩვენთვის ამ საინტერესო საკითხზე აღნიშნავს, რომ კილაძის დედის ეს ნაამბობი მე გადმომცა ლუცია პაპიტაშვილის ქალმაო. მისთვის კი ამის შესახებ უთქვამს მაზლს, გორის შამპანური ქარხნის ავტომანქანის მძღოლს, რომელსაც ეს ამბავი გაუგია ქარხანაში მივლინებით მყოფი მიტო მდივნისაგან. მიტო მდივნისათვის კი ეს უთქვამს მის მეუღლეს, რომელიც თბილისის ერთ-ერთი პოლიკლინიკის ექიმი და ამ უკანასკნელისათვის, თითქოს ანდლულაძის ქალს გაუჩვენია საიდუმლო.

ერთი სიტყვით, პირველი შეხედვით ყველაფერი ისეა, როგორც ცნობილ ქართულ ხალხურ ზღაპარში: „რწყილი და ჭიანჭველა“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იმ დროს, როდესაც რწყილი ამოძრავებულა კეთილშობილური მეგობრული გრძნობით, მოწმე ტერტეროვა მოკლებულა შესაძლებლობას, თავისი როლი ამ საქმეში ასეთივე მაღალი მოწოდებით ითამაშოს.

ყოველივე ეს, ცხადია, მოითხოვდა საკითხის გამოკვლევას, მაგრამ როგორც თქვენ კარგად უწყით, არც წინასწარი და არც სამსჯავრო გამოძიებათა დროს არ ყოფილან გამოწვეულნი და დაკითხულნი ტერტეროვას ქალის მონათხრობში დასახელებული პირები: მიტო მდივანი, მისი მეუღლე და ქარხნის ავტომძღოლი, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს წინაშე დაცვის მიერ აღწრული იყო საამისო შუამდგომლობა.

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ხაზგასმით აღენიშნო, რომ სახელმწიფო ბრალმდებელს ამ შეთხზული და უპასუხის- ჰგებლოდ წარმოდგენილი მასალისათვის არავითარი მნიშვნე- ლობა არ მიუნიჭებია!

ვფიქრობ, მას არც სასამართლო ჩათვლის რაიმე მნიშვნე- ლობის შემცველ მასალად.

დაგვრჩა ორი უკანასკნელი არაპირდაპირი მტკიცება, რომ- ლებიც ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულნი არ ყოფილან.

აქედან პირველი ეხება საქმის მიხედვით ნამდვილად დად- გენილ იმ გარემოებას, რომ კილაძე ვერ ასახელებს იმ პირებს, რომელმაც ის შემთხვევის ღამეს, დაახლოებით საღამოს 9 სა- თისათვის ავტომანქანით საკუთარ სახლში მიიყვანეს. ჩვეს, რა თქმა უნდა, არ უარყოფთ და დადასტურებულად მიგვაჩნია, რომ კილაძე იმ ღამით თავის სახლში მიყვანილია ვიღაც უცხო ვაჟის მიერ.

მაგრამ უსაფუძვლოდ ვთვლით იმ მოსაზრებას, რომ ამ უბ- რალო, ეჭვის აღმძვრელი გარემოებიდან შესაძლებელი იყოს ისეთი დასკვნის გამოტანა, რომელიც კილაძისადმი წარდგე- ნილ ბრალდებას დამტკიცებულად მიიჩნევდა.

ამას კი უპირველესად იმისათვის ვამბობთ, რომ კილაძე იმ ღამით უგონოდ მთვრალი იყო და სავსებით დასაჯერებელია სახლში მიყვანილს არაფერი არ ახსოვდეს.

კილაძე კიდევ რომ განგებ მალავდეს ამ პირის ვინაობას, ეს მაინც არ გამორიცხავს იმას, რომ ბრალდებული ამას სჩადის ისეთი მოსაზრებით, რასაც არავითარი საერთო არა აქვს დანა- შაულობასთან.

რაც შეეხება კილაძის წინააღმდეგ იმ გარემოების გამოყე- ნებას, რომ ის თავისი ჩვენებით ვერ ამტკიცებს მოხსენებული ვაჟის ვინაობას, უნდა ითქვას შემდეგი: საბჭოთა სისხლის სა- მართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ბრალდებულს არ ევალება უარყოფითი ფაქტების დამტკიცება, ვინაიდან ბრალ- დების მტკიცების ტვირთი, ჩვენი პროცესით, მთლიანად ბრალ- მდებლობის გამწევ მხარეს აწევს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის გამართლების თვალსაზ- რისით, ბრალდებული მეტისმეტად მძიმე მდგომარეობაში აღ- მოჩნდებოდა. თუნდაც იმიტომაც, რომ პის ვიმართ წარდგენი-

ლი მტკიცების უარსაყოფად წამოყენებულ დებულებათა უსწოროდ მიჩნევა თავის მხრივ გამოყენებული იქნებოდა ბრალდების დამადასტურებელ ახალ არაპირდაპირ მტკიცებად.

ამრიგად, ამ საშინელი მკვლელობის ჩადენა კილაძეს არ უმტკიცდება და რადგანაც მისი უდანაშაულობის კვლავ გადამოწმება, დამატებითი გამოძიების ჩატარების გზით, თქვენ ზედმეტად მიიჩნიეთ, მე სრული საფუძველი მაქვს მოვითხოვო, მოუხსნათ კილაძეს წარდგენილი ბრალდება და მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანოთ.

ამით, პატივცემულო მოსამართლენო, თქვენ ჰეშმარიტ სამართლიანობას გამოიჩენდ და საბჭოთა მართლმსაჯულების საგანძურში ღირსეულ წვლილს შეიტანთ.

ს ი ზ უ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის

შ. ა. გვათუასი

დ. თურმანიძის

საქმეზე

საქმის მოკლე შინაარსი

ქვანახშირის მალარობის შახტში წიაღის ძარღვის თვითანთებამ გამოიწვია მეთანის გაზის აფეთქება, რასაც მოჰყვა საგრძნობი მატერიალური ზარალი.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სამართალში მიცემული იქნენ მალაროს მთავარი ინჟინერი ღურმიშხან თურმანიძე, სამთო მაშველი რაზმის ოცმეთაური იაკობ სვანიძე და მისი მოადგილე გივი აფციაური.

მალაროს მთავარ ინჟინერს დ. თურმანიძეს, რომელსაც ადვოკატი შ. გვათუა იცავდა, ბრალად ედებოდა სამთომადნო სამუშაოთა წარმოების უშიშროების წესების დარღვევა და დაუდევრობა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქ. სსრ სამართლის კოდექსის 245 და 188 მუხლებით.

აღნიშნული საქმე განიხილა საქართველოს უმაღლესი სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის გამსვლელმა სესიამ.

სასამართლოს განაჩენით სამართალში მიცემულ დ. თურმანიძეს მოეხსნა ბრალდება სამთომადნო სამუშაოთა წარმოებას უშიშროების წესების დარღვევის გამო, დაუდასტურდა სამსახურეობრივი მოვალეობის დაუდევარი შესრულება, და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

ადვოკატ შალვა გვათუას სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

საქმე, რომელსაც თითქმის ორი კვირის განმავლობაში თქვენ დიდის გულმოდგინებით, ცოდნით, დაკვირვებითა და გულისხმიერებით იხილავთ, უალრესად რთულია თავისი შინაარსით, მძიმეა შედეგებით, საგულისხმოა მიზეზებითა და საყურადღებოა სამოსამართლო პროცესის თვალსაზრისით.

ამ საქმესთან დაკავშირებით თქვენ წინაშე მრავალმა პროცესუალურად საინტერესო ფაქტმა გაიარა და მეტად მნიშვნელოვანმა გარემოებამ იჩინა თავი, რომელთა ჭეროვანმა ანალიზმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს თქვენს მაღალ საქმიანობასა და მართლმსაჯულებაში.

ყოველივე ამისგან გამომდინარე, ღრმა რწმენით შთაგონებული ვიწყებ ჩემი მოვალეობის შესრულებას იმის იმედით, რომ სასამართლო გულისყურით მომისმენს და პირუთვნელად განსჯის ჩემს ნათქვამსაც, სწორედ ისევე, როგორც სხვებს ნათქვამი იქნა და იქნება აქ მოსმენილი და განსჯილი. ყოველივე ეს, უეჭველად მიგვიყვანს როგორც ბრალდებს, ისე დაცვის მიერ ძიებულ სიმართლემდე და მისგან გამომდინარე სწორ განაჩენამდე.

თუ თვალს გადავაგვლებთ სამსჯავრო პროცესს, არ შეიძლება თვალში არ გვეცეს წინასწარი გამოძიების უსრულობა არა მარტო ფაქტობრივი მასალის შეგროვება-დადგენაში, არამედ მათ შეფასებასა და კვალიფიკაციაშიც. ამან თავის მხრივ, განაპირობა სამართალში მიცემულთა, განსაკუთრებით ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ ბრალდებათა დაუსაბუთებლად წარდგენა და ამასთან დაკავშირებული მიზანშეუწონელი ძიებანი.

წინასწარმა გამოძიებამ ვერ შეძლო საჭირო გარკვეულობა შეეტანა საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტებს დადგენა და შეფასებაში, რასაც ნათლად ადასტურებს

ჩატარებული გამოძიების მასალების დეტალური განხილვა, მათი შემოწმება და სამსჯავრო პროცესის მთელი მსვლელობა.

მოსამართლენო! ვიდრე სამართალში მიცემული დ. თურმანიძის ბრალდების ფორმულის ცალკეულ მხარეთა განხილვანალიზს შევუდგებოდნე, მინდა ორიოდ სიტყვით შევჩერდე საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგიერთ ფუძემდებლურ დებულებაზე, რომელთაც ამ საქმის განხილვისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ.

დადგენილად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ წინასწარი გამოძიების უპირველეს ამოცანას შეადგენს შეკრიბოს, დააღაგოს და იურიდიული შეფასება მისცეს ფაქტებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდება იმ პირობების ზუსტი დადგენა, რასაც ადგილი ჰქონდა სინამდვილეში. მაშასადამე, წინასწარი გამოძიების მთელი საქმიანობა ჩატარებული უნდა ყოფილიყო ისე, რომ დამამტკიცებელი საბუთების მეშვეობით მივსულიყავით იმ გარემოებათა ზუსტ დადგენამდე, რომლებსაც რეალურ პირობებში ჰქონდა ადგილი; ერთი სიტყვით, დადგენილი უნდა ყოფილიყო მატერიალური ქეშმარიტება, ობიექტური სინამდვილე.

ეს კი შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ სწორი პროცესუალური საქმიანობის შედეგად, რომლის მთავარ შინაარსს მტკიცებათა შეგროვება, შემოწმება და შეფასება შეადგენს.

ცხადია ისიც, რომ სასამართლო და გამოძიება ქეშმარიტ ვითარებას აღადგენენ მხოლოდ და მხოლოდ კვალის მიხედვით, რაც მოცემულმა შემთხვევამ დატოვა, ერთი მხრით, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების სახით, ხოლო, მეორე მხრით, ადამიანთა შეგნებაში აღბეჭდილი მოვლენების გზით.

მტკიცებათა ცალკეული ფრაგმენტების, მცირე შტრიხებისა და დეტალების საფუძველზე გამოძიება და სასამართლო ხშირად აღადგენს მოვლენების სურათს, რაც, შესაძლოა, სავესებით შეესაბამებოდეს სინამდვილეში მომზდარ ფაქტს. ფაქტებისა და გარემოებათა დადგენა უნდა ხდებოდეს არა ამა თუ იმ პირის შეხედულების მიხედვით, არამედ ზუსტი და უცილობელი ფაქტების საფუძველზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ სარწმუნო და უტყუარი დასკვნები.

ცალკეულ მოსაზრებებსა და მიახლოებით ვარაუდებს, რა-

გინდ მართებულადაც გვეჩვენებოდნენ ძინი, დამამტკიცებელი საბუთის ძალა არ გააჩნიათ.

შეიძლება თუ არა თქმა იმისა, რომ მოცემულ საქმეზე გამოძიებამ თავისი მუშაობა კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დაცვითა და შესრულებით ჩაატარა?

— არა, არ შეიძლება! არ შეიძლება, რადგან საქმეში არსებული მასალები და საშუალო გამოძიების მთელი მსვლელობა ცხადყოფენ, რომ წინასწარი გამოძიება ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე, მან სინამდვილეში არარსებული ბრალდებები მოახვია თავს ისეთ პატიოსან მუშაკს, რომელიც 25 წლის მანძილზე, სამთო საბადოების გულმოდგინე დამუშავებით ემსახურება სოციალისტურ სამშობლოს.

გამოძიებამ არსებითად გვერდი აუარა უბედური შემთხვევის ნამდვილ ვითარებას და დამნაშავეთა ძებნა დაიწყო იქ, სადაც ავარიის მიზეზების დასადგენად საჭირო იყო დაკვირვებული და მიუყვარძობელი კვლევა-ძიების ჩატარება.

თუ ჩვენ გულდასმით და თანმიმდევრობით შევისწავლით და სათანადოდ შევაფასებთ საქმეში არსებულ ყველა მასალას, რაც საშუალო სხდომის განხილვის საგანს წარმოადგენს, მივალთ იმ უდავო აღიარებამდე, რომ თურმანიძისადმი წაყენებული ბრალდებანი ვერავითარ დამამტკიცებელ საფუძველს ვერ პოულობენ.

ამრიგად, მე მთლიანად და სავსებით უარგყოფ მაღაროს მთავარი ინჟინრისადმი საბრალდებო დასკვნით წარდგენილ ბრალდებათა საფუძვლიანობას ორის მიზეზით: ჯერ ერთი, ეს ბრალდებანი ჯეროვან მოტივირებასა და არგუმენტაციას ვერ ნახულობენ, მეორე, ისინი პირდაპირ წინააღმდეგობაში იმყოფებიან საქმეზე შეკრებილი მასალის შინაარსობრივ თვითარსთან, მტკიცებით ბუნებასა და აზრობრივ ხასიათთან.

მოსამართლენო! საკითხის სრული ნათელყოფისათვის მე შევეცდები, რაც შეიძლება კონკრეტულად წარმოვადგინო თითოეული ბრალდება, უტყუარი ფაქტებით დავასაბუთო ამ ბრალდებათა აშკარა უმწეობა, უილაჯობა, ხოლო თურმანიძის სრული უდანაშაულობა.

საბრალდებო ფორმულის მიხედვით, თურმანიძეს ბრალი ედება, რომ მაღაროში ადგილი ჰქონდა სამთო-საექსპლოატა-

ციო სამუშაოთა უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტებს. პირველი ველის № 3 პორიზონტის აღმოსავლეთით და დასავლეთით არ ხდებოდა დამუშავებული უბნების იზოლირება მოქმედი უბნებისაგან. იმავე ველის № 3 პორიზონტის კვერშლავისა და მეოთხე ფენის გადაკვეთის ადგილი არ იყო განმზოლოებული და ცუდად იყო გამაგრებული, რასაც მოჰყვა ზემო ნაწილში ჭერ თავისუფალი გუმბათისებური სივრცის შექმნა, შემდეგ ნახშირის შეხურება, თვითანთება და დასასრულ, ხანძრის გაჩენა.

თუკი გამოძიება საქმეს საჭირო დაკვირვებითა და სათანადო გულისყურით მოეკიდებოდა, მაშინ იგი ადვილად დარწმუნდებოდა, რომ პირველი ველის № 3 პორიზონტის აღმოსავლეთი მხარის სამუშაოთა ზღუდარებით იზოლირება დასავლეთი მხარისაგან სრულიად უმართებულო და ტექნიკურად გაუმართლებელია. სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე დაკითხული მოწმეები, გამოცდილი მემალაროენი და ექსპერტები სავესებით დამაჯერებლად ცხადყოფენ იმ გარემოებას, რომ არავითარი ზღუდარების დადგმა ხსენებულ ადგილას საჭირო არ იყო, რადგან № 3 პორიზონტის ქვესართულის გამომუშავების შემდეგ იგი არ წყვეტდა მოქმედებას; ამოსაღები ველების გახსნისა, მომზადებისა და დამუშავების წესის შესაბამისად განაგრძობდა თავის მოქმედებას, როგორც ქვედა სართულის სავენტილაციო პორიზონტი. აბა, სცადეთ ქვანახშირის ამოღების დროს ზღუდარებით მოსპოთ ან დროებით შეაჩეროთ ნორმალური წარმოებისათვის აუცილებელი სავენტილაციო წყარო; მაშინ აღმოჩნდება, რომ განიავების დახშობა შეუძლებელს გახდის ყოველგვარ მუშაობას და ადამიანებს, რომლებიც ქვედა პორიზონტებზე მუშაობენ, უპაერობის გამო გარდუვალი დაღუპვა ელით.

ამრიგად, წინასწარმა გამოძიებამ საიზოლაციო ზღუდარების უქონლობა — უსაფრთხოების წესის დარღვევად მიიჩნია. ჩვენ კი, პირიქით, ვთვლით, რომ პასუხისგება არ აცდებოდა თურმანიძეს იმ შემთხვევაში, თუ ის განკარგულებას გაცემდა აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარეების სამუშაოთა განმზოლოების შესახებ.

ამის შემდეგ რა საფუძველი ჰქონდა ბრალდებას, რომ მა-

ლაროს მთავარ ინჟინერს ზღუდარების უქონლობა საბადოებისათვის დადგენილი ტექნიკური წესების დანაშაულებრივ დარღვევად ჩაუთვალა?

მოსამართლენო! იმისათვის, რომ ჩემი მოსაზრებანი ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ამომწურავი და ნათელი გახდეს, საჭიროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება კიდევ ერთი იურიდიული საკითხის მიმართ გავამახვილო. სახელდობრ, რა მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებულებოდეს პირველი ველის ჰორიზონტის აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარეების ზღუდარებით იზოლირებასა და მომხდარ უბედურ შემთხვევას შორის?

პირველ რიგში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთი კავშირის დადგენა არც უცდია გამოძიებას და ამიტომ საბრალოდ დასკვნა ამ ნაწილში სავსებით დაუსაბუთებლად და უმართებულოდ გამოიყურება. და თუ ამის შემდეგ, ყოველგვარი საბუთის გარეშე, ბრალდება მალაროს მთავარ ინჟინერს ზღუდარის დაუდგმელობას დანაშაულებრივ ქმედებად უთვლის, რასთან უნდა გვეკონდეს საქმე თუ არა ფაქტების ხელაღებით უგულებელყოფასთან?

შემდეგი საკითხი, რომელზედაც მინდა სასამართლოს ყურადღება შევაჩერო, ეხება საბრალოდ დასკვნის იმ ნაწილს, რომლითაც მალაროს მთავარ ინჟინერს ბრალი ედება მასში, რომ № ჰორიზონტის კვერშლაგისა და მეოთხე ფენის გადაკვეთის ადგილი არ იყო სათანადოდ გამაგრებული, ხოლო გუმბათის „ურიგო გამაგრებამ თაღში ნახშირის ცვენა და შეგროვება გამოიწვია, რამაც განაპირობა მისი თანდათანობით შეხურება, თვითანთება და ხანძარი“.

მოსამართლენო! თურმანიძის ბრალდების ეს ეპიზოდი, გათვალისწინოების მიზნით მინდა გავყო რამდენიმე ნაწილად და თითოეული მათგანი განვიხილო ცალ-ცალკე, იმ მასალებთან შედარებისა და დაპირისპირებისათვის, რაც სამსჯავრო გამოძიებამ დააგროვა და დაამუშავა. ეს აუცილებლად მიმაჩნია იმიტომაც, რომ ხსენებული მასალა, რაც სამსჯავრო სხდომის განხილვისა და მსჯელობის საგანს წარმოადგენს, სავსებით აბათილებს მალაროს მთავარი ინჟინერის ბრალდებებს მოცემულ ნაწილში, და მის სრულ უდანაშაულობაზე მეტყველებს.

პირველ რიგში მაინტერესებს შემდეგი: იყო თუ არა თაღის

წარმოშობა გამოწვეული მაღაროში ექსპლოატაციის წესების დარღვევით და შეიძლება თუ არა მთავარ ინჟინერს დაეკისროს პასუხისმგებლობა ამ თაღის წარმოქმნის გამო.

ცნობილია, რომ მიწის წიაღში ქანის მასივი გარკვეულ წონასწორობაში იმყოფება, რაც რამდენადმე ირღვევა სამთო სამუშაოების წარმოების შემდეგ; გვირაბის ირგვლივ ხდება ძალთა გადანაცვლება და გაშიშვლებული მასივის დეფორმაცია; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მასივი მდგრადია, თავს იჩენს ეგრეთ წოდებული სამთო წნევა. მთის წნევის თავიდან აცილების ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს სიმაგრის დადგმა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამთო წნევის სიძლიერის დადგენის საკითხი ჯერ კიდევ მეცნიერების გადაუჭრელ პრობლემად ითვლება და იგი შემდგომ გადაწყვეტას მოელის.

როგორც ითქვა, პრაქტიკაში სამთო წნევის თავიდან აცილების ძირითად ღონისძიებას სიმაგრეების დადგმა წარმოადგენს. ისინი გვირაბის დამუშავების დროის ერთ მონაკვეთში საკმარის წინააღმდეგობას უწევენ სამთო წნევას და აკავებენ სამთო მასივს, დროის მეორე მონაკვეთში კი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ მასივის წონასწორობას, რის შედეგად ხდება ძირითადი სახურავის ანუ გუმბათის ჩამოქცევა, რაც ახალი სიმაგრის დადგმას ან ძველის გამაგრებას საჭიროებს.

უსაფრთხოების მოქმედი წესების ასოცდამეექვსე პარაგრაფის თანახმად, გამაგრება ჯარგვალური წესით უნდა წარმოებდეს. უკეთეს დადგენილი იქნება, რომ გამაგრების უხარისხობა არის სიმაგრის ჩამოქცევის მიზეზი, უსაფრთხოების წესის მეცამეტე პარაგრაფის თანახმად, ის უნდა ხელახლა გამაგრდეს, რაზედაც აუცილებლად უნდა შედგეს ახალი პასპორტი. ამრიგად, ხელახლა გამაგრება შეიძლება გამოწვეული იყოს პირველადი გამაგრების პასპორტის დარღვევით, ანდა მიწის დაწოლასთან მისი შეუსაბამობით, რაც დროის ამა თუ იმ მონაკვეთში წნევის ცვალებადობისაგან არის დამოკიდებული.

საქმეში არსებული მასალის ანალიზით ნათელი ხდება, რომ მაღაროში პირველი ამოსაღები ველის № პორიზონტის კვერულაგში გამაგრების პასპორტი დარღვეული არ ყოფილა, ხოლო თაღის წარმოშობის შემდეგ მოხდა მისი მთლიანი გამაგრება.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენ სამსჯავრო გამოძიების დროს განიხილეთ და შეამოწმეთ, მას შემდეგ, რაც მე ამ საკითხის შესახებ მოგახსენეთ, ცხადი უნდა იყოს, რომ დასახელებული ჰორიზონტის კვერშლაგისა და მეოთხე ფენის გადაკვეთის ადგილზე წარმოშობილი თალი და მისი გადამაგრება გამოწვეული არ ყოფილა გამაგრების ტექნიკური წესების დაშლად.

აღნიშნულის შემდეგ ვსვამ კითხვას: რის საფუძველზე ედება ბრალი მალაროს მთავარ ინჟინერს თურმანიძეს და რით არის დადასტურებული ის, რომ მან ტექნიკური წესების დაცვით არ აწარმოვა გამაგრება თალის მთელ სიმაღლეზე.

ცხადია, ასეთი საფუძველი ბუნებაში არ მოიპოვება. პირიქით, საქმეში არსებული მასალებით დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ხსენებული თალის უკანასკნელი ჭარგვალური გამაგრება ჩატარებულია ტექნიკური წესის სრული დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხსენებული გამაგრება უსათუოდ დაიშლებოდა და თალი ჩამოიქცეოდა. სამსჯავრო გამოძიების მასალებით კი მტკიცედ დადგინდა, რომ № ჰორიზონტის კვერშლაგისა და მეოთხე ფენის გადაკვეთის ადგილზე გამაგრების დაქცევას ავარიამდე ადგილი არ ჰქონდა.

სამსჯავრო სხდომაზე დაკითხულმა მოწმეებმა, სპეციალურად მოწვეულმა ტექნიკურმა ექსპერტიზამ, საქმესთან დაკავშირებით შეკრებილმა მასალამ და დოკუმენტალურმა მონაცემებმა ცხადად და გარკვევით დაგვანახეს, რომ ხანძარი გამოწვეული იყო არა თალის გაუმაგრებლობით, არამედ თალის ზედა ნაწილში ნახშირის თვითანთების გზით.

ამას საბოლოოდ და უცილობლად დადასტურებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო ინსტიტუტის ცნობილი სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ დასკვნაში გარკვეულად აღნიშნავენ, რომ № ჰორიზონტის კვერშლაგში მეოთხე ფენის გადაკვეთის ადგილზე წარმოშობილი ხანძარი ენდოგენური ხასიათისაა, ე. ი. ნახშირის თვითანთებით წარმოქმნილი.

ექსპერტები იქვე ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ „ენდოგენური ხანძრის წარმოქმნის პირველი და ძირითადი მიზეზი თვითანთებაა“.

მე უფლება არა მაქვს გვერდი ავუარო და თქვენი ყურად-

დება არ გავამახვილო იმ ერთადერთი დოკუმენტის მიმართ, რომელზეც ააგო წინასწარმა გამოძიებამ საბრალდებო დასკვნის ეს ნაწილი.

ეს დოკუმენტი გახლავთ მაღაროს სარემონტო კანტორის უფროსის ი. თუხარელის ჩვენება იმის შესახებ, რომ ის თალი ბოლომდე არ იყო გამაგრებული. მოწმის ამ ჩვენებას, რომელიც სამჯავრო გამოძიებით ახლა უკვე სავსებით გაქარწყლებულია, დაეყრდნო სახელმწიფო ბრალდების ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზის დასკვნა. მაგრამ ვიკითხოთ, რა დასაყრდენია ეს საბუთი, რომელმაც დაჰკარგა ყოველგვარი პროცესუალური მნიშვნელობა, ვინაიდან სამჯავრო სხდომაზე იგი თვით მის მიერვეა უარყოფილი!

ეს უდავოა, მოსამართლენო, და აქედან გამომდინარე, უდავოა ისიც, რომ მტკიცებითი ძალა ეკარგება მეორე ექსპერტიზის დასკვნას, მით უმეტეს, რომ, როგორც აქ თვითონ ექსპერტებმა მოგახსენათ, ისინი თავიანთი დასკვნის გამოტანისას სამსჯავრო სხდომის ოქმს არ გასცნობიან. დამატებითი ექსპერტიზის ამ მიუტევებელმა შეცდომამ დაგვარწმუნა იმაში, რომ მისი დასკვნა შემთხვევის გარემოებათა დეტალურ ანალიზს კი არ ემყარება, არამედ პრაქტიკულად გაუმართლებელ თეორიულ მოსაზრებაზეა აგებული და საქმის ნამდვილ ვითარებასთან არავითარ კავშირში არაა.

ამრიგად, ბრალდების ეს ნაწილიც უკუგდებული და მოხსნილი უნდა იქნეს, როგორც საქმის მასალებთან აშკარა წინააღმდეგობაში მყოფი და დამაჯერებლობას მოკლებული ვერსია.

მაშ რა გზით უნდა ვიაროთ, მოსამართლენო, ჰუმბარტების მისაღწევად? სად უნდა ვეძიოთ ხანძრისა და, მაშასადამე, უბედური შემთხვევის ნამდვილი მიზეზი?

ამ კითხვებზე ამომწურავსა და უდავო პასუხს გავცემს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერება, კერძოდ, ქვანახშირის თვითანთების ფუძემდებელი თეორია.

ქვანახშირის თვითანთების მიზეზთა ღრმა თეორიული ანალიზი მოცემულია პირველი ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში, რომელიც თავის დოკუმენტალურ დასაბუთებას პოულობს საქმეში არსებულ მასალებსა და მოწმეთა ჩვენებებში, აგრეთ-

ვე სასამართლოს მიერ მხარეთა მონაწილეობით ჩატარებულ მალაროს ადგილობრივი დათვალიერების ოქმში.

მოსამართლენო! იმისათვის, რომ საბოლოოდ დავრწმუნდეთ მალაროს მთავარი ინჟინრისადმი წაყენებული ბრალდების უსაფუძვლობაში, თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო იმაზე. თუ რამ განაპირობა ქვანახშირის თვითანთება და რამ გამოიწვია საბედისწერო აფეთქება და ხანძარი.

წინასწარი გამოძიებით, შეკრებილი მაშალეებისა და სამკავრო გამოძიების მონაცემთა ობიექტური ანალიზით, შეგვიძლია ერთადერთი სწორი დასკვნის გამოტანა, რაც იმაში გამოიხატება, რომ № 3 ორიზონტის კვერშლაგის თაღში ხანძრის წარმოშობის შემთხვევა განეკუთვნება ამჟამად ყველაზე გავრცელებულ ნახშირ-ქანგვის თეორიის გადაწყვეტილ პრობლემათა რიგს. თუ მოცემულ შემთხვევას ამ თეორიის შუქზე განვიხილავთ, მივიღებთ უაღრესად ნათელ სურათს: აღნიშნული თაღის დიდი სიმაღლის გამო მისი ზედა ნაწილის განიავება ხდებოდა გამჭოლი ჰაერის ინტენსიური ნაკადით. ამასთან, თაღში ბუნებრივი წნევის შედეგად აუცილებლად წარმოიქმნებოდა ნახშირის ფხვნილის ამოვსებული ბზარ-ნაპრალები. ასეთ პირობებში ნახშირისა და ქანგბადის ურთიერთზეგავლენის გამო თაღის ზედა ნაწილში მიმდინარეობდა ინტენსიური დაბალტემპერატურული ქანგვა. ნახშირის თვითანთების ეს დაწყებითი სტადია, როგორც ჩანს, შემთხვევის დღეს გადაიზარდა ფხვნილის ანთებაში, რამაც ხანძარი გამოიწვია. ამასთანავე, არც ის უნდა ჩავთვალოთ გამორიცხულად, რომ ცეცხლის გაჩენას, შესაძლოა, ხელი შეუწყო ჯარჯვალური გამაგრების ზედა ნაწილში თაღის ფიცრებზე დაგროვილი ნახშირის თვითანთებამაც. როგორც მოგეხსენებათ, ამ გარემოებამ თავისი აღიარება ჰპოვა მოწმეთა ჩვენებებსა და ექსპერტიზის დასკვნებში.

დიდად საგულისხმოა, რომ საქმეში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ საბუთს, რომლის მიხედვით ხანძრის მიზეზად სხვა რაიმე იყოს მიჩნეული, გარდა ნახშირის თვითანთებისა. სიმპტომატურია, რომ თქვენ წინაშე არ წარმომდგარა არც ერთი მოწმე, ექსპერტი, სამთო საქმის სპეციალისტი, რომელიც ამ-

ბობდეს, რომ აღნიშნული ხანძარი თავისი წარმოშობით ენ-
დოგენურ ხასიათს არ ატარებდეს.

ამხანაგო მოსამართლენო!

მალაროს სარემონტო უბნის უფროსმა თუხარელმა სასა-
მართლოს უჩვენა, რომ როცა მან თაღში შეიხედა, ზედა ნა-
წილში დაინახა ცეცხლი. ეს ჩვენება უდავოდ ადასტურებს,
რომ ხანძრის გაჩენამდე თალი სრულ წესრიგში იყო; ამასვე
ადასტურებს სხვა დოკუმენტური მონაცემებიც, რომელიც სა-
სამართლოს განკარგულებაშია. თაღის გამაგრება რომ ჩატარე-
ბული იყო ტექნიკური წესების სრული დაცვით, იქიდანაც
ჩანს, რომ მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პირველ-
მა ტექნიკურმა ექსპერტიზამ. მისი დასკვნები ამ ნაწილში საე-
სებით ადასტურებენ და ნათელს ფენენ ჩემს მოსაზრებებს.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ უსაფრთხოების
წესების ოცდამესამე პარაგრაფი და მისი მეორე დამატების
შინაარსი, რომელთა მიხედვით წარმოებდა მალაროს გამაგრე-
ბის პასპორტის შედგენა. ამ პარაგრაფის მიხედვით გამაგრე-
ბაზე მთლიანად პასუხისმგებელია უბნის უფროსი. გაკვირ-
ვებას იწვევს ის გარემოება თუ რატომ, ან რის საფუძველზე
გამოდის საბრალდებო დასკვნაში პასუხისმგებლად მალაროს
მთავარი ინჟინერი და მის ქმედობას რისთვის აწერთ დანაშაუ-
ლის ნიშნებს? განა ცხადი არ არის, რომ ბრალდების ეს ნაწი-
ლიც ჰაერშია გამოკიდული, და ისიც, წინა ეპიზოდების მსგავ-
სად, სამართალში მიცემულს უნდა მოეხსნას?

გადავიდეთ შემდეგ საკითხზე.

სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელმა განსაკუთრე-
ბული ყურადღება მიაქცია თურმანიძის ვითომდა დანაშაუ-
ლებრივ უმოქმედობას, რაც თითქოს იმაში გამოიხატა, რომ
პირველი ველის №3 ჰორიზონტის მეორე, მესამე და მეოთხე
ფენების გამომუშავებული ადგილები დალამული არ აღმოჩ-
ნდა. ბრალდების ეს ნაწილიც, ისე, როგორც წინა ბრალდება-
ნი, არ შეიძლება გაზიარებული იქნას სასამართლოს მიერ,
რადგან იგი არსებითად ეწინააღმდეგება როგორც საქმის ფა-
ქტობრივ მასალას, ისე უშიშროების წესების მეოთხე პარაგ-
რაფის ოცდამეხუთე დამატებში ცალკეულ მოთხოვნას.

საქმე ის არის, რომ ბრალდებას მხედველობიდან გამორჩა

ან დაავიწყდა ის გარემოება, რომ გამომუშავებული სივრცეების პროფილაქტიკური დალაშქვა არ არის დამოკიდებული მაღაროს რომელიმე მუშაკის ნება-სურვილზე. როგორც უშიშროების წესები აკანონებენ, მაღაროში გამომუშავებული სივრცეების გამაფრთხილებელი დალაშქვა უნდა ხდებოდეს გამომუშავების დაწყებიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა.

ახლა გავარკვიოთ, როგორია ამ საკითხის არსებითი მხარე? სასამართლოს სამსჯავრო გამოძიებამ ცხადყო, რომ პირველი ველის № 3 პორიზონტის დასავლეთი ფრთის გამომუშავება გასული წლის ივლისში დაიწყო და იმავე წლის სექტემბერში დამთავრდა. აღმოსავლეთი ფრთის გამომუშავება კი დაწყებულა მიმდინარე წლის აგვისტოში და დამთავრებულა ნოემბრის თვეში.

ურყევად იქნა დადგენილი აგრეთვე ის, რომ დასავლეთი ფრთის დალაშქვის მიზნით № 3 პორიზონტის კვერშლაგიდან გასული წლის სექტემბერში გაყვანილ იქნა ექვსი მიწისქვეშა ჭაბურღილი, მაგრამ ვინაიდან ამ ჭაბურღილებით ლამის ჩაშვება ვერ მოხერხდა, თვენახევრის შემდეგ № 3 პორიზონტის საველე შტრეკიდან დამატებით იქნა გაყვანილი კიდევ ხუთი მიწისქვეშა ჭაბურღილი.

ტექნიკურად გამართლებულმა და უშიშროების წესების დაცვით ჩატარებულმა ამ ღონისძიებამ თუ საჭირო და ეფექტური შედეგი არ გამოიღო ზოგ ადგილებში ლამის ნელი გაყონვის გამო, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მაღაროს აღმინისტრაციამ და კერძოდ მთავარმა ინჟინერმა დანაშაულებრივი უმოქმედობა გამოიჩინეს.

ლოგიკური მტკიცების სიცხადისათვის დავაყენოთ რამდენიმე თანმიმდევრული კითხვა და ვუპასუხოთ მათ.

— მიიღო თუ არა მთავარმა ინჟინერმა საჭირო ღონისძიება მაღაროს დალაშქვის ჩასატარებლად? — დიახ, მიიღო!

— ხომ არ ჰქონია ადგილი უსაფრთხოების წესებით დადგენილი ვადების დარღვევას სივრცეთა პროფილაქტიკური დალაშქვის საქმეში?

— არა, არ ჰქონია!

პირველი ტექნიკური ექსპერტიზის ოქმში ვკითხულობთ:

„მაღაროს მთავარი ინჟინერი დაწესებულ ვადებში ატა-

რებდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც გამომუშავებული სივრცეების პროფილაქტიკურ დაღამვას შეეხება“.

ვფიქრობ, ყველაფერი ცხადია.

მაშ რად ედება ბრალდება მაღაროს მთავარ ინჟინერს? რა საფუძველი არსებობდა იმისათვის, რომ სახელმწიფო ბრალმდებელს დანაშაულად ჩაეთვალა ფურჩანიძისათვის ტექნიკური წესების დაუცველობა?

ცხადზე უცხადესია, რომ ბრალეულობის ეს ნაწილიც დაუსაბუთებელია და უნდა მოიხსნას.

გადავიდეთ ბრალდების იმ ეპიზოდზე, სადაც აღნიშნულია, ვითომდა, მაღაროს მთავარი ინჟინერი დანაშაულებრივ უყურადღებობას იჩენდა მაღაროში ტემპერატურის გაზომვისა და ჰაერის სინჯების აღებისადმი.

საბრალდებლო დასკვნა ამას შემდეგნაირად აყალიბებს:

„ტემპერატურის გაზომვა და ჰაერის სინჯების აღება არ წარმოებდა განსაკუთრებით ხანძარსაშიშ ადგილებში როგორც იყო, მაგალითად, № 3 კორიზონტის კვერშლაგისა და მეოთხე ფენის შტრეკის გადაკვეთაზე გამაგრებული გუმბათი“.

მოსამართლენო! საბრალდებო დასკვნის ეს ფორმულა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ხანძრის გაჩენის მომენტამდე არსებობდა მისი წარმოშობის რაიმე წინასწარი ნიშანი. უნდა შევნიშნოთ, რომ საბრალდებო დასკვნის ეს ადგილი არ არის მოკლებული ორიგინალობას, რადგან გამოდის თითქოს თურმანიძემ წინასწარ იცოდა, ხსენებული გადაკვეთის ადგილზე გამაგრებულ გუმბათში ხანძარი უნდა გაჩენილიყო, და საამისოდ არავითარი ზომები არ მიიღო. თუკი გამოძიება ასეთი მოსაზრებიდან გამოდიოდა, მაშინ რატომ არ გაამაგრა მან ეს ბრალდება მთავარი ინჟინრის მიმართ და რისთვის მოახვია მას თავზე დაუსაბუთებელი, მერყევი ბრალდებანი?

განა ამ სქელტანიან საქმეში, ამ უამრავ დოკუმენტებსა და აქტებში, მოიპოვება თუნდაც ერთი საბუთი, რომელიც მიგვითითებდეს იმაზე, რომ ჰაერის სინჯების აღებისა და ტემპერატურის გაზომვის საქმეში დარღვეული იქნა წარმოების რაიმე წესი, დრო ან ადგილი?

— არა, არ მოიპოვება!

პირიქით, სასამართლოს სამჯავრო გამოძიების დროს დაკითხულმა სამთო საქმის სპეციალისტებმა ერთხმად გვიჩვენეს, რომ მაღაროში ჰაერის ტემპერატურის გაზომვა და სინჯების აღება წარმოებდა უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

გავიხსენოთ ისიც, რომ საბრალდებო დასკვნამ უყურადღებოდ დატოვა უსაფრთხოების წესების ორას მეცხრე პარაგრაფის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მაღაროში ტემპერატურის გაზომვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ მაშინ, როცა ჰაერის სითბო 20 გრადუსს აღემატება. ამას კი, სათანადო ეურნალში ჩანაწერების მიხედვით, შემთხვევის კერის მიდამოებში ადგილი არ ჰქონია.

ამ მტკიცებათა საფუძველზე მაღაროს მთავარი ინჟინრის მიმართ ბრალდების ეს ნაწილიც დაუმტკიცებლად მიმაჩნია და იგი უნდა მოეხსნას მას.

ახლა კი მოსამართლენო, გადავდივარ უკანასკნელ ბრალდებაზე, რომლის მიხედვით თურმანიძეს ბრალი ედება მომხდარი ავარიის ლიკვიდაციის სუსტ ხელმძღვანელობაში, ვითომდა ამ საქმისადმი ზერელე და დაუღევარ დამოკიდებულებაში.

ბრალდების ეს ნაწილიც-დაუსაბუთებელია, ის ვერავითარ სად და ობიექტიურ კრიტიკას ვერ უძლებს. როგორც ჩანს, გამოძიება ზუსტად და ამომწურავად ვერც ამ ფაქტში გარკვეულა, რადგან ავარიის ლიკვიდაციისათვის ხელმძღვანელობა მთლიანად მთავარ ინჟინერს მოახვია თავს. ფაქტები კი, ეს ჯიუტი და უტყუარი ფაქტები, სრულიად სხვას მეტყველებენ, სახელდობრ იმას, რომ მომხდარი ავარიის ლიკვიდაციის ხელმძღვანელობაში იყო ორი პერიოდი: 1. როცა ავარიის ლიკვიდაციას ხელმძღვანელობდა მაღაროს მთავარი ინჟინერი, და 2. როცა ავარიის ლიკვიდაციის ხელმძღვანელობა ხელში აიღო ტრესტის მთავარმა ინჟინერმა. სარწმუნო მასალების მიხედვით პირველი პერიოდი გაგრძელდა მხოლოდ ორნახევარ საათს, რომლის შემდეგ ავარიის ლიკვიდაციის ხელმძღვანელობა იკისრა ტრესტის მთავარმა ინჟინერმა და, მაშასადამე, ამ მომენტიდან მაღაროს მთავარი ინჟინრის პასუხისმგებლობაც ამ საქმეში ამოიწურა.

რატომ ვერ შეამჩნია გამოძიებამ ეს გარემოება და რისთვის გახადა მან პასუხისმგებელი ავარიის მთელი მსვლელობისათვის ინჟინერი თურმანიძე?!

ამ განმაცვიფრებელი შეკითხვის საფუძველს გვაძლევს თვით ტრესტის ინჟინრის გიორგი ხომერიკის ჩვენება, რომლის მიხედვით მაღაროს მთავარი ინჟინერი, ხსენებული მომენტიდან განთავისუფლებული იქნა ავარიის ლიკვიდაციის ხელმძღვანელობიდან, მანვე აღნიშნა: „ამ დროიდან ავარიის ლიკვიდაციის პასუხისმგებლობა მე მეკისრება, და ამ საქმეში შახტის მთავარი ინჟინერი პასუხს არ აგებს“.

მაშ რატომ მოხდა, რომ წინასწარმა გამოძიებამ მაღაროს მთავარი ინჟინერი ავარიის ლიკვიდაციის მართვის პასუხისმგებლად გახადა იმ პერიოდშიც, როცა ის გადაყენებული იყო და მხოლოდ ტრესტის მთავარი ინჟინრის განკარგულებებს ასრულებდა? რა არის ეს, თუ არა გამოძიების ნაკლი და მანკიერება?

ამრიგად, გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს თურმანიძის რაიმე ბრალეულობა ავარიის ლიკვიდაციის ხელმძღვანელობის საქმეში და, ვფიქრობ, ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ სამართალში მიცემულს მოეხსნას ბრალდება ამ ნაწილშიც.

მაღაროს მთავარი ინჟინრის ბრალდების უკანასკნელი ეპიზოდი, სახელდობრ ის, რომ ვითომდა, მან ხანძრის გაჩენიდან 25 წუთის შემდეგ (ე. ი. დაგვიანებით) გამოუძახა სამთო მაშველ რაზმს, რითაც თითქოს დააყოვნა ხანძრის ჩაქრობა, არაფრით არ არის დადასტურებული, და გაუგებარია რას ემყარებოდა ამ საბრალდებო დასკვნის ავტორი, როცა სათანადო ეჟნრალში ზუსტად აღბეჭდილია, რომ მაშველმა რაზმმა ცნობა 2 საათსა და 15 წუთზე მიიღო. ამას ადასტურებს საქმეში დართული სატაბელო სიაც, სადაც აღნიშნულია, რომ სამთო მაშველი რაზმის ოცმეთაურის მოადგილე მაღაროში ჩავიდა 2 საათსა და 20 წუთზე, რაც მტკიცდება აგრეთვე მაშველი რაზმის სხვა მებრძოლთა ჩვენებითაც.

მოსამართლენო! ასეთი უტყუარი მხილების შემდეგ თვითონ განსაჯეთ, რამდენად სწორია საბრალდებო დასკვნის მითითება იმაზე, რომ ვითომდა მაღაროს მთავარი ინჟინრის

მიზეზით მაშველი რაზმი ხანძრის გაჩენიდან 25 წუთის დაგვიანებით იყო გამოძახებული, ფაქტობრივი სინამდვილის აშკარა დამახინჯება და უღავო გაყალბებაა.

ბრალდების მთელი უმწეობა კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ გადავხედავთ უშიშროების წესებს, რომელთა მეორე დამატებაში ხაზგასმით ნათქვამია, რომ „სამთო მაშველი რაზმის გამოძახება ევალემა მალაროს მორიგე დისპეტჩერს, ან იმ ტელეფონისტ ქალს, რომელიც სადგურში მორიგეობს“.

ამრიგად ჩვენ მივიღეთ № მალაროში მომხდარი უბედური შემთხვევის სრული და ქეშმარიტი სურათი. ამ სურათისა და სამჯავრო პროცესის მთელი მსვლელობის მეშვეობით ჩვენ მიველით იმ ღრმა რწმენამდე, რომ მალაროს მთავარი ინჟინრის თურმანიძის მიმართ წაყენებული ბრალდებანი, ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე, საქმეში არსებულ მასალებში ვერ პოულობენ ვერავითარ საფუძველსა და დადასტურებას.

ყოველივე ამის შემდეგ, უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, მოგმართოთ თხოვნით, რასაც ამ საქმეში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობა და საკუთარი რწმენა მიკარნახებს: მოეხსნას ღურმიშხან ნიკოლოზის ძე თურმანიძეს წაყენებული ბრალდებანი და გამართლებული იქნას.

ამხანაგო მოსამართლენო!

მე ვამთავრებ ჩემს დაცვით სიტყვას იმ ნათელი იმედით, რომ თქვენი სამართლიანი და ჰუმანური განაჩენი აღადგენს ჩვენი დიადი ქვეყნისათვის საჭირო სპეციალისტის უმართებულოდ შებღალულ სახელს და მას თავისი საყვარელი, საამაყო და სასიქადულო საქმიანობის ფერხულში ჩააბამს.

ს ი ზ უ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ალექსანდრე დოლიძისა
გ. გ. ცინცაძის
საქმეზე

საქმის მოკლე ზინაარსი

1952 წლის 26 ოქტომბერს ქ. თბილისში პირველი მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა საქმე სამართალში მიცემული გიორგი გიორგის ძე ცინცაძისა, რომელსაც ბრალი ედებოდა № აფთიაქის მმართველად მუშაობის დროს, N პოლიკლინიკის დირექტორის ალექსანდრე მიხეილის ძე კიკნაძის ხელის შეწყობით, 9.500 მანეთის მედიკამენტების მითვისება-გაფლანგვა. გ. ცინცაძეს ბრალი ედებოდა აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულებაში, რასაც, თითქოს, მოჰყვა ანგარიშსწორების უწყისრიგობა და სხვა ნაკლი.

სასამართლომ გ. ცინცაძეს მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა პირადი ქონების კონფისკაციით, დააკმაყოფილა სააფთიაქო სამმართველოს სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდადებულს დააკისრა მითვისებული მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება.

საკასაციო საჩივრის საფუძველზე თბილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გ. ცინცაძეს მოუხსნა გაფლანგვა-მითვისების ბრალდება და სამსახურებრივი დაუდევრობისათვის განაჩენი დაუტოვა ძალაში.

დასასრულ, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა ამ საქმეზე საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი, გააუქმა განაჩენი სამსახურებრივი დაუდევრობის ნაწილშიც და შეწყვიტა წარმოებით საქმე ბრალდების დაუდასტურებლობის გამო.

ადვოკატ ალექსანდრე დოლიძის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

ხანგრძლივი, ენერგიული და გონივრული მუშაობის შედეგად სასამართლომ და პროცესში მონაწილე მხარეებმა მიადწიეს დასახულ მიზანს: სამსჯავრო გამოძიებით, რომლის დროსაც იქნა განხილული წარმოდგენილი საქმის ყველა გარემოება, დადგინდა მატერიალური ჭეშმარიტება, შუქი მოეფინა საქმის მთელ ვითარებას და ცხადი გახდა, რომ სამართალში მიცემულ გ. ცინცაძეს არ მიუძღვის არავითარი ბრალი, ის გამართლებული უნდა იქნას და დაუბრუნდეს იმ საქმიანობას, რასაც უმწიკვლოდ და პატიოსნად ეწეოდა ორი ათეული წლის მანძილზე.

სამართალში მიცემული ცინცაძე არც წინასწარ და არც სამსჯავრო გამოძიების დროს თავს დამნაშავედ არ ცნობდა. სანდო მასალებზე დაყრდნობით ის დამაჯერებლად უარყოფდა დანაშაულის ფაქტს. მაგრამ, სამწუხაროდ, წინასწარმა გამოძიებამ არ გაუწია ანგარიში საქმის მასალებს, ცინცაძის მიერ მისადმი წაყენებული ბრალდების დასაბუთებულ უარყოფას, და ეს გახდა მიზეზი, რომ დღეს ცინცაძე საბრალდებო სკამზე ზის.

პატივეცემულმა პროკურორმა ბრალდებას მხარი დაუჭირა და მოითხოვა ცინცაძის 10 წლით მოთავსება შრომა-გასწორების კოლონიაში.

რით ასაბუთებს ასეთ მოთხოვნას ამხანაგი პროკურორი?

„გ. ცინცაძე მუშაობდა აფთიაქის მმართველად. მუშაობის პერიოდში თავის თანამდებობას იყენებდა ბოროტად, რაც გამოიხატა იმაში, რომ მიითვისა და გაფლანგა 9.500 მანეთის მედიკამენტები“, — აი, ის კონკრეტულ შინაარსს მოკლებული ზოგადი ფრაზები, რაც ამხანაგმა პროკურორმა საფუძვლად დაუდო თავის მკაცრ მოთხოვნას. მან ზედმეტად ჩათვალა მიეთითებინა თავის სიტყვაში, თუ როდის ჩაიდინა ეს

დანაშაული ცინცაძემ, რა ხერხით და რა საშუალებით, და ეს მაშინ, როცა ბრალდება მატერიალურ ფასეულობათა მითვისებაში არ შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ ბუღალტრულ გაანგარიშებას, დანაკლისის აღნუსხვას. ბრალდების ფორმულა უნდა შეიცავდეს ბრალდებულის მიერ ამ მატერიალურ ფასეულობათა მითვისების დამადასტურებელ ფაქტებს.

საბჭოთა მართლმსაჯულება, როგორც ცნობილია, კატეგორიულად მოითხოვს, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა სამართალში მიცემულს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დაუმტკიცოს ბრალდება; წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოუხსნას მას წაყენებული ბრალდება და მოითხოვოს მისი გამართლება, რადგან უდანაშაულო ადამიანის დასჯა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მძიმე დანაშაულია.

ნათლად იქნა დადგენილი, რომ გამოძიება ამ საქმეზე მიმდინარეობდა ფორმალურად. გამომძიებელს შეუგროვებია ჩვენებათა ერთგვარი კოლექცია, რომელსაც დამამტკიცებელი საბუთის ძალა არ გააჩნია. დაშვებულია საპროცესო ნორმების სხვა დარღვევებიც, კერძოდ, სამართალში მიცემული ცინცაძე არ დაუკითხავთ ბრალდების ყველა ეპიზოდის შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაში მას წაართვეს თავდაცვის უფლება, და ამით დაარღვიეს კონსტიტუციის III მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნა.

უხეშად არის დარღვეული საპროცესო ნორმები იმ მხრივაც, რომ გ. ცინცაძეს არ ვაძენს წინასწარი გამოძიების მასალები. საპროცესო ნორმების ასეთი უხეში დარღვევების გამო მე ვიშუამდგომლე თქვენს წინაშე საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების გამო, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი თხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

წინასწარი და სამსჯავრო გამოძიებით დადგენილია, რომ სამართალში მიცემულმა ცინცაძემ 1951 წლის 23 ოქტომბერს, სამუშაო საათების შემდეგ, თანამშრომლების თანდასწრებით დაკეტა აფთიაქი და წავიდა შინ საღამოს 8 თუ 9 საათზე. იმ ღამით პოლიკლინიკის დირექტორს ალ. კიკნაძეს ეზოდან ფანჯარა გაუტეხია და აფთიაქში შესულა. იქიდან კი ხელგაჭრილი და სისხლით მოსვრილი გამოსულა. ეს უნახავთ პოლიკლინიკის თანამშრომლებს და გაუგიათ დაცვის გუშაგებს. სა-

გუშაგოს უფროსს ამხ. ხარაძეს გატეხილი აფთიაქის დასაცავად დაუყოვნებლივ გამოუგზავნია მცველი შაროვი, რომელიც კიკნაძის თანამშრომლებს გორგჯილაძესა და პეტროვას უკან დაუბრუნებიათ იმ მოტივით, რომ თვით ჩვენ უზრუნველყოფთ აფთიაქის შენობის დაცვასო.

დადგენილია ისიც, რომ კიკნაძე შემთხვევის შემდეგ ივანოვის მანქანით გამგზავრებულა ქალაქს, მაგრამ შინ კი არ მისულა, არამედ ღამის 12 საათზე ბინაზე მიუკითხავს პოლიციის ექიმ კელენჩხერიძისათვის, ხოლო მერმე კლარა ცეტკინის ქუჩაზე ვილაც, გამოძიებით დაუდგენელ პირთან 15-20 წუთი დარჩენილა. არ არის შესწავლილი, თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ასეთი საექვო „გასეირნება“ ღამით მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. ეს მით უფრო საექვოა, რადგან კიკნაძე ერთ ხანს მალავდა ამ ფაქტს.

კიდევ მეტი, შემთხვევის მეორე დღეს, 24 ოქტომბერს დილით, სამსახურში გამგზავრების წინ, კიკნაძე და სამართალში მიცემული ცინცაძე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისში, რუსთაველის გამზირზე. შემდეგ ერთი საათის განმავლობაში ავტობუსით ერთად იმგზავრეს და ამ დროის განმავლობაში კიკნაძეს არაფერი უთქვამს 23 ოქტომბერს მომხდარი შემთხვევის გამო. ამ ფაქტის დამალვა კიკნაძემ პროცესზე იმით ახსნა, რომ მეორე დღეს ეს შემთხვევა აღარ ახსოვდა. საექვო გულმავიწყობაა!

24 ოქტომბერს, როცა სამართალში მიცემულმა ცინცაძემ თავის თანამშრომლებთან ერთად აფთიაქი გააღო და ნახა, რომ იგი გატეხილია და იატაკი სისხლითაა მორწყული, აღშფოთებულმა გამოუძახა კიკნაძეს, ამ უკანასკნელს ყურით არ დაუბერტყია. მართალია კიკნაძე აფთიაქში შევიდა, მაგრამ არაფერი უცნობებია ცინცაძისათვის. პირიქით, მან ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს პირველად ჩედავდა გატეხილ აფთიაქს და გასისხლიანებულ იატაკს, თუმცა მას, რა თქმა უნდა, ამ დროს თვალწინ ედგა საკუთარი მოქმედების სურათი.

კიკნაძემ, ნაცვლად იმისა, რომ ახლა მაინც ეთქვა ყველაფერი, განაგრძო თვალთმაქცობა და იმით „დაეხმარა“ ცინცაძეს, რომ მომხდარი ფაქტი აცნობა მილიციის განყოფილებასა და სააფთიაქო სამმართველოს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების თაობაზე მილიციის მუშაკებმა შეადგინეს აქტი. ამ დროს კიკნაძეც იქ იყო, რადგან აქტში თანამოწმეაა მოხსენებული, მაგრამ დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, ხელის მოწერის მომენტში ის ადგილზე არ აღმოჩნდა. ისმის კითხვა: რატომ გაიპარა კიკნაძე? — შეიძლება სინდისმა შეაწუხა, გარშემორტყმულ ხალხს თვალი ვერ გაუსწორა და თავისი საქციელით შეძრწუნებულმა თავი მოარიდა მათ? — სრულიადაც არა! მას რომ სინდისის ქეჯნა განეცადა, უნდა ელიარებინა დანაშაული, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, 1951 წლის 23 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე, მაშინ, როცა მილიციის მუშაკები გულმოდგინედ დაეძებდნენ ბოროტმოქმედების კვალს, კიკნაძე და მისი თანამშრომლები გორგულაძე და პეტროვა საგამომძიებლო ორგანოებს უმალავდნენ მომხდარ ფაქტს.

პოლიტგანყოფილების უფროსმა სამართალში მიცემულ ცინცაძეს მხოლოდ 2 ნოემბერს ე. ი. 10 დღის შემდეგ, აცნობა, რომ აფთიაქი კიკნაძის მიერ აყო გატეხილი, რასაც თვით კიკნაძე აქამდე კატეგორიულად უარყოფდა.

დღეს მართლმსაჯულებამ უნდა განსაჯოს და დაადგინოს, თუ ვინ არის დაკარგული მედიკამენტების მიმთვისებელი: სამართალში მიცემული ცინცაძე, როგორც ამას ფიქრობს საბრალდებო დასკვნის ავტორი, თუ კიკნაძე, რომელიც უკვე მიცემულია პასუხისგებაში.

სასაქართველოს ყურადღება მინდა მივაპყრო შემდეგ გარემოებას: ამ საქმეში კიკნაძის თანამშრომლები გორგულაძე და პეტროვა, პატიოსნად არ გამოიყურებიან. მათ იცოდნენ აფთიაქის გატეხის ფაქტი და სამართალში მიცემულ კიკნაძესთან ერთად მალავდნენ ამ შემთხვევას, კიდევ მეტი, გატეხილი აფთიაქის ქონების დასაცავად გამოგზავნილი გუშაგი შაროვი ამ პირებმა უკან გააბრუნეს, რაც დასტურდება ამ უკანასკნელთა და დაცვის უფროსის ხარაძის ჩვენებებით. სამწუხაროდ, გამომძიებამ არ ისურვა ამ საკითხის შესწავლა.

საბრალდებო დასკვნაში განვითარებულია ვერსია, თითქოს სამართალში მიცემულ ცინცაძეს „ადრე: აფთიაქის გატეხამდე ჰქონდა მითვისებული 9500 მანეთის მედიკამენტები“. ეს ვერსია საქმის მასალით არ დასტურდება. ეს არის მხოლოდ

მოსაზრება. გამოძიებას, რა თქმა უნდა, შეეძლო დაეშვა ასეთი მოსაზრება, წამოეყენებია ასეთი ვერსია, როგორც შესაძლებელი, მაგრამ ვალდებული იყო გულდასმით შეესწავლა იგი, შეემოწმებინა საქმის მთელი მასალა, ყოველი წვრილმანი ხსენებულ ასპექტსა და მიმართებაში. ეს ასე არ მომხდარა, და ამიტომაც აღნიშნული ვერსია პაერშია გამოკიდებული.

დავუშვათ ერთი წუთით, რომ კიკნაძემ, მართალია, გატეხა აფთიაქი, მაგრამ არაფერი მიუთვინებია, უპატრონოდ დატოვა ღია შენობა და წავიდა. ხომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ამით ისარგებლა სხვა ვინმემ და გაიტაცა მედიკამენტები? აი, ვერსია, რომელიც მოითხოვდა მაქსიმალურ ყურადღებას, დიდ დაკვირვებას, გულდასმით შემოწმებას, მაგრამ საგამომძიებლო ორგანოს ამის შემოწმებით თავი არ შეუწუხებია.

სამსჯავრო გამოძიების პროცესში კიკნაძის დამცველი ცდილობდა დაერწმუნებია სასამართლო, თითქოს შემთხვევის დამეს კიკნაძე იყო პათოლოგიურად მთვრალი და დაზიანებული ხელის შეხვევის მიზნით გატეხა ჯანჯარა და შევიდა შიგ. ვფიქრობ, სასამართლო ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, რადგან კიკნაძე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებს არ შეუმოწმებიათ და მისი პათოლოგიური სიმთვრალე არაფრით დასტურდება.

კიკნაძეს აფთიაქი ხელის შეხვევის მიზეზით არ გაუტეხია, ეს ცხადია. თუ მან ხელი სხვაგან დაიზიანა და არა აფთიაქის გატეხის დროს, შეეძლო ხელი შეეხებია პოლიკლინიკაში, რომლის დირექტორად თვითონ ითვლებოდა.

ისმის კითხვა: თუ სამართალში მიცემული კიკნაძე 23 ოქტომბერს პათოლოგიურად მთვრალი იყო, როგორ აძლედა მითითებებს მანქანის მძღოლს ივანთვს, როცა ამ უკანასკნელთან ერთად „სეირნობდა“ ქალაქში? აი, კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც კიკნაძეს ამხელს სიცრუეში: თუ ის უგრძობლად მთვრალი იყო, როგორ მოაგონდა გაეფრთხილება ივანოვი, არ გამამხილო, თბილისში რომ მნახე შემთხვევის დამესო!

კიკნაძემ მაშინაც არ აღიარა აფთიაქის გატეხის ფაქტი, როცა მეორე დღეს მისმა თანამშრომლებმა ყველაჟერი

თქვეს- რატომ მოიქცა ასე? რისი ეშინოდა? რად დასჭირდა დაემალა შემთხვევა, თუ დამნაშავე არ იყო?

უდავოა, კიკნაძე შეგნებულად ფარავდა დანაშაულის კვალს, რაც დასტურდება მოწმეთა ჩვენებითა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით.

საბრალდებო დასკვნის ავტორს დადგენილად მიაჩნია, რომ კიკნაძე აფთიაქში შევიდა „გაქურდვის მიზნით, მაგრამ განზრახვა ვერ შეასრულა ჩელის გაჭრის გამო“.

აღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლოა. კიკნაძე არავის უნახავს აფთიაქიდან გამოსვლის დროს. მას შეეძლო მედიკამენტების გადამალვა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ სისხლის წვეთები მიემართებოდა საპირფარეოსოაკენ და ამას შემთხვევის ადგილზე მყოფი მილიციის მუშაკები ადასტურებენ.

მოწმეთა ჩვენება, რომ კიკნაძეს არაფერი გამოუტანია აფთიაქიდან, არაღამაჯერებელია, რადგან მოწმეები პეტროვა და გორგილაძე, კიკნაძესთან ერთად დიდხანს მალავდნენ აფთიაქის გატეხის ფაქტს, და თვით ისინიც, როგორც ითქვა, მეტად საეჭვოდ გამოიყურებიან.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სამართალში მიცემულმა კიკნაძემ 1951 წლის ოქტომბრის აქტით გამოვლინებული დანაკლისის გადამოწმება მოითხოვა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თანდასწრებით. ამით მან ფაქტიურად ცნო თავისი მატერიალური პასუხისმგებლობა გამოვლინებულ დანაკლისზე. კიკნაძეს, როგორც ჩანს, ეპკვი ეპარებოდა დანაკლისის რაოდენობაში, ის ფიქრობდა, რომ ნაკლები იყო, მაგრამ გადამოწმების შემდეგაც მისი რაოდენობა უცვლელი დარჩა.

დასასრულ, იმის მტკიცება, რომ აფთიაქის ფანჯრიდან ვერ გამოიტანდნენ 9500 მანეთის მედიკამენტებს, არაღამაჯერებელია. ფანჯრიდან, საიდანაც აფთიაქში თავისუფლად გადავიდა სამართალში მიცემული კიკნაძე, გაცილებით მეტი საქონლის გამოტანა შეიძლებოდა.

ამრიგად, სამართალში მიცემული ცინცადის მიმართ ბრალდება არ დასტურდება. ის დამყარებულია მარტოოდენ საბრალდებო დასკვნის ავტორის უსაფუძვლო მოსაზრებებზე. არც ერთი მოწმე არ ამხელს ცინცაძეს სახელმწიფო ქონების მით-

ვისებაში და არც სხვა მასალები ამხელს მას დანაშაულში.

რაც შეეხება ბრალდებას სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლით — ცინცაძის მიმართ არც ეს დასტურდება. იმ წესის მიხედვით, რომელიც არსებობს სააფთიაქო სამმართველოს სისტემაში, ანგარიშსწორება და აღრიცხვა მას კარგად პქონდა დაყენებული. ამიტომ ბრალდება ამ ჩაწილში პროკურორმა მას სამართლიანად მოუხსნა.

ვამთავრებ რა ჩემს სიტყვას, მიწდა გაგახსენოთ, რომ საქმის მასალებით, ცინცაძის პიროვნება ყოველმხრივ დადებითად ხასიათდება.

პატივცემულო მოსამართლენო! სათათბირო ოთახში თქვენ დრო და საშუალება გექნებათ მოახდინოთ საქმის ღრმა ანალიზი. დარწმუნებული ვარ, არ წახვალთ უმართებულო გზით, კრიტიკული თვალთ შეაფასებთ ცინცაძის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, განსჯით მათ საფუძვლიანობას და მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ ცინცაძეს ბრალი არ მიუძღვის.

ამ რწმენით გამსჭვალული გთხოვთ, მოუხსნათ ცინცაძეს წაყენებული ბრალდება და გაამართლოთ იგი, როგორც სრულიად უდანაშაულო.

ს ი ზ უ ვ ა

საქმის ადვოკატთა კოლეგიის წევრის
პეტრე ინასარიძისა
ვ. გ. თამარაშვილის
საქმეზე

საქმის მოკლე შინაარსი

1958 წლის ზაფხულში ქარელის რაიონის № სოფელში 18 წლის თამარ თამარაშნელმა ტანისამოსზე ბენზინი გადაისხა, ცეცხლი წაიკიდა და უკაცრიელ ველზე გაიქცა. ცეცხლი გაძლიერდა და რამდენიმე წუთის შემდეგ თვითმკვლელი ფერფლად იქცა.

ამ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150 მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით, სამართალში იქნა მიცემული ვაჟა გიორგის ქე თამარაშვილი.

საქმე განიხილა ქ. გორის სახალხო სასამართლომ, რომელმაც ვ. გ. თამარაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

ადვოკატ პ. პ. ინასარიძის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ვ. თამარაშვილი უდანაშაულოდ ცნო და საქმე წარმოებით შეწყვიტა.

ადვოკატ პეტრე ინასარიძის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

1958 წლის გაზაფხულის ერთი დღე N სოფლის მოსახლეობისათვის დიდხანს დარჩება მწარე მოსაგონრად. ამ დღეს აქ მოხდა დიდი ტრაგედია. ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალიშვილმა გაურკვეველი მიზეზით ტანისამოსზე ბენზინი გადაისხა, ცეცხლი წაიკიდა და ალში გახვეული მინდვრად გაიქცა. ქალის გადარჩენის ყოველგვარი ცდა ამაო აღმოჩნდა, იგი ტრაგიკულად დაიღუპა.

სულ მალე, ორი-სამი კვირის შემდეგ ამ 'შემზარავ ამბავს გამოეხმაურა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. „„ცუდი მეგობრობა გცოდნიათ, ამხანაგებო!“ — წერდა გაზეთი № სოფლის იმ ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც ახლო იყვნენ დაღუპულ თამარ თამარაშნელთან.

ასე იწყება ამ საქმის ისტორია.

სამართალში მიცემული ვ. თამარაშვილის დანაშაული, ბრალდების ფორმულის მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ ის ინტიმურ ურთიერთობაში იმყოფებოდა თამარ თამარაშნელთან, რომელმაც ვერ აიტანა ბრალდებულის დანაშაულებრივი საქციელი და შებღალული სიცოცხლე თვითმკვლელობით შეწყვიტა.

მეტად რთული და ფართოა სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის დისპოზიცია, რომელიც დაზარალებულის თვითმკვლელობამდე მიყვანას ითვალისწინებს. ვ. თამარაშვილს ბრალი ედება სწორედ ამ მუხლის მიხედვით. აბა, წარმოიდგინეთ თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტორთა პერიპეტიები! ისინი უსაზღვრო თვალსაწიერს და განუსჯელი ზრახვების სამყაროს მიეკუთვნებიან.

ამჯერად რთულია არა მარტო იურიდიული, არამედ ფსიქოლოგიური ანალიზიც, რომელმაც უნდა გვიჩვენოს პროცესში მონაწილე ადამიანთა და, კერძოდ, თამარ თამარაშნელისა და

ვაჟა თამარაშვილის სულიერი სამყარო, რათა შევიცნოთ მათი ზრახვები, რამაც თითქოს, სავალალო აღსასრულამდე მიიყვანა ახალგაზრდა ქალი.

აქ თუ სათანადო იურიდიულ და ფსიქოლოგიურ ანალიზს ვერ მოვახერხებთ, მაშინ არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი მართლმსაჯულება ასცდება ჰეშმარიტ გზას და მივა უმართებულო დასკვნამდე. ხოლო თუ ჩვენ ნათელეყოფთ დაზარალებულის დაღუპვის ნამდვილ მიზეზებს, ამით გავიადვილებთ ბრალეულობის სიღრმის გაგებას.

ჩემთვის, როგორც სასამართლოსა, ისე მხარეებისათვის, სისხლის სამართლის დანაშაულის გახსნის საქმეში, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ცნობილი იურიდიული ფორმულა მიზეზისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულების და მიმართების შესახებ. ჩვენ მიერ წარმოდგენილი იურიდიული ღირებულების დასკვნებიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ფონზე შეიძლება იქნეს გამოსახული.

საქმეში არსებული მასალებისა და მათ საფუძველზე წარმოებული, როგორც წინასწარი, ისე სასამართლო-სამსჯავრო გამოძიებით, ჩვენ — მხარეებსა და სასამართლოს შემადგენლობას — შეიძლება ერთი შთაბეჭდილება შეგვექმნეს. ის გამოხატავს თამარ თამარაშვილის და ვაჟა თამარაშვილის გარშენო შექმნილ გარემოებათა კომპლექსს. ისინი იყვნენ ახლობლები, მეზობლობითა და შორეული ნათესაობით დაკავშირებულნი და ბავშვობიდანვე ერთად აღზრდილნი. თამარს მამა რომში დაეღუპა, დედაც ადრე გარდაეცვალა. პატარა თამარი შეიფარა მისმა ჰამიდამ ეკატერინე თამარაშვილმა, მაგრამ ვაი ასეთ შეფარებას... ძმისწულს მამილა ავი დედინაცვლის როლში მოევლინა, ზრდიდა შეუბრალებლად, არაადამიანურად, მსახურად გაიხადა, მკაცრად ეპყრობოდა და აუტანელ სულიერ და ფიზიკურ ტანჯვას აყენებდა.

მოწმე ვალიშვილი უჩვენებს:

„თამარ თამარაშვილი და ვაჟა თამარაშვილი ერთად იზრდებოდნენ. მათ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. თამარი მამილამ გაზარდა, მაგრამ უფრო მოსამსახურედ ჰყავდა, დიდიდან საღამომდე ამუშავებდა, უდიერად ეპყრობოდა, არ აც-

მევედა, აშიმშილებდა, იყო შემთხვევა, ღამით გარეთ გაგა-
ბულ თამარს მინდვრად, ხნულეებში ეძინა ხოლმე“.

აი, მეორე მოწმის ქელეხსაშვილის ჩვენება, რომელიც ავ-
სებს ვალიშვილის ნაანბობს:

„მე ვიცი, რომ ეკატერინე თამარაშნელი“ ძალიან ცუდად
ეპყრობოდა თავის ძმისწულს, რომლის აღზრდაც იკისრა მან.
ხშირად სახლიდან აგდებდა; სცემდა. ტუქსავდა, შეურაცხყო-
ფას აყენებდა და იმის ნებასაც კი არ აძლევდა, რომ სადმე
ემუშავა და ლუკმა პური ეშოვნა“.

გავყვეთ მოვლენათა განვითარებას:

ერთხელ თამარ თამარაშნელს, როგორც იტყვიან ბედი
კარზე მიადგა — მას მთხოვნელი გამოუჩნდა, მაგრამ, ვაი, რომ
ამჯერადაც, ბედნიერებას წინ გადაუდგა ისევე მაძიდა-დედი-
ნაცვალი.

მოწმე ვახტანგ გურასპაშვილმა დაადასტურა:

„მე მინდოდა თამარის ცოლად შერთვა. ეკატერინესთან
მივგზავნე კიდევ მოციქულად ჩემი და, მაგრამ იგი კეტით გა-
მოაგდო. თამარი მშრომელი ქალიშვილი იყო, ობლად გაიზარ-
და, პატიოსნებით სავსე იყო, სხვებსაც უნდოდათ მისი შერთ-
ვა, მაგრამ მაჰიდამისი ამის ნებას არავის აძლევდა, რადგან ის
მოსამსახურედ უნდოდა. ეკატერინე თამარს მამაკაცის შრომას
ავალებდა — შეშას აჩეხინებდა, მიწას აბარვინებდა, ვენახს
ათოხნინებდა, ხოლო მისთვის კაბასაც არ ყიდულობდა. ხში-
რად მინახავს თამარი თოვლსა და ყინვაში ფეხშიშველი და
ტანზე შემოხეული“.

დააკვირდით, მოსამართლენო, სრულიად ახალგაზრდის, ჭერ
კიდევ ბავშვის გაუხარელ ცხოვრებას, მის აუტანელ მდგომარე-
ობას შინ და გარეთ, ოჯახსა და საზოგადოებაში. სახლიდან გა-
გდება, დამცირება, შეურაცხყოფა, სიტიტვლე, შიმშილი და
ყველაფერი ეს მძიმე და აუტანელი შრომის სანაცვლოდ. თქვენ
ხედავთ, თამარი აღრე თუ გვიან, ნებით თუ უნებლიეთ უბე-
დურების მსხვერპლი უნდა გამხდარიყო და მან აირჩია ყვე-
ლაზე საშინელი გზა — ნებით განშორებოდა ამ სატანჯველს
და ამით ზღვარი დაედო თავისი მძიმე ხვედრისათვის.

თამარის საბედისწერო ნაბიჯს წინ უსწრებდა კიდევ ერთი
ცნობილი ბოროტება — ცილისწამება. მოგეხსენებათ, აღამიანი

ხშირად ჭორისა და ცილისწამების მსხვერპლი გამხდარა. ასეთი შემთხვევა ბევრი იცის სასამართლო პრაქტიკაში. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. საქმის ერთობლივად აღებული მასალები ამას აშკარად ადასტურებენ.

ჭერ ფიქთხოთ: როლის და ვისი მიზეზით მივიდა თვითმკვლელობის განზრახვამდე თამარ თამარაშნელი? ეს კითხვა აღელვებს არა მარტო სასამართლოს შემადგენლობასა და მხარეებს, არამედ აქ დამსწრე საზოგადოებასაც, რომელიც არანაკლები გულისყურითა და ინტერესით ელოდება პროცესის შედეგს.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ და ისევ საქმის მასალებს უნდა მივმართოთ.

როგორც სასამართლოს მოეხსენება, საქმეში შექმნილია ვერსია, რომლის მიხედვით, სოფლის წყაროზე და ისიც თურმე დღისით, სამართალში მიცემულმა თამარაშვილმა სცადა თამარ თამარაშნელის გაუპატიურება. ეს ამბავი თითქოს გამჟღავნდა სოფლად და ამან გამოიწვია თამარის თვითმკვლელობა.

მოხდა თუ არა სინამდვილეში ასეთი რამ, და როგორია მტკიცება ბრალდებისა, რომელიც თქვენ წინაშეა წარმოდგენილი?

მთელი რწმენით, მტკიცე დაჭერებითა და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ხსენებულ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. ბრალდების ვერსია წინასწარ გამოძიებაში ისევ და ისევ ეკატერინე თამარაშნელის ცრუ, უსაფუძვლო და მოგონილ ჩვენებაზეა დამყარებული.

აი, რა უჩვენა მან წინასწარსა და სამსჯავრო გამოძიებას:

„თამარ თამარაშნელი ჩემი ძმისშვილია. როცა ის 17 წლის გახდა, ვაჟა თამარაშვილმა მასთან საექვო ურთიერთობა გააბა. ერთ დღეს თამარი ვაჟასთან ერთად წავიდა სოფლის წყაროზე წყლის მოსატანად. როდესაც მას შეაგვიანდა, მე გამოვედი სახლიდან გარეთ და გავემართე წყაროსაკენ. უცხად შემომესვა რაღაც ხმაური, დავინტერესდი, მივუახლოვდი და დავინახე. თამარი მიწაზე იწვა, თავს იცავდა, ყვიროდა, ხოლო ვაჟა გამეტებით სცემდა გულ-მკერდზე და დამორჩილებას ლამობ-

და. ჩემს შეძახილზე ვაჟა გაიქცა, მაგრამ ქული, მისი აკაკობის მაჩვენებელი ნივთი, იქ დარჩა, და ახლა თქვენთანაა“.

ამ საკმარისად დაწყობილ და ბელეტრისტულად გამართულ ჩვენებას შეიძლება აზრი ჰქონოდა სხვა დროს და სხვა პირობებში, მაგრამ ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგან საქმეში არსებული უტყუარი და უცილო საბუთებით იგი არ დასტურდება.

საინტერესოა, როგორ ახსნა ეკატერინე თამარაშნელის მიერ დახატული სურათი ვაჟა თამარაშვილმა — ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სამართალში მიცემული უჩვენებს:

„მე 16 წლისა ვარ. თამარს ბავშვობის მეგობრად ვთვლიდი, ნათესავად მეკუთვნის და ერთად ვიზრდებოდით. ჩვენ ხშირად ერთად ვთამაშობდით და არასოდეს არ წავჩხუბებდით. ამ შემთხვევაშიც ასე იყო: წყაროსაკენ უზრუნველი საუბრით აუჩქარებლად გავემართეთ, ნელი ნაბიჯით მივდიოდით, გზადაგზა ვჩერდებოდით, წყაროსთან მივედით, ერთ ხანს ვისაუბრეთ, შემდეგ მე იქვე მახლობელ ხეზე ავედი და შემთხვევით ქული გადმოვივარდა. ამასობაში ეკატერინეს ყვირილი შემოგვესმა. ის გაბრაზებული მოვარდა, მიწვედა თამარს და ცემა დაუწყო. მე შემეშინდა, ჩამოვხტი ხიდან და გავიქეცი. ქული კი დამრჩა, ეს მართალია“.

ამასვე ადასტურებს ხსენებული წყაროს მახლობლად მცხოვრები ქსენია წიქარაშვილი, რომელსაც დაუნახავს აღწერილი შემთხვევის ყველა დეტალი.

მოწმე წიქარაშვილი უჩვენებს:

„მე ვხედავდი, წყაროს გვერდით, მუხის ჩრდილში ძხვნიან თამარი და ვაჟა. ისინი წყნარად საუბრობდნენ. არავითარი ეჭმალღებულებული ლაპარაკი, მით უფრო ყვირილი, არ გამოვლინა, ოღონდ, როცა ეკატერინემ მოირბინა, მაშინ ყურა მოვკარი თამარის ტირილს“.

ამასვე ადასტურებს მოწმე ვიქტორ ვალიშვილი:

„ვეცხოვრობ სკოლის ეზოში, რომლის მახლობლად არის წყარო, საიდანაც თამარ თამარაშნელი წყალს ეზიდებოდა ხოლმე. შემთხვევის დროს სკოლის მახლობლად ვიდექი და დავინახე, როგორ მივიღნენ ნელი ნაბიჯით წყაროსთან თამარი და

ვაჟა. არაფერი ყვირილის მსგავსი, ან ხმაური არ გამოგონია“-
წავიდეთ წინ. თამარ თამარაშნელი იმის შექმდეგ, რაც მა-
მიდა-დედინაცვალმა ცემა-ტყეპით წამოიყვანა წყაროდან, ოთ-
ხი დღე ებრძოდა თავის თავს; ამ ხნის მანძილზე ჩაკეტილი იყო
სახლში და ხალხს ემალებოდა. მან იცოდა, რომ სოფლად დარ-
ხეული იყო მისი სახელის გამტეხი და შემარცხვენელი ჭორი-
მამიდამისი ყველას ეჩურჩულებოდა თამარისა და ვაჟას თით-
ქოსდა საეჭვო ურთიერთობაზე. მეოთხე დღეს ამას დაერთო
ეკატერინეს ლანძღვა-გინება, რომლითაც იგი გაუმასპინძლდა
თამარის სანახავად მოსულ მეგობრებს და უზომოდ შეურაცხ-
ყოფილმა ქალმა გადაწყვიტა თავის მოკვლა, გადაწყვიტა და კი-
დეც შეასრულა.

ახლა ყური ათხოვეთ თამარის უკანასკნელ სიტყვას. აი, რა
უთხრა მან სიკვდილის წინ სამედიცინო პერსონალს:

„ჩემი ცოდვა ედოს ჩემს მამიდას, მან ცილი დამწამა და
აქამდე მიმიყვანაო“.

ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია.

მიუხედავად ამისა, საბოლოო და მტკიცედ დასარწმუნებ-
ლად თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ადგილობრივი ხელი-
სუფლების წარმომადგენლის მოწმე პ. გლურჯიძის ჩვენებას,
რომელშიც ნათქვამია:

„ეკატერინე თამარაშნელს არც ჩემთან და არც არავისთან,
არსად, არასოდეს არ გაუცხადებია, რომ ვაჟამ თამარი გააუპა-
ტიურა ან ამის შცდულობა ჩაიდინა“.

პატივცემულო მოსამართლენო! სასამართლო-სამსჯავრო გა-
მოძიებამ თავისი საპატიო როლი პირნათლად შეასრულა და
ნამდვილად გაფანტა ის ბურუსი, რომელიც მანკიერი გამოძი-
ების შედეგად ფარავდა ამ საქმეს. მანვე გამოავლინა ვაჟა თა-
მარაშვილის მიმართ წარდგენილი ბრალდების უსაფუძვლობა.
ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო
ბრალდების წარმომადგენელი აქ თქვენ წინაშე მაინც იცავს,
მე ვიტყვოდი, სრულიად უნიადაგო პოზიციას.

ვნახოთ რა დაუღო საფუძვლად თავის მოსაზრებებს ბრალ-
მდებელმა, როდესაც მოითხოვა სამართალში მიცემულის დას-
ჯა სისხლის სამართლის კოდექსის 150 მუხლის მიხედვით:

როგორც მოისმინეთ, ბრალმდებლის სიტყვა ემყარებოდა

ორ გარემოებას: დაზარალებულის მამიძის ეკატერინე თამარაშნელის ჩვენებას და თვით დაზარალებულს, რომელსაც თითქოს ძალადობის ნიშნები უეჭველად შეეტყობოდა, რომ ის საუბედუროდ არ დამწვარიყო.

არც ერთი ეს დებულება არ შეიძლება გამოდგეს ბრალდების მტკიცების საფუძვლად, რადგან მათ არ გააჩნიათ საჭირო და აუცილებელი საყრდენი. ორივე გარემოება საეჭვო და საეგებისია. ეკატერინე თამარაშნელის ჩვენება, როგორც დავინახეთ, არაფრით გამართლებული არ არის, პირიქით, იგი უარყოფილია საქმეში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით.

ექსპერტიზის აქტში კი ნათქვამია:

„ვინაიდან თამარ თამარაშნელს დამწვარი აქვს სხეულის სამი მეოთხედი, ამიტომ ძალადობის შედეგად მიყენებული სხეულის დაზიანებანი არ შეიძლება ეტყობოდეს.“

დიდად დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ვაჟა თამარაშვილი ამჟამად 16 წლისა და 8 თვისაა, მაგრამ თამარ თამარაშნელის თვითმკვლელობის დროს ნხოლოდ 15 წლისა და 7 თვის იყო და, მაშასადამე, საეჭვოა, რომ ამ დროისათვის იგი სქესობრივად მოწიფებული ყოფილიყო.

სასამართლოს კარგად მოეხსენება, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანის მოტივები თავისი სპეციფიკური ბუნებით მეტად რთული და მრავალმხრივია. სასამართლო პრაქტიკაში შეინიშნულია, რომ თვითმკვლელობას ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს მატერიალურად ან სამსახურებრივად დამოკიდებულ პირთა შორის კონფლიქტი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც თვითმკვლელობა ცილისწამების, დაცინვის, დამცირებისა ან შეურაცხყოფის შედეგად ხდება. ამასთან, მტკიცედ დადგენილია, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანის ობიექტი შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც რაიმე დამოკიდებულებაშია დანაშაულის სუბიექტთან.

ხოლო დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება ასე იქნეს წარმოდგენილი: ნაკაცი მოპყრობა დაზარალებულისადმი, დაზარალებულის თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა და მიზეზობრივ კავშირი მათ შორის — ბო-

როტი დაცინვა, მზაკვრული ცილისწამება, სისტემატური დევნა, მძიმე შეურაცხყოფა და სხვ. ამასთანავე ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევებში დანაშაული სუბიექტური მხრით შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. გაუფრთხილებლობით ამ დანაშაულის ჩადენა მაშინ ხდება, როცა დამნაშავე არ ითვალისწინებს დაზარალებულის თვითმკვლელობის შესაძლებლობას და იმედოვნებს მის აცილებას.

არც ის უნდა იყოს გაუგებარი, რომ განზრახ ასეთი დანაშაულის ჩადენა შეიძლება იყოს მხოლოდ ევენტუალური, ე. ი. არაპირდაპირი ხასიათისა; ამ დროს დამნაშავე სუბიექტი შეგნებულად უშვებს დაზარალებულის თვითმკვლელობას.

ასეთია ამ დანაშაულის იურიდიული ანალიზიდან გამომდინარე დასკვნები.

მე მაქვს სრული საფუძველი განცვიფრება გამოვთქვა სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნის გამო, რითაც სამართალში მიცემულის მიმართ დანაშაული დადგენილად არის მიჩნეული და ამიტომ მისი დასჯა უდავო და გარდაუვალ მსჯავრდაა ალიარებული. ეს მაშინ, როდესაც სამართალში მიცემულის მოქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები საერთოდ არ არსებობს და მათი ძებნის ყოველგვარი ცდა წინასწარვე განწირულია. ეს თვალსაჩინოდ დამტკიცდა სამსჯავრო გარემოების შედეგად.

განა პროკურორმა რაიმე დაასაბუთა? რით შეუძლია მას დაგვარწმუნოს, რომ თამარაშვილმა დანაშაული ჩაიდინა? ბრალეულობის რომელი ფორმით მოითხოვა მან სამართალში მიცემულის დასჯა? ამ კითხვების პირდაპირი პასუხები უარყოფითი ხასიათისაა.

მოსამართლენო! ბევრი აქ დამსწრე, შესაძლოა, არადამსწრეც, მათ შორის ზოგიერთი იურისტიც, რომელიც ღრმად და ყოველმხრივ არ დაუფლებია სამართლის მეცნიერებას, იტყვის, რომ მოცემული დანაშაულის შედეგი ძალიან მძიმეა,

ტრაგიკულია, და ვილაცამ ხომ უნდა აგოს პასუხი ასეთი მოქმედებისათვისო.

ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ერთ რამეში შეიძლება დავეთანხმეთ ასეთი აზრის გამომთქმელს: შედეგი მართლაც ძალიან მძიმეა, მაგრამ რაგინდ მძიმე და ტრაგიკულიც არ უნდა იყოს ის, ყველა გონიერი იურისტი მხოლოდ სამართლისა და კანონის ჭეშმარიტებისაგან უნდა გამოვიდეს და ამ გზით სრულფასოვან იურიდიულ დასკვნამდე მივიდეს.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ N სოფელში დატრიალებული ტრაგედია მეტად მძიმეა. მაგრამ აქედან სრულიად არ გამოდინარეობს დასკვნა, რომ ამ მოქმედებისათვის ვაჟა თამარაშვილმა უნდა აგოს პასუხი სისხლის სამართლის წესით.

სამართალში ნიციემულს არ ჩაუდენია ისეთი მოქმედება, რაც რაიმე მხრით იყოს დაკავშირებული ამ ტრაგედიასთან, არ ჩანს მოქმედების მიზეზობრივი მიმართება შედეგთან, მაშასადამე არც დანაშაულია.

თამარ თამარაშნელი თავისი მამიდის უდიერი, უხამსი, არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლია. ამით ვაჟა თამარაშვილმა დიდი სულიერი ტრამვა განიცადა, მან დაკარგა თანშეზრდილი მეგობარი, სულიერად მახლობელი ადამიანი. მაშ, რატომ უნდა ვაქციოთ დამნაშავედ ის, ვინც ასეთი მეგობრის ტრაგიკული ზღაპრით მხოლოდ თანაგრძნობას იმსახურებს. მართლმსაჯულება, რომელიც აღჭურვილია ღრმა და ჰუმანური გრძნობებით, ჭეშმარიტი და ლოგიკური გონიერებით, ასეთ რამეს ვერ ჩაიღენს, უდანაშაულო ადამიანს ვერ დასჯის. აქმარეთ, მოსამართლენო, ვაჟა თამარაშვილს ის ტანჯვა, რაც უმან ამ საქმესთან დაკავშირებით განიცადა!

ამხანაგო მოსამართლენო!

სამსჯავრო გამოძიებამ დამაჯერებლად დაადასტურა ის უღიგო გარემოება. რომ ვაჟა თამარაშვილი თამარ თამარაშნელთან არ ყოფილა იმგვარ ურთიერთობაში, რასაც შეეძლო ბრალეუ-

ლი ვითარების შექმნა. ისინი არასოდეს არ ყოფილან ერთმანეთისადმი ცუდად განწყობილნი, მით უფრო უკანასკნელ ხანებში, როცა მათ შორის დამყარდა წმინდა და უანგარო მეგობრობა.

მე მინდა დაგარწმუნოთ, რომ თამარ თამარაშნელის საშინელ სიკვდილში ვაჟას არავეითარი ბრალი არ მიუძღვის. არ არსებობს არავეითარი მიზეზობრივი კავშირი მის მოქმედებასა და მომხდარ შედეგს შორის.

ყოველივე ეს მაძლევს უფლებას ვიშუამდგომლო თქვენ წინაშე, რათა სამართალში მიცემულ ვაჟა თამარაშვილს მოუხსნათ დაუმსახურებლად წარდგენილი ბრალდება და გამოუტანოთ მას გამამართლებელი განაჩენი.

ს ი ზ ყ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
კლეოპატრა კალანდაძისა
ილზა სუნას
საქმეზე

საქმის მოკლე შინაარსი

არასრულწლოვანი ილზა სუნა მიცემული იყო პასუხისგებაში სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების 1 მუხლით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

საქმე გაარჩია ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სამართლომ 1960 წლის 21 მარტს. ილზა სუნას სისხლის სამართლის კოდექსის 98 მუხლის გამოყენებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა წელიწადნახევრით.

იმავე წლის 27 მარტს აღვოკატ კლეოპატრა კალანდაძის სასაციო საჩივრის საფუძველზე საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დაამტკიცა განაჩენი იმ შესწორებით, რომ თავისუფლების აღკვეთა ილზა სუნას შეუცვალა იმავე ვადის პირობითი სასჯელით, გაათავისუფლა პატიმრობიდან და აღსაზრდელად ჩააბარა დედას, რომელიც დამცველის ზრუნვით მოძებნილი იქნა ლატვიის სს რესპუბლიკაში.

ადვოკატ კლემენტრა კალანდაძის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ლატვიელი გოგონა ილზა სუნა არასრულწლოვანია. ის ცხოვრებაში გამოუცდელი, ჯერ სრულიად ნორჩი, მოუმწიფებელი გოგონაა, თუმცა ომის საშინელ ცეცხლში გამოვლილი და ბევრი მძიმე გაჭირვების მხილველი. მიუხედავად ამისა, ილზა იურიდიულად პასუხს აგებს თავის მოქმედებაზე. მაგრამ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა ცხოვრებისათვის მოუწაღებელი, სათუთი ბავშვის მიმართ გამოვიჩინოთ განსაკუთრებული გულისხმიერება და საბჭოთა კანონისათვის ნიშანდობლივი მაღალი ჰუმანურობით მოვეკიდოთ არასრულწლოვანი დამნაშავეის საქმეს.

ამას გვავალებს ჩვენი მორალი, შეგნება და ადამიანობა. ამის საფუძველს გვაძლევს ჩვენი სამართლიანი კანონმდებლობა და პირუთენელი მართლმსაჯულება.

ასეთის რწმენით და ამ შეგნებით მივიღე მე მონაწილეობა პროკურატურის დავალებით ილზა სუნას საქმის წინასწარ გამოძიებაში და, როგორც საბჭოთა ადვოკატს შეეფერება, სიმართლის ძიებით შთაგონებულმა, გადავწყვიტე მეკისრა დამნაშავეის სკამთან უნებურად მისული ქალიშვილის დაცვა.

გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელი ჩვენი საქმე მეტად რთული და საინტერესოა არა მარტო საპრაღუებო დასკვნის მიხედვით, არამედ თავისი არსებითი შინაარსითაც.

სამართალში მიცემულ ილზა სუნას ბრალი ედება მასში, რომ ის სამი წლის განმავლობაში უსაქმოდ ხეტიალობდა ჩვენს რესპუბლიკაში და ეწეოდა წვრილმანი ნივთების დატაცებასა და მითვისებას. სუნას ბრალად ედება აგრეთვე ისიც, რომ შეეცადა თბილისში ერთ-ერთი დაწესებულებიდან მოეპარა მაუდის სამი სუფრა და ბუფეტრიდან გაეტაცა პროდუქტები. მან

ეს განზრახვა ვერ შეასრულა დანაშაულობის ჩადენის ადგილზე დაკავების გამო.

ვიდრე ბრალდების არსებით მხარეს შევეხებოდე, ნება მიბოძეთ მოვაგონოთ სამართალში მიცემული ილზას პატარა, მაგრამ უბედურებით სავსე ცხოვრების ისტორია, ამასთან, ისიც, თუ ვით შეეძელი დამედგინა მისი წარსული, აღმოჩინა ღვიძლი დედა და ოჯახის სხვა წევრები.

სამამულო ომის ქარცეცხლში ბევრი თბილი კერა დაინგრა, ბევრი მტკიცე ოჯახი დაიშალა. ასეთ ოჯახთა შორის აღმოჩნდა ლატვიელ იან და მერი სუნების ოჯახიც. მათი უმცროსი შვილი ილზა სუნა ერთ ხანს ახლო ნათესავეებს აფარებდა თავს, შემდეგ უგზო-უკვლოდ გადმოიხვეწა აღმოსავლეთისაკენ და მახლობლების სითბოსა და სიყვარულს მოკლებული, აღამიანური ხვედრის მოლოდინში, ცხოვრების დანაშაულებრივ გზას დაადგა.

მე პირველად ილზა საპატივროში ვინახულე ამ სამი თვის წინათ. საგამომძიებლო მასალები მის მიმართ ძუნწი აღმოჩნდა — არ იყო დადგენილი მისი მშობლებსა და თვით მისივე ვინაობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ცნობას, რომ წარმოშობით ის ლატვიიდან იყო. მალე დაერწმუნდი, რომ ამაში ნაწილობრივ თვით ილზასაც მიუძღოდა ბრალი: მას არ სურდა ვინმესთვის გადაეშალა გული, მოეთხორო თავისი თავგადასავალი, ეთქვა საიდან და როგორ აღმოჩნდა საქართველოში და რატომ დაადგა ამ მოლიპულ გზას.

ილზამ მეც კუშტად მიმიღო; მხოლოდ მისი მღუღარე ცრემლი ამხელდა, რომ მეტად მძიმედ განიცდიდა თავის ტრაგედიას. ალბათ, ამით აიხსნება, რომ მან ჩემი ყურადღება მიიპყრო და მისი ბედიღბლით დავინტერესდი.

როცა ილზა მეორედ ვინახულე, მასში უკვე გარდატეხა შევნიშნე, და თუმც კვლავ ტიროდა, ცოტა რამ მაინც მიაშპო თავის თავზე. ეს იყო 6 თებერვალი, იმ დღეს მას 17 წელი შესრულდა.

მესამედ ნახვისას მან გულახდილად მიაშპო, რომ დედ-მამა ლანდალ ანსოვს, არ იცის ცოცხლები არიან თუ არა. როცა ლატვია ფაშისტების ხელში აღმოჩნდა, მშობლები და უფროსი ძმა სადღაც გადაიკარგნენ, ხოლო ის ქ. რიგაში იზრდებოდა

მოხუც და მკაცრ ნათესავ ქალთან; შემდეგ დაიძრნენ ლტოლვილები აღმოსავლეთისაკენ. 14 წლის ილზა საქართველოში ჩამოვიდა ბედის საძიებლად.

ამის შემდეგ მე მივიღე გადამწყვეტი ზომები ილზას დედნამოს აღმოსაჩენად. თქვენ მოწმენი ხართ იმისა, თუ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს 14 წლის შემდეგ მშობელი და პირმშო. სამწუხაროდ, ილზას მამა ვერ იზიარებს ამ შეხვედრის ბედნიერებას — ის წამებით მოუკლავთ ფაშისტებს, ილზას დედა კი აი, აქ დგას თქვენს წინაშე და მოელის თქვენს სამართლიან მართლმსაჯულებას.

მერი მაინც ბედნიერია: მან ორივე შვილი იპოვნა, მისი ვაჟიშვილიც, რომელიც დიდხანს უცხოეთში იმყოფებოდა, სამშობლოში დაბრუნებულა და შორიდან ესალმება აღმოჩენილ დედას და დას. ახლა მას ერთი სახარუნავი აქვს: საბოლოოდ აღიდგინოს დანგრეული ოჯახი.

როგორ მოხდა, რომ ომის დროს, როცა განსაკუთრებული ვურადღებითა და გულისხმიერებით ეპყრობოდნენ ჩვენში უპატრონო ბავშვებს, ილზამ ვერ იპოვა თავშესაფარი?

ამის მიზეზი გახდა ის, რომ იგი მოხვდა იმ ადამიანთა წრეში, სადაც აბუჩად არის აგდებული შრომა და პატიოსნური ცხოვრება.

მიუხედავად ზეგავლენისა, შიმშილის, გაჭირვების და მოხეტიალე ცხოვრებისა, მან მაინც შეინარჩუნა სიწმინდე და უმანკოება, რაც დასტურდება ამ საქმეში არსებული უცილობელი მასალით.

ილზა ცდილობდა ემუშავნა შინამოსამსახურედ, მაგრამ უჭირდა დეალების შესრულება. ის ხშირად ხელფასსაც კი არ თხოულობდა და მხოლოდ თავშესაფართა და ლუკმა პურიით კმაყოფილდებოდა. მას მრავალ ოჯახში ჰქონდა საშუალება მოეპარა ძვირფასი ნივთები, მაგრამ მხოლოდ მისთვის საჭირო და აუცილებელ წვრილმანებს იპარავდა — კაბას, პირსახოცს, წინდებსა და, რაც ფრიად საგულისხმოა, მხოლოდ თავისი ფეხის ზომის ფეხსაცმელს.

თვალი გადაავლეთ მოწმეთა ჩვენებებს. თქვენ იცით, რომ არც ერთ დაზარალებულს არ მიუმართავს მილიციის ორგანოებისათვის და არ უძებნია ოჯახიდან გაქცეული ილზა და

მიტაცებული ნივთები და თუ ეს მოწმეები დღეს აქ არიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ილზამ სათითაოდ ჩამოთვალა ისინი და უჩვენა მათი მისამართები, ისიც უჩვენა თუ — სად უცხოვრია, რა მოუპარავს და როგორ მოუხმარია.

მინდა მოგაგონოთ მოწმე აკაკი შაქარაშვილის ჩვენება, როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო გამოძიების დროს მიცემული. „ილზამ ჩვენს ოჯახში დაჰყო ათი დღე. პირველი დღიდანვე მან თავისი წესიერი სიტყვა-პასუხით, ქცევითა და მოქმედებით ჩვენი ოჯახის წევრების სიყვარული და ნდობა დაიმხახურა. ჩვენ არაფერს ვუკეტავდით; სახლი კი სავსე გვქონდა ტანსაცმელით, თეთრეულით, გვქონდა აგრეთვე რამდენიმე თქროს ბეჭედი, საათი, და ყველაფერი ეს ღია კარადაში ინახებოდა.

ილზა წავიდა და არ დაგვემშვიდობა, ამან გაგვაკვირვა, შემდეგ მივხვდით ჩუმად წასვლის მიზეზს — მას წაეღო სრულიად უვარგისი ძველმანები, და როცა ეს გავიგეთ, სინანული ვიგრძენით—რატომ არ გვითხრა, თუ ასე უჭირდა, უფრო მეტს ვაჩუქებდით და ისე გავისტუმრებდით“.

განა ასეთი ჩვენება არ მოწმობს იმას, რომ ილზა შემთხვევითი დამნაშავეა? რომ მისი გამოსწორებისათვის არ არის საჭირო თავისუფლების აღკვეთა? პირიქით — მისთვის მშობლიური სიბო და მზრუნველობაა საჭირო.

ბრალდების იმ ნაწილის გამო, სადაც საკითხი საზოგადო და სახელმწიფო ქონების მითვისებას ეხება, შემდეგი უნდა მოგახსენოთ: ილზამ აქ გულწრფელად გიამბოთ, რომ ის დეკემბრის ერთ სუსხიან საღამოს, როცა მას ღამის გასათევი ადგილი არ ჰქონდა, შეიბრალა (გამოძიებით დაუდგენელმა პირმა) ამალიამ და შეიყვანა ერთ-ერთი დაწესებულების შენობაში. ილზას განმარტებით, მან საწერი მაგიდის მაულის სამიღ სუფრა საბნის მაგივრად გამოიყენა, ხოლო მათი წაღება არც უფიქრია; რაც შეეხება იმავე დაწესებულების ბუფეტიდან 180 მანეთის ღირებულების პროდუქტების წაღების მცდელობას, ილზა ამაზე პასუხობს: „ამალიამ იმ ღამეს ბუფეტიდან სასმელ-საჭმელი ამომიტანა, თანაც, გახვეული პროდუქტებიც გადმომცა — ხეალ აქედან რომ გახვალ, დაგვირ-

დებო, და მეც სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან რიგიან საქმელს დანატრებული ვიყავიო“.

პატივცემულო მოსამართლენო! არ გედავებით სამართალში მიცემულის ბრალდების კვალიფიკაციის შესახებ, და ვაცხადებ, რომ არსებითად საბრალდებო დასკვნა სწორია. ყველა ის ქმედობა, რაც ილზამ ჩაიდინა, კანონსაწინააღმდეგოა, მაგრამ ჩვენი მართლმსაჯულება არ არის ფორმალური, ის შორსმჭვრეტია და ყოველი კონკრეტული დამნაშაის ბედ-იღბლის გადაწყვეტის დროს ანგარიშს უწყევს თვით პიროვნებას და იმ გარემოს, რომელშიც დამნაშვეს მოუხდა სწორი გზიდან გადახვევა.

მე ვიმედოვნებ, რომ თქვენი ჰუმანური განაჩენით ერთხელ კიდევ გაიმარჯვებს სამართლიანობა, ვიმედოვნებ, რომ ამდენი ხნით დაშორებულ დედა-შვილს თქვენ ერთმანეთს ხელმეორედ აღარ დააშორებთ.

გთხოვთ, გაავრცელოთ ილზაზე ის შელავათი, რაც ჩვენს კანონმდებლობაშია გათვალისწინებული.

გთხოვთ, გამოუტანოთ ილზას პირობითი სასჯელი, აღადგინოთ მისი ადამიანური ღირსება და გადასცეთ ის დედას, რომელსაც შესანიშნავ დახასიათებას აძლევს სამსახური.

აკმარეთ ტანჯვა ამ ორ ადამიანს: დაუბრუნეთ დედას დაკარგული შვილი. ამით გაიმარჯვებს სიმართლე: ბოროტების მიზეზით დაშორებულ პირმშოს ჩაიბარებს სიყვარულის შედეგად მოპვებული მშობელი.

ს ი ზ უ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის

ილია კაშიასი

ა. ბ. ლომთათიძის

საქმეზე

საქმის მოკლე ზინაარსი

1956 წლის 1 აპრილს, დამის 10-11 საათზე, ბორცმოქმედმა კისრის არეში დანით ოთხი ჭრილობის მიყენებით მოკლა № რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის დარაჯი, 72 წლის მოხუცი ი. ნ. იმედაძე. იმედაძე მოკლულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, როცა შაშხანით ხელში დარაჯობდა ბაზრის მიდამოებში განლაგებულ სავაჭროებს.

ამ მკვლელობასთან დაკავშირებით რაიონის პროკურატურის მიერ პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული ბაზრის მახლობლად მცხოვრები ა. ბ. ლომთათიძე.

საბრალდებულს აქტის მიხედვით ლომთათიძემ ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა იმედაძე. სამართალში მიცემულს ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლის „ა“ პუნქტით.

საქმე განიხილა № რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელმაც ლომთათიძე დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა ლომთათიძის საკასაციო საჩივარი და განაჩენი დატოვა ძალაში.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა რესპუბლიკის პროკურორის მიერ გაპროტესტებული ეს განაჩენი და სასამართლო კოლეგიის დადგენილება, და საქმე დამატებით ძიებისათვის გადასცა პროკურატურას.

ამჟერადაც, საქმის ხელმეორედ გარჩევისას, ლომთათიძე ცრობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა მას იგივე სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

დასასრულ, ეს საქმე საკახაციო წესით განიხილა აჭარის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ, რომელმაც გააუქმა ლომთათიძის საქმეზე არსებული განაჩენი და საქმე წარმოებით შესწყვიტა ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

სამართალში მიცემულ ა. ბ. ლომთათიძეს იცავდა ადვოკატი ი. ჭ. ჭაშია.

ადვოკატ ილია კაშიას სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

ჩვენს დიად სამშობლოში ყველაფერი მხოლოდ იმისათვის არის განკუთვნილი, რომ ადამიანებმა სიყვარულით, სიკეთითა და ბედნიერებით იცხოვრონ, მშვიდობიანი შრომის მონაპოვართა დასტკბენ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ გარემოში ზოგჯერ სიკვდილის ცელით აღიმართება ადამიანის შავი სილუეტი. მხეცად ქცეული მკვლეელი გაურბის ნათელს, უკანასკნელ ბილიკებს ტოვებს და ხალხის მკაცრი განაჩენის მოლოდინში დგას უფსკრულის სანაპიროზე.

მე არ მიკვირს, ამხანაგო პროკურორო, თქვენი აღშფოთება და მძვინვარება. თქვენ მართალი ხართ, როცა ითხოვთ მკვლელის დასჯას, მსგავსი მოვლენის გამეორების შესაძლებლობის მოსპობას.

დიხს! ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ... და აი, სწორედ ამ „მაგრამიდან“ იწყება ჩემი და პატივცემული პროკურორის პოზიციების დაპირისპირება. ჩვენ არსებითად ერთი აზრის ვართ და სიმართლისაკენ მიმავალი სხვადასხვა გზები აგვიჩევია. ვნახოთ. ჭისი გზა არის უფრო. სწორი, უფრო მართებული!

ამხანაგო მოსამართლენო!

თქვენ ბევრი რამ იცით პრაქტიკიდან; გაგიგონიათ, გინახავთ, რომ მოქალაქე პასუხისგებაში მოუციათ, გაუსამართლებიათ, დაუსჯიათ, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ის გაუმართლებიათ და ისევ მშრომელთა მწყობრში ჩაუყენებიათ. შეხვედრიხართ საპირისპირო მოვლენებსაც.

მართლმსაჯულებასაც მოსდის ხანდისხან შეცდომები. შეცდომა დასჯასა და გამართლებაში თანაბრად მძიმე და თითქმის ერთნაირად დაუშვებელია. ის სახელს უტეხს მართლმსაჯულებას. თუ სადმე არის საჭირო სიფრთხილე, დაკვირვება, პირუთ-

ვენლობა, ასჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა — ეს ყველაფერა სწორედ აქ არის აუცილებელი.

სიმართლით მოჭრილი ხელი ნაკლებად მტკივნეულია, დაუშსახურებელი მადლობაც საწყენია.

იყო მსაჯული და შეგეძლოს „ქმნა მართლისა სიმართლისა“ — დიდი, მაღალი და საპატიო საქმეა.

ახლა აქ მოხმობილია ყველა მასალა ქვეშარიტების გზის გასაგნებად. ამ მასალიდან პატივემულმა პროკურორმა სამართალში მიცემულ ლომთათიძეს მეტად მკაცრი ბრალდება წაუყენა.

თქვენთვის ცნობილია, რომ განზრახ ჩადენილ მკვლელობას აქვს თავისი მიზეზი, ესა თუ ის მოტივი. ან საქმეში ასეთი დებულებაა წარმოდგენილი: „სამართალში მიცემულმა ლომთათიძემ იმედაძის მკვლელობა ჩაიდინა ექვეიანობის ნიადაგზე. ამ უკანასკნელს ინტიმური კავშირი ჰქონდა ლომთათიძის მეუღლესთან. 1 აპრილს ღამით, როცა იმედაძე საგუშაგოზე იდგა საბრძოლო უაშხანით ხელში, მას მიეპარა ლომთათიძე და ზურგიდან კისრის არეში დანით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა“.

ამ, ვითომდა, პატარა მონახაზში მრავალი საკითხია დაფარული და ყოველი მათგანი ჯანსაღ გადაჭრას მოითხოვს.

დავიწყოთ პირველი და ძირითადი საკითხიდან: რატომ მოკლეს იმედაძე? ვის რა დაუშავა 72 წლის უწყინარმა მოხუცმა? იგი იმ ღამით საჭირო და საპატიო მოვალეობას ასრულებდა, იდგა იარაღით ხელში და სახელწიფო ქონებას დარაჯობდა.

იმედაძე მოკლეს, ღამით, მიპარვით... არავენ იყო ამ ამბის მოწმე. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს საქმეში არავითარი პირდაპირი სახის მხილება.

მაშ, რა ხდება? ეს ლიტერატურული გასამართლება ხომ არ არის, ლომთათიძე აქ რომელიმე რომანის გმირად ხომ არ გვევლინება და ის ბრალდებულის მოჩვენებით როლს ხომ არ ასრულებს? არა, პირიქით, მწარეა სინამდვილე, რომლის პერსონაჟი დღეს ბრალდებულია, იგი პატიმარია, სამართალში მიუციათ, მკვლელობა დაუბრალებიათ. დაუბრალებიათ კი არა,

ამ საქმის გამომძიებელი და ბრალმდებელი ქვას ქვაზე არ ტოვებენ და დიდი რიხით, პათოსით გვიმტყიცებენ მის დანაშაულს.

— რით, რა მასალით, რის საფუძველზე? — ვეკითხებით მათ, და ისინიც გვპასუხობენ:

— დიახ, ნამდვილად ლომთათიძემ მოკლა იგი და არა სხვა ვინმემ, სწორედ მას და არა სხვას ჰქონდა საფუძველი მოეკლათ. დიახ, იმედაძე ინტიმურ კავშირში იყო ლომთათიძის ახალგაზრდა ცოლთან. ამ ნიადაგზე ის ხშირად სცემდა თავის მეუღლეს — ანას, და ბოლოს, როცა მოთმინების ფიალა აევსო, შურისძიებით გაშმაგებულმა მოკლა იმედაძე და ამით გზიდან ჩამორცილა მისი სიყვარულის ურცხვი და უტიფარი მონაწილე.

ზოგჯერ ეკვიანობა მართლაც ასეთი სამწუხარო შედეგით მთავრდება, მაგრამ ვის შეუძლია დაგვარწმუნოს, რომ ექვი ყოველთვის ასეთ ნაყოფს იძლევა?

ამხანაგებო, მოგეხსენებათ, რომ ჩვენთვის საყურადღებო შემთხვევის მსგავსი მოვლენა გამონაკლისია, და ყველამ იცის, რომ უმეტეს შემთხვევაში ცოლ-ქმარს შორის აღძრული ექვი მათი განშორებით მთავრდება. აქ მართო ეკვიანობა როდღე კმარა. უტყუარი საბუთია საჭირო, ვინაიდან ადამიანის ღირსებას ვიცავთ.

მივყვეთ კვალდაკვალ, მოსამართლენო, ბრალდების საბუთებს.

1956 წლის 7 აპრილს დაკითხულ იქნა სამართალში მიცემული ლომთათიძის მეუღლე ანა. მან აჩვენა, რომ ინტიმური კავშირი ჰქონდა იმედაძესთან, რაც ქმარმა შეუტყო და ამ ნიადაგზე ხშირად სცემდა მას. ის განაგრძობს: „შემთხვევის დამეს, გვიან, როცა შვილთან ერთად სახლში დავბრუნდი მეუღლე ჩაცმული დამხვდა, ტახტზე იჯდა და გამალებით ეწეოდა თამბაქოს. მითხრა: თუ ვინმემ მიკითხოს ნუ იტყვი, რომ დაწოლილი დამტოვე და შემდეგ ავდექიო“.

პატივცემული პროკურორი ამის გამო ამბობს: ღამის ეს პატარა სურათი, ის ფაქტი, რომ ანას მართლაც ჰქონდა იმედაძესთან ინტიმური კავშირი, ისეთი გულუბრყვილო კაცი-

სათვის, როგორც ლომთათიძე, საკმარისი იქნებოდა იმედა-
ძის მოკვლისათვის?

მე უნდა გამოგიტყდეთ: კინალამ ჩემზეც იმოქმედა ამ მოჩ-
ვენებითმა ჰეშმარიტებამ. მაგრამ უცებ გაიფანტა ბურუსი და
ხელთ შემრჩა უნებურად შემცდარი მოპირდაპირე. მას სჯერა,
რასაც ამტკიცებს; ეს ღირსებაა ორატორისა, მაგრამ ხომ უნ-
და ვიკითხოთ: სინამდვილეა თუ არა ის, რაც ჩვენ გვწამს და
გვჯერა?

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საბუთი — ანას ჩვენება, რაც
ამ საქმეში ბრალდების მხარემ მოიტანა, მართლაც ეჭვის აღმ-
ძვრელია და, შეიძლება ითქვას, რომ ამ ჩვენების წყალობითაა
ლომთათიძე პატიმრობაში ორნახევარი წლის მანძილზე. მე კი
ამ საბუთის — ანას ჩვენების გასაბათილებლად, იმავე ანას
შემდგომ ჩვენებებს მოვიმარჯვებ.

ფაქტია, რომ ანას ეს ჩვენება, აქ ურყევ საბუთად წარ-
მოდგენილი, არის აღრიხნდელი, უკეთ, თავდაპირველი. ამის
შემდეგ ის დაკითხულია სამჯერ, ერთხელ — გამოძიებისას და
ორჯერ სამსჯავრო პროცესზე. ამრიგად, ჩვენ წინაშეა მისი
ოთხი ჩვენება.

საქმე ის არის, რომ ანამ უკანასკნელ ჩვენებებში უარყო
თავისი პირველი ნაუწყები. მან ახსნა: თავდაპირველად ის
იძულებული გახდა ეთქვა სიცრუე, მაგრამ არა მავნე სიცრუე.

აქ მინდა ავხსნა: ჰქონდა თუ არა საფუძველი ანას ეთქვა
სიცრუე და გამართლებულია თუ არა ის ფსიქოლოგიურად?

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ 2 აპრილს, ღამის 3
საათზე, გაჩხრიკეს მკვლელობის მახლობელ ადგილას მცხოვ-
რები ლომთათიძის ბინა და დააკავეს ეჭვმიტანილი ბრალდ-
ებული. მეორე დღეს დააკავეს მისი მეუღლე, რომელიც 12 აპ-
რილამდე პატიმრობაში იმყოფებოდა.

ანას აწუხებს უპატრონოდ მიტოვებული ბავშვების ბედი,
ოჯახის მდგომარეობა. ქმარიც პატიმარია, მასაც პატრონობა
უნდა. ასეთ პირობებში მოქცეული ქალი ეძებს გამოსავალს
და ფიქრობს რომ მისი ხსნის ძაფი გამომძიებლის ხელშია.

მაშინ მის გონებაში გაიელვა ასეთმა აზრმა: მოდი, ვიტყვი
სიცრუეს. გამიშვებენ და ოჯახს დავუბრუნდები; შესაძლოა,

ჩემს მეუღლეს ამან ზიანი მიაყენოს, მაგრამ ეს დროებითი იქნება. მე ხომ ვიცი, ის მართალია და სიმართლე თავის გზას არ დაკარგავს. ყველაფერი გამოირკვევა, და ჩემი მეუღლეც დაპატივებს უნებლიე შეცდომას და სიცრუესო.

და ანამ თქვა სიცრუე, მან მოატყუა გამომძიებელი. ის იმავე დღეს გაათავისუფლეს. ეს ყოველივე მან გულახდილად ახსნა შემდგომ დაკითხვებში და, ვფიქრობ, თქვენც მოგახსენათ საკმაოდ სარწმუნოდ.

ამ სიცრუით მან მოიპოვა თავისუფლება. მას არა აქვს იურიდიული განათლება, საკმარისი გამოცდილება, და არ იცოდა, რომ მისი დაპატიმრება უკანონო იყო. ამ უკანონობას ანამ შესაფერისად უპასუხა და, ნათელია, რომ ასეთი გზით მიღებული მისი პირველი ჩვენება წუნდებულა.

მაგრამ არ იფიქროს ვინმემ, თითქოს ამ გზით გამომძიებელს ქვებს ვუშენდე. არა, ამხანაგებო — სხვა გრძნობა, გარდა სიმართლისადმი ერთგულებისა არ ამოქმედებდა ამ შემთხვევაში გამომძიებელს. ის, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერად მოქმედებდა. მაგრამ უნებურად შეცდა, მან გულუბრყვილოდ დაიჭერა, რომ იმედაძის მკვლელი ლომთათიძეა. ის, სამწუხაროდ, თავიდანვე მცდარი შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ მოექცა. საქმე ის არის, რომ შემთხვევის დამესვე მკვლელობის ადგილზე მისულმა დაცვის უფროსმა მას შთააგონა ლომთათიძის თითქოს უეჭველი ბრალეულობა. „ნამდვილად მისი მოკლულია, მის ცოლს ინტიმური კავშირი ჰქონდა მოკლულთან, სხვა მტერი ამ მოხუცს არ ჰყოლია“.

აბა, რით უნდა აიხსნას ლომთათიძის ასე სასწრაფოდ დაპატიმრება? გარდა ამ ზეპირი განცხადებისა გამომძიებელს არაფერი ხელთ არ ჰქონია. ამ წაჩურჩულებით გადადგა მან ეს ნაბიჯი, დარწმუნებით შეუდგა მკვლელის საქმის გახსნას. მან არ გასინჯა სხვა ვერსიები, არ შეისწავლა იმედაძის ურთიერთობა სხვა პირებთან, არ დააყენა სხვა საკითხი, არ შეფიქრია. მას შეეძლო დაეშვა, მაგალითად, რომ იმედაძე მძარცველების მიერაა მოკლული.

აბა, რას უნდა მივაწეროთ ასეთი უცნაურობა. დარაჯს ჰქონდა შაშხანა, ის ადგილი, საიდანაც მას უნდა მიჰპარვოდნენ

ქვაფენილია. იმედაძეს შეეძლო გაეგონა ფეხის ხმა. საფიქრებელია მას არ ეძინებოდა. საღამოს 10 საათზე, მკვლელობამდე 20 წუთით ადრე იგი შეამოწმეს და ფხიზლად აღმოჩნდა. ყველაფერი ეს დიდად საყურადღებოა.

სავარაუდოა, რომ მკვლელი მასთან მივიდა, როგორც „ახლობელი“, გაესაუბრა მას, შემდეგ მოხერხებული მომენტი იხელთა და ვერაგულად მოჰკლა. აქ უნდა გაკერით შევნიშნო, რომ საქმეში არსებობს მასალა, რომელიც შეფარვით მიუთითებს იმედაძის ნამდვილ მკვლელს. მაგრამ ამჟამად ამისათვის ჩვენ არ გვცალია.

დიახ, გამომძიებელი დაცვის უფროსის ჩაგონებით, წინასწარაკვიატებული რწმენით მიუდგა საქმის გამოძიებას, კეშმარიტების ძიებას. ამიტომ სჭირდებოდა მის ვერსიას ანას „ალი-არება“.

მაგრამ ანამ, როგორც ითქვა, თვითონვე უარყო თავისი პირვანდელი ჩვენება. ამით გამოძიების მიერ შეკოწიწებულ ხუხულას სერიოზული ბზარი გაუჩნდა, ამიტომ მისი მტკიცება გონივრული განსჯის საფუძვლად არ გამოდგება.

ხოლო იმის გადასაწყვეტად, თუ ანას რომელ ჩვენებას დაეჯერება — პირველსა თუ მომდევნოებს, უნდა მოვნახოთ სხვა მასალები, სხვა სარწმუნო და აუცილებელი დოკუმენტები.

ეს მასალებიც მოიპოვება საქმეში და თვით პატივცემული პროკურორის მიერ წარმოებულ კვლევაში და წარმოთქმულ სიტყვაში.

მეორე საბუთი მოწმე ჩალაძის ჩვენებაა. ჩალაძე 75 წლის მოხუცია, პენსიონერი, წერა-კითხვის მცირემცოდნე. იგი სახლის მეპატრონეა — ლომთათიძის ოჯახი მისი მდგმურია. მათ შორის, ჩანს, არ ყოფილა კეთილი განწყობილება.

ამ მოწმესაც ერთი და იგივე ფაქტის ირგვლივ მიცემული აქვს ჩვენება ოთხჯერ: ორჯერ წინასწარი გამოძიების დროს, ორჯერ სასამართლო პროცესზე.

წინასწარი გამოძიების პირველი დაკითხვის ოქმში მისი ჩვენება ისე არის ჩამოყალიბებული, როგორც ეს პატივცემულმა პროკურორმა მოგახსენათ: თითქოს ჩალაძემ იცის.

რომ მკვლელობამდე 3—4 თვით ადრე სამართალში მიცემულმა ლომთათიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ანას, ბარგი გარეთ გამოუყარა და ოჯახიდან დაითხოვა იმის გამო, რომ იმედაძესთან ინტიმურ კავშირს აბრალებდა. შემდეგ, მეზობლების ჩარევით შერიგდნენ ისინი და უკანასკნელ ხანებში ტკბილად ცხოვრობდნენ.

პირველ სამსჯავრო სხდომაზე ჩალაძემ უარყო ეს ჩვენება. „ასეთი არაფერი მითქვამს და ვერც ვიტყოდი, რადგან ასეთ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონიაო“. — განაცხადა მან. დასასრულ დაუმატა: „აქ რაღაც გაუგებრობაა, ალბათ იმიტომ, რომ მე წაუუკითხავად მოვაწერე ხელი ჩვენებასო“.

ასეთი ჩვენება გაიმეორა მან ახლაც, თუმცა არ უარყო ლომთათიძის მიერ ანას ცემის ფაქტი, მაგრამ დასძინა, როპ ეს მოხდა არა ექვიანობის ნიადაგზე, არამედ იმის გამო, რომ ანამ სცემა გერს და ამით ქმრის გულისწყრომა გამოიწვიაო. საგულისხმოა, რომ ეს ფაქტი თვით ხსენებულმა გერმაც დაადასტურა; არ უარყოფენ მას არც ბრალდებული და მისი მეუღლე.

აიმღვრა წყალი, ამხანაგო პროკუროროს ვერ ვხედავთ იმას, რაც თქვენ ასე დაბეჭითებით გსურთ დაინახოთ, და ირკვევა, რომ ჩალაძის ჩვენებას ჩალის ფასიც არა აქვს.

როგორც დაგინახეთ, არც ეს საბუთი გამოდგა. ჰუმმარიტების დასადგენად, მაგრამ ბრალდების მხარეს არ სძინავს — მას გააჩნია მესამე საბუთი.

ეს საბუთია ხალხი, მისი ხმა, მისი ნათქვამი. ყველამ იცოდა — ამბობს ბრალდება — სანამ ანა, ლომთათიძის ცოლი გახდებოდა, დამლაგებლად მუშაობდა იმ საკოლმეურნეო ბაზარში, სადაც იმედაძე იყო ღამის გუშაგი. თითქოს ამ გზით დაიწყო მათი ურთიერთობა, რაც გაგრძელდა შემდეგ ხანებში. ასე გვაუწყებს საბრალდებულო აქტიც და არც პროკურორს გამორჩენია ეს მონაპოვრი.

საბრალდებულო დასკვნის ეს დებულება ემყარება საქმეში მოწმეებად დაკითხულ გოლიაძის, ლომაძისა და კალანდარაშვილის ჩვენებებს. უნდა ითქვას, რომ სქემატური, ზოგადი და აბსტრაქტულია ეს ჩვენებანი. მათი შინაარსი ხალხში არსებუ-

ლი მითქმა-მოთქმის სუბიექტური ვარიანტებია. არავინ იცის კონკრეტულად ვინ თქვა, რა თქვა და რის საფუძველზე თქვა ამ ინტიმური ურთიერთობის თაობაზე.

ერთმა მოწმემ დაცინევითაც კი განაცხადა: „რა მოსატანია აქ ხალხში დარბეული ხმები, ვინ არ იცის, რომ ჰორს დიდი ყური აქვს და გრძელი ენა“.

მე ვფიქრობ, ბრალდების ეს უილაჯო საბუთიც მოკრძალებით უნდა გამოვრდეს ჩვენი პაექრობის არსენალს. მას არა აქვს ძალა ასწიოს ფარდა და გამოაჩინოს ნამდვილი მკვლელის სისხლიანი ხელი.

ჩვენ კი, მართლმსაჯულების დარგის მუშაკებს, ვფიქრობ, ჯერ საქმე არ დაგვლევია და ზღაპრების მოსმენის დროც გავლილი გვაქვს.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ არაპირდაპირ მხილებათა აბეზარ გროვას ვიგერიებ.

აი, ყურს წვდება მეორე ტომის ასმეხუთე ფურცლის შრი-ალი. ის ლომთათიძის წერილია, საპატიმრო კამერადან გამოგზავნილი. საბრალდებულო აქტის მიხედვით მას მეოთხე საბუთი ჰქვია. გავსინჯოთ მისი ავკარგიც.

ამ წერილის შინაარსი თქვენთვის ცნობილია. მისი ადრესატები ლომთათიძის ცოლისძმებია. დაპატიმრებულ სიძეს მათთვის შემდეგი მოუწერია: „თქვენ კარგად იცით, 1 აპრილს საღამოს მთვრალი მოვედი სახლში. თქვენ დამხვდით სტუმრად მოსულნი. სმა გავაგრძელე და უგონოდ დავეთვარი. რად ღუმხართ? რისთვის არ მიღიხართ გამომძიებელთან და არ ეტყვიოთ სიმართლეს? იქნებ თქვენი დის მსგავსად, თქვენც მოღალატენი ხართ! ის პირში წამიდგა და სიცრუე ილაპარაკა: სად გაქვთ სინდისი, რატომ გაჩუმებულხართ?“

პატივცემულმა პროკურორმა ეს წერილი ახსნა, როგორც შენიღბული დარიგება იმის შესახებ, თუ როგორი ჩვენება უნდა მიეცათ მათ გამომძიებლისათვის, და თუ ლომთათიძე მართალი იყო, რად დასჭირდა მას წინასწარ მოწმეების დარიგებაო, გვეკითხება ის.

რბილად რომ ითქვას, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთგვარ გაუგებრობასთან. ცხადია, იმას არა აქვს მნიშვნელობა, რომ წერილი ადრესატებს არ მიუღიათ, მთავარი შინაარსის გაგებაა.

ლომთათიძემ შესანიშნავად უპასუხა პროკურორის შეკითხვას: „სიმართლე მიეწერე, მე სიცრუე არ მპირდება, ნამდვილი დამნაშავე ცდილობს თავი იმართლოს და მე მართალს რა დამამუწუხებდა!“

განა წინასწარი გამოძიების მასალებით და სამსჯავრო გამოძიებით არ დასტურდება, რომ 1 აპრილს თუმცა კვირა დღე იყო, არტელის სახელოსნო, სადაც ლომთათიძე მსახურობდა, მაინც მუშაობდა? სამუშაო დღის დასასრული თანამშრომლებმა აღნიშნეს ლხინით, სადაც ძალიან დათვრა ბრალდებული და სახლში ძლივძლივობით წავიდა!

დიდად საგულისხმოა, ის გარემოება, რომ ხსენებულ აღრესატებს არ მიუღიათ ბრალდებულის წერილი და მისი შინაარსი მათთვის უცნობი იყო, მაგრამ მათ სავსებით დაადასტურეს იქ მოთხრობილი ფაქტები და ამით მათი სინამდვილე დაადასტურეს.

ამრიგად, ეს მეოთხე საბუთიც გამოგვეცალა ხელიდან, მაგრამ რიგში დგას მეხუთე არგუმენტი.

ესაა სისხლიანი ჩვარი. საჭიროა გავიხსენოთ მისი მოკლე ისტორია. იგი მოპოვებული იქნა ლომთათიძის ბინის მეორედ გაჩხრეკის დროს. საყურადღებოა, ბინის პირველი გაჩხრეკის დროს ეს ჩვარი არ აღმოჩენილა.

საქმიდან არ ჩანს თუ რისთვის იყო საჭირო ბინის მეორედ გაჩხრეკა და ისიც ლომთათისა და მისი მეუღლის დაუსწრებლად, მაგრამ ეს ახლა მნიშვნელობას მოკლებულია.

უფრო საყურადღებო ის არის, რომ ლომთათიძეს შეეძლო უარი ეთქვა ამ ჩვარის კუთვნილებაზე, ვინაიდან ის მისი დასწრების გარეშე იქნა მიგნებული, მაგრამ მართალ კაცს არ სჭირდება სინამდვილის დაფარვა, და მან გულწრფელად აღიარა, რომ ჩვარი მას ეკუთვნის და სასთუმალთან ჰქონდა შენახული, შემდეგ დასძინა: ეს ჩვარი კი არაა, ჩემი ნახმარი ცხვირსახოციაო.

ამ საბედისწერო ცხვირსახოცზე დაჩნეული ლაქები, კრიმინალისტური ლაბორატორიის დასკვნით, ადამიანის სისხლია და. რაც მთავარია, იმედაძის სისხლის ჯგუფს ეკუთვნის.

ეს მართლაც დამაფიქრებელია; მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს თითქოს მამხილებელი ნივთიერი არგუმენტი მახინჯი პრო-

ცესუალური წარმოშობისაა, ვინაიდან, როგორც ითქვა, წესის დარღვევითაა მოპოვებული და შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მას არ ეცნობთ ჩვენ, არ ვიცით საიდან გაჩნდა, რომელი დაინტერესებული პირის მიერ იქნა საქმეში გაჩხერილი, და ყოველივე ამის კანონიერი საფუძველი გვექნებოდა.

მაგრამ არა! ჩვენ მაინც დამაჯერებელი განმარტება მოგვცით მის თაობაზე.

ეს განმარტება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ეს ლაქები, შესაძლოა, იყო ლომთათიძის ჯგუფის სისხლისა. ამასთან დაკავშირებით წინასწარ გამოძიებას უნდა შეემოწმებინა ლომთათიძისა და მისი ოჯახის წევრების სისხლის ჯგუფები. თქვენ ეს არ ჩათვალეთ საჭიროდ, ალბათ, იმიტომ, რომ მოცემული ჯგუფის სისხლი, როგორც მოგეხსენებათ, მარტო იმედაძის ძარღვებში როდი ჩქეფდა!

ვფიქრობ, თქვენ უკვე დარწმუნდით, რომ ეს სისხლიანი ჩვარი არამცთუ რისამე საბუთად, არამედ უბრალო ჩვარადაც არ გამოდგება.

ამხანაგო მოსამართლენო!

ჩვენ შეძლებისამებრ გავჩხრიკეთ და განვიხილეთ ბრალდების მტკიცების ყველა საბუთი და დავინახეთ, რომ არარასაგან არაფერი არ წარმოსდგების. მაგრამ შე კიდევ დამრჩა სათქმელი, სწორედ ახლა, დროა მუნჯებიც ალაპარაკდნენ. ეს მუნჯებია საქმეში მიმობნეული ბევრის მეტყველი ვითარებანი. ისინი გვანან ფერფლით დაფარულ ნაპერწკლებს. გადავაცალოთ მათ ეს ფერფლი.

როცა ერთ დროს ლომთათიძე მცირე, მაგრამ დამსახურებულ სასჯელს იხდიდა, მისი პირველი მეუღლე სხვაზე გათხოვდა და უპატრონოდ მიატოვა მცირეწლოვანი შვილები, რომელთა აღზრდა იკისრა ლომთათიძის დამ. გამოხდა ხახი. ლომთათიძემ მოიხადა სასჯელი. მას არც კი უფიქრია რაიმე სახის სამაგიერო გადაეხადა მოლაღატე ცოლისათვის. ის დამშვიდებით დაუბრუნდა დარღვეულ ოჯახს და მზრუნველობით შეუდგა ბავშვების აღზრდას. დღეს სამართალში მიცემულს,

მაშინ შეეძლო მეტი სიმკაცრით შეხვედროდა თავის მეუღლეს — დვიძლი შვილების უღირს დედას და მოლაღატეს.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ბრალდებულმა განაცხადა: „მე რომ კაცის მოკვლა შემძლებოდა, უპირველეს ყოვლისა, ჩემი საკუთარი ცოლი უნდა მომეკლაო“.

სიმართლე ისმის ამ სიტყვებიდან!

ახლა დაუფიქრდით: რა მეტოქე უნდა ყოფილიყო სქესობრივ სფეროში 72 წლის მოხუცი იმედაძე ბევრად ახალგაზრდა ლომთათიძისათვის, რომელიც ჯერ მხოლოდ 45 წლისაა. ანდა, განა არ არის საკითხავი თუ რით გაიტაცა მოხუცმა კაცმა შვილიშვილად შესაფერისი 35 წლის ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდა ქალი?!

დავას არ იწვევს ის, რომ შემთხვევის ღამეს ლომთათიძე სახლში მივიდა ძალზე მთვრალი, არც ისაა საკამათო, რომ მან ძმებთან ერთად კიდევ დალია და შემდეგ უგონოდ მთვრალი მიეცა ძილს.

მკვლელობა ჩადენილია ღამის 10—11 საათზე. როგორ შესძლო უგრძნობლად მთვრალმა ლომთათიძემ 2 საათში გამოფხიზლება, როგორ გავიდა ვიწრო ხიდზე, რომელიც გადებულია საგუშაგოს მისასვლელთან და, დასასრულ, როგორ იფიქრა, რომ დანით აჯობებდა თოფით შეიარაღებულს.

ახლა დაუფიქრდეთ სისხლიან ჩვარზე. მაშ, ლომთათიძემ კაცი მოკლა, სისხლიანი დანა ცხვირსახოცით გაწმინდა და ეს ნივთიერი „საბუთი“ — სისხლით მოსვრილი ცხვირსახოცი — სასთუმლის ქვეშ შეინახა, მოდით დამიპირეთ და მკვლელობა დამიმტკიცეთო! სად არის აქ ლოგიკა?! სად არის აქ აზრი?!

ან თუ ისე მოიქცა, როგორც ბრალდება გულისხმობს, რად არ გარეცხა მან დანა იმ ხიდქვეშ მოჩხრიალე ღელეში? ან სად არის საერთოდ ეს დანა?!

ამხანაგო მოსამართლენო!

თქვენ ხედავთ, არსაიდან, არსად, არაფერი არ ჟღერს ბრალდების მონოტონურ და შეუწყობელ მუსიკასთან შეხ-

მატკბილებით. ყოველი ფაქტი განზე იწევს და გზას უთმობს გამამართლებელ საბუთებს. ისინი შეთანხმებულან სიმართლისა და სიკეთის საზეიმოდ.

ასე კიაფობს ამ საქმეში მზრუნველი ხელით მიგნებულ სიმართლის ნაპერწკლებიდან გაჩაღებული ცეცხლი, რომლის შუქზე დგას ჩვენ წინაშე ცილისწამებით შებღალული მართალი კაცი, რომელიც თქვენი მართლმსაჯულების ყოვლისშემძლე ხმას ელოდება.

ს ი ზ უ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის

ვახტანგ კაჭახიძისა

გ. გ. ბერიძის

საქმეზე

საქმის მოკლე ზინაარსი

1960 წლის 10 ნოემბერს გიორგი ბერიძემ თავის ბინაში დროებით შეკედლებულ მდგმურს ელენე ზარიძეს, გასახლების მიზნით, ოთახიდან ავეჯი გამოუყარა და თავისუფალი ფართობი თვითონ დაიკავა.

სალამოს სახლში დაბრუნებულმა ე. ზარიძემ ხსენებულ მოძალადესთან ჩხუბისა და შეხლა-შემოხლის შედეგად სხეულის დაზიანებანი მიიღო.

სამსჯავრო გამოძიებით გამოირკვა, რომ საექიმო შემოწმებით დადასტურებული დაზიანებანი, რომლებიც ე. ზარიძეს აღმოაჩნდა, კერძოდ, ყბისა და ქვედა კიდურების ფუნქციონალური მოქმედების მოშლა, რაც დაავადებათა მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება, შედეგია დაზარალებულის მიერ წარსულში გადატანილი ხანგრძლივი ანთებითი პროცესისა და არა გ. ბერიძის მიერ მიყენებული ფიზიკური ძალადობისა.

შემთხვევის დღეს დაზარალებულმა ე. ზარიძემ მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება.

მსჯავრდებულ გ. ბერიძეს, რომელსაც იცავდა ადვოკატი ვახტანგ კაჭახიძე, სასაწართლომ მოუხსნა ბრალდება იმ ნაწილში, რომელიც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას ითვალისწინებდა. და დადასტურა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ბრალდებულ გ. ბერიძეს დაედო პირობითი ზასჯელი.

ადვოკატ ვახტანგ ქაჯახიძის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

1950 წლის ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, თბილისში პიონერის ქუჩაზე მდებარე ერთ სახლთან სასწრაფო დახმარების მანქანა გაჩერდა. ხალხმა გზა დაუთმო სამედიცინო პერსონალს. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მკრთალი შუქით განათებულ ეზოში უწესრიგოდ დაყრილ საოჯახო ნივთებს შორის უძრავად იწვა ახალგაზრდა ქალი.

ექიმი სწრაფი ნაბიჯით მივიდა მასთან, დაიხარა და გულმოდგინედ გასინჯა.

— ცოცხალია, — თქვა მან.

ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

ექიმმა ჩაიწერა: ელენე რაუდენის ასული ზარიძე, 26 წლისა, მოსამსახურე, დამსწრეთა გადმოცემით იგი მისი ბინის პატრონმა გიორგი ბერიძემ დააზიანა.

სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად ე. ზარიძე საავადმყოფოში წაიყვანეს. შეივსო, მოსამართლენო, ზარიძის საავადმყოფო ისტორია, რომელიც შემდეგ სისხლის სამართლის საქმის საფუძვლად იქცა და ბევრი გაუგებრობის წყაროდ მოგვევლინა.

გამოძიებით მოპოებული მასალა — დაზარალებულის ჩვენება, ავადმყოფობის ისტორია, მოწმეთა ჩვენებანი და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა კომისიის განმარტებანი, სქელტანიან საქმედ იქცა. ამ მასალაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საექიმო შემოწმების დასკვნა. ამ დასკვნის მიხედვით ზარიძეს აღმოაჩნდა ყბისა და ქვედა კიდურების ფუნქციონალური მოშლა, სახის დეფორმაცია, საკვების მიღების უნარის შეზღუდვა და მეტყველების შეფერხება.

სამედიცინო ექსპერტიზამ ე. ზარიძის ფიზიკური დაზიანება დაავადებათა მძიმე კატეგორიის ჯგუფს მიაკუთვნა.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ სასამართლო

გამოძიებისაგან მიიღო საქმე, რომელიც ჩრდილოვან მხარეებსა და წინაშენლოვან ხარვეზებს შეიცავდა.

ბრალდების ავტორმა ვერ უზრუნველყო საჯარო განხილვისათვის სრულყოფილად მომზადებული მასალის წარმოდგენა. ამით აიხსნება პროკურორის მკდარი და უმართებულო პოზიცია: ბრალდება პიროვნების ჯანმრთელობის ხელყოფის ნაწილში უსაფუძვლოა.

ამის დასადასტურებლად საჭიროა მივყვეთ მოვლენების მსვლელობას.

საქმის განხილვის წინ სასამართლოსა და დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო ფერმკრთალმა, ყავარჩენებზე დაყრდნობილმა ახალგაზრდა ქალმა, დაზარალებულმა ელენე ზარიძემ. დაუძღვრებული ახალგაზრდის მიმართ ყველა სიბრალულს განვიცდით.

მოპირდაპირე მხარეს საბრალდებო სკამზე მჯდომი, შუახნის ბრგე მამაკაცის კუშტ სახეზე სინანულის გრძნობა და სინილისის ქენჯნა არ იხატება.

ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩეს სამართლაში მიცემული ბერიძის მდელვარება, ის ნერვიულად იმეორებდა და იმეორებს: არ მიცემია... არ მიცეპია...

მის სიტყვებში გულწრფელობა იგრძნობა, მაგრამ საქმის მსვლელობასა და საკითხის გადაწყვეტას ეს ვერაფერს მატებს.

როგორც მოგეხსენებათ, სასამართლოს სამსჯავრო გამოძიებამ საქმე ახალი მასალით შეავსო, რამაც ნათელყო ბერიძის როლი შექმნილ სურათში.

ცნობილია, რომ ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ და აღწერენ მომხდარ ფაქტს. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს არც ჩვენთვის საყურადღებო ფაქტი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მოწმე ჩიხლაძის ჩვენება. წინასწარ გამოძიებამ მან შემთხვევის ფაქტი ასე აღწერა: „ბერიძემ ზარიძე გაღმოაგდო კიბიდან“. სამსჯავრო გამოძიების დროს კი პროკურორის შეკითხვაზე უპასუხა: „საწყალი ქალი ბერიძემ მეორე სართულიდან გაღმოაგდო“.

ჩემს შენიშვნაზე, რომ ბერიძის სახლი ორსართულიანი არ არის, ჩიხლაძემ განაცხადა: „ასე იმიტომ ვთქვი, რომ მეზობ-

ლებმა მითხრეს, იმ ღამეს ელენე გადმოაგდესო, ხოლო საი-დან — დანამდვილებით ვერ გეტყვიო“.

შეძლება თუ არა სასამართლო დაეყრდნოს ასეთი მოწმის ჩვენებას? რა თქმა უნდა, არა. ასეთ მოწმეს საქმეში მხოლოდ გაუგებრობა შეაქვს.

შეეჭვებას იწვევს მოწმე ხინჯიკაშვილის ჩვენებაც, რასაც ბრალდება ბერიძის დანაშაულის მტკიცებათა ფაქტად ასაჩვენებს. მოკვლეულ მასალაში ხინჯიკაშვილი შემთხვევის ღამესვე უჩვენებდა, რომ ბერიძეს განზრახული ჰქონდა ზარიძის მოკვლა: „თავი სისხლით შეუღება, ალბათ, მკვდარიცაა საწყალი“, — ამბობდა ის.

როდესაც ხინჯიკაშვილმა შეიტყო დაზარალებულის საავადმყოფოდან გამოსვლა, მისი ჩვენება ღმობიერი განდა ბერიძის მიმართ. მან აღნიშნა: „საწყალ ქალს დაუნდობლად სცემა ბერიძემ“. სასამართლო პროცესის მსვლელობაში დაზარალებულის დანახვაზე კი თქვა: „ეს ქალი ყავარჩნებით აღრეც დადიოდა. სისხლში მოსერილი ვნახე, მაგრამ-იმ ჩხუბის დროს რა დაუზიანდა, დანამდვილებით არ ვიცი“.

აქვე უნდა ითქვას, რომ ხინჯიკაშვილის ჩვენებას ერთი ნათელი მხარე აღმოაჩნდა: ჩვენთვის პირველად მისი ჩვენებიდან გახდა ცნობილი, რომ ზარიძე აღრეც ყავარჩნებით დადიოდა.

ჩიხლაძისა და ხინჯიკაშვილის გარდა, პატივცემულ მოსამართლენო, თქვენ მოისმინეთ აგრეთვე სხვა პირთა ჩვენებანი, მათ შორის გელაძის, კახნიაშვილისა და ტაბატაძის.

დასახელებულმა მოწმეებმა მიგვითითეს: „გიორგიმ ძალით ჩამოიყვანა ელენე კიბეებზე, არ უშვებდა მას სახლში, სხეულის მცირე დაზიანება შეიძლება მიიღო ამ ჭიდილის დროს“.

რაც შეეხება ბერიძის მიერ ზარიძის ცემას, მათ ეს ფაქტი არ დადასტურეს და ამასთანავე აღნიშნეს, რომ ზარიძემ ყავარჩნით ჩაანტვრია დერეფნის მიწები.

ისევ ყავარჩენი გამოდის სცენაზე.

ამგვარად, ღღემდე მძიმედ დაავადებული ახალგაზრდა ქალი, რომელიც სიბრაულს იწვევდა, დაეჭვების საბაბსაც გვაძლევს.

ამაზე შემდეგ.

მიყვებთ ისევ საქმის მსვლელობას.

ისმის საკითხი: რამ გამოიწვია მოწმეთა ჩვენების აღნიშნული ცვლილებანი? ეს აიხსნება შემთხვევის ღამეს შექმნილი სურათით, რომლის მიხედვით ეზოში გამოტილი დაზარალებული სასიკვდილოდ დაშავებული ეგონათ. მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდა. ელენე ზარიძე ისევ ცოცხალია და დგას მოწმეთა წინაშე მათდა საოცრად და, შესაძლოა, სამწუხაროდაც. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ელენეს „გადარჩენამ“ მოწმეები იძულებული გახდა შეეცვალათ თავიანთი ჩვენებანი.

საინტერესო იყო, რას იტყოდა თვითონ დაზარალებულ სამსჯავრო სხდომაზე: დააბრალებდა თუ არა თავის ხეირობას ბერიძეს, როგორც ეს წინასწარი გამოძიების დროს გააკეთა?

თქვენ ალბათ შეამჩნიეთ: ზარიძე მეტად ძუნწად და უხალისოდ პასუხობდა ჩემს შეკითხვებზე. მას არ სურდა დაწვრილებით დაეხატა ცემის მომენტი და მოკლედ მიპასუხა:

— მაგრად მცემა.

ის შეგნებულად გვერდს უვლიდა კითხვებს.

— მოტეხილობა არა მაქვს. ადრე, სურვილისამებრ ვხმარობდი ყავარჩენებს.

საოცარი სურვილია! ასეთი სურვილი წარმოუდგენელია ნორმალური ადამიანისათვის. ამასთან, უნდა ითქვას, დაზარალებულს სხეულზე ტრავმული დაზიანება არ გააჩნია.

სასამართლო მედიცინიდან ცნობილია, რომ ქვედა ყბის რეფლექსის დაკარგვა შეიძლება გამოიწვიოს სამწვერა ნერვის ანთებამ ან ტრავმულმა დაზიანებამ. ზარიძეს გარეგნულად ტრავმის ნიშნები არ ემჩნეოდა, რაც მანვე დაადასტურა.

გაურკვეველი იყო, რამ გამოიწვია ზარიძის მძიმე დაზიანება. საკითხი დაზუსტებას მოითხოვდა.

— იქნებ ელენეს ფიზიკური ნაკლი ანთებითი პროცესის შედეგია? — ვფიქრობდი მე და ბერიძის ნათქვამი მახსენდებოდა: „არ მიცემია... არ მიცემია... არ მიცემია, დამიჯერეთ“.

მოწმეთა ჩვენებით აღძრული ექვი ზარიძის ძუნწვა პასუხებმა უფრო დამიმოწმა და დავრწმუნდი, რომ ჩემი ვარაუდი გამოკვლევას საჭიროებდა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის სქემა-

ტურობამ, ზარიძის ბუნდოვანმა პასუხებმა და სხეულზე ტრავმული ნიშნების უქონლობამ საფუძველი მომცა სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა აღმედრა, რათა თბილისის სამკურნალო დაწესებულებიდან დაზარალებულის აღრიცხვისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი საბუთები გამოგვეთხოვა.

საქმის განხილვის მომდევნო დღისათვის, რაიონული პოლიკლინიკიდან და ქალაქის საავადმყოფოდან წარმოდგენილი ავადმყოფობის ისტორიითა და სააღრიცხვო ბარათით დადგინდა, რომ ელენე ზარიძე 1952-1954 წლებში დაავადებული ყოფილა სამწვერა ნერვისა და ხერხემლის ტვინის ანთებით, რის გამოც თვეების განმავლობაში მკურნალობდა. ყოველივე ეს, ცხადია, იმას ნიშნავს, რომ დაზარალებულმა ზარიძემ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს შეგნებულად დაუმალა წარსულში გადატანილი ავადმყოფობა, რითაც სურდა დაემძიმებინა ბერიძის დანაშაული.

წარმოდგენილმა მასალებმა სასამართლო და მხარეები დაიყენა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ხელმეორედ მიგვეჩართა სამედიცინო ექსპერტიზისათვის და მოგვეთხოვა ავადმყოფობის ისტორიის საფუძველზე ობიექტიურად შემოწმებულიყო დაზარალებული და ნათელი გამხდარიყო: — ზარიძის დაზიანება ადრე გადატანილმა ავადმყოფობამ გაძოიწვია თუ ბერიძის ძალადობამ.

ხსენებულ მასალაზე დაყრდნობით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა კომისიამ დაასკვნა, რომ 1960 წლის 10 ნოემბერს ზარიძემ მიიღო მცირე დაზიანება—თავის კანის დაუეწილობა და სისხლნაყლენთები, რაც მსუბუქ დაზიანებათა კატეგორიას მიეკუთვნება.

ცხადი გახდა, რომ ამ მცირე დაზიანებას არ შეეძლო ყბისა და ქვედა კიდურების ფუნქციონალური მოზღა.

ამგვარად, გამოირკვა, რომ შემთხვევის დამეს, როცა ზარიძე მიწაზე უძრავად იწვა და დამსწრეებს მკვდარი ეგონათ, მას სხეულის მცირე დაზიანება ჰქონდა მიღებული და გულის შეღონება მხოლოდ აშკარა სიმულაცია იყო.

პროცესის მსვლელობაში სასამართლოს ცდისა და გულისხმიერების შედეგად გამოირკვა, რომ ბერიძის დანაშაულებ-

რივი ქმედობა გაცილებით მსუბუქია, ვიდრე ეს საბრალმდებლო დასკვნაშია წარმოდგენილი.

იმისათვის რომ ნათელი გახდეს, თუ რამ ჩაადენინა ბერიძეს დანაშაული, ხოლო დაზარალებულმა რისთვის გააზვიადა ეს შემთხვევა, საჭიროა თვალის გადავავლოთ ბრალდებულისა და დაზარალებულის ოჯახების წარსულ ურთიერთობას.

აი, რა გვამცნეს მეზობლებმა: დაახლოებით ოცი წლის წინათ გიორგი ბერიძეს გარდაეცვალა მეუღლე და თვითონ შეჰდგა ობლად დარჩენილი ვაჟიშვილის აღზრდას. ამ ხანებში ის დაუმეგობრდა რაჟდენ ზარიძეს, რომელმაც სთხოვა დროებით დაეთმო ერთი ოთახი. რაჟდენი პატიოსან სიტყვას იძლეოდა, რომ რამდენიმე თვეში გაანთავისუფლებდა ბინას. გიორგი ენდო რაჟდენს და დახმარების ხელი გაუწოდა მას. ასე შეიკვდლა ბერიძემ რაჟდენი და მისი ქალიშვილი — ელენე ზარიძე. გავიდა ხანი. რაჟდენ ზარიძე მეორედ დაქორწინდა და მეუღლესთან ერთად ახალ ბინაში გადავიდა, ქალიშვილი კი ბერიძის ბინაში დატოვა.

ამასობაში დაქორწინდა გიორგი ბერიძის ვაჟიშვილი. ოჯახი გაიზარდა. ორ ოჯახს ვერ აკმაყოფილებდა ერთი ოთახი. გიორგიმ რაჟდენს ბინის განთავისუფლების პირობა შეახსენა. რაჟდენმა აინუნშიც არ ჩააგდო ეს.

აქ მოხდა ის, რასაც ბერიძე დიდი ხნის მანძილზე გაუბოდა. რაჟდენ ზარიძის შეუსრულებელი პირობით, მისი მზაკვრობითა და ცბიერებით გაწამებულმა, გააღო საღავო ოთახის კარი და ავეჯი გარეთ გამოყარა.

სამწუხაროდ, სამართალში მიცემულს დაავიწყდა, რომ არსებობს საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, რომელიც მოწოდებულია მოაწესრიგოს ქონებრივი უფლებები. აქ არის მისი დანაშაულის თავი და ბოლო.

ბრალდება, რაც თვითნებობაში გამოიხატა, თვით ბერიძემაც აღიარა.

სალამოს, როცა ელენე გამოცხადდა, საღავო სახლში, ნახა: ეზოში ეყარა მისი ავეჯი, ოთახი კი დაკეტილი იყო. ელენემ მოინდომა ოთახში ფანჯრიდან გადასვლა. მან ბერიძის თვალწინ ჩაამტვრია რამდენიმე მინა და დარაბებს ჩაეჭიდა. და, რაც ამის შემდეგ მოხდა, გულახდილად მოგახსენათ: სა-

მართალში მიცემულმა: „როცა ელენემ მესამე მინა ჩაამტვრია და ლამობდა დერეფანში გადასულიყო, ვწვდი ფეხში, და თუმცა მექიღებოდა, მიიწვედა ოთახისაკენ, ეზოში ძალით ჩამოვიყვანე. მაგრამ ცემით არ მიცემია“.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ საბრალდებო დასკვნის საწინააღმდეგოდ სამსჯავრო გამოძიებამ საქმე ახალი პასალებით შეავსო და ახლებურად გააშუქა.

ამავე მასალებით გამოირკვა, რომ მძიმე დაზიანება ბერიძეს განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით არ მიუყენებია ზარიძისათვის. ეს არის შედეგი დაზარალებულის წარსულში გადატანილი ანთებითი პროცესისა.

მოწმებებმა უარყვეს წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებანი და განმარტეს, რომ ბერიძის დანაშაულება გამოწვეული იყო შემთხვევის დღეს შექმნილი სურათით და შისგან მიღებული შთაბეჭდილებით, თუმცა ეს შთაბეჭდილება მეტად მძიმე იყო და სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

სამართალში მიცემულის აღიარებით, მოწმეთა ჩვენებითა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ შემთხვევის დროს დაზარალებულმა მიიღო მსუბუქი დაზიანება.

სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს: იყო თუ არა დაზიანების ეს სახეობა ბერიძის დანაშაულებრივი განზრახვის შედეგი?

ამ საკითხს პროკურორი ვრცლად შეეხო. მისი თვალსაზრისით სამართალში მიცემულის ქმედობა შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულს, რადგან ბერიძეს უნდა გაეთვალისწინებინა დაზარალებულის კიბეზე ძალით ჩამოყვანის დროს სხეულის დაზიანების შესაძლებლობა.

პროკურორს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ კონკრეტულ ვითარებაში სამართალში მიცემულის დანაშაულებრივი ქმედობა უნდა ითვალისწინებდეს განზრახვას — მიაყენოს ზარიძეს სხეულის დაზიანება.

გამოკვლეული მასალის ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ბერიძე მოქმედებდა იმ სურვილის კარნახით, რათა არ შეეშვა ზარიძე ოთახში, აეკეთა მისთვის შუშაბანდის მინების მტკრევა. ამისთვის დასჭირდა მას ზარიძის ძალით ჩა-

მოყვანა კიბეზე, რა დროსაც მოხდა ზარიძის მსუბუქად დაზიანება.

ამრიგად, ელენე ზარიძის დაშავება ბერიძის გაუფრთხილებლობის შედეგი იყო, რაც მოქმედი კოდექსით არ ექვემდებარება დასჯას.

დასასრულ, მინდა სასამართლოს მოვუთხრო ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევის გამო. თბილისის სალიანდაგო დისტანციის მუშაკებს დღესაც კარგად ახსოვთ მემანქანე, რომლის მოქმედება, თავის დროზე, მისაბაძი მაგალითი გახდა. ზაფხულის ერთ დღეს, სადგურის საკვანძო გზაზე სატვირთო მატარებელი მძიმედ მიემართებოდა, მოულოდნელად ჰოპირდაპირე მხრიდან სწრაფად მომავალი სამგზავრო მატარებელი გამოჩნდა. ცოტაც და ისინი ერთმანეთს შეეჯახებოდნენ.

სატვირთო მატარებლის მემანქანემ პირველმა შეაჩინია მოსალოდნელი უბედურება. დაყოვნება მგზავრთა დაღუპვის ნიშნავდა. ამ საბედისწერო წამს მემანქანემ უხმოდ უბრძანა თანაშემწეს სათანადოდ ემოქმედნა და სწრაფად ჩამოხტა ორთქლმავლიდან, „უნდა მივასწრო“, მხოლდ ეს ფიქრი უტრიალებდა თავში!

რამდენიმე წამიც და... ისრის სახელური აიწია... მუხრუკების ძლიერმა ბიძგმა და შხუილმა მოულოდნელად შეაკრთო მგზავრები.

მატარებლები ერთმანეთს ასცდნენ.

გადარჩენილმა მგზავრებმა ლიანდაგის გასწვრივ გრძნობადაკარგული მემანქანე ნახეს და საავადმყოფოში წაიყვანეს. რამდენიმე დღის შენაღებ ავადმყოფის მაგიდაზე მაღლობის გრძნობის გამომხატველი წერილების გროვა გაჩნდა.

ასე გახდა შრომის ინვალიდის ამჟამად საბრალდებო სკამზე მჯდომი გიორგი ბერიძე.

ამხანაგო მოსამართლენო!

სასამართლომ ბერიძეს უნდა გამოუტანოს სასჯელი, მაგრამ სამართლიანი, დამსახურებული და შესაფერისი.

საბჭოთა სამართალი ყველა აქამდე არსებულ სამართალზე ჰუმანურია. მიზნად არ ისახავს სამაგიერო მიღზლოს ვისმე, იგი მოწოდებულია გამოასწოროს და აღზარდოს ადამიანი, რომელსაც შეუძლია შრომით გამოისყიდოს დანაშაული.

ს ი ზ ყ ვ ე

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ნიკოლოზ კეკელიშვილისა
ლ. დ. წინწავას
საქმეზე

საქმის მოკლე შინაარსი

1958 წლის 12 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, სახლში მიმავალ გოგოშა ათათიას, სოფელ ქვაითის მახლობლად, წინ გადაუდგა შავ ცხენზე ამხედრებული ლუკა წინწავა, დასწვდა ქალს, აიტაცა, შემოისვა ცხენზე, პირზე ხელი დააფარა და ტყისკენ გაიტაცა. წინწავამ, როგორც კი თავი შეათარა მყუდრო ადგილს, ათათიას ჯერ ცხენზედვე მოუნდომა გაუპატიურება, შემდეგ ძირს ჩამოიყვანა, წააქცია, შემოახია ტანსაცმელი, და რადგან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა და მიზანს ვერ მიაღწია, დაზარალებულს მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება და მიიმალა.

სადავო გახდა დანაშაულის კვალიფიკაცია; გაუპატიურების მცდელობას ჰქონდა ადგილი, თუ მხოლოდ სხეულის დაზიანებას. ბრალდებული უარყოფდა ერთსაც და მეორესაც, და აყენებდა ალიბის საკითხს.

საქმის ხანგრძლივი წარმოების შემდეგ ბრალდებული, ლ. წინწავა ცნობილი იქნა დამნაშავედ გაუპატიურების მცდელობაში და განაჩენის ძალაში შესვილსთანავე დააპატიმრეს.

ადვოკატ ნიკოლოზ კავლიშვილის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

ბრალდებულ ლუკა წინწავას საქმეზე პირველი განაჩენის გამოტანიდან გავიდა ორი წელი.

ის გარემოება, რომ ამ ხნის განმავლობაში ბრალდებულის მიმართ მრავალი განაჩენი და განჩინება გაუქმდა და საქმემ სასამართლოსა და პროკურატურის რამდენიმე საფეხური გაიარა, თქვენ გარკვეული სიძნელის წინაშე გაყენებთ.

ეს სიძნელე უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოს ახალმა შემადგენლობამ ისეთი სამართლიანი სიტყვა უნდა თქვას, რომელიც დააკმაყოფილებს არა მარტო დაზარალებულის, არამედ თვით ბრალდებულსა და ფართო საზოგადოების ინტერესებსაც.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ართულებს საქმეს, მაგრამ თუ კი თქვენ მოთმინებით, დაკვირვებითა და გულისხმიერებით მიუდგებით მას, ექვი არ არის, სიძნელე დაძლეული იქნება.

რაში გამოიხატება ის გულისხმიერება, რაც საფუძვლად უნდა დაედოს თქვენ მიერ გამოტანილ განაჩენს და რამაც უნდა უპასუხოს ამ საქმით აღძრულ ესოდენ დიდ ინტერესებს?

ილია ჭავჭავაძე გვასწავლის: „ჰო“ არა სთქვა მაშინ, როცა გული „არას“ გეუბნებაო“. აი ზნეობრივი და იურიდიული ჭკაუთხედი ყოველგვარი საქმისა! ამ სიტყვების სიბრძნე ერთნაირად ეხება ყველას, ვინც ვინმეს მოქმედებას სჯის, განსაკუთრებით კი თქვენ, მოსამართლენო, რომლებსაც აღამიანთა ბედის გადაწყვეტასთან ერთად მოქალაქეთა შელახული ღირსების აღდგენაც გევალებათ.

განაჩენის დადგენის დროს, თუ თქვენ თქვენს შინაგან რწმენასა და სინდისს დაეყრდნობით, დაუჭერებთ თქვენი საკუთარი გულის პასუხს, მერწმუნეთ, რომ ამ გზით გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ბრალდებულში გამოიწვევს ცოდვის მონანიების კეთილშობილურ გრძნობას.

სამართლიანი განაჩენი, რა გინდ მძიმეც არ უნდა იყოს ის. დადებითად მოქმედებს ყველაზე, ვისაც გული ბოროტი ზრახვებით არა აქვს სავსე და მხოლოდ ერთი მცდარი ნაბიჯით მოხვედრილა საბრალდებულ სკამზე. ასეთ შემთხვევაში მსჯავრდადებულნი, თავიანთი დანაშაულის გამოსწორების ღრმა შეგნებით გამსჭვალულნი მათზე დადებულ მსჯავრს სინდისის სასწორზე სწონიან და შებლალული ღირსების აღდგენით ცდილობენ დაანახონ ყველას, რომ ისინიც სრულფასოვანი მოქალაქენი არიან. ასეთი პირები მართლაც იმსახურებენ შეწყნარებას.

მიუხედავად იმისა, რომ მე, როგორც დაზარალებულის ინტერესების დამცველი, ბრალდებულის წინააღმდეგ გამოვდივარ, მჭერა და ვგრძნობ, რომ გაუპატიურების მცდელობისათვის სამართლიანი მსჯავრის დადებით, ბრალდებული ლუკა წინწავა კმაყოფილი დარჩება. როდესაც იგი განმარტოვდება და მიეცემა ფიქრს, დაუკვირდება, გადახედავს თავის წარსულს და ასწონ-დასწონის ყოველივეს, მივა იმ დასკვნამდე, რომ ღირსია დასჯოსა.

ახლა შევეხოთ ბრალდებულის მტკიცებობის მხარეს. როგორც საქმეში არსებული მასალიდან ჩანს, შემთხვევის დღე — 12 აგვისტო, კვირა იყო. მთელი სოფელი „სატირალში“ — მიცვალებულის გასვენებაზე წასასვლელად ემზადებოდა.

პროცესიის დაშლის შემდეგ სახლში მშვიდად მიდიოდა გოგომა ათათია. მას მოულოდნელად წამოეწია ცხენზე ამხედრებულ ლუკა წინწავა. ძლიერი მამაკაცის მკლავები დასწვდა ქალის სუსტ სხეულს, მსუბუქად აიტაცა იგი, ნაბდის კალთები შემოახვია და ტყისაკენ გაიტაცა. ბოროტმოქმედმა როგორც კი თავი შეაფარა დაბურულ ადგილს, ათათიას ქალს ჯერ ცხენზე მოუნდომს გაუპატიურება, მადრამ ვერ შეძლო, შემდეგ ძირს ჩამოიყვანა, წააქცია, სცემა, შემოახვია ტანსაცმელი, და რადგან მაინც ვერაფერს გახდა, დაზარალებულს მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება და მიიძალა.

აი გაასვენეს კიდევ მიცვალებული. „შესანდობარიც“ დალიეს. „სატირალის“ ფორმალური მხარე დამთავრდა, მაგრამ

ნამდვილი ტირილი და ცხარე ცრემლების ღვრა თურმე წიხიყო.

ბრალდებულმა თავის მართლების ერთ-ერთ მოტივად, ალიბთან ერთად, სქესობრივი უუნარობაც დაასახელა.

თანმიმდევრობის დაცვის მიზნით გავყვეთ ბრალდებულს კვალდაკვალ.

ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ბრალდებული ფიზიოლოგიური თვალსაზრისით არა თუ მოკლებულა სქესობრივ უნარს, არამედ, პირიქით, ამ მხრივ მას ავადმყოფური გადაჭარბებაც ახასიათებს.

რა მონაცემების მიხედვით?

ხსენებული ექსპერტიზის დასკვნით, 1957 წლის 19 დეკემბერს, ბრალდებულს გაუკეთდა სასქესო ჯირკვლების ოპერაცია, რასაც მოჰყვა შინაგანი უჯრედების ისეთი გადანაცვლება, რამაც სქესობრივი ვნების გაძლიერება გამოიწვია.

დადგენილია, რომ ამის შემდეგ ბრალდებულს ბიწიერებისა და მრუშობის ავადმყოფური ფორმებისათვის მიუპარათავს. ასე მაგალითად, საქმეში არსებული მასალა ადასტურებს ბრალდებულის ნეკრომანიას. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ერთ-ერთი მოწმის დამაფიქრებელ განცხადებას: „ლუკა წინწავამ შეხედა კუთხეში მარტოდ მდგარ გოგოშა ათათიას და ჩუმად მითხრა: „რა კარგია ეს წყეული, მანამ ხელში არ ჩავიდებ, ვერ მოვისვენებ. მიცვალებულიც რომ ვნახო მაშინაც არ დავიწუნებო“.

არ ვიცი, ბრალდებულს რა ძალით ფლობდა ნეკრომანიის მიდრეკილება, მაგრამ ცნობილია, რომ განუკუთრნავ მანიაკებს სქესობრივი უნარის დასაკმაყოფილებლად გვამები მიწიდანაც ამოუთხრიათ.

მეორე კითხვა, რომელიც ასევე გარკვეულ პასუხს მოითხოვს და საქმისათვის მეტად მნიშვნელოვანია, მდგომარეობს საკითხის გარკვევაში: ჰქონდა თუ არა ბრალდებულს განზრახვა დაზარალებულის გაუპატიურებისა?

ხანდაზმულმა ქალმა ეფროსინე შერმადინმა, რომელიც გუშინ მოწმედ დაკითხეთ, მოგახსენათ: „ამ დანაშაულის ჩადენა-

მდე რამდენიმე დღით ადრე, როდესაც ბაღჩაში კვალს ვმარგ-
ლიდი, უცბად მომესმა ლუკა წინწავას ხმა: „სულ ერთია, ვერ-
სად წამიხვალ!“ რომ გაეიხედე, დაზარალებული გოგოშა ათა-
თია ჩემსკენ მორბოდა აღელვებული, მას სახე აწითლებული
ჰქონდა და შიშისაგან კანკალებდა. თუმცა მივხვდი ყველა-
ფერს, მაგრამ მაინც ვკითხე: „რა იყო გოგოშა, რა დაგემართა-
მეთქი“. გოგოშამ ტირილი დაიწყო და მითხრა: „მიშველე, დეი-
და ეფროსინე, ლუკა არ მასვენებს, ცუდი თვალით მიყურებს“.
„მაინც რა გითხრა?“ — ვკითხე განმეორებით, — „გამიხმო გა-
ნზე, საქმე მაქვსო, შემდეგ მიიხედ-მოიხედა და, რაკი დარწმუნ-
და, რომ მარტონი ვიყავით, მითხრა: „იცხოვრებ თუ არა ჩემ-
თანო?“. ჯერ შემეშინდა, შემდეგ ძალა მოვიკრიბე, გავარტყი
სახეში და გამოვიქეცი. დამემუქრა: „სულ ერთია, ვერსად წა-
მიხვალო“.

ხედავთ? მუქარა, ძალა! განა აშკარა არ არის, რომ 12 აგ-
ვისტოს სოფელ ქვაითოს გზაზე ჩადენილი გაუპატიურების
მცდელობა ამ მუქარის ხორცშეახმას წარმოადგენს?!

ბრალდებული რომ დაზარალებულს მოსვენებას არ აძლევ-
და, დასდევდა და უთვალთვალეობდა, ამას ადასტურებენ აგრე-
თვე მოწმეები: სათანა გამგებელი, ირინე ჯანდიერი, გუგუ სა-
ჯაია, კირონ ხაჯალია და პართენ წირღვავა.

ამრიგად. გაუპატიურების განზრახვაც, რასაც ბრალდებუ-
ლი უარყოფს, დადასტურებულია.

შევხოთ ახლა მესამე საკითხს: იყო თუ არა შემთხვევის
ადგილას ხელსაყრელი პირობები განზრახული ბოროტების
შესასრულებლად?

დადგენილია, რომ სადაც გაუპატიურების მცდელობა მოხ-
და, რამდენიმე კილომეტრზე გადაქიმული გზა ტყითაა დაფა-
რული, ხოლო შემთხვევის ადგილის მახლობლად, მეტყევე
ხვთისოს პატარა ბოსტანია, ჩანჩქერის გვერდით.

ბრალდებულმა განაცხადა: „ადგილმდებარეობის შესახებ
წარმოდგენილი დასკვნა არაა სწორი და გთხოვთ თქვენ თვი-
თონ დაათვალიეროთო“. თქვენ ეს შუამდგომლობაც დააკმა-
ყოფილეთ და როდესაც გუშინ ვიყავით ადგილზე, ვნახეთ, რომ
ადგილი, სადაც დაზარალებული მიდიოდა, მეტრნახევრით მა-

დალია იმ გზაზე, რომელზედაც ბრალდებული იდგა, რაც საგრძნობლად აადვილებდა ცხენიდან ჩამოუსვლელად დაზარალებულის ხელში აყვანასა და გატაცებას. მით უმეტეს, რომ ბრალდებულისა და დაზარალებულის ფიზიკური აღნაგობანი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ ბრალდებული გამოცდილი ცხენოსანი და იაინდის დიდებული მტყორცნელია, რომელსაც არა ერთხელ მიუღია ჭირითში პირველი ჭილდო. გაუპატიურების მცდელობის ფაქტს ამაგრებს აგრეთვე ბრალდებულის მიერ დაზარალებულის ძმისაგან წინა დღით ცხენის თხოვება და ამ ცხენის ფეხისა და მიგნებული ნაკვალევის სრული დამთხვევა.

კიდევ რადა ფაქტებია საჭირო: ძალადობის ნიშნები? აი ისინიც!

როგორც ცნობილია, ქალის სხეულზე შეხების ნიშნებს სწორედ ძალადობის გამოყენება ტოვებს და ეს ნიშნები ხშირად ტრავმატულ დაზიანებათა ხასიათისაა. წინააღმდეგობის მოსატეხად მოძალადე ქალს თავში ზცემს, ან ყელში უჭერს ხელს და ამ გზით აუძლურებს მას. უკეთუ ქალი წინააღმდეგობას უწევს, მაშინ ორივეს დააჩნდება ბრძოლის კვალი, ზოგჯერ სასქესო ნაწილებზედაც. ამიტომ სავსებით სწორი იყო საბრალდებო დასკვნის ავტორი, როცა დაზარალებულთან ერთად ბრალდებულსაც შეამოწმა. რა გამოიჩინა? ექსპერტიზის დასკვნით დაზარალებულს აღმოაჩნდა დაზიანება, უპირატესად ნაჭდევები და სისხლნაჟღენთები ორივე ბარძაყის შიგნითა ზედაპირზე. რაც გაუპატიურების მცდელობის აშკარა დადასტურებაა. ბრძოლის კვალი ეტყობა ბრალდებულსაც სახესა და ხელებზე. რაც დაზარალებულის მიერ არის მიყენებული. ბრალდებულს ლუკა წინწავას ახლაც ეტყობა თავზე ნაწიბური, რაც იმის შედეგია, რომ გოგოშა ათათიამ ქოლგის ტარი მძლავრად დაარტყა მას. შუაზე გადატეხილი ქოლგა კი, რომელიც თქვენ წინაშე დევს, ნივთიერი მტკიცებაა გაუპატიურების მცდელობისა.

რაც შეეხება ბრალდებულის მიერ ხსენებულ ალიბს, მის გასაბათილებლად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმე ჯავ-
12. ქართველ ადვოკატთა სიტყვები

შანიძის ჩვენების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია: „შემთხვევით დღეს, საღამო ხანს, როცა ძროხებს მოვერეკებოდი ბინისაკენ, მეტყუევის ბოსტანში მხარეთმცოდნე წამოწოლილი დავინახე ლუკა წინწავა, რომელიც კიტრს შეექცეოდა. არ ესიამოვნა, თვალი ამარიდა, მაგრამ მე მაინც მივესალმე, რაზედაც უხალისოდ მიპასუხა. აღარ მომიცდია და წავედი. არ გასულა დიდი ხანი, რომ მომესმა ქალის კივილი, როცა მივედი, ვნახე ტანისამოს შემოხეული გოგომა ათათია ეგდო ხევში, სახიდან სისხლი სდიოდა და გონზე აღარ იყო“.

რა ალიბზე შეიძლება აქ ლაპარაკი?!

თუ მართლაც ალიბს ჰქონდა ადგილი და 12 აგვისტოს ბრალდებული გარეთ არ გამოსულა, მაშინ შემთხვევის დღესა და ადგილას სამართალში მიცემულის მიერ კიტრის მირთმევის ფაქტს რაღა ვუყოთ?!

რითი უარყოფს ბრალდებული ამ გარემოებას? — „თვითონ თქვენ რითი მიმტკიცებთო“, — გაღმა გვედავება სამართალში მიცემული. ჩვენ ვუმტკიცებთ მოწმის ჩვენებით. ის დრო აღარ არის, როდესაც კიტრი იშვიათობას წარმოადგენდა, თორემ მოვიყვანდით იმ მაგალითს, როცა თურქეთის ერთმა მკაცრმა და ხარბმა სულთანმა ბრძანება გასცა მუცელზე გაეჭრათ მისი შვიდი ჭარისკაცი, რათა გაეგოთ მათ შორის რომელმა შექამა საჩუქრად გამოგზავნილი ერთადერთი კიტრი. და აი, ერთმა კიტრმა შვიდი კაცი იმსხვერპლა!

ალიბის საკითხს აბათილებს ბრალდებულის ჩვენებათა წინააღმდეგობაც: ჭერ ამბობდა — 12 აგვისტოს სახლიდან არ გამოვსულვარო, შემდეგ კი განაცხადა — ბაზარში ვიყავი და მწვანილს ვყიდულობდიო.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ბრალდებული მართლაც ყოფილა ბაზარში, სადაც უნახავთ მოწმეებს მწვანილით ხელში, მაგრამ როდის? — 13 აგვისტოს, ე. ი. შემთხვევის მეორე დღეს.

მასშასადამე, ვერც მწვანილმა შეუღმსებუქა ბრალდებულს მდგომარეობა. მართალია, ოხრახუში მწუხარების სიმბოლოდ ითვლებოდა ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში, სადაც დიდი მწუხარების ნიშნად ჰირისუფლები ოხრახუშის გვირგვინს იღ-

გამდნენ თავზე, მაგრამ ბრალდებულ ლუკა წინწავას ქცევას ამ სიმბოლოურ გამოხატულებასთან საერთო არაფერი ჰქონია, თუმცა დაზარალებულ გოგოშა ათათიას უსაზღვრო მწუხარებისა და მძიმე ტანჯვის ნამდვილი მიზეზი თვითონ ბრძანდებოდა.

ნათქვამია, წყალწაღებული ზავს ეჭიდებო. ბრალდებულმა, რომ თავი ველარაფრით იმართლა, დაზარალებულის პიროვნებას მიწვდა და მისი ღირსების შელახვა მოინდომა, წამოიყვარა: „გოგოშა ათათიასთან რად მინდოდა ჩასათრება, მოტაცება და ძალადობა, მაშინ როცა შემეძლო და სურვილი მქონდა, თვითონ მეხვეწებოდა და კიდევ ვატარებდი მასთან დროსო“.

მოსამართლენო! ბრალდებული რამდენ ახალ სიცრუეს ამბობს, იმდენი ახალი მტკიცება ემატება მის ბრალდებას. აი, ახლაც წამოისროლა ერთი სიცრუე, რითაც ცილს სწამებს დაზარალებულს. ამიტომ ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ უცილობელი საბუთი ამ ცილისწამების გასაქარწყლებლად. ეს გახლავთ გოგოშა ათათიას ქალწულობის შემოწმების აქტი — უმანკობის ეს მოწმობა დაზარალებულის სრულ პატიოსნებაზე მეტყველებს.

ადვილია იმ ბრალდებულის წინააღმდეგ გამოსვლა, რომელიც თვითონ ვიადვილებს დაზარალებულის ინტერესების დაცვას!

პატივცემულო მოსამართლენო!

დასასრულ, თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო კიდევ ერთ საკითხზე.

ზომ კარგად გახსოვთ: მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძემ შაიხელსონის როიალი ერთსა და იმავე დროს, ოთხ სხვადასხვა პირს მიჰყიდა და ყველასაგან ფული აიღო! მათ შორის ერთმა მყიდველმა თავისი როიალი ხელმეორედ იყიდა.

ბრალდებული ლუკა წინწავა კვაჭივით გაქნილი აღმოჩნდა: დაზარალებულ გოგოშა ათათიას ძმას, სესხის სახით 10.000 მან. დასტყუა. აქედან 5.000 მანეთი მასვე შეაძლია „ამ საქმის ჩაქრობისთვის“. 2000 მანეთი კი იმ მეურმეს მისცა, რომელსაც ჩვენება უნდა შეეცვალა და ეთქვა: დაზარალებული თით-

ქოს მისი ურმიდან გადმოვარდა და დაზიანდა. დანარჩენი 3.000 მანეთი — „სუფთა კვაჭური მოგება“ — ჯიბეში უნდა ჩაედო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ყველაფერი დროზე გაუგეს და ამხილეს.

ამის დამადასტურებელი მასალები საქმეშია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბრალდების მტკიცებისათვის მარტო ეს კვაჭური „გაიმასქნებაც“ კმარა.

ფეიქრობ, ყველაფერი ნათელია.

ვწუხვარ, რომ ამ პროცესზე არ გამოდის სახელმწიფო ბრალმდებელი, რომლის მონაწილეობა გაზრდიდა ამ საქმის მნიშვნელობას და უკეთ გვიჩვენებდა ბრალდების მხარეს. ამასთან, მეც შემიმსუბუქებდა მდგომარეობას, რადგან ჩემი, როგორც ადვოკატის, პროფესიონალური მოვალეობა დაცვაა და არა ბრალის დადება.

მაგრამ არ ვნანობ, რაც მოგახსენეთ სასარგებლოა საერთო საქმისა და თვით ბრალდებულისათვის. გამამართლებელი განაჩენი მას. თუ სინდისი შერჩენია, სამუდამოდ დატანჯავდა, ხოლო გამამტყუნებელი — დროებით გამოთიშავს საზოგადოებიდან და, თუ ძალა გააჩნია, გამოასწორებს.

აი, აქ პოვებს თავიანთ გამოვლენასა და დაცვას როგორც დაზარალებულისა და ბრალდებულის, ისე ხალხისა და საზოგადოების მიზნები და ინტერესები.

ს ი ზ უ ვ ე

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ვასილ კეკელიასი
ი. პ. გრიგოლაშვილის
საქმეზე

საქმის მოკლე შინაარსი

ი. პ. გრიგოლაშვილს ბრალი დაედო იმაში, რომ მან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიიყვანა თავისი არასრულწლოვანი შვილი მზია.

1961 წლის 31 იანვარს საქმე განიხილა ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ, როპელმაც ი. გრიგოლაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ხსენებული განაჩენი ძალაში დატოვა.

ზედამხედველობის წესით შეტანილი საჩივრის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ი. გრიგოლაშვილი გაამართლა.

სამართალში მიცემული ა. პ. გრიგოლაშვილის ინტერესებს. იცავდა ადვოკატი ვ. ბ. კეკელია.

ადვოკატ ვასილ კეკელიას სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

სანამ საქმის იურიდიულ ანალიზს შევუდგებოდე, ნება მომეცით მოკლედ მოგახსენოთ მისი შინაარსი.

ივანე პეტრეს ძე გრიგოლაშვილმა 1944 წელს ცოლად შეირთო ნინო თულაშვილი. მათ შეეძინათ 4 შვილი. უკანასკნელ ხანებში გრიგოლაშვილი ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა შიხ, რაც უკმაყოფილებას იწვევდა ოჯახში და საქმე ხანდახან იქამდის მიდიოდა, რომ ქმარი ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა ცოლს, ამტკრევდა კურკელს, ავეჯს და უშვერი სატყვიით ილანძღებოდა.

1960 წლის ოქტომბრის დამლევს ჩხუბისა და აყალმაყალის შედეგად ნინო თულაშვილმა მიატოვა ოჯახი და უმცროსი ბავშვებით სოფელში წავიდა. მისი უფროსი ქალიშვილი მზია საცხოვრებლად დეიდასთან გადავიდა.

ორი კვირის შემდეგ ნინო დაბრუნდა თბილისში. მას სადგურში შეხვდა ქმარი, რომელმაც ის სახლში წამოიყვანა. იმინი შერიგდნენ. ივანემ შეკეთებული სახლი დაახვედრა მეუღლეს, რითაც დიდად ასიამოვნა.

გრიგოლაშვილის უფროსმა ქალიშვილმა მზიამ სკოლაში გაიგო მშობლების შერიგების ამბავი, რითაც უაღრესად ნაწყენი დარჩა. ის მივიდა დეიდასთან რჩევისათვის, ხოლო შემდეგ ძალზე ნერვებაშლილი დაბრუნდა შინ. მამა მოეფერა მას, მისცა ფული, დაარიგა და ურჩია სამეცადინოდ წასულიყო. მზია წავიდა. გზაში, როცა მზია და მისი ამხანაგები მტკვრის პირას მიდიოდნენ, მზიამ ერთბაშად დააგდო წიგნები, გაიქცა მტკვრისაკენ და გადაეშვა მდინარეში. მას გამოუღვა ამხანაგი, ცისანა ჯოხაძე, რომელმაც ერთი ახალგაზრდის დახმარებით გადაარჩინა მზია გრიგოლაშვილი.

ამასთან დაკავშირებით დაპატიმრებული იქნა ივანე გრიგოლაშვილი, რომელსაც ბრალად წაუყენეს, თითქოს მისი

ამორალური საქციელი ვერ აიტანა. მისმა უფროსმა ქალიშვილმა მზიამ, და ამ მიზეზით თვითმკვლელობის მცდელობამდე მივიდა.

ამხანაგო მოსამართლენო! |

პატივცემული პროკურორის გამოსვლამ რამდენადმე შეცვალა ჩემი დაცვის გეგმის თანმიმდევრობა. მოულოდნელი და უჩვეულო იყო მისი პოზიცია ამ საქმეში. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბრალმდებელი დიდ ცვლილებას შეიტანდა საბრალდებო დასკვნაში და სამსჯავრო გამოძიების შემდეგ მაინც გამოასწორებდა იმ იურიდიულ შეცდომას, რაც დაშვებულია წინასწარი გამოძიების მიერ.

ჩემი იმედი და მოლოდინი არ გამართლდა. პატივცემული პროკურორი გაჰყვა იმ მცდარ და მოლიპულ გზას, რომელზედაც დგას წინასწარი გამოძიება და ამით კიდევ უფრო მერყევი და ბუნდოვანი გახადა წინასწარი გამოძიების ისედაც არამტიკე და ბურუსით მოცული პოზიცია.

ჯეროვანი ანალიზის საფუძველზე პროკურორი შეეძლო სათანადო იურიდიული კრიტიკის ცეცხლში გაეტარებანა დასკვნის ვერსია, რითაც ყველასათვის ნათელი გახდებოდა, თუ რაოდენ დიდი შეცდომაა დაშვებული წინასწარი გამოძიების მიერ, თუ რა უძირო უფსკრულია ჰეშმარიტებასა და წარდგენილ ბრალდებას შორის.

ღიახ, წინასწარი გამოძიებისა და საბრალდებო დასკვნის ავტორებს აკლდათ ზომიერების გრძნობა, რისი შედეგიცაა სასამართლოს სამსჯავროს წინაშე ამ უდანაშაულო ადამიანის წარდგენა. დღესაც, სასამართლო პროცესზე პატივცემულ პროკურორს აკლდა ზომიერება: წინააღმდეგ შემთხვევაში ასე უანალიზოდ არ განსაზღვრავდა საქმის ვითარებას და ლიტონი ფაქტიდან არ გამოავლენდა სამართალში მიცემულის ბრალდებას.

ეს არის საქმისადმი ზერელე და მექანიკური მიდგომა. ფაქტი თავისთავად, მისი სწორად ასახვისა და შემეცნების გარეშე, არც ბოროტებაა და არც დანაშაული. ფაქტის ჯეროვანი ასახვა და შემეცნება კი ნიშნავს მასში არსებითის, ზოგადის აღმოჩენას. ფაქტში იურიდიული მნიშვნელობის მოკლეწინ დანახვისათვის საჭიროა გაირკვეს ბრალეული ხასიათის მი-

ზეზობრივი კავშირი არსებულ შედეგსა, ფაქტსა და სუბიექტის მოქმედებას შორის. თუ არ არის დადგენილი განზრახვითი ან გაუფრთხილებლობითი ხასიათის ფსიქიკური დამოკიდებულება სუბიექტისა მომხდარ ფაქტთან, მაშინ ჩვენ არა გვაქვს საქმე რაიმე კრიმინალთან.

ამ უდავო კრიტერიუმით არ არის ეს საქმე ძიებით ნაკვლევნი და განსჯით წამართული. ამიტომ არ ჩანს ამ საქმის კენზმარტი იურიდიული მხარე არც ბრალდების დასკვნაში და არც ბრალმდებლის სიტყვაში.

ფაქტის სწორი შეფასებისა და მისგან გამომდინარე სიმართლის დადგენის გარეშე არ შეიძლება ბრალდება უმტკიცო აღამიანს. ეს იქნება ობიექტური შეურაცხადობის პრინციპზე დგომა, რაც მიუღებელია და დასაგმობი, როგორც ყალბი და ანტიმეცნიერული თვალსაზრისი, რადგანაც აღამიანის დანაშაულებრივი მოქმედებიდან ის გამორიცხავს ბრალს, სუბიექტის ბრალეული ხასიათის ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მოქმედებასა და შედეგთან, ფაქტთან.

ასეთი ობიექტური შეურაცხადობის პრინციპზე დგას პატივემული პროკურორი ამ საქმეში. თავისი უპართებულო მიდგომით მან დაადასტურა მხოლოდ ის, რომ არსებითად ვერაფერი დაამტკიცა სამართალში მიცემულის დანაშაულობის შესახებ. ასეთია ხვედრი საქმეში ყველა მონაწილია. ვინც ვერ შეიძლებს მასალა შეაფასოს მიუდგომელი გონების თვალთ და მოექცევა ემპირიზმისა და მსუბუქი ზერელობას ტყვეობაში.

მე კარგად მესმის პატივემული პროკურორის გულსტიკვილი, მისი აღშფოთებისა და გულსწყრომის მიზეზები. მე, ცხადია, მჯერა რომ მას აფიქრებს საზოგადოებრივი სიკეთე, საერთო ინტერესი. ის აღელვებულია, რომ ბრალდებული ხშირად მთვრალი მიდიოდა სახლში. ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებდა თავის მეუღლეს. ეს უდავოდ გასაკიცხი და დასაგმობია. მაგრამ პროკურორს აქ დაავიწყდა, თუ რა სიმკაცრით, უხეშად, ტლანქად და დაუთმობლად ხვდებოდა ნასვამ ქმარს მისი მეუღლე ნინო თულაშვილი. იმის ნაცვლად, რომ მას, ერთგვარად დაავადებული კაცისათვის ხელი გაეწოდებინა, ამოეყვანა კაობიდან და სიფხიზლე-

ში გაეციცხა, „ცეცხლითა და მახვილით“ ხედებოდა, უმსგავსო სიტყვებით უმასპინძლდებოდა, ახლებდა ისედაც აგზნებულ ადამიანს.

ბრალმდებელს ისიც დაავიწყდა, რომ სამართალში მიცემულმა შეიგნო თავისი მანკიერი საქციელი, დაგმო ის და დააღვა პატიოსანი და წესიერი ცხოვრების გზას. მან დაახვედრა მეუღლეს შეკეთებული ბინა, ახალი ნივთები, მომძლავრებული ოჯახი. პატივცემული პროკურორი კი ძველს უხსენებს მას, მისგან უკვე დაგმობილს, უკუგდებულს, რომლის გახსენება დღეს ცუდი გრძნობით ავსებს მას. ამ პოზიციიდან ებრძვის ის სამართალში მიცემულს და არსებითად, ღია კარებს ამტკრევს, რითაც ყურადღება გადააქვს იქ, სადაც არაფერია სადავო და საცილობელი.

აი უმწუო ხერხი ბრალუების მტკიცებისა, რადგან ამ განვლილ გზას უშუალო კავშირი არა აქვს არც დაზარალებულის მიერ თვითმკვლელობის მცდელობასთან და არც ბრალდებულის რაიმე დანაშაულებრივ მოქმედებასთან.

წინასწარი გამოძიების მონაწილეებს რომ თავი შეეწუხებინათ და გამოერკვიათ მომხდარი ფაქტის ბუნება და დაზარალებულის მოქმედების არსი, დარწმუნებული იყავით, მოსამართლენო, რომ ეს საქმე თქვენამდე არ მოვიდოდა და სამართალში მიცემული გაუგებრობის მსხვერპლი არ გახდებოდა. თუკი ჩვენც დაუშვებთ ანალოგიურ შეცდომას, ეს იქნება სავალალო და სამწუხარო არა მარტო ბრალდებულის ინტერესების თვალსაზრისით, არამედ მაღალი და მართებული მართლმსაჯულების სიწმინდისა და ხელუხლებლობის თვალსაზრისითაც.

მოსამართლენო! მე შევეცდები ჩემს გამოსვლაში ვიყო ზომიერი, კონკრეტული. ვფიქრობ, ამ გზით გიჩვენოთ საბრალდებო დასკვნისა და სახელმწიფო ბრალმდებლის მცდარი დებულებანი. თუმცა, როგორც ხედავთ, დამცველისათვის ძალზე ძნელია თავდაჭერილი და აუღელვებელი იყოს, რადგან აღშფოთებას იწვევს ამ საქმის ყალბი გმირისა და ცრუ რაინდის მეტიჩრული გამოხდომა, რომლის ერთადერთი მიზანი თვითმკვლელობის ინსცენირება და ფარსის გათამაშება იყო. იმის მაგივრად, რომ მას გახარებოდა მშობლების შერი-

გება და დაშლილი ოჯახის აღდგენა, მან თავისი უხამსი საქციელით ციხის კარი გაუღო საკუთარ მშობელს და საბრალდებო სკამზე დასვა აღმზრდელი მამა.

აბა, როგორ დავიცვათ ზომიერება და წონასწორობა, როცა პატივცემული პროკურორი ამართლებს მზიას ასეთ საქციელს და მძვინვარებით მოითხოვს უდანაშაულო ადამიანის მკაცრად დასჯას! პროკურორს თავი ისე მოაქვს, თითქოს ბოროტებას ებრძოდეს სიკეთის საკეთილდღეოდ, მაგრამ ავიწყდება, რომ საბრალდებო სკამზე ზის სრულიად უდანაშაულო ადამიანი და არც იმას ითვალისწინებს, რომ მისი დასჯით ინგრევა აღდგენილი და განახლებული ოჯახი და უპატრონოდ რჩება 4 არასრულწლოვანი ბავშვი.

ისმის კითხვა: რა ფაქტობრივი მასალა გვაქვს საქმეში და როგორი შეფასება უნდა მიეცეს მას, რათა სიმართლემ და კანონმა გაიმარჯვოს?

საქმის მასალით დადგენილია ის ფაქტი, რომ სამართალში მიცემული ი. გრიგოლაშვილი ნასვამი მოდიოდა შინ და მას ძალზე უკმეხად ხვდებოდა მეუღლე, რაც იწვევდა აურზაურს, აყალმაყალსა და უსიამოვნებას ოჯახში. უკანასკნელად, აფექტური აგზნების პირობებში, ბრალდებულმა დაამტკიცა საოჯახო ქურქელი, ფანჯრები და ავეჯი. ამან გამოიწვია ბრალდებულის მეუღლის წასვლა სახლიდან, რასაც, საბედნიეროდ, ოჯახის დარღვევა არ მოჰყოლია. ცოლმა და ქმარმა შეიგნეს და გაიცნობიერეს თავიანთი შეცდომები. ბრალდებულმა კაპიტალური რემონტი გაუკეთა სახლს, შეიძინა ავეჯი, ქურქელი და აღდგენილი ოჯახი დაახვედრა მეუღლეს.

მათი შერიგება, ოჯახის აღდგენა, ვის შეშურდებოდა?! მათი შეხმატკბილებული ცხოვრების განახლება, მტრის მეტს, ვის ეწყინებოდა! ოთხი შვილის მშობლების დროებით ჩამქრალი კერის გაჩაღება, უწინარეს ყოვლისა, ცხადია, მათი ღვიძლი შვილისათვის უნდა ყოფილიყო სასიხარულო. აბა, ვინ უნდა დაიჭეროს ის, რომ უფროს ქალიშვილს საწყენად დარჩა მშობლების შერიგება, ოჯახის განახლება! მაგრამ თურმე ადამიანის ბუნება უსაზღვროდ რთულია და ძნელად გაქოსაცნობი. არის შემთხვევები, როდესაც განსაზღვრულ კანონზომიერებას არ ემორჩილება ზოგიერთი ადამიანი.

ბრალდებულის უფროს ქალიშვილს „დიდად საწყენად“ დარჩენია მშობლების შერიგება, თუ დაუფერებთ საბრალდებო დასკვნასა და პატივცემულ პროკურორს. რა მასალით მტკიცდება დაზარალებულის „მძვინვარე აღშფოთება“? — არავითარით! პირიქით, ვადგენილია, რომ მზია შინ მივიდა ამხანაგებთან ერთად, მშობლები მზიარულად შეხედნენ მას, ფულიც კი მისცეს, დაარიგეს და შემდეგ დამშვიდებული წავიდა სამეცადინოდ.

როგორ უნდა მომხდარიყო ამის შემდეგ დაზარალებულის გზიდან გაქცევა, მტკვრისაკენ გადახვევა და მდინარეში გადავარდნა?! საგულისხმოა, რომ ეს ყველაფერი მოხდა ამხანაგების თვალწინ.

საბედნიეროდ, მზია უვნებლად გადარჩა.

ისმის კითხვა: თუ დაზარალებულს თავის დახრჩობა უნდოდა, რად შეარჩია მან ამისათვის ყველაზე უფრო უხერხული დრო და შეუფერებელი პირობები? თვითმკვლელობის მცდელობა მზიამ ჩაიდინა დღისით, როცა უამრავი ხალხია სანაპიროზე, როცა მას ახლდნენ ამხანაგები, მათ შორის ერთი კარგად მცურავი ახალგაზრდა, რაც მზიამ მშვენიერად იცოდა. ნუთუ მისთვის ცხადია არ იყო, რომ მას გადაარჩენდნენ? — რასაკვირველია, ცხადი იყო და სწორედ ამისათვის ჩაიდინა მან ეს უცნაური საქციელი. მისი მოქმედება უფრო ინსცენირებას გავს, განზრახ მოწყობილს, შესაძლოა ვინმეს კარნახით თუ დარიგებით, ვიდრე მოფიქრებულ თვითმკვლელობის ცდას. ის ხომ დეიდასთან იყო, როცა გაიგო მშობლების შერიგება; იქიდანვე დაუტრეკა მათ, და დეიდას რჩევით დაბრუნდა სახლში.

ვინ იცის, სად, ვინ ან როგორ დარიგეს დაზარალებული?! სამწუხაროდ, თავის დროზე ამ საკითხებს არ მიექცა ჭეროვანი ყურადღება. ამ მიმართებით სრულიად არ წარმოებულა გამოძიება.

ვინ შეისწავლა ნამდვილი მიზეზები მზიას ასეთი მძაფრი, რადიკალური და გადამწყვეტი მოქმედებისა? ვინ ჩაუფიქრდა ამ უცნაური თვითმკვლელობის მცდელობის არსს, საბაბსა თუ მიზეზს? — არავინ!

საინტერესოა ამ საქმის ფსიქოლოგიური მხარე. 15 წლის

გოგონამ როგორ გადადგა ეს ნაბიჯი? სად გააჩნდა მას ეს ძალა? ვით შეიძინა ასეთი მძლავრი ნებისყოფა და მტკიცე ხასიათი?

ასეთი საქმის ვითარება დიდ ჩაკვირებებს, წვდომას, განსჯასა და ღრმა ფსიქოლოგიურსა და იურიდიულ ანალიზს მოითხოვდა. მაგრამ ასე ღრმად არაეინ დაინტერესებულა ამ საქმით, არც პროფესიული მოვალეობისა და არც ადამიანური სიყვარულის გამო. ეს ხომ გულდასმით შრომასა და ხანგრძლივ ჯაფას მოითხოვდა, რასაც განერიდა გამოძიება და დღესაც თავს არიდებს მას ზოგიერთი.

პატივცემულო მოსამართლენო!

თქვენს გულისხმიერებას ბრალდებულისადმი და კრიტიკულ მიდგომას საქმისადმი შეუძლია იხსნას სამართალში მიცემული, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, მსხვერპლია ადამიანის ბედისადმი არაადამიანური დამოკიდებულებისა.

მე არა მაქვს განზრახვა თქვენში აღძრა შებრალების სენტიმენტალური გრძნობა, რომ ამით დაიფაროს საქმის არსებითი შინაარსი, მისი ლოგიკური და იურიდიული მხარეები, რადგან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ნამდვილი ხსნა კანონის სწორ გაგებასა და საკითხის მართებული იურიდიული თვალსაზრისით გადაწყვეტაშია.

ხოლო, როგორია საქმის ფაქტობრივი, იურიდიული, ლოგიკური და ადამიანური მხარეები?

მოსამართლენო!

ყველაფერი რომ დაზარალებულს დაუუჩეროთ, ყოველივე რომ ისე იყოს, როგორც საბრალდებო დასკვნის ისტორიულ ნაწილშია მოცემული, მაინც დადგენილია, რომ დაზარალებულმა თავის დახრჩობა განიზრახა იმისათვის, რომ მშობლები ერთმანეთს შეურიგდნენ. გამოდის, რომ კვთილ სურვილებს, მშობლიურ სიყვარულს, ოჯახის განმტკიცებას, მის განახლებას გამოუწვევია დაზარალებულის ისეთი სულიერი აფორიაქება, აგზნება და აღშფოთება, რომ საბედისწერო ნაბიჯი გადაუდგამს. სიკეთე ბოროტების წყარო გამხდარა! კარგს — ავი გამოუწვევია! — დაუჩერებელია... შეუძლებელია..

მაგრამ, ერთის წუთით დაუშვავთ ასეთი შესაძლებლობა,

დავიჯეროთ დაუჯერებელი (რაც ასე გულუბრყვილოდ სჯერათ აქ გამომძიებელსა და ბრალმდებელს).

ახლა იურიდიულად გავშიფროთ ის, თუ რამდენად შეიძლება ბრალეული ხასიათის მიზეზობრივ კავშირში იყოს მშობლების შერიგების ფაქტი მომხდარ შედეგთან, დაზარალებულის მიერ თავის დახრჩობის ცდასთან.

ისმის კითხვა: შეეძლო თუ არა სამართალში მიცემულს ი. გრიგოლაშვილს გაეთვალისწინებინა, რომ მის შერიგებას მეუღლესთან მოპყვებოდა ქალიშვილის თვითმკვლელობის ცდა? რა თქმა უნდა, არა! გრიგოლაშვილი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა იმას, რომ მეუღლესთან შერიგება გამოიწვევდა მისი ღვიძლი ქალიშვილის ასეთ უმადურებას. მას არ შეეძლო ამის გათვალისწინება, რადგან ეს წარმოუდგენელია ყველა ნორმალური ადამიანისათვის.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით გამოდის, გრიგოლაშვილმა დააშავა, რომ შეურიგდა მეუღლეს, ვინაიდან თურმე ამ ფაქტს გამოუწვევია მისი ქალიშვილის ტრაგიკული განზრახვა.

სად არის აქ განზრახვითი ან გაუფრთხილებლობითი ხასიათის მოქმედება, წინასწარ გათვალისწინებული ქმედობა ი. გრიგოლაშვილისა?

საბრალდებო დასკვნის ავტორი და პროკურორი დგანან ობიექტური შეურაცხადობის ყალბი თეორიის საფუძველზე, რაც დიდი ხანია დაგმობილია საბჭოთა სამართალში.

როგორ შეეძლო აეცილებინა ი. გრიგოლაშვილს შვილის თვითმკვლელობის მცდელობა, როდესაც იგი მოკლებული იყო ამის წინასწარ ხედვისა და შეცნობის საშუალებას!

როგორც თვით დაზარალებული მზია და მისი დედა აღიარებენ ბრალდებულს არასოდეს ხელი არ უხლია თავისი შვილებისათვის; შემთხვევის დღეს კი ალერსითა და სიყვარულით გაისტუმრა სახლიდან დაზარალებული. ამის შემდეგ როგორ შეეძლო ეფიქრა ბრალდებულს, რომ მზია თავის დახრჩობას განიზრახავდა.

ამრიგად, ივანე გრიგოლაშვილის მოქმედებასა და მისი ქალიშვილის — მზია გრიგოლაშვილის თვითმკვლელობის მცდელობას შორის არავითარი მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს.

მოგაგონებთ, რომ სსრ კავშირის უმადლესი სასამართლოს

პლენუმის დადგენილებებში ხაზგასმით მითითებულია: „ბრალდებული არ აგებს პასუხს ისეთ მოქმედებაზე, რომლის გათვალისწინება მას არ შეეძლო საქმის ვითარების გამო“.

მე საესებით დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო ანგარიშს გაუწევს. როგორც საბჭოთა სამართლის სწორ მეცნიერულ თეორიას, ისე სასამართლო პრაქტიკაში ჩვენი კანონის სწორად გატარების აუცილებლობასა და უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მითითებას, რათა ბრალდებული უდანაშაულო მსხვერპლი არ გახდეს იმ იურიდიული შეცდომისა, რომელიც დაშვებულია საბრალდებო დასკვნაში და რომლის გამოსწორება არ მოისურვა პატივცემულმა პროკურორმა.

თუ გამოძიებელმა და ბრალმდებელმა არ გაუწიეს ანგარიში ჩვენი სამართლის მეცნიერულ თეორიასა და მართებულ პრაქტიკას, თუ მათ არ შეხედეს საქმის ვითარებას საღი მოსაზრების შუქზე, თუ მათ არ შეაფასეს საქმის მასალა და სიტუაცია სწორად, (რისი შედეგითაც ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში აყვანა და სამართალში მიცემა) მაშინ, პატივცემულო მოსამართლენო, თქვენ არ გაიმეორებთ აქამდე დაშვებულ შეცდომებს, მოიხმობთ მაღალ იურიდიულ აზროვნებას, მოიმარჯვებთ საბჭოთა კანონებს და მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებულის მოქმედებაში არ არის დანაშაულის არავითარი ნიშანი, რადგან არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მასა და მომხდარ შედეგს შორის.

ამით შვება მიეცემა ამ უდანაშაულო კაცს, რომელიც მოწყალეობასა და შებრალებას კი არ თხოულობს, არამედ სამართლიანობას.

ასეთია, უცილობელ რწმენაზე დამყარებული ჩემი გულწრფელი სიტყვა. საქმეს კი თქვენგან მოველით — ნათელს, სამართლიანსა და მართებულს.

ს ი ზ ყ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
გიორგი ლეჟავასი
ა. გ. ერადის
საქმეზე

საქმის მოკლე ზინაარსი

ა. გ. ერაძე სამართალში იქნა მიცემული იმის გამო, რომ მან მიითვისა თავის ეზოში აღმოჩენილი მე-6-7 ს. ს. ბიზანტიური ოქროს მონეტები. ამ მონეტების ნაწილი მან ე. უმიკაშვილის დახმარებით გაყიდა. იგი თავის მხრივ დაუკავშირდა დ. კობიაშვილს და მასთან ერთად გადაადნო ისტორიული მნიშვნელობის ძვირფასი განძის ნაწილი.

1959 წლის 2—4 მარტს ერაძის და სხვების საქმე განიხილა საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც ერაძე დამნაშავედ ცნო წარდგენილი ბრალდებით და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 1½ წლით, ხოლო სასჯელის მოხდა გადაუდო 1 წლით, როგორც უკანასკნელი კურსის სტუდენტს.

ეს განაჩენი გააუქმა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, რესპუბლიკის პროკურორის პროტესტის შედეგად, კერძოდ, ერაძის მიმართ შერჩეული სასჯელის ლობიერების გამო და საქმე ხელმეორედ განსახილველად წარმართა. სასამართლომ ერაძეს ისევ 1½ წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 29 აგვისტოს დადგენილებით ერაძეს ეს სასჯელი შეუცვალა პირობითად და გამოსაცდელ დროდ დაუნიშნა 2 წელი.

ადვოკატ გიორგი ლეჟავას სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

საქმე, რომელსაც თქვენ უკვე მესამე დღეა დიდი ყურადღებითა და გულმოდგინებით იხილავთ, ისევე საინტერესო, უჩვეულო და განუმეორებელია, როგორც ის შემთხვევა, რომელიც 1958 წლის 3 სექტემბერს მოხდა ლანჩხუთის რაიონის ერთ სოფელში.

ამ საქმის წარმოშობის მიზეზი — ჩვენი დღევანდელი პაექრობის საგანი გახდა.

3 სექტემბერს სამართალში მიცემული ერაძის ეზოში აღმოჩენილი იქნა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის განძი — მე-6-7 ს. ს. ბიზანტიური ოქროს მონეტების დიდი კოლექცია. ამ შემთხვევამ არა მარტო მზის სინათლეზე გამოიტანა ეს ფასდაუდებელი საუნჯე და მისი დიდი ნაწილი შესძინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, არამედ განაპირობა კიდევ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ერაძის და სხვების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. საქმე აღიძრა იმის გამო, რომ აღმოჩენილი განძის ნაწილი განიავებული და მითვისებული აღმოჩნდა. ამით ერთმანეთს დაუკავშირდა ორი სრულიად განსხვავებული მოვლენა: ფასდაუდებელი საუნჯის აღმოჩენა, რაც უდიდეს სიხარულსა და სიამაყეს იწვევს და სისხლის სამართლის საქმე, რაც უღარესად სათაკილო და სამწუხაროა.

სამართალში მიცემული ერაძის ოჯახის წევრებს ცხადია, აზრადაც არ მოუვიდოდათ, თუ რა მნიშვნელოვანი აღმოჩენა მოჰყვებოდა ეზოს ერთ კუთხეში სამეურნეო, საჭიროებისათვის მიწის თხელი ფენის აცლას.

ამას ვერ იფიქრებდა აგრეთვე სამართალში მიცემული ერაძის მცირეწლოვანი შვილი, ვისაც წილად ხვდა მეზობლის ბავშვთან ცელქობისა და თამაშის დროს შემთხვევით, მოვლენათა შეხვედრის წყალობით თავისებური არქეოლოგის როლში მოვლენილიყო.

მოულოდნელად, თამაშის დროს, ბავშვებს მიწის თხელი გარსი ჩაენგრათ და ერთ მათგანს სწორედ იმ ქილაში ჩაუვარდა ფეხი, რომელშიც ხსენებული განძი იყო მოთავსებული.

ამ შემთხვევითი მიკვლევისას არავინ იცოდა, თუ რაოდენ მცირეა ბაზრის ღირებულება „ეშმაკის ძირის კვერთხისა“ მის პატრიოტულ, ეროვნულ და მეცნიერულ ფასთან შედარებით.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული განძის დიდი ნაწილი არ დაკარგულა, ის გადარჩენილია და ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ეს კოლექცია 117 ბიზანტიური ოქროს მონეტისაგან შედგება: მათ შორის 1 ცალი მონეტა ტიბერიუს კონსტანტინესა (578—582 წ.წ.), 1 — მავრიკ ტიბერიუსისა (582—602 წ.წ.), 102 — ფოკასი (602 — 610 წ.წ.) და 13 ჰერკლესი (610 — 641. წ.წ.).

ზემოხსენებული პერიოდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება ხელს უწყობდა ჩვენში ბიზანტიური ვალუტის ბრუნვას, რასაც, როგორც ჩანს, ინტენსიური სახე ჰქონდა იმდროინდელ კოლხეთში, არაბთა შემოსევის წინა პერიოდში, მებობელ ბიზანტიასთან სავაჭრო გაცვლა-გამოცვლისა და კულტურული ურთიერთობის შედეგად.

იმ დროს და განსაკუთრებით მომდევნო ხანაში, ქართველ კაცს ოცნებაც კი არ შეეძლო მშვიდ ცხოვრებაზე. იგი სიცოცხლისა და სარჩო-საბადებლის შენარჩუნების ზრუნვაში უნდა ყოფილიყო. მოძალადე გადამთიელისათვის ჩვენი ქვეყნიდან გასაზიდად ყველაზე მოსახერხებელი მცირე მოცულობისა და დიდი ღირებულების ოქროს ვალუტა უნდა ყოფილიყო, ხოლო პატრონისათვის ამ განძის საცავად ყველაზე საიმედო ადგილ — მიწის წიაღი.

ასეც მომხდარა. ალბათ ამიტომ მიაბარა ქართველმა კაცმა მიწას თავის საგანძური. დროთა მსვლელობამ კი ეს ოქრო უნიკალურ ეროვნულ საუნჯედ აქცია.

მონეტების ეს კოლექცია ჩვენი ნუმისმატიკოსების დასკვნით, „როგორც შემადგენლობით, ისე რიცხობრივად, განსაკუთრებული ინტერესის, ღირსია. შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური განძი მსოფლიოში არ არის ცნობილი“.

ამ ფაქტობრივ მონაცემებს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ საბრალდებო დასკვნის მიხედვით აღმოჩენილ ქილაში იყო 202 ცალი ოქროს მონეტა, (სინამდვილეში კი მათი რიცხვი შესაძლოა მეტიც იყო), მაშინ სავსებით გასაგები გახდება ის დიდი საზოგადოებრივი ინტერესი, რაც ამ საქმემ გამოიწვია.

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია იმ სავალალო ფაქტის უარყოფა, რომ ყველა საბჭოთა ადამიანმა როდი შეაარულა თავისი მოქალაქეობრივ-ზნეობრივი მოვალეობა — უკლებლივ ჩაებარებია ნაპოვნი განძი სახელმწიფოსათვის.

ეს შეეხება სამართალში მიცემულ ერაძესაც, რომელმაც შეცდომით ჩათვალა, რომ საკუთარ მამა-პაპეულ ეზოში აღმოჩენილი მონეტები მისი საკუთრებაა და განიზრახა მიეთვისებია ის. ეს ფაქტია და დაცვას არა აქვს განზრახვა უარყოს იგი. მაგრამ რჩება მთელი რიგი საკითხები, რომელთა სწორ და პირუთვნელ გადაწყვეტას სერიოზული მნიშვნელობა აქვს სამართალში მიცემულთა, კერძოდ, ერაძის დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისა და მისი სოციალური საშიშროების ხარისხის დასადგენად.

ამასთან დაკავშირებით მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო საქმის მასალებით საკმაო სიცხადით დადგენილ ზოგიერთ ფაქტს.

განძის აღმოჩენის დროს უფროსები შემთხვევის ადგილიდან დაშორებული იყვნენ; თვით სამართალში მიცემული ერაძე, რომელიც თბილისში ცხოვრობს და ინსტიტუტში სწავლობს, იმ დროს ჩიბათში არ იმყოფებოდა.

უჩვეულო აღმოჩენის გამო ამტყდარ ხმაურზე მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. ერაძის ოჯახის წევრები კი შედარებით დაგვიანებით მოვიდნენ საკოლმეურნეო მინდვრებიდან.

ხალხმა ნაპოვნი მონეტები იქვე სხვა, დიდ ჰურჭელში გადაყარა, და ზოგი რეცხვას, ზოგი წმენდასა და თვლას შეუდგა. მონაპოვარში ხელს ურევდა ყველა და მაშინ, ცხადია, არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ მათ ხელთ ეპყრათ უძვირფასესი საინტორიო საუნჯე, რომელსაც დაუფასებელი ეროვნული მნიშვნელობა გააჩნდა:

ასეთი სენსაციის შემდეგ, რაც სოფელში ამ ამბავმა გა-

მოიწვია, ცხადია, სამართალში მიცემულ ერაძეს, რომელმაც ყოველივე რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყო, არ შეეძლო ხელისუფლების ორგანოებისაგან დაფარულად განეზრახა ნაპოვნი განძის მითვისება ამის დასამტკიცებლად საკმარისია ითქვას, რომ ჭერ კიდევ ერაძის სოფელში ჩასვლამდე მონეტა წაიღო რაიონის მილიციის წარმომადგენელმა.

ერაძე, რომელმაც ეს ამბავი ახლობელთა მეშვეობით გაიგო, თბილისში დაბრუნდა ისე, რომ მონეტები თან არ წაუღია და მხოლოდ 20 დღის შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ ამ აღმოჩენისადმი არავინ განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენს, წამოიღო თბილისში 83 ცალი მონეტა.

ისმის კითხვა: იცოდა თუ არა ამ დროს ერაძემ, რა ღირებულების იყო ეს მონეტები, როგორც სამუზეუმო ექსპონატები, ან თუნდაც, როგორც ოქროს შემცველი საგნები?

მე მჯერა მისი განმარტება ამის შესახებ: მან არა მარტო ეს, არამედ ისიც კი არ იცოდა, რომ გარდა წამოღებული 83 ცალი მონეტისა 101 ცალი გადანახული ჰქონდა მისი ოჯახის ერთ-ერთ წევრს. ყოველივე ეს მან გვიან გაიგო.

ჩსენებული 83 ცალი მონეტის ბედი კარგადაა ცნობილი: მისი ნაწილი ერაძემ ნათესავს აჩუქა, ნაწილი კბილების გასაკეთებლად დაიტოვა, ხოლო 65 ცალი გაყიდა სამართალში მიცემული უმიკაშვილის დახმარებით. ამ მონეტების უმრავლესობა პირვანდელი და გადამდნარი ზოდების სახით, როგორც ვიცი, მიკვლეული და ამოღებულია. არ დაკარგულა აგრეთვე ის მონეტები, რომლებიც სამართალში მიცემული ერაძის ოჯახის წევრმა გადაინახა.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ოქროს განძის კოლექციიდან 6 ცალი მონეტა შეიძინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა მოწმე ცაბაძისაგან, რომელმაც ეს ოპერაცია რატომღაც ზარნაძის სახელით გააფორმა. მოწმე ცაბაძის განმარტებით 5 ცალი მონეტა ვილაც უცნობს მისი დისთვის მიუყიდია სოფელ ჩიბათში, სადაც ეს უკანასკნელი კბილის ექიმად მუშაობს, ხოლო ერთი ცალი თვით მას შეუძენია თბილისში აგრეთვე უცნობი პირისაგან.

იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რამდენად სარწმუნოა მოწ-

მე ცაბაძის ეს განმარტება, ის კი უცილობელია, რომ ეს 6 ცალი მონეტა ნაწილია სამართალში მიცემული ერაძის ეზოში აღმოჩენილი მონეტებისა. ეს რომ ასე არ იყოს, ცხადია, არ დასჭირდებოდათ თავიანთი ვინაობის დაფარვა ამ უცნობ „კეთილისმყოფელებს“, არც მათი სურვილი — „ნებაყოფლობით“ გადაეცათ ეს მონეტები მუზეუმისათვის, არ დაემთხვეოდა ერაძის და სხვების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

როგორ მოხვდა ეს მონეტები გამოძიებით დაუდგენელ პირთა ხელში? გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იმ დროს, როცა ამ ოჯახის წევრთა მოსვლამდე ნაპოვნი განძი მრავალთა ხელში იმყოფებოდა, რომელიმემ ისარგებლა შემთხვევით და მიითვისა მონეტების ნაწილი, შეიძლება გაცილებით მეტიც, ვიდრე დღემდე „ნებაყოფლობით“ ჩაბარდა სახელმწიფო მუზეუმს.

დასასრულ, საქმის ფაქტობრივი მასალის განხილვის დასამთავრებლად საჭიროა ითქვას, რომ სამართალში მიცემულმა ერაძემ ოქროს მონეტები უფრო იაფად გაყიდა, ვიდრე მოწმე ცაბაძემ მიყიდა ისინი საქართველოს მუზეუმს. თუმცა გარემოება ერთი შეხედვით მდგომარეობაა არ ცვლის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამართალში მიცემულისათვის უფრო სასარგებლო იყო მონეტები მუზეუმისათვის მიეყიდა, ვინაიდან ის 500 მანეთად იქნდა თვითეულ მონეტას. ხოლო ერაძემ 65 ცალი მონეტა 27000 მანეთად გაყიდა და ამ თანხიდან დამხმარეს სასყიდელი გადაუხადა.

საბრალდებო დასკვნით ერაძის დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოა სიახლის სამართლის კოდექსის 182 მუხლის მეორე ნაწილით, კვალიფიცირებულია აგრეთვე ამავე კოდექსის 58²⁷ მუხლით, ე. ი. ჩათვლილია, რომ მან არა მარტო მიითვისა განძის ნაწილი, არამედ დაარღვია კიდევ სავალუტო ოპერაციის წესიც.

ჯერ შევჩერდები ამ უკანასკნელ ბრალდებაზე. სავალუტო ოპერაციების დარღვევის საგანი ვალუტაა, ხოლო ვალუტა კი არის ქვეყნის ფულის სისტემის საფუძვლად მიღებული ფულა-

დი ერთეული. აქედან გამომდინარე ვალუტის ცნება ვერ და-
შორდება ფულის ცნებას.

ვალუტაა თუ არა ბიზანტიური ოქროს მონეტა?

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მე-6—7 საუკუნეების
ბიზანტიური მონეტები, — თუმცა უნიკალური და განუზო-
შელი ისტორიული მნიშვნელობის სამუზეუმო კოლექციაა,
რომლის მცირე ნაწილსაც კი შეეძლო დაემშვენებია მსოფ-
ლიოს ყოველი მუზეუმი, ისე როგორც ბრიტანეთის მუზეუმს
ვმშვენებს დავით აღმაშენებლის ოქროს მონეტა მეფის გამო-
სახულებითა და ზედწერილით — „დავით, მეფე აფხაზთა,
ქართველთა, კახთა და სომეხთა,“ — მაგრამ ისინი ვალუტად
არ ჩაითვლებიან.

ასეთი საუნჯის ჩათვლა ვალუტად მისი მნიშვნელობის შე-
უფასებლობაა. ეს მონეტები გაცილებით უფრო ღირებულია,
ვიდრე ვალუტა, რომელიც მისი ოქროს შემცველობით ფასდე-
ბა, ხოლო ასეთი საზომით არქაული მონეტების შეფასება შე-
უძლებელია, ისევე, როგორც წარმოუდგენელია ოქროს შემ-
ცველობით შევაფასოთ არქეოლოგიური გათხრებისა თუ სხვა
გზით მოპოვებული სამუზეუმო ექსპონატები. ასეთ შემთხვე-
ვაში ვენერა მილოსელი მისი ზომის მარმარილოს ფასად ელი-
რებოდა!

ეს რომ ასეა ჩანს არა მარტო იქიდან, რომ საბრალდებო
დასკვნა ამ კოლექციას უწოდებს განძს, ირამიდ იქიდანაც, რომ
ეს მონეტები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს—სიძველე-
თა საგანძურს ჩაბარდა და არა ბანკს—ფულადი ოპერაციების
დაწესებულებას. აქ ისინი დაცული იქნებიან სამულდამოდ და
ფულის ბრუნვაში არასოდეს მოხვდებიან, არც არსებული და
არც შეცვლილი სახით. ვალუტა კი, მოპოვებული დანაშაულებ-
რივი გზით, როგორც ცნობილია, ბარდება სახელმწიფო ბანკს
და იგი ამა თუ იმ სახით კვლავ შეიძლება იქნეს ჩართული ფი-
ნანსურ ბრუნვაში.

ამგვარად, ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ ჩიპათის განძი
გაცილებით უფრო მეტი ღირებულების საუნჯეა, ვიდრე ვა-
ლუტა, და იგი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სავალუტო ოპე-
რაციების დარღვევის საგნად.

დასასრულ, როცა ვლაპარაკობთ სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევაზე, ჩვეულებრივად ვგულისხმობთ ვალუტის ყიდვა-გაყიდვას, რაც მძიმე დანაშაულია. სამართალში მიცემულ ერაძეს კი, როგორც ცნობილია, ეს მონეტები არ უყობდა, იპოვა, ამიტომ მის მოქმედებაში არ არის არა მარტო ვალუტის, არამედ თუნდაც ოქროს ნივთის ყიდვა-გაყიდვის დანაშაულებრივი ფაქტი.

ჩვენ არაფერს ვამბობთ ერაძის მიერ გაყიდული მონეტების ერთი ნაწილის გადადნობის შესახებ, ვინაიდან მისი დანაშაული მითვისებული განძის გაყიდვით მთავრდება, და, ცხადია, მყიდველის შემდგომი მოქმედებისათვის მას ბრალს ვერ დავდებთ. მყიდველის მოქმედება, რაც ამ განძის გადადნობაში გამოიხატა და რამაც იშვიათი სამუზეუმო ექსპონატები ოქროს ზოდად აქცია, შეთანხმებული არ ყოფილა სამართალში მიცემულ ერაძესთან და ამიტომ იგი ამისათვის პააუხს ვერ აგებს.

ყოველივე ამის გამო ვთვლი, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მოქმედებაში არ არის სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევის ელემენტები და ამიტომ მისი დანაშაულის წარდგენილი კვალიფიკაცია უმართებულოა.

სხვა სახისაა ბრალდების ის ნაწილი, რომელიც აღმოჩენილი განძის მითვისებას შეეხება.

ეს დანაშაული სამართალში მიცემულმა ერაძემ ნამდვილად ჩაიდინა, მაგრამ აქაც არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ საქმით გამორკვეული ზოგიერთი გარემოება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182 მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ნაპოვნი საგნის ან მიკვლეული განძის მითვისებას. აქ კანონი პირდაპირ მიუთითებს „მიკვლეული განძის“ მითვისებაზე.

ბრალდებულ ერაძის ქმედობა კვალიფიცირებულია სწორედ ამ მუხლით და იგი მთლიანად ამოწურავს მის დანაშაულს, რადგან მან მითვისა აღმოჩენილი განძი. სამართალში მიცემულმა აღმოჩენილი საუნჯე უკანონოდ თავის პირად საკუთრებაში მოაქცია და შემდეგ მისი ნაწილი გააჩუქა, ნაწილი გაყიდა, ხოლო ნაწილი შეინახა კბილების გასაკეთებლად. მან ეს საუნჯე თავისი შეხედულების მიხედვით გამოიყენა.

რა არის ეს, თუ არა დანაშაულის ის სახე, რაც გათვალისწინებულია დასახელებული მუხლით? — არც მეტი, არც ნაკლები! ეს არის აღმოჩენილი განძის მითვისება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182 მუხლის მეორე ნაწილით.

მომდევნო საკითხი, რასაც დაცვა უყურადღებოდ ვერ დატოვებს, მდგომარეობს იმაში თუ როგორ უნდა დაისაჯოს ერთე იმ დანაშაულისათვის, რაც მან ნამდვილად ჩაიდინა .

იბადება კითხვა: იმსახურებს თუ არა იგი მკაცრ სასჯელს და ამას ექნება თუ არა შედეგიანი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, არა მარტო მისთვის, არამედ საერთო საზოგადოების სხვა მერყევი ელემენტების გამოსასწორებლად?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს საქმე სრულიად თავისებური და განუმეორებელია. არა მგონია სასამართლოს ოდესმე ჰქონოდა, ან მომავალში ექნეს განსახილველად მსგავსი საქმეები. ანალოგიური მითვისება უიშვიათესი მოვლენაა და ამის გამო ბევრმა შესაძლოა არც იცოდეს რომ აღმოჩენილი განძი არ ეკუთვნის მის აღმომჩენს.

სწორედ ასეთ — „არ ცოდნის“ მოვლენასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში. ეს იმითაც უნდა ყოფილიყო შეპირობებული, რომ აღმოჩენილი მონეტების ბედით თავდაპირველად არავინ დაინტერესებულა, თუმცა ეს ფაქტი ცნობილი იყო ხელისუფლების ორგანოებისათვის. სამართალში მიცემულ ერთეებს შეეძლო შეცდომით ეფიქრა, რომ მის ეზოში დამარხული განძი მას ეკუთვნის, მით უფრო, რომ მეზობლების დასტურით ეს მონეტები შეეძლო მიწაში დაემალა მის ახლო წინაპარს, მაგალითად, პაპას, რომლის საქმიანობა იძლეოდა ამ ჰიპოთეზის შესაძლებლობას.

სწორედ ასეთი განმარტება მისცა სამართალში მიცემულმა წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს. მე მჯერა, რომ ეს განმარტება გულახდილია და, ვფიქრობ, არც სასამართლოს აქვს საფუძველი ეჭვი შეიტანოს მასში.

ამ ფაქტის აღნიშვნით, რა თქმა უნდა, მე არა მაქვს განზრახვა ვამტკიცო, რომ სისხლის სამართლის კანონის უცოდინარობით მოქალაქეს, ვინც ეს კანონი დაარღვია, შეუძლია იმა-

რთლოს თავი, მაგრამ კონკრეტულად ამ შემთხვევაში ამას შეუძლებელია არ ჰქონდეს მნიშვნელობა ერაძის დანაშაულის სოციალური საშიშროების ხარისხის განსაზღვრისათვის.

თუ ყოველივე ამას გარდა, სასამართლო გაითვალისწინებს იმასაც, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ერაძე კარგი წარსული სა და ამჟამადაც საუკეთესო დახასიათების მქონე პირია, კერძოდ, დიდი სამამულო ომის მონაწილე ოფიცერი და დღეს წარჩინებული სტუდენტია, ვფიქრობ, არ არის საფუძველი მის მიმართ სიმკაცრის გამოჩენიას.

ამ მოსაზრებას ამაგრებს ისიც, რომ ერაძემ, როცა შეიგნო, თუ რა დიდი ეროვნული საუნჯეა მის ეზოში აღმოჩენილი, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ არ დაკარგულიყო არც ერთი ცალი მონეტა, და ამ მხრივ მან კარგი სამსახური გაუწია არა მარტო მართლმსაჯულებას, ჩვენს კულტურასაც.

ყოველივე ამის გამო, ვფიქრობ, მაქვს მყარი საფუძველი ვიშუამდგომლო თქვენ წინაშე, რათა სამართალში მიცემულ ერაძეს მოეხსნას წარდგენილი მძიმე ბრალდება — (სავალუტო წესების დარღვევა) დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო, და მიუსაჯოს მას მაუბუქი, მაგრამ სამართლიანი სასჯელი, ვინაიდან მან სცადა მიესაკუთრებინა ხალხი ეროვნული საუნჯე.

ს ი ზ ყ ვ ე

აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის

ალექსანდრე ლომინაძისა

ო. ს. არაბიძის

საქმეზე

საქმის მოკლე ზინაარსი

ო. ს. არაბიძე მიცემული იყო სამართალში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 241 მუხლის მესამე ნაწილით. მან დაარღვია მოძრაობის წესები და მასზე გაპიროვნებული სატვირთო მანქანა დააჯახა მოქალაქე ვ. კიმიროვს, რომელიც მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

სახალხო სასამართლომ 1960 წლის 4 აპრილს გაარჩია საქმე, ო. არაბიძე დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ეს განაჩენი.

სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა, რომელსაც საჩივრით მიმართა ადვოკატმა ა. ლომინაძემ, გააპროტესტა განაჩენი ო. არაბიძის საქმეზე და მოითხოვა ბრალდებულის გამართლება სისხლის სამართლის კოდექსის 241 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში, ხოლო საჭიროდ დაინახა მისი დასჯა მოქალაქის განსაცდელში მიტოვებისათვის.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მთლიანად გაიზიარა გენერალური პროკურორის მოთხოვნა: გაამართლა ო. არაბიძე სისხლის სამართლის კოდექსის 241 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში და იმავე კოდექსის 129 მუხლით სასჯელად განუსაზღვრა 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ადვოკატ ალექსანდრე ლომინაძის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

მეტად მარტივ ვითარებაში მოხდა ის ტრაგიკული, უალრესად სამწუხარო შემთხვევა, რომელმაც ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი ვლადიმერ კიმიროვი იმსხვერპლა. ახლა, როცა სამსჯავრო ძიება დამთავრებულია, როცა ამ საქმის ყველა წვრილმანი გულდასმით გამოკვლეული და შესწავლილია, ჩვენ საშუალება გვაქვს ნათლად წარმოვიდგინოთ უბედური შემთხვევის მთელი სურათი, რომელიც თქვენი განხილვის საგანს წარმოადგენს.

თქვენ აქ დაკითხეთ მოწმეები და გაარკვიეთ, რომ კიმიროვი, ეს ენერგიით სავსე ვაჟკაცი, რომელიც წარმოებაში საუკეთესო მუშად ითვლებოდა, სისტემატურად ეტანებოდა მაგარ სასმელებს და ლოთობდა, სვამდა უზომოდ, უანგარიშოდ, ამხანაგების რჩევა-დარიგებას ყურს არ უგდებდა. იმ საბედისწერო დღესაც, როცა ეს შემთხვევა მოხდა, კიმიროვი დიდხანს იყო სასაუზმეში, შემდეგ სასადილოში, სადაც დალია ზომაზე ბევრად მეტი, ბარბაცით გამოვიდა გარეთ და ფეხაშლით მიუახლოვდა თავის ველოსიპედს. კიმიროვი ძლივძლივობით დაჭრა ველოსიპედზე და ზიგ-ზაგით გაემართა სახლისაკენ. სწორედ ამ დროს, მახლობელი სოფლიდან ქალაქისაკენ მოდიოდა სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც ოთარ არაბიძე მართავდა. ნელა მოჰყავდა არაბიძეს მანქანა. იგი მთელი დღის მუშაობის შემდეგ გარაჟში მიემართებოდა, რადგან სამუშაო-საათები უკვე დამთავრებული იყო და დღიური გარჯით დადღილი მხოლოდ დასვენებაზე ფიქრობდა. უცებ მძღოლის ყურადღება მიიპყრო მოპირდაპირე მხრიდან უწყესრიგოდ მომავალმა ველოსიპედისტმა. ეს კიმიროვი იყო, რომელსაც მარჯვენა მხარე დაეტოვებინა და ღერძულა ხაზიდან მარცხნივ გადასულიყო. არაბიძემ ხმოვანი სიგნალი მისცა, რათა ველოსიპედზე მჯდომი მარჯვენა მხარეზე გადასულიყო. კიმიროვმა არავეითარი

ყურადღება არ მიაქცია მანქანის სიგნალს და სვლა განაგრძო. ამ უცნაური საქციელით გაკვირვებულმა არაბიძემ, მოსალოდნელი მარცხის თავიდან ასაცილებლად მანქანა გააჩერა. კიბროვს ადვილად შეეძლო გვერდი აექცია მანქანისათვის, მაგრამ იგი შეუგნებლად მოჰქროდა წინ და მალე გაჩერებულ ავტომანქანას დაეჯახა. ამის შედეგად კიბროვი ველოსიპედიდან გადმოვარდა და მიწაზე დაცემისას თავის ქალას მძიმე დაზიანება მიიღო, რაც სასიკვდილო აღმოჩნდა.

ასეთი იყო ამ უბედური შემთხვევის ნამდვილი სურათი, და ნაცვლად იმისა, რომ პროკურატურას შეეწყვიტა ამ საქმის გამოძიება დანაშაულის არ არსებობის გამო, ჩვენ ვხედავთ, რომ არაბიძე სასამართლოში აღმოჩნდა.

უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, თუ როგორ არის გადმოცემული საბრალდებო დასკვნაში ზემოაღწერილი უბედური შემთხვევა. იქ სიტყვა-სიტყვით ასე სწერია: „არაბიძემ შენიშნა რა მისკენ ზიგზაგისებურად მომავალი ველოსიპედისტი არ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოება, დაარღვია საავტომობილო გზაზე მოძრაობის წესები, დროულად არ გააჩერა მანქანა გზის მარჯვენა მხარეს, გადავიდა მარცხენა მხარეს და გააჩერა ის გზის განივად. კიბროვმა ვერ შეძლო მისთვის განკუთვნილ სავალ გზაზე გაჩერებული მანქანისათვის გვერდის ავლა და დაეჯახა ავტომანქანის ძარას“.

როგორც ხედავთ, საბრალდებო დასკვნით აღწერილი სურათი დიდად განსხვავდება იმისაგან, რაც სინამდვილეში მოხდა. არაბიძემ მანქანა დროულად გააჩერა, რაც დადასტურებულია არა მარტო შემთხვევის მოწმეთა ჩვენებებით, არამედ სპეციალური ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნითაც. საბრალდებო დასკვნის ავტორმა და შემდეგ აქ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელმა ამ მნიშვნელოვან გარემოებას გვერდი აუხვიეს, თვალი დახუჭეს უდავოდ დადგენილი ჭეშმარიტების წინაშე.

საბრალდებო დასკვნაში აგრეთვე ნათქვამია, რომ არაბიძის მიერ მანქანის გზის განივად გაჩერება არის უბედურების მთავარი მიზეზი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ ვერსიის ავტორები აშკარა კონფლიქტში არიან სინამდვილესთან. არც წინასწარი და

არც სამსჯავრო გამოძიების მასალებში არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ არაბიძემ მანქანა გზის განივად გააჩერა. საბრალდებო დასკვნის ავტორი, რომელიც რატომღაც ცდილობდა დაემძიმებინა არაბიძის მდგომარეობა, არ დაუფიქრდა იმას, რომ გზის განივად გაჩერებულ მანქანას არ შეეძლო გვერდის ავლის საშუალება წაერთმია კიმიროვისათვის, რადგან იქ, სადაც ეს შემთხვევა მოხდა, გზის სავეალი ნაწილის სიგანე 11 მეტრს უდრის, ხოლო მანქანის სიგრძე 5 მეტრს არ აღემატება. ევლოსიპედისათვის კი სავსებით საკმარისია ერთი, ერთნახევარი მეტრის სიგანის გზა. ასეთ პირობებში, განა კიმიროვს არ შეეძლო გვერდი აექცია მანქანისათვის? რა თქმა უნდა, შეეძლო, რადგან მის განკარგულებაში დაახლოებით 5 მეტრის სიგანის თავისუფალი გზა იყო.

აი, როგორი შეცდომა დაუშვა საბრალდებო დასკვნის ავტორმა, რომელმაც უგულებელყო სარწმუნოდ დადგენილი და უცილობლად დადასტურებული გარემოება.

არანაკლებ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა სახელმწიფო ბრალმდებელიც. მან აქ, სასამართლოში, თავის სიტყვაში თავით ბოლომდე გაიმეორა ეს უმწეო და მოგონილი ვერსია; და ბოლოს მესამე ამბავი, რომელიც არასწორად არის გადმოცემული საბრალდებო დასკვნაში. ეს გახლავთ ცნობა თითქოს არაბიძემ მანქანა გზის მარცხენა მხარეს გააჩერა. თუ ეს მართლა ასე იყო, მაშინ არაბიძის საქციელი დასაგმობი და დანაშაულებრივია. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა, და ამაში ჩვენ ყველანი დავრწმუნდით აქ, სასამართლოში.

საბრალდებო დასკვნის ავტორი ამ საკითხში ეყრდნობოდა ერთადერთი მოწმის აიშე სირაბიძის ჩვენებას, რომელმაც წინასწარი გამოძიების პროცესში მართლაც უჩვენა, და ღღეს აქაც გაიმეორა, რომ მანქანა გაჩერებული იყო გზის მარცხენა მხარეს. ეს მოწმე სამოცდაათ წელს მიახლოებული მოხუცია. იგი, როგორც მან თვითონ განაცხადა, თავისი სახლის ეზოდან გამოვიდა ავარიის შემდეგ და დაინახა, რომ მძლოლ არაბიძეს მოწმე ზოიძის დახმარებით დაზარალებული კიმიროვი გზის ასავალი ნაწილიდან გვერდზე გადაჰყავდა. მე მინდა მოგახსენოთ, თუ როგორი დიპლომატი გაიმართა ამ მოწმესა და სახელ-

მწიფო ბრალმდებლის წარმომადგენელს შორის აქ, სასამართლოში.

— თქვენ შემთხვევას დაესწარი? — ეკითხება მოწმეს სახელმწიფო ბრალმდებელი.

— არა, არ დაესწრებივარ. მე რომ ეზოდან გამოვედი, შემთხვევა უკვე მომხდარი იყო, — პასუხობს მოწმე.

— სად იდგა მანქანა?

— მანქანა გზაზე იდგა.

— გზის რომელ მხარეს, მარჯვენა მხარეს, თუ მარცხენა მხარეს? — კითხულობს პროკურორი.

— გზის მარცხენა მხარეს, — პასუხობს მოწმე, და პროკურორი ამით ამთავრებს მოწმე სირაბიძის დაკითხვას.

თითქოს ყველაფერი მართლა ისეა, როგორც საბრალდებო დასკვნის ავტორმა აღწერა, მაგრამ პროკურორის შემდეგ მოწმეს ვეკითხები მე და სურათი სავსებით იცვლება.

მე მოგაგონებთ ამხანაგო მოსამართლენო, თუ როგორი დიალოგი გაიმართა ჩვენ შორის.

— თქვენ ამბობთ, რომ მანქანა იდგა გზის მარცხენა მხარეს?

— დიახ, მანქანა იდგა გზის მარცხენა მხარეს, — მპასუხობს მოწმე.

— თქვენი ეზო გზის რომელ მხარეს არის?

— მარჯვენა მხარეს.

— თქვენ როგორ ასხვავებთ გზის მარჯვენასა და მარცხენა მხარეებს? — ვეკითხები მე.

— გზა მოდის ბათუმიდან და მიემართება ხულოსაკენ, ვინც ბათუმიდან ხულოში მიდის, იმისათვის ჩემი ეზო გზის მარჯვენა მხარეს იქნება.

— მანქანა სად იდგა: თქვენი ეზოდან ბათუმის მხარეს, თუ ზულოს მხარეს?

— ხულოს მხარეს.

— თქვენ როგორ იღეკით, როცა მანქანა დაინახეთ?

— მე ზურგით ვიღეკე ბათუმისაკენ და პირით ხულოსაკენ.

— მანქანის წინა ნაწილი საით იყო მიმართული?

— მანქანის წინა ნაწილი მიმართული იყო ბათუმისაკენ.

— გამოდის, რომ მანქანა გაჩერებამდე ბათუმისაკენ მი-
დიოდა.

— დიახ, აგრე გამოდის.

— თქვენც რომ ისე დამდგარიყავით, როგორც მანქანა იდ-
გა, ესე იგი პირით ბათუმისკენ, მაშინ სად იქნებოდა მანქანა,
გზის მარცხენა მხარეს, თუ მარჯვენა მხარეს?

— მარჯვენა მხარეს.

აი, ამხანაგო მოსამართლენო, ასე გამოიჩვენა სასამართლო-
ში, რომ მოწმე აიშე სირაბიძის ჩვენება დაზუსტებული არ იყო.
არც გამომძიებელმა და არც პროკურორმა არ ინებეს გამოერ-
კვით საით იყო მარჯვენა და საით მარცხენა მხარე. სამსჯავრო
გამომძიების შედეგად კი ეს საკითხი დაზუსტდა, ყველაფერი
ნათელი გახდა. კერძოდ, გამოიჩვენა, რომ მანქანა გზის მარჯვე-
ნა მხარეს გაუჩერებია არაბიძეს. ამის შემდეგ პროკურორს
თავის სიტყვაში აღარ გაუმეორებია საბრალდებო დასკვნით
აღიარებული ეს უსაფუძვლო ვერსია. არაბიძეს მანქანა მიჰ-
ყავდა ბათუმის მიმართულელებით, ის, ბუნებრივია, გზის მარჯ-
ვენა მხარეზე მიდიოდა და მანქანაც, ცხადია, ამ მხარეს გააჩე-
რა. კიმიროვი ველოსიპედით მოსიარულისათვის დადგენილი
წესის დარღვევით გზის მარცხენა მხარეს მიდიოდა და ამი-
ტომ ავტომანქანას წინ გადაეღობა. სახელმწიფო ბრალდებე-
ლი ჯრ ხედავს, ან არ სურს დაინახოს, რომ მოძრაობის წესე-
ბი დარღვეული იყო სწორედ კიმიროვის მიერ. ეს დარღვევა
მდგომარეობდა არა მარტო იმაში, რომ იგი აკრძალულ მხარე-
ზე მიდიოდა, არამედ იმაშიც, რომ ველოსიპედს მთვრალი მარ-
თავდა. ამის შესახებ საავტომობილო ინსპექციის ოქმში, რო-
მელიც საგზაო შემთხვევის თაობაზე შეადგინეს, პირდაპირ
სწერია. „კიმიროვი იყო მთვრალი და ველოსიპედი მიჰყავდა
სავალი გზის მარცხენა მხარეს. მძღოლმა არაბიძემ მანქანა გა-
აჩერა, ხოლო ამ დროს კიმიროვი ველოსიპედით დაეჯახა გა-
ჩერებული მანქანის წინა ნაწილს“.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან და მის სა-
ფუძველზე შედგენილი საგზაო შემთხვევის სქემიდან ჩანს,
რომ სამუხრუჭო მანძილი ხუთ მეტრს უდრიდა.

სასამართლოში დაკითხულმა ექსპერტმა-სპეციალისტებმა
განმარტეს, რომ სამუხრუჭო მანძილის ხსენებული სიგრძე მი-

უთითებს იმაზე, რომ მანქანის მოძრაობის სიჩქარე საათში არ აღემატებოდა ოც კილომეტრს.

შემთხვევის შემდეგ მანქანის დათვლიერების ოქმში ნათქვამია, რომ „მანქანაზე არავითარი ახალი დაზიანება ან განაკაწრი არ აღმოჩნდა, ის ტექნიკურად სავსებით გამართულია“.

საქმეში ჩვენ გვაქვს აგრეთვე ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა. მე უცვლელად ვაქვეყნებ ამ დასკვნის უმთავრეს მუხლებს:

1. მძლოლი არაბიძე მოძრაობდა გზის სავალი ნაწილის მარჯვენა მხარეს დასაშვები სიჩქარით და მის მიერ მოძრაობის წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

2. მძლოლმა არაბიძემ შენიშნა თუ არა მოძრაობის წესების დარღვევით მომავალი ველოსიპედისტი, შეამცირა სიჩქარე, მისცა გამაფრთხილებელი ხმოვანი სიგნალი და გააჩერა ავტომანქანა.

— 3. დაზარალებულზე მიყენებული დაზიანებანი და ველოსიპედზე შენიშნული განაკაწრები ადასტურებენ, რომ ისინი გამოწვეულია მდგარ ავტომანქანაზე ველოსიპედის დაჯახებით.

4. კიმიროვს დაშვებული აქვს მოძრაობის წესების შემდეგი სახის დარღვევანი: ველოსიპედის საჭეზე ჩამოკიდებული ჰქონდა ნივთებით სავსე ხელჩანთა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშელა სწორი მართვისათვის, საჭეს მართავდა მთვრალი და მოძრაობდა გზის აკრძალულ სავალ ნაწილზე.

ექსპერტებმა ეს დასკვნა მთლიანად დაადასტურეს სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე.

მკურნალი ექიმის ცნობიდან და ავადმყოფობის ისტორიიდან ჩანს, რომ კიმიროვი შემთხვევის მომენტში მთვრალი იყო.

გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის ოქმიდან და ექსპერტი ექიმის დასკვნიდან ირკვევა, რომ კიმიროვზე მიყენებული დაზიანებანი შეიძლებოდა წარმოქმნილიყო უმოძრაოდ მდგარ მანქანაზე ველოსიპედის დაჯახების შედეგად.

დასასრულ, უბედური შემთხვევის მოწმემ ნოდარ ზოიძემ, რომელიც მძლოლის გვერდით იჯდა, აჩვენა: „მანქანა მოძრაობდა 20-25 კილომეტრის სისწრაფით, გამოჩნდა ველოსიპე-

დისტი, რომელიც მოდიოდა შუაგზაზე, ოთარმა; რომელიც მიდიოდა მარჯვენა მხარეს, დაამუხრუჭა მანქანა, რომელსაც კიმიროვი თვითონ დაეჭაბა“.

მანქანის მძღოლმა არაბიძემ უბედურების თავიდან ასაცილებლად გააკეთა ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული. მას არ შეეძლო გაეკეთებინა ის, რაც დაზარალებულზე იყო დამოკიდებული. ამ საბედისწერო გარემოებას მოჰყვა ეს უბედური შემთხვევა. ამ შემთხვევის წანამძღვარები შექმნა თვითონ კიმიროვმა.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ აქ დავკითხეთ კიმიროვის მეუღლე ვერა შეპანსკაია, რომელმაც დაადასტურა, რომ მისი ქმარი ხშირად სვამდა, თვრებოდა და ველოსიპედით სიარულია დროს არა ერთხელ მოსვლია მარცხი. სწორედ ამ ერთი თვის წინათაც სიმთვრალეში დაჯახებია საბარგო მანქანას და სასეზე მნიშვნელოვანი დაზიანება მიუღია. მაშინ ის შედარებით მშვიდობიანად გადარჩენილა. მაგრამ კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს. უკანასკნელი შემთხვევა სავალალო აღმოჩნდა. იგი ტრაგიკულად დამთავრდა კიმიროვისათვის და სამწუხარო აღმოჩნდა არაბიძისათვის, რომელიც აგერ მესამე თვეა საპატრონი იმყოფება და მოუთმენლად მოელის თქვენს სამართლიან განაჩენს.

სახელმწიფო ბრალმდებელმა აქ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ არაბიძემ, რომელიც შემთხვევის ადგილს გაშორდა, განსაცდელში დატოვა დაზარალებული კიმიროვი, რითაც თითქოს მან კანონით გათვალისწინებული განსაზღვრული დანაშაულიც ჩაიდინა და ამით დაამძიმა მდგომარეობა.

მე ვერ გავიზიარებ პროკურორის ამ მოსაზრებას არა მარტო იმიტომ, რომ არაბიძისათვის ეს ბრალდება არ წამოუყენებიათ, არამედ იმიტომაც, რომ უდავოდ დადასტურებულია შემდეგი: შემთხვევის ადგილიდან იგი წავიდა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ხალხი მოგროვდა, მათ შორის იყო მილიციის ორი მუშაკიც, რომლებმაც დაზარალებულის გადასაყვანად მსუბუქი ავტომანქანა გააჩერეს.

მე მოგახსენეთ ჩემი სათქმელი, ამხანაგო მოსამართლენო.

ერთი ან ორი საათის შემდეგ, თქვენი მაღალი ტრიბუნიდან გავიგონებთ საბჭოთა მართლმსაჯულების სამართლიან სიტყვას, რომელიც ძალას წაართმევს უდანაშაულო ადამიანისათვის წარდგენილ უმართებულო ბრალდებას და პატიოსანი შრომის ფერხულში ჩააბამს ოთარ არაბიძეს.

ს ი ზ ყ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ალექსანდრე საგინაშვილისა
პ. ლ. მურღულიას.
საქმეზე

საქმის მოკლე შინაარსი

1949 წლის 9 ივნისს, ღამით, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც განადგურა შენობის ნაწილი და სახელმწიფოს 4 მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა.

გამოძიების აზრით, ხანძრის წარმოშობის მიზეზი სახანძრო უშიშროების წესების დარღვევა იყო, რაც ბრალად ედებოდათ თეატრის დირექტორს პ. მურღულიას, სცენის თანამშრომელს ბ. მაჭავარიანს, თეატრის სახანძრო დაცვის უფროსს გ. მარლენოვს და თეატრის მორიგე მეხანძრეს ხ. ავეტისოვს.

დასახელებული პირები სამართალში იქნენ მიცემული: მურღულია — საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 103-5 მუხლის მეორე ნაწილითა და 118 მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო მაჭავარიანი, მარლენოვი და ავეტისოვი იმავე კოდექსის 103-5 მუხლის მეორე ნაწილით.

საქმე განიხილა საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1949 წლის 5-11 ოქტომბერს.

სამართალში მიცემული პ. მურღულია სასამართლომ ცნო დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 103-5 და 117 მუხლებით. 118 მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება მას მოეხსნა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ თავისი 1950 წლის 15 მარტის განჩინებით მცდარად აღიარა 103-5 მუხლის მეორე ნაწილის გამოყენება მურღულიას მიმართ და მისცა მის მოქმედებას კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლით (სამსახურებრივი დაუდევრობისათვის).

პ. მურღულიას ეცავდა ადვოკატი ა. ნ. საგინაშვილი.

ადვოკატ ალექსანდრე საბინაშვილის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

დიდი ყურადღებით მოვისმინე მე სახელმწიფო ბრალდებლის სიტყვა.

რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში მომხდარი ხანძარი, რომლის წყალობით თეატრს ერთხანს აღარ ექნება ნორმალური მუშაობის შესაძლებლობა, მეტად სამწუხარო შემთხვევაა.

უდავოა, რომ ხანძრის შედეგად მიღებული ზარალი, რომელიც 4 მილიონ მანეთს აღემატება, ფრიად დიდია.

მაგრამ აქედან, ცხადია, არ უნდა იქნეს გაკეთებული ისეთი დასკვნა, თითქოს ეს ამბავი ეროვნულ უბედურებას მოასწავებდეს და აუნაზღაურებელი დანაკლისი იყოს.

სავსებით სარწმუნოა, რომ რუსთაველის თეატრის შენობა ახლო მომავალში აღდგენილი იქნება და იგი წინანდებურად დაამშვენებს ჩვენს ქალაქს, კვლავ განახლდება მასში ჩვენი შესანიშნავი თეატრის ცხოვრება.

ამიტომ, ვფიქრობ, სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელმა ფრიად მუქი საღებავებით დაბატა ხანძრის შედეგები და მეტად დიდი დრო მოანდომა იმას, რომ ყოვლად უნუკეზოდ წარმოედგინა თქვენთვის შექმნილი მდგომარეობა.

საბედნიეროდ, ეს ასე არ არის.

სწორედ ეს მსურდა აღმენიშნა, ვიდრე ბრალდების მასალების უშუალო ანალიზს შევუდგებოდე.

მეორე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც მე უნდა შევეხებო, არის კვალიფიკაციის საკითხი.

სამართალში მიცემულ მურღულიას წარდგენილი აქვს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 103-5 მუხლის მეორე ნაწილისა და 118 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

კიდევ რომ დავუშვათ, მურღულიასადმი ინკრიმინირებუ-

ლი დანაშაულის უცილობლობა, ამ კვალიფიკაციას ჩვენ მაინც ვერ დავეთანხმებით.

103-5 მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს საწარმოო-ტექნიკური რეჟიმის ამ მუშაობის პირობების ისეთ დარღვევებს, რომლებიც იწვევენ აფეთქებებსა და ხანძარს (აფეთქება — საშიშ საამქროებში და არა საერთოდ ყოველგვარ საწარმოში).

ექვს გარეშეა: კანონმდებელმა იმიტომ გამოჰყო აფეთქება საშიშ საამქროებში, რომ მას მხედველობაში ჰქონდა სწორედ ამგვარ საამქროებში დისციპლინის დარღვევის განსაკუთრებული საშიშროება.

ამიტომ ეს მუხლი განვრცობით განმარტებას არ ექვემდებარება.

მაშასადამე, მისი გამოყენება არც სამართალში მიცემულ მურღულიას მიმართ შეიძლება. ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორიც თეატრია, ვერ მიეკუთვნება აფეთქება — საშიშ საამქროებს.

სახელმწიფო ბრალმდებელი ამტკიცებდა, თითქოს სცენა აფეთქების საშიშ ობიექტს წარმოადგენდეს. ეს უმართებულოა, რადგან სცენაზე ადვილად აალებადი დეკორაციების არსებობა, მის აფეთქება-საშიშროებას სრულიადაც არ ნიშნავს.

კიდევ მეტიც: მე ვფიქრობ, თეატრის კარები ხალხისათვის ყრუდ დაიხურებოდა, იქ რომ რაიმე აფეთქების საშიშროება არსებობდეს.

სრულიად უმართებულოა მურღულიას მიმართ აგრეთვე 118 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით წარდგენილი კვალიფიკაცია. ამ მუხლში ლაპარაკია — განათების ცენტრალური აპარატის მოქმედების მოშლაზე და რღვევაზე, რაც შინაგანი მიზეზებით არის განპირობებული, და იგი სრულიადაც არ გულისხმობს ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერებას, უკეთეს ეს შეჩერება გამოიწვია გარეშე ხასიათის ისეთმა მიზეზებმა, როგორიც არის ხანძარი.

ამ მუხლის დისპოზიციიდან ნათლად ჩანს, რომ აქ ლაპარაკია ხელმძღვანელებზე, რომლებიც სათავეში უდგანან მმართველობის ცენტრალურ აპარატებს და არა ისეთ პირველად რგოლებს, როგორიცაა თეატრი.

ამრიგად, მოცემული შემთხვევისათვის 118 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება სრულიად უმართებულოა, როგორც დანაშაულის სუბიექტის, ისე მასი ობიექტის თვალსაზრისით.

და მე სავსებით სწორად მიმაჩნია ამხანაგ პროკურორის განცხადება იმის შესახებ, რომ მურღულიასათვის ინკრინინირებული ქმედობის კვალიფიკაცია ამ მუხლით არ შეიძლება.

ამიტომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საბრალდებო დასკვნაში ზოგჯერ ფაქტიურ გარემოებებს დადგენილად ჩავთვლით, მურღულიას დანაშაულის კვალიფიკაცია უნდა შეიცვალოს 117 მუხლით, რომელიც დაუდევრობას ითვალისწინებს.

მაგრამ მე ბრალმდებელს მარტოდენ კვალიფიკაციის საკითხში როდი ვედავები.

მე ვაცხადებ, რომ სამართალში მიცემილი მურღულია სრულიად უდანაშაულოა და შევეცდები ჩემი მტკიცე რწმენა შეძლებისამებრ დავასაბუთო.

ბრალდების ფორმულა იმით იწყება, რომ მურღულია როგორც თეატრის დირექტორი, თავის მოვალეობას დაუდევრად ასრულებდა, რაც, თითქოს, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მითითებათა სისტემატურ შეუსრულებლობასა და ელემენტარულ ღონისძიებათა უგულებელყოფაში გამოიხატება.

აქ მხედველობაშია მიღებული ის გარემოება, რომ თეატრის დეკორაციებისათვის საგანგებო საწყობები არ გააჩნდა და რომ დეკორაციები ცეცხლისაგან დამცველი ხსნარებით გაქლენთილი არ იყო. ბრალდება იმასაც უსვამს ხაზს, რომ სცენაზე ინახებოდა ხუთი დადგმის დეკორაციები, ოღეცა იქ მხოლოდ ორი დადგმის. დეკორაციების შენახვა იყო ნებადართული.

სამსჯავრო გამოძიებით დადგენილია, რომ დეკორაციების გაქლენთა ცეცხლისაგან დამცველი ხსნარებით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურ სახელოსნოებში. ისეთმა ავტორიტეტულმა მოწმემ, როგორიც ამხანაგი კანდელაკია, სასამართლოს განუცხადა, რომ მურღულიამ როგორც თეატრის დირექტორმა, არაერთხელ დასვა საკითხი ხელოვნების სამმართველოს წინაშე, რათა აშენებული ყოფილიყო სპეციალური საწყობი დეკორაციებისათვის და მოწყობილიყო ცეცხლისაგან

დამცველი საუღენტო სახელოსნო. იგივე დაადასტურა სსრკ სახალხო არტისტმა ა. ზორავამ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოთხოვნილება თავის დროზე დაკმაყოფილებული არ იქნა.

ასევე დაუსაბუთებელი გახლავთ ბრალდება, სცენაზე დეკორაციების გადაჭარბებული რაოდენობის შენახვის თაობაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტოოდენ დამხმარე სათავსოების უქონლობა საკმაო საფუძველს წარმოადგენს იმისათვის, რომ სამართალში მიცემულ მურღულიას ეს ბრალდება მოეხსნას.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვიდმეტი დადგმის დეკორაციებიდან, რომლებიც ცეცხლისაგან დაზიანდა, ხანძრის ღამეს სცენაზე იყო არა ხუთი დადგმის დეკორაცია, როგორც ეს აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში, არამედ მხოლოდ სამი დადგმისა.

სახანძრო დაცვის სამმართველოს ზოგიერთი მითითების შესრულება საერთოდ შეუძლებელი იყო.

ასეთია, მაგალითად, სამმართველოს მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მურღულიას შემოედო თეატრის პასუხისმგებელ მუშაკთა განუწყვეტელი მორიგეობა დღე-ღამის განმავლობაში.

რა თქმა უნდა, მისასაღებელი მოვლენაა, როდესაც ამა თუ იმ დარგის მუშაკები თავიანთი საქმის მოყვარულები არიან. ამ თვალსაზრისით სახანძრო დაცვის სამმართველოს მუშაკები, და მათ შორის ამხანაგი ბასტაცკიც, ყოველმხრივ მოწონების ღირსნი არიან.

მაგრამ ყოველგვარ მოთხოვნას, თუნდაც ისეთსაც, რომლის წყაროს საქმისადმი სიყვარული წარმოადგენს, თავისი საზღვარი უნდა გააჩნდეს, თორემ იგი შესაძლებელია, ასე ვთქვათ, „სახანძრო პატრიოტიზმად“ გადააქცეს. განუწყვეტელი მორიგეობის შემოღების მოთხოვნაც სწორედ ასეთი კურონოზული ხასიათისა იყო.

როგორც ეტყობა, სამმართველოს მუშაკებს და, კერძოდ, მის ინსპექტორს, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია იმის შესახებ, თუ თეატრის პასუხისმგებელი მუშაკებისაგან რისი მოთხოვნა შეეძლო სამართალში მიცემულ მურღულიას და რისი არა.

გამორკვეულია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ვინ დააწესა პასუხისმგებელ მუშაკთა მორიგეობა წარმოებებში ღამის 12 საათიდან დღის 9 საათამდე. მურღულიამ ეს შეასრულა. მაგრამ განა მას უფლება ჰქონდა საათების გარკვეულ განაკვეთში დაწესებული მორიგეობა მთელი დღე-ღამით განუწყვეტლივ მორიგეობად ექცია?

ამგვარი მორიგეობის შემოღება ხომ პრაქტიკულად იმას ნიშნავდა, რომ თეატრის მთელი წამყვანი შემოქმედებითი პერსონალი, ჩვენი სახალხო და დამსახურებული არტისტები, სახანძრო დაცვის მუშაკთა ერთგვარ „დამხმარე რაზმად“ გამხდარიყვნენ, რაც მათ პროფესიული მოღვაწეობის საშუალებას წაართმევდა.

დამერწმუნეთ, რომ სახანძრო დაცვის სამმართველოს ამგვარი დაუსაბუთებელი და არსებითად უკანონო მოთხოვნის შესრულება მეტი დანაშაულობა იქნებოდა, ვიდრე მისი შეუსრულებლობა.

ისმება კითხვა: რა მდგომარეობაში იყო თეატრის პირველადი სახანძრო მოწყობილობა და განხორციელებული იყო თუ არა მურღულიას მიერ ხანძრისაგან თეატრის დაცვის ღონისძიებანი?

სასამართლოს მიერ დაკითხულმა ექსპერტმა, სახანძრო დაცვის სამმართველოს მუშაკმა პოლკოვნიკმა ბარამიძემ განმარტა, რომ „ცეცხლის ჩასაქრობი პირველადი საშუალებანი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებოდა“.

სამართალში მიცემულმა მარლენოვმა დაადასტურა ეს გარემოება და დასძინა, რომ ხანძრის დაწყებიდან პირველი 10-20 წუთის განმავლობაში ეს საშუალებანი, კერძოდ, საწვიმარი მოწყობილობა, მოქმედებაში რომ მოყვანილიყო ყველაფერს გადავარჩენდითო.

ხანძარსაწინააღმდეგო პირველადი საშუალებების წესრიგში ყოფნა თქვენ დაგიდასტურათ აგრეთვე თეატრის სახანძრო დაცვის ყოფილმა უფროსმა გაბელიამ.

ყველა ამ პირთა მტკიცება სავსებით რომ შეეფერება სინამდვილეს, ამას მოწმობს სსრკ სახალხო არტისტის, თეატრის მხატვრული ხელმძღვანელის აკაკი ვასაძის ნაამბობი: ერთხელ სცენაზე გაჩენილა ცეცხლი, რომელიც სულ რამდენიმე წამში

ჩაუქრიათ საწვიმარების ამოქმედებით, რომლებმაც სცენას ჩამდენივე ასეული ტონა წყალი ჩამოაქციეს.

დადგენილია ისიც, რომ თეატრში სისტემატურად წარმოებდა მუშაობა სახანძრო ტექნიკიუმის ასათვისებლად, როგორც სახანძრო დაცვის პირად შემადგენლობასთან, ისე თეატრის მთელ პერსონალთან.

თქვენ მოისმინეთ აგრეთვე ბევრი მაგალითი იმისა, რომ ზანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი ხშირად ხდებოდა თეატრის აღმინისტრაციის მსჯელობის საგნად და ბოლოს არ შეიძლება მურღულიას სასარგებლოდ არ დავიმოწმოთ ის, რომ მან სამუშაოდან გაანთავისუფლა სახანძრო დაცვის უფროსი, რომელმაც თავი ვერ გაართვა მუშაობას. სახანძრო სამმართველომ უარყო დათხოვილი პირის ნაცვლად მურღულიას მიერ წამოყენებული კანდიდატურა და სამუშაოდ მოავლინა მის მიერ შერჩეული პიროვნება, ამჟამად სამართალში მიცემული მარლენოვი, სწორედ ის, რომლის მუშაობის დაწყების შემდეგ თეატრში მოხდა ხანძარი.

განა ყველა ეს მასალა არ უარყოფს პატივცემული ბრალმდებლის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს მურღულია დაუდევრად ეპყრობოდა თავისი მოვალეობის შესრულებას, უგულვბელყოფდა სახანძრო კონტროლის მითითებას და არ იცავდა ზანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს?

სამართალში მიცემულ მურღულიას ბრალდება წარდგენილი აქვს იმაშიც, რომ მან, სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვით რომ ვთქვათ, „გაფორმების გარეშე“ დაუშვა სამართალში მიცემული მაქავარიანი რეჟისორის თანაშემწის მოვალეობის თანამდებობაზე, და რომ მაქავარიანმა ისეთ პირობებში მოახდინა გასროლა, რაც ხანძრის საშიშროებას ქმნიდა და ეს თითქოს მურღულიასათვის ცნობილი იყო.

ბრალდების ეს ნაწილიც სრულიად დაუსაბუთებელია, ვინაიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასაძემ და რეჟისორმა ალექსიძემ სასამართლოს კატეგორიულად დაუდასტურეს, რომ სამართალში მიცემული მაქავარიანი რეჟისორის თანაშემწედ მათ წამოაყენეს, ხოლო მურღულიასათვის ეს გადაწყვეტილება სავალდებულო იყო, რამდენადაც სამხატვრო დარგის საკითხების გადაჭრა მათ კომპეტენციაში შედიოდა.

რაც შეეხება მტკიცებას, თითქოს მაქავარიანის დანიშვნა გაფორმებული არ იყო, თქვენ დარწმუნდით, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება — მაქავარიანის დანიშვნა ბრძანებით იყო გაფორმებული, გარდა ამისა, საბედისწერო ხანძრის შეძახვამდე ამ ახალგაზრდა მუშაკის აქტივში ოთხმოცამდე თეატრალური დადგმა ითვლებოდა.

სცენაზე გასროლის მოხდენა უნდა წარმოებდეს რეკვიზიტორ რაშოიანის ან თანამშრომელ მანუკოვის მიერ. თეატრში დაშვებული ბრძანების თანახმად ამის პეტვალუჩურობა დასის გამგეს ან რეჟისორის ასისტენტს ევალება. მაგრამ მოწმეთა განმარტებით რეჟისორის თანაშემწეც უფლებამოსილია მოახდინოს გასროლა.

საქმე ის არის, რომ მურღულიას არა თუ არ მიუცია გასროლის ნებართვა მაქავარიანისათვის, არამედ მან საერთოდ არ იცოდა, რომ ისროდა მაქავარიანი და არა სცენის სხვა მუშაკი.

მაქავარიანი არ უარყოფს, რომ ის ისროდა. ის არც იმას ამბობს, რომ ეს იცოდა დირექტორმა, მანუკოვმა კი კატეგორიულად განაცხადა, რომ დირექტორმა არაფერი იცოდა ამის შესახებ.

საბრალდებო დასკვნის ავტორი და ამხანაგი პროკურორი ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ სპექტაკლის მსვლელობისას სროლა აკრძალულია. ეს სწორი არ განლავთ. ხელოვნების სამმართველოს მიერ თეატრებისათვის დამტკიცებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის ინსტრუქცია ითვალისწინებს, რომ „სროლისათვის დასაშვებია მხოლოდ შავი კვამლიანი დენთი, უტყვიოდ და აზბესტის თხელი საცობით“. იქვე ნათქვამია, რომ დენთით სარგებლობა უნდა ხდებოდეს სადადგმო ნაწილის გამგის პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ. რაიმე სპეციალური აკრძალვა ან განკარგულება რუსთაველის სახელობის თეატრისათვის ამ სფეროში არ არსებობს.

მოწმეთა ჩვენებით დადგენილია, რომ სროლის საწარმოებლად სცენაზე განკუთვნილი იყო საგანგებო ადგილი, და თუ სპექტაკლის თავისებურების მიხედვით სროლა კულისების სხვა რომელიმე ნაწილში წარმოებდა, აქ უშიშროებისათვის თვალუჩურის დევნება მეზანძრეებს ევალებოდათ.

ამრიგად, მაჭავარიანის დაშვება რეჟისორის თანაშემწის თანამდებობაზე კანონიერ პირობებში მოხდა, გასროლის საწარმოებლად თეატრში სათანადო ადგილი იყო გამოყოფილი და სროლაც ნებადართული იარაღითა და საშუალებებით წარმოებდა.

ასეთ ვითარებაში მურლულიას მიმართ წარდგენილი ბრალდება ამ ნაწილში დაუსაბუთებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

საბრალდებო ფორმულის დასკვნით ნაწილში მითითებულია, რომ მურლულიამ ფაქტიურად გააუქმა თეატრის სცენაზე ხანძარსაწინააღმდეგო საგუშაგო იმით, რომ მან ერთდროულად გაუშვა შვებულებაში სამივე მეხანძრე, ხოლო პასუხისმგებელი მორიგეები კი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვაში არ გამოიყენა.

სამართლიანობა მოითხოვს აღიარებულ იქნას, რომ მურლულიამ არაერთხელ დასვა საკითხი თეატრში მეხანძრეთა რაოდენობის გადიდების შესახებ; შემდეგ მიიჩნია რა, რომ 12 მეხანძრე საკმარისი არ არის, მან დაუშვა საშტატო დისციპლინის დარღვევა და სხვა საშტატო ერთეულის ანგარიშზე სასახურში მიიღო მეცამეტე მეხანძრე.

12 კაციანი შტატის არსებობის პირობებში, ცხადია, ერთი მეხანძრე ყოველთვის შვებულებაში აღმოჩნდებოდა და ამრიგად, თეატრში სახეზე შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ 11 მეხანძრე. 1949 წლის ივლისში კი სამი მეხანძრის შვებულებაში გაშვების შემდეგ სამუშაოზე დარჩა ათი კაცი, ე. ი. მხოლოდ ერთი კაცით ნაკლები იმაზე, რაც შეიძლება ყოფილიყო დამტკიცებული შტატის პირობებში. სამი კაცის შვებულებაში გაშვება არ შეიძლება ბრალად ჩაეთვალოს მურლულიას, რადგან მან ეს გააკეთა სპეციალისტის, სახელდობრ, სახანძრო დაცვის უფროსის მარლენოვის შუამდგომლობის საფუძველზე, იმ მარლენოვისა, რომელიც სამსახურში მოვლენილი იქნა სახანძრო დაცვის სამმართველოს მიერ. მარლენოვი კი ამ შემთხვევაში იმით ხელმძღვანელობდა, რომ ზაფხულში, როდესაც თეატრი დაკეტილი იქნებოდა, დარჩენილი 9 მეხანძრე და მათთან ერთად მეათე, თვითონ უფროსი, სავსებით უზრუნველყოფდნენ ხანძარსაწინააღმდეგო საგუშაგოს მომსახურებას.

ამიტომ ბრალდების აზრი, თითქოს სამი მეხანძრის შვებუ-

ლებაში გაშვება ფაქტიურად ნიშნავდა სცენაზე ხანძარსაწინააღმდეგო საგუშაგოს გაუქმებას, სრულებით უმართებულო გახლავთ.

პირიქით, თეატრის სახანძრო დაცვის მუშაკებმა აჩვენეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე მიზეზით სამორიგოდ მხოლოდ ერთი მეხანძრე რჩებოდა, იგი მოვალე იყო სცენაზე გაეწია მორაგობა, სახანძრო დაცვის უფროსი კი, როგორც წესი, მთელი ღამით უნდა დარჩენილიყო თეატრში.

დასასრულ, გარდა მეხანძრეებისა, თეატრში მორიგობდნენ პასუხისმგებელი მორიგეები, რომელთა წყალობით მეხანძრეს არ ჰქონდა საშუალება დაეტოვებინა საგუშაგო სცენაზე, მაშასადამე. ყოველგვარი ლაპარაკი იმის შესახებ, თითქმის სცენაზე სახანძრო საგუშაგო გაუქმებული იქნა, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ამრიგად, ბრალდების ეს დასკვნები არ ემყარებიან საქმის მასალებს და მისგან არ გამომდინარეობენ.

მე ამოვწურე ყველაფერი, რაც ბრალდების ფორმულაში მოიპოვება და შემიძლია ჩემს თავს ნება მივცე აქ დავსვა წერტილი და განვაცხადო, რომ ბრალდება დამტკიცებული არ არის.

მაგრამ ეს საქმარისი როდია.

იმისათვის, რათა მურღულის უდანაშაულობა სრულიად ცხადი და ნათელი გახდეს, მე შევეცდები სასამართლოს დავუდასტურო, რომ თეატრში გაჩენილი ხანძარი მიზეზობრივად დაკავშირებულია სულ სხვა მოვლენასთან, რასაც არავითარი საერთო არ გააჩნია მურღულის მოქმედებასთან.

როგორც ეს საქმის განხილვის მსვლელობით დადასტურდა, იმ შემთხვევის ღამეს, პირველ საათზე, თეატრიდან უკანასკნელი წასულა მსახიობი კიკნაძე. ხანძარი შემჩნეული იქნა ღამის 2 საათსა და 15 წუთზე. 2 საათსა და 28 წუთზე ადგილზე გამოცხადდა სახანძრო რაზმი.

ამრიგად ხანძარი ერთი საათისა და თხუთმეტი წუთის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩა!

ამასობაში ცეცხლი გასაოცარი სისწრაფით მოედო სცენას, გავრცელდა მაყურებელთა დარბაზში, გადაედო თეატრის სხვენსა და საკონცერტო დარბაზსაც.

ექსპერტის დასკვნით ხანძარი გაჩნდა იმის გამო, რომ სცენაზე გასროლის შედეგად ცეცხლმოკიდებული საფენი სავსებით არ იქნა ჩაქრობილი.

გამორკვეულია, რომ 9 ივლისის დამით პიესა „პირველი ნაბიჯის“ უკანასკნელი აქტის დამთავრების შემდეგ მოწმევების — მამულაშვილის და ჭანჭალეიშვილის მიერ სცენის მარცხენა ნაწილში შენიშნული იქნა მბჟუტავი იატაკსაფენი, რომლის გვერდით სხვა საფენი იდო.

მამულაშვილმა და ჭანჭალეიშვილმა მბჟუტავი საფენი სცენის მარჯვენა მხარეს გადაიტანეს და იგი მეხანძრის სადგომთან ჩააქრეს რეკვიზიტორ მანუკოვას მიერ მოტანილი ერთი ბოთლი წყლით, ხოლო მუშა სულხანიშვილი კი მეხანძრეების დასაძახებლად გაგზავნეს.

მეხანძრე — სამართალში მიცემული ავეტისოვი, შემდეგ კი თვით სამართალში მიცემული მარლენოვიც, შემთხვევის აღვილას მოვიდნენ, იკითხეს, თუ საიდან მოიტანეს საფენი და როცა დარწმუნდნენ, რომ ცეცხლი ჩამქრალი იყო, უკანვე გაბრუნდნენ.

მათ არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამთ იმისაკენ. რათა აღმოეჩინათ სხვა — შესაძლებელი კერა ცეცხლისა სცენის იმ ნაწილში, საიდანაც ეს მბჟუტავი საფენი იქნა მოტანილი. ეს იქიდან ჩანს, რომ იმ დროს სცენაზე მყოფ არც ერთ მოწმევს არ დაუნახავს, რომ სამართალში მიცემული მარლენოვი ან ავეტისოვი სცენის რაიმე დათვალიერებას ახდენდნენ.

ცეცხლის გაჩენის უცნაურობა და მისი წარმოშობის მიზეზების გამოურკვევლობა თავისთავად წარმოადგენდა საფუძველს, რათა ეს პირები, რომელთა სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა მიღება, შეშფოთებულიყვნენ, მით უმეტეს, რომ მოწმე ჭანჭალეიშვილმა პირდაპირ გააფრთხილა სამართალში მიცემული ავეტისოვი საშიშროების შესახებ...

რეკვიზიტორმა მანუკოვამ, თავის მხრივ, მარლენოვი და ავეტისოვი გააფრთხილა, რომ საჭირო იყო ზომების მიღება, რათა რაიმე უბედური შემთხვევა არ მომხდარიყო. ამაზე სამართალში მიცემულმა მარლენოვმა ასეთი პასუხი გასცა: „ნუ გეშინია, ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ“.

სამართალში მიცემულ მურღულიასათვის არავის უთქვამს, რომ ცეცხლმოკიდებული საფენი აღმოაჩინეს. პასუხისმგებელი მორიგე თავაძე მორიგეობაზე არ გამოვიდა და ეს მეხანძრეებისათვის ცნობილი იყო. მაგრამ არც სამართალში მიცემულ ავეტისოვსა და არც მარლენოვს ამის შესახებ მურღულიასათვის არ მოუხსენებიათ, თუმცა ისინი ვალდებულნი იყვნენ ეს გაეკეთებინათ.

საგანგებო გამაფრთხილებელი ზომების მიღების ნაცვლად, სახანძრო დაცვის უფროსმა, სამართალში მიცემულმა მარლენოვმა, სამართალში მიცემულ ავეტისოვს წინადადება მისცა თვალყური ედევნებინა სცენისათვის, თვითონ კი თეატრიდან წავიდა. ეს იყო ყველაფერი, რაც მან გააკეთა!

ავეტისოვმა კი იმის ნაცვლად, რომ სცენისათვის თვალყური ედევნებინა, ტელეფონთან მიიძინა და მხოლოდ მაშინ გამოიღვიძა, როდესაც ხანძარი უკვე ბობოქრობდა და საწვიმარი მოწყობილობა სცენაზე გრიალით დაემხო. ამის შემდეგ ხანძრის საწინააღმდეგო პირველადი ღონისძიებების ჩატარება უკვე შეუძლებელი იყო.

ამავე დროს დადგენილია, რომ სამართალში მიცემული მარლენოვი შექმნილ პირობებში, როგორც სახანძრო დაცვის უფროსი, მოვალე იყო თეატრში დარჩენილიყო, გაეძლიერებინა იმ ღამით თეატრის შენობის დაცვა, დირექტორისათვის ეცნობებინა მომხდარი შემთხვევის შესახებ და გამოეწვია სახანძრო რაზმი, რათა ჩატარებულიყო პროფილაქტიკური ზომები. ამრიგად, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი მას ჯერ კიდევ ღამის მორიგეობამდე უნდა მიეღო, როგორც კი აღმოჩენილი იქნა ცეცხლმოკიდებული საფენი.

სწორედ ასე ესმით სახანძრო დაცვის მოვალეობანი სასამართლოს მიერ დაკითხულ დაცვის ყოფილ უფროსს — გაბელიას და თეატრის მეხანძრეს მკედლიშვილს. ასეთივე გახლავთ სახანძრო დაცვის სამმართველოს წარმომადგენლის, ამ საქმეზე ექსპერტის სახით დაკითხული პოლკოვნიკ ბარამიძის დასკვნაც. ნაწილობრივად ეს თვალსაზრისი საბრალმდებლო დასკვნის მიერაც გაზიარებულია, რამდენადაც მარლენოვის დანაშაულს იმაში ჰხედავენ, რომ მან „არ მიიღო საჭირო ზომები ხანძრის

კერის ლიკვიდაციისათვის, არ შეამოწმა სცენის მდგომარეობა ხანძრის სხვა კერების გამოვლინების მიზნით“.

სამართალში მიცემული ავეტისოვის მიმართ საბრალდებო დასკვნაში მითითებულია იგივე გარემოებაზე, აგრეთვე იმაზე-დაც, რომ მან დასტოვა პოსტი სცენაზე და ტელეფონთან მჯდარმა მიიძინა.

მაშასადამე, საბრალდებო დასკვნის მიხედვით ჩანს, რომ თეატრში ხანძრის წარმოშობა და მისი გავრცელება შესაძლებელი შეიქმნა იმ დაუდევრობის წყალობითა და შედეგად, რაც ცეცხლმოკიდებული საფენის აღმოჩენისას გამოიჩინეს სამართალში მიცემულებმა მარლენოვმა და ავეტისოვმა.

და სწორედ ამ მომენტიდან იწყება ის დანაშაულებრივი უმოქმედობა, რაც ხანძართან უშუალო მიზეზობრივ კავშირში იმყოფება: სამართალში მიცემულ მარლენოვსა და ავეტისოვს რომ იმ დროს თავიანთი სამსახურებრივი ვალი პირნათლად შეესრულებინათ. ისინი თეატრს ხანძრისაგან გადაარჩენდნენ, თვით კი საბრალდებო სკამზე ჯდომას აიცილებდნენ!

ცხადი ხდება ისიც, რომ სამართალში მიცემულ მურღულის არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ხანძრის დამით, თეატრში მომხდარ ამბების ის მსვლელობა, რამაც საბედისწერო შედეგი მოიტანა...

და სამართალში მიცემული მურღულის დამნაშავედ მიჩნევა მხოლოდ იმიტომ, რომ თეატრში, რომლის დირექტორიც იგი იყო, ხანძარი გაჩნდა, ეს ნიშნავს, იმას, რომ ჩვენ უმართებულოდ დავაკიროთ საწარმოს ხელმძღვანელს ერთგვარი უნივერსალური პასუხისმგებლობა ამ საწარმოს ყველა მუშაკთა მოქმედებისათვის, მიუხედავად მისი პირადი ბრალეულობისა. ეს ყოველად დაუშვებელი იქნებოდა საბჭოთა სისხლის სამართლის თვალსაზრისით.

ჩვენი სასამართლო პრაქტიკა არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ უმართებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული თანამდებობის პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი, რომელიც სხვა თანამდებობის პირთა მოქმედებისაგან უშუალოდ წარმოიშვა, — არ იმყოფება მის მოქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში და რო-

დესაც მას არ შეეძლო არც მისი გათვალისწინება და არც თა-
ვიდან აცილება.

დადგენილია, რომ მურღულია თეატრის მარჯვე და უნარი-
ანი დირექტორია, ის ორდენით გახლავთ დაჯილდოებული, მას
მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურე-
ბული მოღვაწის წოდება თეატრალური ხელოვნების განვითა-
რების საქმეში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის.

რუსთაველის სახელობის თეატრში მურღულია თითქმის 30
წლის მანძილზე მოღვაწეობს, ხოლო 10 წელზე მეტია. რაც
დირექტორად მუშაობს.

ამხანაგო მოსამართლენო!

სამართალში მიცემული მურღულია იმსახურებს სრულ გა-
მართლებას და მე მწამს თქვენი გამამართლებელი განაჩენი
მას საშუალებას მისცემს კვლავ შევიდეს დღეს უკვე განახლე-
ბულ თეატრში. რომელსაც მიუძღვნა მან მთელი თავისი შეგ-
ნებული სიცოცხლე.

ს ი ზ ყ ვ ა •

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ვ ა ხ ტ ა ნ გ ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ი ს ა
ა . ა . ვ ე რ ძ ე უ ლ ი ს
ს ა ქ მ ე ზ ე

საქმის მოკლე ზინაარსი

1958 წლის 15 აგვისტოს, ღამით, მუხრანში, სამმა ახალგაზრდამ—ანზორ ვერძეულმა, ბადრი გოგინაშვილმა და ნიკო გელაშვილმა მოიტაცეს საცდელ მეურნეობაში საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტი ქალი ბელა ბაშარული, რომელიც თავის ამხანაგთან, დოდო მუხრანელთან ერთად თამარა მუხიგულის სახლში ცხოვრობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ანზორ ვერძეული და ბელა ბაშარული, ამ უკანასკნელის მამის ცდითა და მილიციის წარმომადგენლის ჩარევით; აღმოაჩინეს მახლობელ სოფელში. ვერძეული დააპატიმრეს და მის მიმართ აღიძრა საქმე, დაიწყო წინასწარი გამოძიება. ა. ვერძეულთან ერთად პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი მოტაცების მონაწილენიც — ბ. გოგინაშვილი და ნ. გელაშვილი.

მათი საქმე განიხილა. ქ. მცხეთის სახალხო სასამართლომ.

ბრალდებულთა ინტერესებს იცავდა ადვოკატი ვ. სიღამონიძე, რომელმაც გაარკვია, რომ ბ. ბაშარულის მოტაცება იყო სიმბოლური ხასიათის, წარმოადგენდა ქალის მშობლების თვალის ასახვევად მოწყობილ მოქმედებას და მოხდა დაზარალებულის სრული თანხმობით.

სასამართლომ დამტკიცებულად ცნო ბელა ბაშარულის მოტაცების სიმულაცია, დაადასტურა ქალის მშობლების წინააღმდეგობის დასაძლევად მოწყობილი სიმბოლური მოტაცება და სავსებით გაამართლა მთავარი ბრალდებული ანზორ ვერძეული და მისი დამხმარენი — ბადრი გოგინაშვილი და ნიკო გელაშვილი.

ადმონაც მახტანზ სიღამონიძის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

მართლმსაჯულების წარმოების ფრიად ძნელ, მაგრამ უღრესად საინტერესო და საპატიო გზაზე ბრალმდებელსა და ადვოკატს ყოველთვის მძიმე ტვირთად აწევთ მოვალეობა დაეხმარონ გამოძიებასა და სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში.

საყოველთაოდ ცნობილი პრინციპია: მართლმსაჯულების წარმოების ლოგიკური შედეგი, სამართლიანი განაჩენი. თუ განაჩენება — ხალხზე ყოველთვის კეთილნაყოფიერ აღმზრდელობით გავლენას ახდენს.

სასამართლოს განაჩენს, სულერთია ის გამამართლებელი იქნება თუ გამამტყუნებელი, ჭეშმარიტება უნდა ედოს საფუძვლად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს თავის დანიშნულებას და არავის, არასოდეს, არაფერში გამოადგება.

დღეს ჩვენ აქ ბრალმდებელსა და ბრალდებულთა დამცველებს დია სამსჯავრო სხდომაზე ერთგვარი შეჯიბრება გავიმართავს. ეს როდია ჩვეულებრივი შეჯიბრება, თუმცა ასეთ პაექრობას თავისი ტრადიციული ისტორია აქვს და ის უკვე პროცესუალური სამართლის ნორმად არის გადაქცეული.

თქვენს განკარგულებაში არსებული საქმის გარჩევაში მონაწილეობენ არა მარტო სასამართლოს შემადგენლობა, პროკურორი და ადვოკატები, არამედ მასში შეფარვით მონაწილეობს დამსწრე საზოგადოებაც, რომელიც მეტად სათუთად, მგრძნობიარედ და გონივრულად აღიქვამს ყოველივე ახალს, უცხოსა და საინტერესოს.

საქმის გარჩევაში მონაწილე ადამიანები აქ ერთი ფიქრით არიან შეპყრობილი, მათი გულისთქმა შეიძლება ერთი სიტყვით გამოიხატოს „ვნახოთ“. ვნახოთ, ვინ, როდის გამონახავს სწორ გზასა და მიმართულებას, ვინ, როდის და რანაირად მიაგნებს სიმართლესა და ჭეშმარიტებას.

საქმე, რომელიც სამი დღის მანძილზე ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს, გადატვირთულია მძიმე, მე ვიტყვოდი. ადამიანისათვის უჩვეულო პერიპეტეებით.

როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, ეს საქმე შეეხება ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარულის ადამიანური მოვლენის დანაშაულებრივ ინციდენტად გადაქცევის პროცესს, რომელმაც ბრალეულობის რკალში მოაქცია სამი ქაბუკი: ანზორ ვერძეული, ბადრი გოგინაშვილი და ნიკო გელაშვილი, ხოლო ქალთაგან დაზარალებულად თუ მოწმეებად წარმოგვიდგინა ბელა ბაშარული, დოდო მუხრანელი და თამარ მუხიგული.

სამართალში მიცემულთა დანაშაული, ბრალდების ფორმულის მიხედვით იმაში მდგომარეობს, რომ მათ მუხრანის საცდელ მეურნეობაში საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი ბელა ბაშარული მისი ნების გარეშე, ძალით მოიტაცეს, ვითომდა ანზორ ვერძეულის საცოლედ და ამით მკაცრი მორალური გაკიცხვა და მძიმე პასუხისგება დაიმსახურეს.

სასამართლოს კარგად მოეხსენება, თუ რაოდენ მოსაწყენია რაიმეს ხშირი გამეორება, მით უფრო იმის, რაც ადამიანს პარადოქსად მიუჩნევია, მაგრამ იმის დავიწყებაც არ შეიძლება რომ. წინსვლა და განვითარება შეუძლებელია გამეორების გარეშე. სამართლიანად არის ნათქვამი: დროის დაკარგვა არ არის ქეშმარიტების გამეორებაო.

ამიტომ უნდა მაპატიოთ, თუ ჩემს სიტყვაში აქა-იქ საქმის შინაარსთან დაკავშირებულ ზოგიერთ ცნობილ ქეშმარიტებას გავიმეორებ.

ჩვენს განკარგულებაში არსებული ფაქტობრივი რეალებების მიხედვით ყველას ერთი აზრი შეიძლება შეგვექმნას: საქმე ეხება ანზორ ვერძეულისა და ბელა ბაშარულის გარშემო შექმნილ ვითარებას. ისინი ბავშვობიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს, ხშირად ერთად თამაშობდნენ, ერთიმეორეს უზიარებდნენ წყენასა და სიხარულს და უანგარო მეგობრული ურთიერთობით ხარობდნენ.

სამართალში მიცემული ვერძეული უჩვენებს:

„მე ბელა ბაშარული ბავშვობიდანვე იღუმალი გრძნობით მიყვარდა და გადაწყვეტილია მქონდა მისი ცოლად შერთვა, რაც მოგვიანებით კიდევ გავუმხილე მას. მითხრა: მოდი ჩემს

მშობლებთან და უთხარი ამის შესახებ. ბელამ ამ ერთი წლის წინათ მთხოვა, რომ ხელი მოგვეწერა, მაგრამ ვიცოდი მისი მშობლები ამის წინააღმდეგი იყვნენ და თავს ვიჭერდი“.

ეს დაბრკოლება აღიმართა მათ წინაშე. ბელამ ასეთ ვითარებაში ერთგვარი სიობლე, სულიერი უთვისტომობა იგრძნო. მაგრამ მოგეხსენებათ ქალის ბუნება, მისი თავდაცვის მძლავრი ინსტინქტი, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის პოვნის უნარი.

ბელას თვალში ანზორ ვერძეული იყო ის ადამიანი, რომელსაც იგი უნდა ეხსნა მძიმე განსაცდელისაგან და სწორ გზაზე დაეყენებინა განმარტოებული ქალი.

1958 წლის 10 ივლისის დამე ანზორისა და ბელას ცხოვრებაში იყო ერთგვარი ნიშანსვეტი. ბელა ბაშარული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიერ ამხანაგებთან ერთად გაგზავნილი იქნა მუხრანში, საცდელ მეურნეობაში საწარმოო პრაქტიკის გასავლელად, სადაც ბელამ და მისმა მეგობარმა ქალმა დოდო მუხრანელმა თამარ მუხიგულის სახლში დაიდეს ბინა...

დავას არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ანზორმა ბელა პრაქტიკაზე გამგზავრების წინ ინსტიტუტის კედლებში ნახა. აქ ბელამ ანზორს უთხრა: „მე მუხრანში მივდივარ და რაც გინდა ის გააკეთეო“. როგორც ცნობილია, ანზორმა ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს უჩვენა, რომ ამით ბელამ მანიშნა. მუხრანში მივსულიყავი და იქიდან წამეყვანაო.

მნიშვნელოვანია ეს სიტყვები. ისინი გვიწვევენ ჩავიხედოთ მათ სიღრმეში, რათა გავგვიადვილდეს აზრთა დენაში გარკვევა, შეგვიმსუბუქდეს გზა ლოგიკური მსჯელობისაკენ.

ცალკეულ ადამიანთა შორის თუ ოდესმე რაიმე პირობის შესრულებას ჰქონია მნიშვნელობა, ეს პირველ რიგში შეყვარებულთა შორის არსებულ პირობაზე შეიძლება ითქვას. ეს მოსაწყენი ჰემმარიტება როდია, პირიქით, მიმზიდველი სინამდვილეა ყოველი დროის ადამიანისათვის.

ბელა ბაშარულის მოტრფიალე ჰაბუკს რაღა დარჩენოდა უკანდასახევი! განა მას შეეძლო მოეთმინა და არ წასულიყო? სად იყო მისთვის უკან დასახევი გზა? მას უნდა ეფიქრა მხოლოდ წინსვლაზე, მომავალზე.

ანზორმა გადალახა ამ ვითარებაში მყოფი ადამიანისათვის დამახასიათებელი მძლავრი სულიერი მღელვარება და გზა მისცა თავის განზრახვას.

სწორედ ათ ივლისს ღამით საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის ექსპედიციის მსუბუქი მანქანით, რომელსაც მართავდა ბადრი გოგინაშვილი, ანზორ ვერძეული და ნიკო გელაშვილი მუხრანს გაემგზავრნენ. ღამე უკვე თითქმის გატეხილი იყო, როდესაც ისინი თამარ მუხიგულის სახლს მიადგნენ. ამ დროს თუ რა მოხდა, თამარ მუხიგულმა მოგვითხრო უბრალოდ და ბუნებრივად: „ჩემი სახლი მიწის პირზეა. წინ ღია აივნით, სადაც ვიწექი მე ჩემი ბავშვით, კარები ღია მქონდა. იორივე ქალიშვილი — ბელა ბაშარული და დოდო მუხრანელი ტანისამოსით იწვნენ საწოლზე, მე არ მეძინა. მოულოდნელად აივანზე შემოვიდა ერთი ახალგაზრდა. შეშინებულმა ვკითხე: „ვინა ხარ?“ მიპასუხა: ბელას ამხანაგი ვარო. — ამ დროს ბელამ დაიძახა: „აანთეთ სანთელი!“ — უცნობმა უთხრა მას: „ბელა, ადექი, წავიდეთ“. — ბელა ადგა, მიუახლოვდა ვაჟს, რომელმაც მას წელზე ხელი მოავლო, აიყვანა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა გარეთ. დოდომ ყვირილი მორთო, მეც დავიყვირე. ბელას ყვირილი არ გამიგონია“.

აი, რა მოგვითხრო ამ საქმის მეორე უშუალო მოწმემ დოდო მუხრანელმა:

„როდესაც ოთახში შევამჩნიე ადამიანის ლანდი, სახლის პატრონს, თამარს დავუძახე. ამასთან, ვთხოვე სინათლე აენთო. როცა ოთახი განათდა, დავინახე ორი უცნობი, რომლებმაც ბელას ხელი მოჰკიდეს და გაიყვანეს. ბელა ყვიროდა. „მიშველეთ, მიშველეთ!“

თუ რა პირობებში გამოიყვანა ანზორ ვერძეულმა თავისი შეყვარებული ბელა ბაშარული თამარ მუხიგულის სახლიდან, ეს დადასტურებულია საქმეში არსებული ერთობლივად აღებული ყველა მასალით. საინტერესოა, რომ სამართლაში მიცემული ანზორ ვერძეული გამოძიებასა და სასამართლოში არაფერს მალავს ამ საქმესთან დაკავშირებით. სასამართლოს იგი ერთგვარი სიამაყის გრძნობით მოუთხრობს თავის რომანტიულ თავგადასავალს, მოუთხრობს ყოველგვარი შეფერადების გარეშე, როგორც იტყვიან, ფერთა შეუხამებლად.

ანზორმა ჩვენ გვითხრა:

„როდესაც ჩვენ მანქანით მუხრანში ავედით. უმაღლვე ბელასთან გავჩნდით. ქალებს ეძინათ. ბელა გავალვიძე და ვუთხარა: ადექი, წავიდეთ-მეთქი. — მან ტირილი დაიწყო. მე ხელი მოვკიდე, ავიყანე და მანქანასთან მივიყვანე. ამ დროს შემომესმა ქალების ყვირილი. ბელას პირადი ნიეთები არ წამოგვიღია. რადგან გვინდოდა შეგვექმნა მოტაცების შთაბეჭდილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბელას მშობლები იფიქრებდნენ, რომ ის თავის ნებით გამომყვა. ბელამ მითხრა: შენს ნათესავთან მიმიყვანეო. ბელას მოვახურე ჩემი საზაფხულო პალტო, მანქანაში ჩავსვი და სოფელ ქადაგიანში წავიყვანე“.

ხოლო როგორ მოიქცა თვითონ ბელა?

თუ მის ჩვენებას დავუჯერებთ, მან მწვავედ განიცადა ეს ამბავი, ტირილიც დაიწყო. აქ საკვირველი არაფერია, მე მგონია. ეს სიხარულის ცრემლები უფრო იყო, ვიდრე ტანჯვისა და მწუხარების. ასეთი განცდის დროს ქალიშვილის ცრემლები სრულიად ბუნებრივია, თითქოს იგი არსებობის სხვა სამყაროში გადადის.

მიცვეთ მოვლენათა მსვლელობას.

ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის გასაგებია, თუ რატომ ემთხვევა ძირითადში ბრალდებული ვერძეულისა და დაზარალებული ბაშარულის ჩვენებანი, რომლებიც სხვა შემთხვევისა და გარემოებაში ურთიერთსაპირისპიროა ხოლმე. ეს ურთიერთდამთხვევა სრულიად ბუნებრივი და გასაგებია. საჭიროდ მიმაჩნია სასამართლოს გავახსენო ბრალდებულისა და დაზარალებულის ჩვენებათა ზოგიერთი ეპიზოდი.

ა. ვერძეულმა მოგვითხრო:

„მე ბელა სოფელ ქადაგიანში ერთ უცნობ ქალთან მივიყვანე. მე და ბელამ იქ გავათიეთ ღამე. ჩემი მეგობრები წავიდნენ. იმ ღამეს ჩვენ შევეუღლდით. მე მასთან ძალადობა არ მიხმარია. მეორე დღეს დილით, ფანჯრიდან თვალი მოვკარი მილიციის მუშაკსა და ბელას მამას. მივხვდი ჩვენ გვეძებდნენ, ბელას ვუთხარი, გასულიყო და მამისათვის ეთქვა ყველაფერი, ანდა ჯერ დავმალულიყავით და შემდეგ მის ბიძასთან წამყოლოდა. მან ორივე თხოვნაზე უარი მითხრა“.

ენახოთ ახლა რა მოგვითხრო ამ საქმეზე ეგრეთწოდებულ-
მა დაზარალებულმა.

„როცა სახლიდან გამომიყვანეს მე ვყვიროდი, ანზორმა
თავისი ტანისამოსი ჩამაცვა. მანქანით სოფელ ქადაგიანში წა-
მიყვანეს. იქ ერთ სახლში დამაბინავეს. შემდეგ მომიტანეს საჭ-
მელ-სასმელი. იქ დათქმული იქნა ჩვენი გაპარვა. სალამოს მან-
ქანით უნდა წავსულიყავით, მაგრამ ეს არ მოხერხდა, მიუხე-
დავად იმისა, რომ თითქმის ყველანი გვეხმარებოდნენ. მე რომ
მოტაცებული ვიყავი, ვუთხარი მხოლოდ დიასახლისის
რძალს“.

დააკვირდით, მოსამართლენო, ამ ჩვენებებს და ნათლად
წარმოიდგენთ, თუ როგორი თანხმობაა მათ შორის.

ანზორ ვერძეული ზრუნავს ბელაზე, რომელსაც თავისი მო-
მავალი დაუკავშირა. მან ამხანაგი გაგზავნა დასთან და ბელა-
სათვის ფეხსაცმელი მოატანინა. მანვე სურვილი გამოთქვა
ბელა მამას შეხვედროდა მასთან ერთად, ანზორი შეეცადა ბე-
ლა ბიძასთან წაეყვანა და ყველაფრისთვის ნათელი მოეფინა.

როგორ მოიქცა ბელა ამ დროს? იგი არ დაეთანხმა ანზორს
გასულიყო მამასთან, მან არ ისურვა წასულიყო ბიძასთან. არ
გამხილა საიდუმლო და ცხადი არ გახადა ვითარება და ყვე-
ლაფერი ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ ანზორთან განშორება არ
უნდოდა; მას სჯეროდა, რომ მშობლები ანზორს დააშორებ-
დნენ. მიუხედავად ყოველგვარი ცდისა და მონდომებისა, რო-
გორც ვხედავთ, ბელას იდუმალი შიში გამართლდა და დღეს
მისთვის ძვირფასი ადამიანი საბრალდებო სკამზე ზის, ხოლო
ბელა სასამართლოს დარბაზიდან გულმდუღარედ უცქერის
მას.

როგორც დავინახეთ, ბელამ ქადაგიანში მხოლოდ ერთს,
ასაკით ტოლსა და მდგომარეობით მახლობელ პატარძალს გა-
უმხილა. რომ ის მოტაცებული იყო. „მთელი სოფელი გვეხმა-
რებოდა, თითქოს პირშეკრული იყო“, — გვიამბო ბელამ.

რას ნიშნავს ბელას ეს სიტყვები?

ერთი შეხედვით უცნაურია. ანზორმა, თვითონ უცხომ, ამ
სოფელში ასევე უცხო ქალი მიიყვანა. ეს ამბავი შეიტყვეს.
უცნაურმა სტუმრებმა რამდენიმე ღამე იქ გაათიეს. ზმა არა-
ვის ამოუღია, ადგილობრივი ხელისუფლებისათვის არავის

არაფერი შეუტყობინებია. მთელი სოფელი, ჩანს. საოცრად სწრაფად გაერკვა საქმის ვითარებაში და დადგა დეკნის შეყვარებულთა მხარეზე, მათ დასაცავად. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ბედი არ წარიმართა ისე, როგორც ეს სხვა ვითარებაში მოხდებოდა და, როგორც ვხედავთ, ანზორი თავის ამხანაგებთან ერთად ბრალეულობის ჩრდილში მოექცა.

სამსჯავრო გამოძიებამ შეასრულა თავისი ამოცანა, გასარჩევ საქმეს ჩამოაცალა ის ბუნდოვანი მხარეები, რაც მას წინასწარი გამოძიებიდან დაჰყვა. რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივი და ლოგიკურია. როგორც ცნობილია, სამსჯავრო გამოძიება ყოველთვის წარმოდგენდა გამოძიების უმადლეს საფეხურს.

სამსჯავრო გამოძიებამ, ჩვენი აზრით, გამოამჟღავნა ბრალდების წარმომადგენლის მცდარი დებულებანი, იგი კი მაინც კიუტად იცავს ამ საექვო და საცილობელ ბრალდებას.

მაინც რა დაუდო საფუძვლად ბრალდების წარმომადგენელმა თავის სიტყვას, როდესაც მოითხოვა სამართალში მიცემულთა მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა? — ირკვევა, რომ ბრალდების ღარიბ სალაროში მხოლოდ ორი არგუმენტია. პირველი — როცა ანზორმა ბელა მოიტაცა, ყვიროდნენ ქალები, დაიყვირა თვითონ ბელა ბაშარულმაც, მეორე — წინასწარ გამოძიებაში ბელა უჩვენებდა, რომ თითქოს მას არ სურს ცოლად გაჰყვეს ანზორ ვერძეულს.

ერთი შეხედვით ყოველივე ეს თითქოს მნიშვნელოვანია, მაგრამ ბრალდების წარმომადგენელი ანალიზს არ უკეთებს რიგს, ანგარიშს არ უწევს მოვლენათა მსვლელობას.

სამსჯავრო გამოძიებამ ცხადად დაამტკიცა, რომ ანზორ ვერძეულს არავითარი წინასწარი განზრახვა არ ჰქონდა მოეტაცა ბელა ბაშარული, იგი ამისათვის არ წასულა თბილისიდან ჰუხრაანში. მას არ სურდა ბელა მოეტაცა ამ უკანასკნელის სურვილის გარეშე, და თუ ბელა ბაშარულმა წინასწარ გამოძიებას მაინც უჩვენა საწინააღმდეგო, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მან ასეთი ნაბიჯი მშობლების ზეგავლენით გადადგა, რათა შეექმნა შთაბეჭდილება, ვითომდა იგი მართლა მოიტაცეს.

სახელმწიფო ბრალმდებელმა თავის საერთოდ საინტერესო სიტყვაში ვერ დაასაბუთა, თუ რატომ არ წამოიღეს ანზორმა

და მისმა ამხანაგებმა, და რაც მთავარია: თვითონ ბელამ ტანისამოსი.

საეჭვო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ანზორი და მასთან მყოფნი არ ყოფილან მოძალადეები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ბელას ტანისამოსს უექველად წამოიღებდნენ. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ამ დროს მათ არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. მაშ, რაშია საქმე? ანზორმა და ბელამ ტანისამოსი მუხრანიდან იმიტომ არ წამოიღეს, რომ თავიანთი მოქმედებისათვის უნდოდათ მიეცათ, და კიდევ მისცეს, მოტაცების ხასიათი.

აქ უნდა აღინიშნოს: სამართალში მიცემულთა და ბელას მოქმედებაში ბრალი მიუძღვის აგრეთვე საქართველოში დღემდე არსებულ ადათ-ჩვეულებებს, რომლებიც აქა-იქ ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ცხოველმყოფელ ძალას, თუმცა ამჟამად ანაქრონიზმად მოჩანან. როგორც ცნობილია, ზოგიერთი ჩვეულება ხშირად მტკიცე ტრადიციად იქცევა და ერთი მეცნიერის თქმისა არ იყოს, ადამიანის ცოცხალ ტვინს მაჯლაჯუნასავით აწევს. მის ფანატიკურ გატაცებას ასულდგმულებს და ზოგჯერ მისივე შეგნებულ მოქმედებაშიც მონაწილეობს.

უმადლესმა სასამართლომ ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ ლოგიკური განმარტება მისცა ქალის მოტაცებას, როგორც დანაშაულის გარკვეულ კატეგორიას.

საინტერესოა, რომ კანონის ამ განმარტებით მკვეთრად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული ქალის ნამდვილი მოტაცება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, და ქალის სიმბოლური მოტაცება, როდესაც ბრალეულობა საერთოდ გამორიცხვულად უნდა ჩაითვალოს ყოველი გონივრული მართლმსაჯულების მიერ.

სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ კანონის ამგვარმა გაგებამ ქალის სიმბოლური მოტაცება ხალხში დღემდე არსებულ წეს-ჩვეულებებს დაუკავშირა და თავისებური ტრადიციული იერით შემოსა, რითაც მისი არსება სწორად შეაფასა და არსებითად გაამართლა.

უმადლესი სასამართლო განმარტავს:

„ქალის ნამდვილი მოტაცება არ შეიძლება ავტორით სიმბოლურ მოტაცებაში, რომელიც ხდება ადათით, ქალისა და

დაინტერესებულ პირთა თანხმობით, რომელიც წარმოადგენს ქალის ვითომდა მოტაცებას... ქალის მოტაცება ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ჩადენილია ქალის სურვილის წინააღმდეგ. ხშირად გამოაქვთ გამამტყუნებელი განაჩენი „მომტაცებლისათვის“ ქალის თანხმობის შემთხვევაშიც. როდესაც არსებითად ადგილი ჰქონდა არა მოტაცებას, არამედ მხოლოდ მის სიმულაციას. რაც გამოწვეული იყო იმით, რომ შშობლებმა ან ნათესაებმა უარი თქვეს „მომტაცებლისათვის“ ქალის ცოლად მიცემაზე“

არის თუ არა აქ ამომწურავი კანმარტება ხსენებული კატეგორიის დანაშაულისა? მე ვფიქრობ, არის. სად, როდის და ვის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული ასეთი განმარტება თუ არა წარმოდგენილ საქმეზე მსჯელობის დროს?

საბედნიეროდ, ჩვენ საქმე გვაქვს სწორედ ქალის სიმბოლურ მოტაცებასთან. ანზორი, ბელა და სხვები ამ რომანტიკული მოქმედების გმირებად გვევლინებიან.

მე არ მქონია არავითარი განზრახვა, ანზორი და ბელა სენტიმენტალური რომანის გმირებად წარმომედგინა თქვენს წინაშე, რათა შეწყალების მსგავსი გრძნობა გამომეწვია. ნამდვილი სოციალისტის მონაწილენი შეწყალებას როდი საჭიროებენ, ისინი. მიუხედავად სიძნელებისა. მტკიცედ მიდიან ცხოვრების სავალ გზაზე.

არსებობს ასეთი თქმა: „დიდი იმედები და იმედთა დიდი გაცრუება“.

ჩვენი იმედი შეიძლება დიდი არ იყოს, მაგრამ მის გაცრუებას თქვენგან არ მოველით.

გვაქვს რუსთაველის მეტად ბრძნული თქმა: „ჰკითხე აათა, ჰქმენ გულისა“. თქვენ მრავალს ჰკითხეთ და მოუსმინეთ, მაგრამ საქმით ის უნდა შეასრულოთ, რასაც მაღალი მართლმსაჯულება გიკარნახებთ.

მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ მიერ გამოტანილი განაჩენი გამამართლებელი იქნება. იგი აღადგენს ერთ ქართულ ოჯახს და გზას გაუკაფავს ორი ახალგაზრდის ნათელ ცხოვრებას.

ს ი ზ ყ ვ ა

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
გურამ უგრეხელიძისა
კ. ნ. შადურის
საქმეზე

საქმის მოკლე შინაარსი.

N მსახიობთან ინტიმური ურთიერთობის შედეგად დაორსულდა ი. მესხის ქალი. ეს უკანასკნელი არ ამხელდა N-თან არსებულ რომანს და გადაწყვიტა უკანონო აბორტის გაკეთებამ დროისათვის აბორტი, საერთოდ, კანონით აკრძალული იყო.

აბორტი დაიწყო გამოძიების მიერ დაუდგენელმა ექიმმაშმა, გარეშე პირის ბინაზე. რადგან ჩაყოფი 7 თვის იყო, ხელოვნური მშობიარობა გაძნელდა და მშობიარე ჩავარდა საშიშ მდგომარეობაში. საექიმო დახმარებისათვის მოიწვიეს ექიმი კ. ნ. შადური, რომელმაც ავადმყოფი უვნებლად მოამშობიარა და შემდეგი მკურნალობისათვის გასწერა საავადმყოფოში. მაგრამ მესხის ქალი მომხდარი შემთხვევის დაფარვის მიზნით ბინაზე დარჩა, სანამ ჯანმრთელობა მეტისმეტად არ გაურთულდა.

საავადმყოფოში დაგვიანებით შესვლის გამო ქალის გადარჩენა შეუძლებელი შეიქმნა, ის გარდაიცვალა. საავადმყოფოს ექიმმა შადურმა ქალის თხოვნით „ავადმყოფობის ისტორიაში“ სწორად არ უჩვენა სნეულის ანამნეზის ზოგიერთი მაჩვენებელი.

ამასან დაკავშირებით ექიმი შადური სამართალში იქნა მიცემული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხლით. მას ბრალი ედებოდა მასში, რომ დაფარა უკანონო აბორტის გამკეთებელი პირი და ბინა, სადაც აბორტი გაკეთდა; ამასთან, არასწორი ცნობები შეიტანა „ავადმყოფობის ისტორიაში“. შადურს ბრალს დებდნენ მასშიც, რომ დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციის შემდეგ ავადმყოფი გარდაიცვალა.

სასამართლომ გაამართლა ექიმი შადური, და განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული, მიუხედავად მისი გასაჩივრებისა ექიმ კ. შადურს იცავდა ადვოკატი გ. უგრეხელიძე.

ადვოკატ გურამ უგრეხელიძის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

ექიმ შადურის ბრალდების, საკითხის სწორად გადაჭრაში რაიმე წარმატება მხოლოდ იმ სპეციფიკურ ცოდნის პირობებშია მოსალოდნელი, რაც მედიცინის სფეროს ეხება. ეს ცოდნა სათავეს იღებს საზოგადოებრივი და პროფესიული ეთიკის ნორმების პრინციპებში. მაგრამ ეს შეიძლება სავალდებულოდ მივიჩნიოთ ყველასათვის, თუნდაც სამკურნალო დარგის მუშაკთათვის. მე ნაკლები რწმენა მექნებოდა ჩემი დაცვის შედეგზე. მსაჯულთა შორის რომ არ გვყავდეს ისეთი პიროვნება, რომელიც აღიარებულ ავტორიტეტს წარმოადგენს სამედიცინო მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

ამასთან ერთად, სასამართლო გამოძიების მაღალ დონეზე ჩატარება სრულ საფუძველს მაძლევს ერთნაირი სითამამით ვიმსჯელო როგორც სამკურნალო, ისე ეთიკურ და იურიდიულ საკითხებზე, თანაც შევეცდები არ ვისარგებლო თქვენი ჩემდამი ყურადღებით.

ჩემი განმარტების დასაწყისში მინდა მოგაგონოთ, რომ ექიმ შადურის ბრალდება შედგება სამი ნაწილისაგან:

1. მესხის ქალი გარდაიცვალა დაგვიანებული პოსპიტალიზაციის შედეგად:

2. შადურმა არ უჩვენა გამოძიებას კრიმინალური აბორტის გამკეთებელი პირი და ბინა, სადაც ავადმყოფი იყო მოთავსებული;

3. მანვე წინასწარი შეცნობით, ტყუილი ცნობები შეიტანა დაზარალებულის „ავადმყოფის ისტორიაში“. რითაც ჩაიდინა სიყალბე.

მე ამთავითვე ვაცხადებ, რომ დასახელებულ ბრალდებათა გაბათილება განზრახული არა მაქვს ფაქტების უარყოფის გზით. პირიქით, მე მათ, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითა-

დად დადასტურებულად ვცნობ. მაგრამ უარყოფ ალნიშნულ ფაქტებში დანაშაულის ნიშნების არსებობას.

თანმიმდევრობით განვიხილოთ სამივე ბრალდება.

ჯანმრთელობის უწყების მიერ დადგენილი წესის თანახმად, ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია ორ შემთხვევაში ხდება:

პირველი. — თვით ავადმყოფის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე — საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველსაყოფად.

არის შემთხვევა, როცა ავადმყოფის მკურნალობა საავადმყოფოს გარეშე სახიფათოა, რადგან მდგომარეობა თხოულობა განუწყვეტელ ზედამხედველობას სხვადასხვა დარგის მკურნალთა მხრივ და მზადყოფნას სასწრაფო ზომების მისაღებად. ამ დროს ნაგულისხმევია ყველა სახის სამედიცინო ინვენტარი და მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ამ პირობებში ექიმს ევალება, ურჩიოს პაციენტს საავადმყოფოში გადასვლა და გაუმზადოს სათანადო მიმართვა.

მაგრამ თუ ავადმყოფი ან მისი მზრუნველი არ დაიჭერება ასეთ რჩევას და საკუთარი სიცოცხლის რისკით სახლში დარჩება, ან თუნდაც სრულიად არ იმკურნალებს, ექიმი ვერავითარ იძულებით ზომებს ვერ იხმარს და მხოლოდ სინანული ან გულისწყრომა შეუძლია გამოხატოს ამის გამო.

ასეთი შემთხვევებია — სეპსისი, ამპუტაცია. ტრეპანაცია, ან სხვა ქირურგიული ჩარევა, ისევე როგორც გართულებული მშობიარობა და სხვ.

მაგრამ არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა ავადმყოფს აღმოაჩნდება ინფექციური სენი, რომელიც გავრცელებით ემუქრება მოსახლეობას. ასეთნი არიან: დიფტერია, ხოლერა, მუცლის ან პარტახტიანი ტიფი, ქუნთარუშა და სხვა.

უკანასკნელ შემთხვევაში, თუნდაც შინ, უკეთეს პირობებში შეიძლებოდა მოვლა, ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია აუცილებელია. ეს სავალდებულოდ ითვლება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და ავადმყოფის კარგიზებს ან მისი პატრონის შეხედულებას ამ საკითხზე არა აქვს რაიმე ძალა. ამიტომ ჰოსპიტალიზაციის იძულებითი ფორმა მისაღებია და შემოღებულია მხოლოდ ალნიშნულ შემთხვევაში, რაც ხო-

რციელდება შემდეგი გზით: ინფექციის საშიში კერის აღმოჩენისთანავე ექიმი მაშინვე გაწერს დაავადებულს სათანადო საავადმყოფოში, პარალელურად მყისვე აცნობებს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს თუ სად როგორი დაავადება აღმოჩნდა. ამის შემდეგ სასწრაფო იზოლაციას უკეთებენ ავადმყოფს; ხოლო თუ ჭიჭიბობას ექნება ადგილი, შეაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის ჩარევაც, რომელმაც არ უნდა დაუშვას რაიმე ექსცესი ავადმყოფის ურჩი ჭირისუფლების მხრივ. ასეთია იძულებითი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და საშუალებანი, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შადურის ბრალდების საქმეშიც, როგორც საწყისი მდგომარეობა.

დადგენილია, რომ დაზარალებულს — მესხის ქალს, არ ჰქონია რაიმე ინფექციური დაავადება, რომ მის მიმართ იძულებითი საშუალებები ეხმარათ ჰოსპიტალიზაციისათვის. მან ჰქონდა მხოლოდ ნაადრევი მშობიარობა, და როგორც ცნობილია — მშობიარობა, არც ნაადრევი და არც დროული, არ ითვლება გადამდებ სნეულებად და არ წარმოადგენს საზოგადოებრივი უბედურების გავრცელების კერას.

მე, ამხანაგებო, განზრახ ვხმარობ იმ ტერმინებს, რომლებიც გამოყენებულია არსებულ ინსტრუქციებში.

ექიმ შადურის ბრალდების საქმეში ყურადსაღებია ის, რომ მან წარმატებით დაამთავრა დაზარალებულის მშობიარობა, თუმცა მისთვის სრულიად უცნობი იყო, რომ მის მისვლამდე ვინმე უფიცმა აბორტმახერმა ხელოვნური მშობიარობის ცდა აწარმოვა. მიუხედავად ამისა მას სიფრთხილის გრძნობა არ დაუქარგავს და ავადმყოფს არა მარტო ურჩია, მიმართვაც კი დაუწერა საშობიარო საავადმყოფოში მოსათავსებლად. რამდენადაც ეს ფაქტი სადავოდ არ გაუხდია საბრალდებო ორგანოს, მე მისი სამტკიცებელი საბუთების შეფასებას გვერდს ავუვლი, მაგრამ ხაზგასმით მსურს შევნიშნო და თქვენი ყურადღება გავამახვილო შადურის მოქმედების იმ ზერელე შეფასებაზე, რომელიც დაუშვა პროკურატურამ. საბრალდებო დასკვნაში ნახმარია წინადადება „არ გააკეთა ჰოსპიტალიზაცია,“ რითაც გულისხმობენ, რომ შადურმა არ მი-

ილო ისეთი ზომა, რომ ავადმყოფი სამშობიაროში მოეთავსებოდა. რამდენადაც პროკურატურას დადასტურებულად მიაჩნია, რომ ბრალდებულმა დაუწერა მიმართვა დაზარალებულს საავადმყოფოში მოსათავსებლად. უნდა ვიფიქროთ, რომ, პროკურატურის აზრით. კიდევ რაღაც ზედმეტი ევალეობდა თურმე ექიმს. ეს „ზედმეტი“ კი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ჯანმრთელობის განყოფილებისადმი შეტყობინება, რისი საფუძველიც მას გააჩნდა. დავუშვათ, რომ ეს გაეკეთებია კიდევ ექიმს. მაშინ ჯანგანი იძულებითი წესით მაინც ვერ მოათავსებდა მესხის ქალს საავადმყოფოში. დიაგნოზის შეუფერებლობის გამო. ამიტომ შადურის ასეთ შეტყობინებას იმისაგან განსხვავებული შედეგი არ მოყვებოდა, რაც სწინამდევლისში მოხდა; მესხის ქალი მაინც საავადმყოფოს გარეშე დარჩებოდა.

ვერავეთარი შთავონებითი საშუალება ვერ აალებინებდა ხელს მესხის ქალს დიდი ხნის მტკიცე გადაწყვეტილებაზე — არ გაემჟღავნებია თავისი საიდუმლო წარსული. ამის გამო რეკომენდირებული ჰოსპიტალიზაცია მისთვის არ იყო ხელსაყრელი, ხოლო იძულებითი ზომებისათვის არ არსებობდა საფუძველი.

როდესაც ჩვენ თავისუფალი არჩევანი გავაჩნია იძულებისა და ნებაყოფლობის მიმართ, ყოველთვის უკანასკნელს ვაძლევთ უპირატესობას იმიტომ, რომ ადამიანის შეგნება ვერ ურიგდება ძალადობას ოჯახსა და საზოგადოებაში, ისევე როგორც სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მით უფრო დიდია სულიერი და მორალური სიმტკიცე, რაც უფრო მცირეა იძულება, და როცა მოქმედების ნორმები იქმნებიან ადამიანთა სურვილის შესაბამისად. მაგრამ თუ ცხოვრება მაინც თხოულობს იძულების ზოგიერთი სახის გამოყენებას, ეს უნდა ხდებოდეს ისევე ხალხის კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

როცა მკურნალობის ხსენებულ სახეობაში არ არის დაშვებული იძულება, და მხოლოდ ნებაყოფლობა იგულისხმება, როგორ შეიძლება ვისმეს მოვთხოვოთ ავადმყოფის მიმართ გამოიყენოს იძულებითი ღონისძიებანი?

სავალალოდ, ჯერ კიდევ მრავალია საჭიროებით გამოწვეულ იძულებით ფაქტორთა მოქმედება, რომ მათ რიცხვს კიდევ არ შევმატოთ თავისუფლების სფეროდან უხეშად წართმეული ნებაყოფლობითი მკურნალობის ტრადიცია.

შეიძლება ეს სამართალში მიცემულის ბრალის დასადებად სჭირდებოდეს ვინმეს, მაგრამ ცხოვრება მას გულისწყრომით უარყოფს.

როგორ საზეიმოდ გაისმის ამ ფონზე სპარსელი ბრძენის დიადი სიტყვები:

„ქეშმარიტი თავისუფლება იმას ჰქვია, რომ მე ჩემი სურვილის გარეშე ბორკილსაც კი ნუ შემხსნითო“.

ექიმმა შადურმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა ავადმყოფის მიმართ, მაგრამ თუ დაზარალებულმა პირადი მოსაზრებებით ექიმის ჩრევა არ შეასრულა, ამის პასუხისმგებლობას ვერავის დავაკისრებთ. ამის შესახებ უფრო ვრცელი განმარტება ზედმეტად მიმაჩნია.

ამრიგად ბრალდების ეს ნაწილი სამართალში მიცემულს უნდა მოეხსნას.

ბრალდების მეორე ნაწილი კიდევ უფრო უსამართლოა და ექიმთა პროფესიის ერთგვარად შეურაცხყოფელიც.

სამართალში მიცემულს ეუბნებიან, რომ იგი არ ამხელს აბორტმახერს და ფარავს იმ ბინას, სადაც დაზარალებულს აბორტი გაუკეთდა.

საქმით დადასტურებულია, რომ გამოძიების მოთხოვნით ბრალდებულმა უჩვენა სახლი და ბინა, სადაც ავადმყოფი მოამშობიარა. თუ ნაჩვენებ სახლში გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა აბორტმახერი, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ბინა სწორად არ არის ნაჩვენები. განა ცნობილი არ არის, რომ კანონის საწინააღმდეგო აბორტს ბოროტმოქმედები სხვის ბინაზე უფრო აკეთებენ, ვიდრე საკუთარ სახლში? აბორტმახერის სხვა სახლიდან მოწვევა შადურის მიერ ნაჩვენებ ბინაზე სავსებით რეალურია, მაგრამ ამ ფაქტს არასოდეს ნაბაყოფლობით არ დაადასტურებს იმ ბინის პატრონი, სადაც ეს ხდება. ამის გამო ბინის პატრონის უარყოფა, და ნაჩვენებ ბინაზე აბორტმახერის უღმრთო ჩენლობა არ გამორიცხავს ბრალდებუ-

ლის ჩვენების სინამდვილეს. მსგავსი დანაშაულობანი ხომ უაღრესი კონსპირაციის პირობებში ხდება და ვის შეეძლო ყოველივე ეს ემხილა, თუ არა თვით დაზარალებულს, რომელიც სამჯერ დაიკითხა საავადმყოფოში, მაგრამ არ ამხილა აბორტმახერი. აქ დაზარალებულის ნებისყოფის დამადასტურებლად უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილის წინაც არ ამხილა ეს პირები და პასუხისმგებლობისაგან დაიხსნა!

არანაკლებ გულუბრყვილობას იჩენს გამოძიება, როცა არავეთარ მნიშვნელობას არა აძლევს შემდეგ ფაქტებს: ბრალდებულის მიერ ნაჩვენები ბინის ზედა სართულზე ცხოვრობს ექთანი, გიგაურის ქალი, რომელიც არა მარტო შემჩნეულია, არამედ მსჯავრდადებულიც კი იყო უწინ როგორც აბორტმახერი. დანაშაულის შემთხვევის დღიდან ერთი თვის შემდეგ ექთანის ბინაზე ჩხრეკა მოაწყო გამოძიებამ და იქ არაფერი აღმოჩენილა საეჭვო. საკითხავია: მაინც რა „საეჭვო“ უნდა აღმოჩენილიყო იმ დროისათვის იქ იმაზე მეტი, ვიდრე ის, რომ ბინაში ცხოვრობს კრიმინალური აბორტისათვის მსჯავრდადებული ექთანი გიგაური?

და ბოლოს რა საფუძველით ასკვნის გამოძიება, რომ როდესაც დაწყებული აბორტი გართულდა და საშველად მოიწვიეს ექიმი შადური, აბორტის დამწყები იქ დახვდა მას და გამოაქლავნა თავისი პიროვნება? პირიქით, ასეთ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი არ ჩნდება, შიშით ძრწის, იმალება, ინიღბება.

მაგრამ მე შეგნებულად მინდა გვერდი ავუარო ისეთ ხერხს, რომლითაც მხილებები ნათელს გახდიან გამოუმჟღავნებელ ბოროტმოქმედებებს. თუ ეს მომენტი ვახსენე, მხოლოდ იმიტომ, რომ შადურის ჩვენების ლოგიკურობა არ მიჩქმალულიყო ზოგიერთების სასარგებლოდ. ამიტომ ამ მიმართულებით ჩემი მსჯელობის კურსს ვწყვეტ და გადავდივარ ისეთ ფაქტების ანალიზზე, რომლებიც შადურს ამართლებენ სხვა კუთხიდან.

არ არის გამორიცხული, რომ შადური გულწრფელად დაბნეულიყო გამოძიებაში, ან კიდევ ცდებოდეს აბორტის

გაკეთების ადგილის ჩვენებაში. ამისათვის სახეზეა ობიექტური მიზეზებიც.

ახლად დაძინებული შადური გააღვიძეს და წაიყვანეს მშობიარე ქალთან ორ საათზე, საბუთით არის დადასტურებული, რომ 23. 6. 54 წ. ღამით, ძლიერი ქარის გამო სინათლე გამორთული იყო და ქალაქს წყვდიადში ეძინა. მეტეოროლოგიური სადგურის ცნობით ცა უღრუბლო იყო, მაგრამ ძველი მთვარე მხოლოდ რიყრაყის ქამს ამოვიდა.

დაკვირვებით ისიც დადგენილია, რომ ზაფხულის უმთვარო ღამე უფრო მრუმე და ბნელია, ვიდრე წლის რომელიმე სხვა დროს.

ექიმი და ავადმყოფის პატრონი ღია მანქანაში ნაჩქარევად ჩასხდნენ და სწრაფად გაეშურნენ მშობიარესთან, ჩვენ არ ვიცით თუ რა გზით წაიყვანეს ექიმი. შესაძლებელია, კონსპირაციის მიზნით შემოვლითი გზით წაეყვანა ჭირისუფალს, მაგრამ ჩავთვალთ, რომ ისინი სწორი გზით გაეშურნენ, ეს მაინც არ იძლევა გზის დამახსოვრების საშუალებას, ვინაიდან ქარიანი სადამო იყო და ხილვადობა ერთობ შეზღუდული. მეორეს მხრივ, უცნობ პირთა აღლევება აიძულებდა ექიმს, ადგილზე მისვლამდე ანამზენი მიეღო, შეკითხვებზე პასუხები მოესმინა, რაც დადასტურდა კიდევ. შთაბეჭდილების ასეთი გადატვირთვის დროს, ზემოთდასახელებული მრავალი პირობის გვერდით, მართლაც შესაძლებელი იყო შეუმჩნეველი დარჩენილიყო გავლილი გზა და სახლიც. სადაც ექიმი მიიყვანეს.

ასევე ადვილი წარმოსადგენია, რომ შეკრებილთა შორის ექიმს ვერც შეემჩნია აბორტის დამწყები, თუნდაც იგი იქვე ყოფილიყო. ან რით უნდა ამოეცნო ის სხვა პირებისაგან, თუ თვით არ განაცხადებდა ამას? მესხის ქალის მშობიარობას არ დასწრებია არც ერთი თავისიანი, დედაც კი არ იყო იქ და ლამფის მბუუტავ სინათლეზე მხოლოდ დაქირავებულ „გულშემატკივართა“ ლანდები პანიკურად დაეხეტებოდნენ, რომლებიც მხოლოდ თავიანთი თავის გაუმჯღავნებლობაზე ზრუნავდნენ. ისინი ზომ ყველანი ცოტად თუ ბევრად მონაწილე იყვნენ ამ საიდუმლო საქმიანობისა?

გარდა ამისა, შადურმა მოამშობიარა დაზარალებული ცრუ ანამზენის საფუძველზე მიღებული იმ რწმენით, რომ საქმე ჰქონდა ფიბრომის შედეგად გამოწვეულ ნაადრევ მშობიარობასთან. მას ამის რეალური სიმპტომებიც გააჩნდა და სინამდვილეშიაც დადასტურდა, რომ მესხის ქალს უწინაც არა ერთხელ უშვია ნაადრევად მკვდარი ნაყოფი, არა ხელოვნური ჩარევით, არამედ სწორედ ფიბრომის მიზეზით, რომელიც მას სჭირდა.

ამ საფუძველით, მას არ შეეძლო ეფიქრა, რომ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა კრიმინალური აბორტის შემთხვევას.

საბრალდებო მხარისათვის სავალდებულოა ანგარიში გაუწიოს მკურნალთა პროფესიის სპეციალურ მდგომარეობას. მოულოდნელი მშობიარობის ან ქირურგიული ოპერაციის დროს, კეთილსინდისიერი ექიმი დაკავებულია ერთი აზრითა და მიზნით — მიაღწიოს ყველაზე საუკეთესო შედეგს, ააცილოს ავადმყოფს მტკივნეული შეტევები. ამ ამოცანის გადაჭრისას ექიმი მთლიანად შთანთქმულია პროფესიული საქმიანობით და მისი აზრი გამორთულია მოვლენებისა და ფაქტების იმ სამყაროდან, რომელთაც ორგანული კავშირი არა აქვთ მის ამოცანასთან? იგი თავისი ფიზიკური, გონებრივი და სულიერი ძალებით, გრძნობითა და მესხიერებით ერთი საქმიანობის არსს განკუთვნილი და მას არც მიეტევა მისგან დასახული პირდაპირი ამოცანის საზიანოდ, გარეშე ფაქტებისადმი ყურადღების დათმობა.

ამ კეთილშობილი და სამართლიანი პრინციპიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავავალებთ ექიმს იზრუნოს რაიმე საექვო ვითარების დაზუსტებისათვის და დამხმარე თანამშრომლობა გაუწიოს სამძებრო ან საგამომძიებლო უწყებას. ასევე ვერ მოვთხოვთ ექიმ შადურს ჩანიშნული ჰქონდეს მისამართი და იმ დამის შემთხვევის მოძქმედი პირები. მით უმეტეს ვერ მოვთხოვთ დაგვიდგინოს — თუ რა უსწრებდა წინ მესხის ქალის მშობიარობის ფაქტს.

პროფესიულ მოვალეობათა განსაზღვრის საკითხში შესაძლებელია დაგვხმარებოდა რომელიმე ნებისმიერად ალებული ანალოგია. ექიმი ბაქტერიოლოგი თავის სუფთა ლაბო-

რატორიაში სწონის, მიკროსკოპით სინჯავს და საათობით ირ-
ჯება. რათა დაადგინოს შარდის, ნახველის ან სხვა ნაცხუს შე-
მადგენლობა და თვისებები. ეს შრომა ღირსების საქმეა მის-
თვის და სათაკილო აქ არაფერია. მაგრამ თუ ამავე ყურად-
ღებით მოეპყრობა ჩსენებულ სიბინძურეს ის პირი, ვინც
პროფესიით არ არის დაკავშირებული ამ საკითხებთან, ის შე-
იძლება შეშლილადაც გამოაცხადონ.

ასევეა, როცა გამომძიებელი ქუჩის სანაგვე ყუთს გადმო-
აბრუნებს და იქიდან გამოყრილ ბინძურ ქალაღებზე გულის-
ყურით კითხულობს რაიმე ფაქტის დასადგენად (როგორც
ეს ერთმა გამომძიებელმა კიევში წარმატებით გააკეთა დანა-
შაულის გასახსნელად), ის ქების ღირსია საზოგადოებრივი
უშიშროების თვალსაზრისით, მაგრამ თუ იმასვე ჩადენს
სხვა ვინმე დასმენის მიზნით, ის მხოლოდ ზიზღს დაიმსახუ-
რებს.

საზოგადოებრივი სინდისის ეს მოთხოვნა კარგად ესმის
კანონმდებელს და ამიტომ, მოქმედი სამართალი არ ავალებს
მოქალაქეებს ფაქტებში მიზეზები ან სხვა მაჩვენებლები და-
ახუსტოს მოსალოდნელი საგამომძიებლო საქმეებისათვის.
ამისათვის საკმარისად არსებობენ სათანადო უწყებები და
კვალიფიციური შტატი. რომელთაც ადვილად არაფერი გამო-
ეპარებათ.

კიდევ მეტი, სისხლის სამედიცინო კოდ. მე-18 მუხლით.
დაუსჯელ მოქმედებად ითვლება ნამდვილად ჩადენილ დანა-
შაულის განუცხადებლობა, თუ საგანგებოდ არ არის მითითე-
ბული რომელიმე სახის კრიმინალის მიმართ. ამ პრინციპის
მიხედვით შეადურმა კიდევ რომ იცოდეს იმ დანაშაულის ზოგი-
ერთი მხარე. რომელიც ავადმყოფთან მის გამოცხადებას უსწ-
რებდა. ან იმ დროს მოხდა, ის განუცხადებლობისათვის პასუხს
არ აგებს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დაისმებოდა მხო-
ლოდ თავისი აქტიური მოქმედებით სხვისი დანაშაულის კვა-
ლის დაფარვის შემთხვევაში. მაგრამ როგორც იცით. ასეთი
რამ შეადურს არ ბრალდება და ამიტომ მისთვის არც სსკ 80
მუხ. წაუყენებიათ. მიუხედავად ამისა, მე მაინც მწამს, რომ შე-
ადურის ნაჩვენები ბინა არის ის, რომელშიც მესხის ქალმა მოი-

მშობიარა, ხოლო ის პირი კი, ვინც კრიმინალური აბორტი დაიწყო, მისთვის უცნობია.

დაინტერესებულმა გამოძიებამ ვერ შეძლო მესხისაგან რაიმე ცნობის მიღება დანაშაულის გასახსნელად და ექიმ შადურს ეკვის საფუძველიც არ ჰქონდა, რომ ასეთი ცნობების გამომძალვაზე ეზრუნა, კიდევ რომ ეკადრებია ასეთი.

ამრიგად, ამ ბრალდების უმართებლობა ნათლად არის დადასტურებული, შადურის მოქმედებაში არ არის არც კვალის დაფარვა, არც განუცხადებლობა, და მით უმეტეს არ მოიპოვება სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

დასასრულ, დაგვრჩა ბრალდების უკანასკნელი ნაწილი, რომელიც თითქოს ატარებს ისეთ ნიშანს, რომ ის დანაშაულად მოგვეჩვენება, თუ მას ფორმალური მხრით მივუდგებით.

ასეთ ფაქტთან გვაქვს საქმე: შადურმა „ავადმყოფობის ისტორიაში“ შეიტანა ცნობა, რომ მესხის ქალი საავადმყოფოში შემოვიდა თბილისში მომშობიარების შემდეგ. ცხადია, რომ ეს ასე არ მომხდარა, რადგან შადურმა თვით მოამშობიარა დაზარალებული ქუთაისში. მაშ, თუ ეს ასეა, რაღა შეიძლება აქ სადაო იყოს?

ექიმ შადურს წინასწარი შეცნობით ტყუილი ცნობები შეუტანია საბუთში და, მაშასადამე, დანაშაულიც სახეზეა.

მაგრამ საკითხი აქ სულ სხვა მხრით უნდა იქნეს შესწავლილი.

გარკვევით უნდა იქნეს აღიარებული, რომ ექიმს უფლება აქვს და ვალდებულიც არის ზოგიერთი სიმართლე დაფაროს პაციენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

ვთქვათ, რომელიმე მეუღლეს, ან საცოლეს, თუნდ საქმროს, Coitus- ის გარეშე შეეყარა ვენერიული სენი. ის პანიკით არის მოცული. ექიმი მას უნიშნავს მკურნალობის რეჟიმს, მაგრამ გაუმყდავებლობის რეცეპტები იწერება სხვის გვარზე, ამის გარეშე მოსალოდნელია თვითმკვლელობა. ოჯახის დაზღვევა ან სხვა უბედურება. თუ პაციენტი არ ენდობა მკურნალს საიდუმლოების შენახვაში, შეიძლება მან უარი

თქვას ექიმობაზე. ამისათვის საჭიროა გაუმჯობესებლობის გარანტია, რაც არასოდეს არ იარსებებს თუ რომ ზოგჯერ სიმართლის გაუმჯობესებლობა მკურნალიდან არ არის დასააჯელი მოქმედება. პირიქით, პაციენტის მოთხოვნის მიხედვით ის ვალდებულია ასე მოიქცეს და ამას ეწოდება სამკურნალო პროფესიული ეთიკა. დასახელებული წესი არ არის უკანასკნელი დროის მონაპოვარი, ის უძველესი დროიდან მომდინარეობს. ჯერ კიდევ ჰიპოკრატემ, ბერძენმა ფილოსოფოსმა და მედიცინის მამამთავარმა, 460 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეიმუშავა და დააწესა „მკურნალის ფიცი“, რომლითაც იკრძალა ავადმყოფის საიდუმლოების გამჟღავნება, ის, როგორც ბრძენი, ღრმად ჩასწვდა ცხოვრების სირთულეს:

„არ ჰყო საცნაურ ხვაშიადი სნეულისა, რომელს ჰკურნავ“. მან სწორად განჭვრიტა ამ პირობის აუცილებლობა, ის დღესაც ძალაშია და კვლავ მოქმედებაში იქნება როგორც ეთიკური ფორმულა. სამედიცინო სამყაროში აღიარებულია მკურნალისაგან ავადმყოფის „ხვაშიადის“ გაუმჯობესებლობა. ეს აღნიშნულია და მიღებულია ექიმთა საერთაშორისო კონგრესებზე სხვადასხვა დროს და ამ საკითხზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ამის შესახებ მე ციტირება მოვახდინე ექიმთა ყრილობებისა და კონგრესების ოქმებიდან და დადგენილებებიდან, რომლებიც სამკურნალო პრესაში სხვადასხვა დროსაა გამოქვეყნებული, როგორც სახელმძღვანელო ინფორმაცია. თუ საბრალდებო მხარისათვის ეს მიუღებელია ან ექიმ ექსპერტისათვის იგი უცნობია, როგორც თვითონ აცხადებს, მე ვერ მივესალმები ამ მდგომარეობას.

მე სასამართლოს წარვეუდგინე აგრეთვე ჯანმრთელობის სამინისტროს ოფიციალური პასუხი იმის შესახებ, რომ „მკურნალობის ფაქტი, ისევე როგორც ანამნეზური ცნობები, მტკიცედ უნდა იყოს დაცული გამომჟღავნებისაგან ექიმთა მიერ“. ამით ანგარიში ეწევა ავადმყოფის პიროვნების ღირსებასა და მის სხვა ინტერესებს. ვფიქრობ, ამ დოკუმენტის ყურადღებით გაცნობა თათბირის დროს, საქმეს სარგებლობას მოუტანს.

ექვი არ მეპარება, რომ მსმენელთა შორის არავის მოუვა აზრად იფიქროს, თითქოს მე სიყალბისა და სიცრუის პროპა-

განდას ვეწოდებ. ასეთი რამ გამორიცხულია და ამიტომ ვარ ასე თამამი ჩემს მსჯელობაში. პირიქით, საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სინამდვილის დაფარვა დასაშვებია მხოლოდ, აუცილებლობის პირობებში და არა ყოველ შემთხვევაში. უნდა იქნეს გახსენებული ის გამონაკლისი, როცა ავადმყოფის მოთხოვნით საიდუმლოების დაცვა არ შეიძლება, თუ ამით სახელმწიფოს ძლიერებას ან საზოგადოებრივ კეთილდღეობას ზიანი ემუქრება.

დასახელებული მომენტები უადრესი სიფრთხილით უნდა იქნეს გაზომილ-აწონილი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, და მის მხოლოდ მაშინ შეიძლება მოყვეს სასურველი მორალური შედეგი.

აღნიშნული განმარტების შემდეგ ექიმ შადურის შემთხვევა ადვილი შესაფასებელი ხდება. მესხის ქალი წლების მანძილზე ფარავდა თავის რომანს და მის შედეგად მომხდარ მრავალგზის მუცლის ხელოვნურ მოშლას. მან ეს ფაქტი არ აღიარა სიკვდილის წინაც კი, არც თავის დედასთან და არც გამომძიებელთან. მისივე დაბეჯითებითი თხოვნით ექიმმა შადურმა „ავადმყოფის .ისტორიაში“ არ შეიტანა სწორი ანამნეზური ცნობები.

რა ბოტივი ამოძრავებდა ექიმს დოკუმენტში სიმართლია დაფარვის დროს? მხოლოდ პიროვნების ღირსების-დაცვა.

რა საზიანო შედეგი მოყვა სიმართლის ამ დაფარვას? — არავის ამით არავითარი ზიანი არ უნახავს.

ამ მოქმედებით, თვით გარდაცვალებულს გარდა, მისი ოჯახი, ისევე როგორც მისი რომანის მონაწილე, გადაურჩნენ კორიკანობის ქარიშხალს, ასცდათ უსიამოვნო გრძნობა. მესხის ქალი კი ამ რწმენით გარდაიცვალა, ეს ქვეყანა ისე დატოვა რომ მისი ღირსება არ შელახულა.

ამხანაგებო! ჩვენში არ უნდა იწვევდეს გაკვირვებას სახელმწიფო ბრალდების პოზიცია, რომელიც ბრალდების მხარის დაჭერაში გამოიხატება. ამ საქმეს გააჩნია იმდენი მოსაჩვენარი მხარე, რომ მისგან თავის დაღწევა საბრალდებო ტენდენციის მქონე უწყების წარმომადგენელისათვის სიძნელეს წარმოადგენს.

საბრალდებო მხარის მოსაზრებანი არც იწვევს ჩემში იმის შიშს, რომ ისინი ძალაში დარჩებიან, რამდენადაც სამსჯავრო გამოძიება სრულ გარანტიას ქმნის — უარყოფილი იქნას ყოველი დაუსაბუთებელი დებულება.

რაც შეეხება სამოქალაქო მძიებელის პოზიციას, ის მართლაც რომ გაუგებარია. ისინი ასაბუთებენ შადურის დამნაშავედ ცნობის აუცილებლობას და თანაც თხოულობენ ზარალის ანაზღაურებას, და მერმე რისთვის? შადურმა მესხი სიკვდილად დააარჩინა მომშობიარობის დროს; მან შესაფერი დარიგებითა და საავადმყოფოში გაწერით უზრუნველყო ავადმყოფის მომავალი გამოჯამრთელება; მანვე ღირსეულად შეუნახა ნამუსი მომაკვდავ მესხს და მისივე თხოვნით არ გაამჟღავნა გამაწბილებელი საიდუმლოება..

ამავე მოქმედებით შადურმა ააცდინა მესხის ახლობლები იმ მორალურ ქეჯნას, რომელიც მათ ელოდათ სინამდვილის გახმაურების პირობებში. ყოველივე ამის შემდეგ მძიებლები „დაზარალებულის“ როლში გამოდიან შადურის წინააღმდეგ. მე მათ ვეკითხები — რით დაგაზარალათ თქვენ მან? იმით, რომ ავადმყოფის ფიზიკურად და ზნეობრივად გადარჩენისათვის უანგაროდ და თავდადებით იშრომა: მესხის ქალი რომ წარმოვიდგინოთ გაცოცხლებულად, ის თავს გამოაცხადებდა დაზარალებულად ასეთი ჰირისუფლების მიმართ, რამდენადაც არავის მისთვის იმდენი ზიანი არ მიუყენებია, რამდენიც მისმა ახლობლებმა. მისი საიდუმლოც ხომ მათ ამხილეს, რისიც ყველაზე უფრო ეშინოდა გარდაცვალებულს!

შადურის ყოველი ნაბიჯი ამ საქმეში, როგორც მოქალაქეობრივი, ასევე პროფესიული თვალსაზრისით კანონიერია და ზნეობრივი. ის უპასუხებს როგორც მოქმედ სამართლის ნორმებს, ასევე საზოგადოებრივი სინდისის მოთხოვნას. მე განზრახ გვერდს ვუვლი შადურის პროფესიულ და საზოგადოებრივ

დამსახურებას, რაც ცნობილია ჩვენი ფართო საზოგადოებისათვის.

ჩემი მოთხოვნის სიმტკიცისათვის მე არ მჭირდება მისი ავტორიტეტი გამოვიყენო. მე მას მოცემულ შემთხვევაში ვთვლი ისეთ მოქალაქედ, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია და ვშუამდგომლობ იგი სასამართლომ გაამართლოს. მე მტკიცედ მწამს, რომ ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება.

ს ი ზ ყ ვ ე

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ვარდენ ურატაძისა
ქ. გ. კუპრაძის
საქმეზე

საქმის მოკლე შინაარსი

ხელფასის უწყების გადასწორების გზით განსაზღვრული თანხის მითვისებისათვის სამართალში მიცემული იყვნენ № ავტოსატრანსპორტო კანტორის ყოფილი უფროსი ბუღალტერი გიორგი ექვანიშვილი და მოლარე ქეთევან კუპრაძე.

საბრალდებო დასკვნით მათ ბრალად ედებოდათ 5.300 მანეთის მითვისება.

1961 წლის 3 ნოემბერს საქმე განიხილა ხაშურის სახალხო სასამართლომ, რომელმაც არ გაიზიარა სამართალში მიცემული ქ. კუპრაძის დამცველის მოსაზრებანი და ბრალდებულს მიუსაჯა 6 წლით პატიმრობა, შრომა-გასწორების (კოლონიაში) მოთავსებით.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1961 წლის 7 დეკემბერს განიხილა ხსენებულ საქმეზე შემოსული საკასაციო საჩივარი, რომელიც აღძრა ქ. კუპრაძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ვ. გ. ურატაძემ. კოლეგიამ მთლიანად გაიზიარა დამცველის მოსაზრებანი კუპრაძისადმი წაყენებული ბრალდების დაუდასტურებლობის თაობაზე და მოუხსნა ბრალდებულს სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლით გათვალისწინებული ბრალდება, ამასთან, კუპრაძის დანაშაულებრივ ქმედობას მისცა თანამდებობის ბოროტად გამოყენების კვალიფიკაცია და მიუსაჯა მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც პირობითი სააჯელით შეუცვალა.

ადვოკატ ვარლენ ურატაძის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

სახელმწიფო ან საზოგადო ქონების მითვისება, დატაცება და განიავება მკაცრად ისჯება ჩვენი კანონმდებლობით და ეს სავსებით გასაგებია, რადგან ეს არის მშრომელთა გარჯით შექმნილი სახალხო დოვლათი.

ასეთი დანაშაული კიდევ უფრო მძიმეა, როცა მიმთვისებელი სწორედ ის პირია, ვინც თანამდებობრივად ვალდებულია იზრუნოს ამ ქონების ზუსტ აღრიცხვასა და დაცვაზე.

N რაიონის ავტოსატრანსპორტო კანტორის სალაროში აღმოჩენილია 5300 მანეთის დანაკლისი. რევიზიის აქტით და საქმეში არსებული საბუთებით ეს დანაკლისი არავითარ ექვს არ იწვევს. ამ ნაწილში ორივე მხარე — დაცვა და ბრალდება ერთი აზრისაა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეს დანაკლისი გამოწვეულია მითვისების შედეგად, რის გამოც დანაშაული კვალიფიციურებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლის მე-3 ნაწილით. დიახ, ადგილი აქვს მითვისებას. ავტოსატრანსპორტო კანტორის თანამშრომლებისათვის გამოწერილი უწყისები, მათი ხელფასი გადასწორებულია, გაყალბებულია; გაცემული ხელფასის თანხები გადიდებულია ერთეულების მიწერით; უწყისების საერთო ჯამები კი ხელოვნურად გაზრდილია და ამ ხერხით მიღებული სხვაობა მითვისებულია. მხარეებს ამ ნაწილშიც არაფერი აქვთ სადავო. ამ გარემოებას მე ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავ, რომ იქ, სადაც ბრალმდებელსა და დამცველს შორის წამოჭრილია პროცესუალური დავა იმის შესახებ — ზუსტად არის თუ არა დადგენილი მითვისებული თანხის ოდენობა და სწორად არის თუ არა გაგებული ჩადენილი დანაშაულის იურიდიული ბუნება, — ხშირად გართულებას აქვს ადგილი. აქ კი, როგორც მოგახსენეთ, ეს ორი საკითხი დავას არ იწვევს და ჩვენ დამშვიდებული სინდისით

შეგვიძლიან ვთქვათ მითვისებული თანხის რაოდენობის დადგენასა და ჩაღებნილი დანაშაულის კვალიფიკაციაში შეცდომა არ არის.

ამ თანხის მითვისებისათვის წინასწარმა გამოძიებამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ორი თანამდებობის პირი: კანტორის უფროსი ბულაღტერი გიორგი ეყვანაშვილი და მოლაშე ქეთევან კუპრაძე. ორთავეს ბრალი ედება 5300 მანეთის შეთანხმებულ მითვისებაში.

წინასწარი გამოძიების დროს თვითელი მათგანი ცალცალკე ამტკიცებდა თავის უდანაშაულობას. ისინი დანაშაულს ერთიმეორეს აბრალდებდნენ. თქვენ მოსწინეთ მათი ჩვენებები სამსჯავრო სხდომაზე აქაც იგივე განმეორდა.

ვინ არის დამნაშავე?

საბრალმდებლო დასკვნის ავტორი, წინასწარი გამოძიების დროს, და სახელმწიფო ბრალმდებელი აქ. სასამართლო პროცესზე, ამტკიცებდნენ, რომ ორთავე დამნაშავეა. აღნიშნავს რა, რომ ერთიმეორის დახმარებისა და ხელისშეწყობის გარეშე ისინი ამ დანაშაულს ვერ ჩაიდენდნენ, ბრალმდებელი წარდგენილი მუხლის საფუძველზე ორივეს დასჯას მოითხოვს.

მე გადაჭრით უარვყოფ სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წამოყენებულ მოსაზრებას და ვაცხადებ, რომ კუპრაძის დანაშაული მითვისებაში დადგენილი არ არის; თქვენ იგი უნდა გამართლოთ ამ ბრალდების დაუდასტურებლობის გამო და დასაჯოთ არა მითვისებისათვის, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის დაუღვევრად შესრულებისათვის.

ამრიგად, მხარეთა შორის პროცესუალური დავა გაჩაღებულია სწორედ ამ საკითხში, მაგრამ იგი მთავარი პრობლემაა სისხლის სამართლის საქმეში; მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორი და ობიექტური განაჩენის დადგენისათვის და ახალგაზრდა ქალის მომავალი ცხოვრებისათვის, მისი ქმრისა და ორი მცირეწლოვანი ბავშვისათვის, მისი საზოგადოებრივი ავტორიტეტისათვის. ამიტომ გთხოვთ გულდასმით შეისწავლოთ ჩემს მიერ ქვემოთ მოყვანილი მოტივები და მოსაზრებები და სათათბირო ოთახში ერთხელ კიდევ გადაათვალიეროთ დოკუმენტები.

მე შემთხვევით როდი ვიხმარე სიტყვა — დოკუმენტები.

სოციალისტური საკუთრების მტაცებლები დარწმუნდნენ, რომ ჩვენი საზოგადოება და კანონმდებლობა მათ დიდი სიმძაფრით ებრძვიან და ამიტომ ისინი მითვისების შენიღბვის ხერხებს მიმართავენ.

ვინაიდან სახელმწიფო და საზოგადო ქონება ყველგან საბუღალტრო საბუთებითაა აღრიცხული, მათ უხდებათ ამ საბუთების გაყალბება, შეცვლა, შესწორება და საბალანსო ანგარიშების იმნაირად გამართვა, რომ მითვისების ფაქტი შემჩნეული და გამოჩედავნიებული არ იქნეს. ამით აიხსნება, რომ გაფლანგვა-მითვისებისა და სხვა სამეურნეო დანაშაულობათა საქმეებში დიდი როლი მიენიჭა საბუღალტრო ექსპერტიზას. მაგრამ იგი დოკუმენტებს სწავლობს თავისი სპეციალური განხრით, დანაკლისებისა და მათი ოდენობის აღმოჩენის მიზნით. ის არ არის მოწოდებული და არც შეუძლია საბუღალტრო საბუთების იურიდიულ ბუნებას ჩაწვდეს. ამიტომ ხშირად ხდება, რომ საბუღალტრო დოკუმენტი, ექსპერტიზის მიერ უკვე შესწავლილი, მოითხოვს კიდევ სხვანაირ შესწავლას, რაც დაუფასებელ სამსახურს გაგვიწევს დანაშაულის ან უდანაშაულობის დადგენასა და დანაშაულის ხარისხის დაზუსტების საკითხში.

თუ ჩვენ საქმეში არსებულ საბუღალტრო დოკუმენტებს ამ თვალსაზრისით შევისწავლით, ცხადი გახდება, რომ ქეთევან ჟუპრაძე მითვისებაში სრულიად უდანაშაულოა.

ჩვენი რესპუბლიკის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დამატკიცებელ საბუთად ჩაითვლება ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემი, რომლითაც შეიძლება დადგინდეს დანაშაულის ჩადენის ფაქტი და სამართალში მიცემულის ბრალეულობა ან უდანაშაულობა. თავის მხრივ ეს ფაქტობრივი მონაცემები დადგინდება მოწმის, დაზარალებულის ან ბრალდებულის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ნივთმტკიცებებით, საგამომძიებლო ოქმებითა და სხვა დოკუმენტებით.

ცხადია, მტკიცებათა ამ სახეობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მატერიალური ჰუმარიტების დადგენის საკითხში, მაგრამ ზოგიერთ საქმეში ჩვენ ვხვდებით მოწმეთა ჩვენებებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ; ბევრჯერ ბრალდებისა და დაცვის საკითხებს წყვეტს რევიზიის აქტი, ექსპერტის დასკვნა და მოწმეთა ჩვენებებს მეორეხარისხოვანი როლი რჩება.

ხშირად ნივთმტკიცება იმდენად სერიოზული შეფასების ღირსია, რომ იგი უპირველეს ადგილს იკავებს ბრალდების დადგენისა ან უარყოფის საკითხში, და ასე შემდეგ.

ამ საქმეში პირველხარისხოვან მტკიცებად უნდა ჩაითვალოს დოკუმენტები, საბუღალტრო საბუთები, რომელთა ღრმა შესწავლა ჩვენ ბევრ რამეს მოგვითხრობს. ეს დოკუმენტები საქმეშია და თქვენ ისინი შეამოწმეთ კიდეც.

სახელმწიფო ბრალმდებელი არ ამახვილებს ყურადღებას ამ მიმართულებით და ეს იმიტომ ხდება, რომ იგი ისედაც დარწმუნებულია კუპრაძის ბრალიანობაში. მან ორი თეზისი წამოაყენა.

ა) თანხა მითვისებულია სალაროდან, რომელიც კუპრაძეს ებარა, სალაროს ფულადი ანგარიშები მიღებული და გატარებულია უფროსი ბუღალტრის ეყვანიშვილის მიერ. დანოუქიდებლად არც ერთს არ შეეძლო ამ დანაშაულის ჩადენა. მაშასადამე, ორივე დამნაშავეა.

ბ) შეუძლებელია მოლარე კუპრაძეს არ სცოდნოდა, რომ მან სალაროდან ხელფასი გასცა არა გაზრდილი თანხით, არამედ იმ ოდენობით, რაც მუშა-მოსამსახურეებს მართლაც ეკუთვნოდა; უფროსმა ბუღალტერმა კი კარგად იცოდა, რომ დაჯამების ხელოვნურად გაზრდა და ხელზე გასაცემი თანხების წინ ციფრის მიწერა იწვევდა სხვაობის მითვისებას, რაც მან შეგნებულად ჩაიღინა. ერთად მითვისეს და გაინაწილეს, ამიტომ ორივემ უნდა აგოს პასუხი.

ეს დებულება საერთოდ შეიძლება სწორიც იყოს, მაგრამ ამ კონკრეტულ საქმეში იგი უსაფუძვლოა და, მაშასადამე, მიუღებელი. საქმის მასალებით დადგენილია კუპრაძის ჩვენების სისწორე. იგი ამტკიცებს, რომ მოტყუებულია უფროსი ბუღალტრის — ეყვანიშვილის მიერ, რომ მან მითვისების შესახებ ადრე არაფერი იცოდა, ხოლო როცა შეიტყო — ამხილა კიდეც იგი.

თუმცა კუპრაძე მოლარედ ითვლებოდა, მაგრამ ნაღდი ფულის ფაქტიური განმგებელი ეყვანიშვილი იყო, რომელმაც სალაროს ანგარიშგება განგებ ისე მოაწყო, რომ კუპრაძე შემოსავალში იწერდა არა პირადად მის მიერ მიღებულ ანაბრებს, არამედ ეყვანიშვილის ხელწერილებს, რომლებითაც იგი ფულს

ღებულობდა ავტოსატრანსპორტო კანტორის სადგურების უფროსებისაგან. კუპრაძე გასაჯალში უჩვენებდა ამავე ექვანიშვილის მიერ გაყალბებული უწყისების თანხებს. ამ წესით, უფრო სწორად, ამ უწყისობით ხდებოდა სალაროს ანგარიშის დაბალანსება, ესე იგი ნაშთი, რაზედაც კუპრაძეს პასუხი უნდა ეგო კანტორის ხელმძღვანელობის წინაშე, სალაროში აღარ რჩებოდა.

სადგურის უფროსების ჩვენებებით დადგენილია, რომ ტვირთისა და მგზავრის გადაყვანისათვის მიღებულ თანხას ხშირად ღებულობდა არა მოლარე, როგორც ეს წესისამებრ უნდა მომხდარიყო, არამედ თვით უფროსი ბუღალტერი ექვანიშვილი. მიღებული თანხების მაგივრად იგი სადგურის უფროსებს აძლევდა ხელწერილებს. თავისი მხრით, სადგურის უფროსები მიდიოდნენ მოლარესთან, აბარებდნენ მას სატრანსპორტო მომსახურებისათვის მიღებულ თანხებს და აგრეთვე ექვანიშვილის ხელწერილებსაც. ექვანიშვილის განკარგულებით კუპრაძე მათ აძლევდა სალაროს შემოსავლის ქვითრებს არა მარტო ფაქტიურად მიღებულ თანხაზე, არამედ ხელწერილებზედაც. ამ ფაქტს ადასტურებენ არა მარტო სადგურის უფროსები თავიანთ ჩვენებებში, არამედ კანტორის უფროსიც, თვით ექვანიშვილი და კუპრაძე. ერთი ასეთი ხელწერილი საქმეში არის.

ის ფაქტი, რომ ექვანიშვილი მოლარის ფუნქციების შესრულებით „ზედმეტად იტვირთავს“ თავს, მოლარის ნაცვლად თვითონ დადის სადგურებში, ღებულობს თანხებს, აძლევს ხელწერილებს, რომლებიც შემდეგ სალაროში ბრუნდება; ის ფაქტი, რომ კანტორის უფროსი ბუღალტერი თანხებს ღებულობს ანგარიშვალდებული პირებისაგან, თუმცა მას არა აქვს უფლება შემოსული თანხები უშუალოდ მიიღოს, და ამ მიღებას აფორმებს არა სალაროს ოფიციალური ქვითრებით, არამედ საკუთარი ხელწერილებით; ის ფაქტი, რომ სალაროში შემოდის არა ნაღდი ფული, არამედ საბუთები ხელწერილების სახით, ღიახ, ეს ფაქტები უკვე თავისთავად მიუთითებენ ექვანიშვილის დანაშაულებრივ ქმედობაზე.

ჯერჯერობით მე აქ ხაზი უნდა გავუსვა ერთ გარემოებას: თუ ექვანიშვილი და კუპრაძე ურთიერთ დანაშაულებრივ კავ-

შირში იყვნენ, როგორც ამას ბრალმდებელი ამტკიცებს, მაშინ რად დასჭირდა ექვანიშვილს სადგურებისაგან ხელწერილებით მიეღო თანხები, ამ თანხებს თვით კუპრადე მიიღებდა. ოფიციალურ ქვითრებს გამოსწერდა, და გაფორმება წესისამებრ მოხდებოდა, ხოლო „ურთიერთკავშირში მყოფი“ უფროსი ბუღალტერი და მოლარე თანხების მითვისებას შეჰძლედაც მოახერხებდნენ. წესიც დაცული იქნებოდა და ჯიბეც საკსე.

განვაგრძოთ. ახლა სალაროში საქმე ცუდად არის: დანაშაულებრივი პერიოდის მანძილზე გაცემული ქვითრების თანახმად, შემოსავალში აღებულია 5300 მანეთი, მაგრამ არა ფულის სახით, არამედ ექვანიშვილის ხელწერილების სახით. ჩვენ რომ ახლა სალაროს რევიზია ჩავატაროთ, წავაწყდებით ყოველად დაუშვებელ ფაქტს: სალაროში უნდა იყოს ნაღდი ფულის ნაშთი 5300 მანეთი, სინამდვილეში კი არის ფარაჩინა ქაღალდების გროვა.

მაგრამ მექოთნემ იცის სად უნდა მოიხსნას ქოთანს ყური!

ექვანიშვილი აყალბებს უწყისებს ერთეულების მიწერით. თქვენ ნახეთ როგორ ხდება ეს: მოლარემ გასცა ხელფასი და მუშა-მოსამსახურეთა მიერ ხელმოწერილი უწყისი წარუდგინა უფროს ბუღალტერს. ვთქვათ ივანემ ამ უწყისით მიიღო კუთვნილი ხელფასი 90 მანეთი და 45 კაპ. ექვანიშვილი ამ თანხას წინ დაუხვამს 1-ს და გამოდის, რომ თითქოს ივანემ ხელზე მიიღო 190 მანეთი და 45 კაპ. სწორედ ამნაირი წესით არის გაყალბებული 5-6 თვის ხელფასის უწყისები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, არც ერთ უწყისს ხელფასის გაცემამდე საერთო ჯამი არ ჰქონდა. ექვანიშვილი აჯამებს უწყისებს ხელფასის გაცემის შემდეგ. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

გაყალბებული უწყისები, რომელთა ჯამი ხელოვნურად გაზრდილია 5300 მანეთით — სწორედ იმ თანხის რაოდენობით, რაც ექვანიშვილს მიღებული აქვს ხელწერილებით და რაზედაც კუპრადეს გამოწერილი აქვს სალაროს შემოსავლის ქვითრები, ტარდება სალაროს ანგარიშის გასავალში და... ახლა სალაროში შემოსავალი ემთხვევა გასავალს, ნაშთი აღარ რჩება, ყველაფერი „რიგზეა“.

აქვე უნდა ითქვას, რომ ცოტად თუ ბევრად გამოცდილ მოლარეს ექვანიშვილი ეგრე იღვილად ვერ მოატყუებდა. სწო-

რედ ამიტომ მოხდა, რომ მოლარის თანამდებობა ექვანიშვილ-მა შესთავაზა ახალგაზრდა კუპრაძეს, რომელმაც პირველად დაიწყო მუშაობა ორგანიზაციაში, პირველად ნახა სალარო და მისი ანგარიშგება, პირველად შეადგინა შემოსავლისა და გასავლის ქვითრები, პირველად გასცა ხელფასი და თვითონვე ამავე უწყისებ-თ პირველად აიღო საკუთარი ხელფასი. უწინ იგი არსად არ მუშაობდა. ექვანიშვილს კი 30 წლის საბუღალტრო პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვს. სერიოზული, თბიქაღარა, გამოცდილი ბუღალტერი, რომელსაც კუპრაძე „ძია გიორგის“ ეძახდა, მისგან განსაკუთრებული ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ახლა შევუღვეთ დოკუმენტების, საბუღალტრო საბუთების ანალიზს, რაც თვალსაჩინოთ დაგვანახებს. თუ რა ხერხებითა და მეთოდებით ატყუებდა ექვანიშვილი გამოუცდელ მოლარე ქალს.

კიდევ ვიწვორებ: სამეურნეო ხასიათის დანაშაულობათა ანალიზის დროს ჩვენ დიდი სიზუსტით უნდა შევისწავლოთ ყოველი საბუღალტრო ხასიათის საბუთი — ფაქტურები და ზედდებულები, ანგარიშები, ქვითრები და სატრანსპორტო დოკუმენტები, ხელწერილები და საქვეანგარიშო მასალები, ერთი სიტყვით ის, რასაც პირველად საბუღალტრო საბუთებს უწოდებენ, და აგრეთვე მემორიალური ორდერები, ბარათები, ბრუნვითი უწყისები, ყურნალები და ბალანსები — ანუ ის, რაც ცნობილია მეორადი საბუღალტრო საბუთების სახელწოდებით. სხვა გზით შეუძლებელია სამეურნეო ხასიათის დანაშაულობათა დრმა და ობიექტური გაშუქება, ნამდვილ დამნაშავეთა გამომქლავნება და მათთვის კანონიერი სასჯელის დადგენა.

გამფლანგველს „უყვარს“ საბუღალტრო საბუთი, იგი მას უკანონო შესწორებით „ალამაზებს“, მათში თავისებური კვალი შეაქვს, თარიღს უცვლის, თანხას აღიდებს და ნამდვილ ხელმოწერას ყალბით „ამკობს“. მართლმსაჯულების მუშაკიც ვალდებულია შეიყვაროს საბუთი, შეიყვაროს ბრკყალების გარეშე, მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი გაჰყვეს გამფლანგველის ნაკვალევს და გზადაგზა მისი ნამოქმედარი გამოამქლავნოს.

ჩვენც გავყვეთ ექვანაშვილის ნაკვალევს და ვნახოთ როგორ

„ალამაზებდა“ იგი საბუღალტრო საბუთებს, რათა მითვისებაც შეძლებოდა და მოლარისთვისაც თვალი აეხვია.

აი, პირველი ფაქტი:

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ხელფასის უწყისი ჯერ დაჯამებული უნდა იქნეს. ხვედრი თანხები და ხელზე გასაცემი თანხები სათანადო სვეტების ბოლოს ნაჩვენები უნდა იქნეს საერთო ჯამით. ხელფასის უწყისში მოლარეს აინტერესებს მხოლოდ გასაცემი თანხების საერთო ჯამი, იგი აუწყებს თუ რამდენი თანხა არის გაცემული მთლიანად ამ უწყისით, ხელფასის გაცემის შემდეგ მოლარე სალაროს ანგარიშის გასავალში შეიტანს არა მუშა-მოსამსახურეებზე პერსონალურად გაცემულ თანხებს, არამედ მთელი უწყისის საერთო ჯანს. მაშ, დაჯამება აუცილებელია იმისთვისაც, რომ შემოწმებული იქნეს ხელფასის უწყისის სისწორე, როგორც ბუღალტრები იტყვიან, მისი დაბალანსება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიტყვით სწორად არის შედგენილი ხელფასის უწყისი თუ არა.

მითვისების მიჩქმალვისა და კუპრადის თვალის ახვევის მიზნით ექვანიშვილი უხეშად არღვევდა ამ საყოველთაოდ აღიარებულ წესს: უწყისებს პირადად აჯამებდა არა მათი შედგენისთანავე, არამედ ხელფასის გაცემის შემდეგ. თქვენ გასინჯეთ ეს უწყისები, რომლებიც საქმეზე დართულია და დარწმუნდით, რომ ხელფასის უწყისები შედგენილია მოანგარიშის ხელით, ხოლო სვეტების ბოლოში ჯამები წარწერილია ექვანიშვილის ხელით. ეს უკანასკნელი ცდილობს თავი დააღწიოს მისთვის ამ „უხერხულ“ მოვლენას და გვეუბნება, რომ დაჯამებებს იგი ახდენდა, რადგან მოანგარიშეს, შესაძლოა, კარგად ვერ დაებალანსებია უწყისები, მაგრამ დასძენს, რომ თითქოს დაჯამებებს იგი აკეთებდა მაშინვე, უწყისის შედგენის თანავე. სანამ ხელფასი ჯერ კიდევ არ იყო გაცემული. ჩემი თხოვნით, თქვენ შეამოწმეთ ყველა უწყისი და აღმოჩნდა, რომ უწყისებში დაჯამებანი გაკეთებულია ხელფასის გაცემის შემდეგ და არა უწინ. რით დადასტურდა ეს ფაქტი? იმით, რომ დაჯამებებში ექვანიშვილს შეუტანია მხოლოდ გაცემული ხელფასი, ხოლო დეპონენტური თანხები, ესე იგი გაუცემელი ხელფასი, ჯამში არ შედის. თუ უწყისი მან დააჯამა ხელფასის გაცემამდე როგორ მოხდა, რომ გაცემული თანხები ჯამში არ შევიდა? გა-

ნა ეყვანიშვილმა წინდაწინ იცოდა—რომელი მუშა არ მიიღებდა ნომავალში ხელფასს და რომელი მიიღებდა?! კომენტარები ზედმეტია.

კუპრაძე ატარებს უწყისის სალაროს ანგარიშის გასავეალში, ვინაიდან საერთო ჯამი არ იცის, იგი ენდობა უფროს ბუღალტერს, და ამ უკანასკნელის მიერ წარწერილ დაჯამებას გასავეალში წერს. კუპრაძე დეზორიენტირებულა.

ამას ზედ ერთვის მეორე ფაქტი: როგორც ცნობილია, ხელფასის უწყისი დგება ორ ცალად. ერთი ცალი სათანადო გაფორმებისა და ხელმძღვანელობის ხელმოწერის შემდეგ გადაეცემა სალაროს, ხელფასის გასაცემად, ხოლო მეორე ცალი კი რჩება ბუღალტერიაში ხელფასის დარიცხვის მიზნით, რაც იმაში გამოიხატება, რომ მემორიალური ორღერით ხელფასისა და დაქვითვების საერთო თანხები სათანადო საბალანსო ანგარიშების კრედიტსა და დებეტში იწერება.

ცხადია, ხელფასის უწყისის ორივე ცალი ყველა რეკვიზიტში ერთმანეთს უდრის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთი არის მეორის ასლი.

ეყვანიშვილი უხეშად არღვევს ამ წესს: ორივე უწყისის რიგითი ნომრები ერთმანეთს არ ედრება. მაგალითად, მუშა კვალიძე ხელფასის გაცემის უწყისში იპერს რიგით 61 ნომერს, ხოლო იმავე მუშას იმავე თვის ხელფასის დარიცხვის ეგზემპლარში მიკუთვნილი აქვს რიგითი მე-5 ნომერი. ასე ხდება ყველა მუშის მიმართ.

რატომ ხდება ასეთი, ერთის შეხედვით, სრული უაზრობა?

იმიტომ, რომ ერთეულების მიწერა და სხვა სიყალბენი, არც მოლარეს, არც სხვა ვინმეს თვალში აღარ მოხვდება. კაცი ვერაფერს მიხვდება, თუ სპეციალურად ამ უწყისების შედარებას არ შეუდგა; რიგითი ნომერი სხვადასხვანაირია.

აი მესამე ფაქტიც: მართალია, უწყისის ვერტიკალური სვეტების შეჯამებას ეყვანიშვილი ინახავს შემდეგი დროისათვის, როცა მოლარე ხელფასს გასცემს და უწყისს მას წარუღვენს. ზოგიერთ უწყისში იგი მაინც აკეთებს ნაწილობრივ დაჯამებას, ეგრეთწოდებულ გვერდით დაჯამებას. ვთქვათ, ხელფასის უწყისი შედგენილია 60 კაცზე. იგი აჯამებს პირველი 10 კაცის თანხას და ჯამს გვერდით უწერს, შემდეგ 10 კაცის თანხას

სრულიად არ აჯამებს და ასე შემდეგ. ყველა ეს გვერდითი ჯამი მისი ხელით არის მიწერილი, რასაც თვითონაც არ უარყოფს. ჩვენ შევამოწმეთ ეს გვერდითი ჯამები და აღმოჩნდა, რომ ყოველი მათგანი გადიღებულა, ჯამის თანხა გაზრდილია. ექვანიშვილი ამას ტექნიკური შეცდომებით ხსნის. ჩვენს მას ამაშიც ვერ დავეთანხმებით, რადგან ყოველი „შეცდომა“ მიმართულია გაზრდისაკენ და არც ერთი შემცირებისაკენ. ყველა თავის სასარგებლოდ, არც ერთი თავის საზიანოდ!

მეტად მხიშვნელოვანია მეოთხე ფაქტი:

სიყალბე ერთნაირად შეტანილია როგორც უწყისების დარიცხვის, ისე გაცემის ეგზემპლარებში. ექვანიშვილის განმარტება, რომ თითქოს ყველაფერი ეს ჩადენილი იყოს კუპრაძის მიერ, კატეგორიულად უარყოფილია იმით, რომ დარიცხვის უწყისები არასოდეს მოლარესთან არ მიღის, ისინი რჩება უფროს ბუღალტერთან და მასთანვე ინახება. კუპრაძეს შეეძლო მხოლოდ ხელფასის გაცემის უწყისების გადასწორება, დარიცხვის უწყისების გადასწორებას კი ექვანიშვილი ვერასოდეს თავიდან ვერ აიცილებს. აქვე დავძენ, რომ კუპრაძეს ბუღალტერიის არაფერი არ გაეგება და ორივე უწყისის ერთნაირად „შელამაზების“ აუცილებლობას იგი ვერ მიხვდებოდა. ეს მხოლოდ გამოცდილი ბუღალტრის ბოროტი ჩანაფიქრია.

საინტერესოა მეხუთე ფაქტიც:

ხელფასის უწყისები ბუღალტერიაში დგებოდა იმ სიები-სა და ტაბელების თანახმად, რომლებსაც ეკონომისტი იძლეოდა.

ეკონომისტის სიები, რომლებშიც ნაჩვენებია ყოველი თანამშრომლის სამუშაო დღეები და გამომუშავების ოდენობა, ინახებოდა უფროს ბუღალტერთან. ეს სიებიც გადასწორებულია იმავე თანხით და იმავე წესით, როგორც უწყისები. კუპრაძე ამას ვერ გააკეთებდა, მით უმეტეს, რომ ამ სიებში ნაჩვენები თანხებიდან საჭირო იყო დაქვითების გაანგარიშება, რასაც ყოველთვის ექვანიშვილი აკეთებდა.

ახლა შევხებით მეექვსე ფაქტს, რომელიც კუპრაძის უდანაშაულობას თვალსაჩინოს ხდის.

მოლარე კუპრაძეს დავალებული ჰქონდა ხელფასის თანხე-

ბის გატარება მუშა-მოსამსახურეთა პირად ბარათებში. ეს ბარათებიც საქმეშია. ისინი ინახებოდა არა ბულალტერიაში, არამედ კუპრაძესთან, სეიფში. ბარათების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ კუპრაძეს დარიცხული და გაცემული თანხები ბარათებში გაუტარებია ყოველგვარი სიყალბისა და შესწორებების გარეშე. აქედან სამი დასკვნა უნდა იქნეს გამოტანილი:

1. თუ კუპრაძე ეყვანიშვილთან დანაშაულებრივ კავშირში იყო, იგი უწინარეს ყოვლისა გააყალბებდა მის განკარგულებაში არსებულ პირად ბარათებსაც.

2. დადგენილია, რომ რევიზიამ მითვისება გამოამყლავნა სწორედ ამ ბარათების შედარებით გადასწორებულ უწყისებთან;

3. ბარათებში ხელფასის თანხები შეტანილია არა გადასწორებული, არამედ სწორი უწყისებიდან.

ეს კი მეტად მნიშვნელოვანი ამბავია, და აი რატომ: პირად ბარათებში თანხები უნდა ჩაიწეროს იმ უწყისებიდან, რომლებიც თან ერთვის ბულალტრის მემორიალურ ორდერებს. ჩვენ ვნახეთ ეს მემორიალური ორდერები და აღმოჩნდა, რომ ეყვანიშვილი აქ წერს გადასწორებული უწყისების საერთო ჯამებს.

კუპრაძე კი ბარათებში ატარებს გადაუსწორებელ უწყისებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თანხა უფრო ნაკლებია, ვიდრე ეყვანიშვილის მემორიალური ორდერების საერთო ჯამი და ნაკლებია სწორედ მითვისებული თანხის ოდენობით — 5300 მანეთით. ყველაფერი ნათელია!

თუ კუპრაძე ბარათებს ავსებდა მემორიალურ ორდერებზე თანდართული გადასწორებული უწყისების თანახმად, მაშინ ბარათებშიც გადასწორებული თანხები აღმოჩნდებოდა. აქედან დასკვნა: ეყვანიშვილი ასწავლიდა კუპრაძეს, რომ ბარათებში შეეტანა ხელფასის დარიცხვა და გადახდა მანამ, სანამ იგი მემორიალურ ორდერს შეადგენდა, რაც წესის აშკარა დარღვევაა.

სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ მოყვანილი მოსაზრება, თითქოს კუპრაძე და ეყვანიშვილი ურთიერთდანაშაულებრივ კავშირში იყვნენ, სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ასეთ შემ-

თხვევაში არც ერთ აღნიშნულ ფაქტს ადგილი აღარ ექნებოდა.

ამგვარად, საბუღალტრო საბუთების ზუსტმა ანალიზმა ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა:

გადასწორებული და გაყალბებულია სწორედ ის საბუთები, რომლებიც ექვანიშვილის ხელში იყო და მასთანვე ინახებოდა, ხოლო გაუყალბებელი დარჩა სწორედ ის საბუთები, რომლებიც კუპრაძეს ჰქონდა და მასთან ინახებოდა.

ეს ფაქტები და მათგან მიღებული უცილობელი დასკვნები დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ექვანიშვილს თავზე, იგი მას ვერ გაექცევა, დანაშაული მან ჩადინა, დამსახურებული სასჯელიც მანვე უნდა მიიღოს.

მეშვიდე ფაქტი უკანასკნელი შტრიხია და სურათიც დამთავრებული იქნება.

გავიდა დრო, დაახლოებით 6 თვე. კუპრაძემ სათანადო გამოცდილება შეიძინა. ამან გააბედვინა პირველი კრიტიკული შენიშვნა გაეკეთებია „ძია გიორგისათვის“. იგი მიხვდა, რომ წარმოდგენილი ხელწერილები, რომლებითაც თანხები მიღებული ჰქონდა ექვანიშვილს, არ გამოდგება ფულის შემოსავლისათვის და გადაჭრით განუცხადა მოწმედ დაკითხულ სადგურების უფროსებს: ფული მოიტანეთ, ხელწერილებს არ ვღებულობთ. ექვანიშვილმა ურჩია კუპრაძეს მიეღო ეს ხელწერილები, მაგრამ ამაოდ. ამის შემდეგ სადგურის უფროსებმა უარი უთხრეს ექვანიშვილს ხელწერილებით ფულის გაცემაზე. ამავე დროს, კუპრაძემ შეამჩნია ზოგიერთი საექვრო შესწორება, რის შესახებ კანტორის უფროსს განუცხადა, ხოლო ამ უკანასკნელმა ტრესტიდან რევიზორ-ბუღალტერი გამოითხოვა... და საქმეც გაიხსნა.

ამ ფაქტს ადასტურებენ სადგურის უფროსები და თვითონ კანტორის უფროსიც. თქვენ მოისმინეთ მათი ჩვენებები. მაშასადამე, დანაშაული ფაქტიურად გამომჟღავნებულია ქეთევან კუპრაძის მიერ, რომელსაც ახლა ამავე დანაშაულის ჩადენაში ეღება ბრალი.

ამხანაგო მოსამართლენო!

ჩემი აზრით, მოტანილი ფაქტები საკმარისია იმისათვის,

რომ ქეთევან კუპრაძე გამართლებული იქნეს ბრალდებისაგან.

მას დაშვებული აქვს ერთგვარი დაუდევრობა, თუ შეიძლება ითქვას, დოცლაპიობა, გაუმართლებელი ნდობა ექვანაშვილის მიმართ, რომელსაც მან დიდი უფლებები მისცა სალაროს ანგარიშების შედგენაში.

ეს ყოველივე სათანადოდ უნდა შეფასდეს და შესაფერი-სად უნდა აისახოს როგორც განსჯით, ისე დასჯით.

ორიოდე სიტყვა სასჯელის შესახებაც:

ქეთევან კუპრაძეს ორი მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს, ფილტვებით ავადმყოფია, აქვს დადებითი დაზასიათებანი, დანაშაულის გამომჟღავნების დამსახურებაც მას ეკუთვნის. ამ მიზეზების გამო თქვენს წინაშე ვშუამდგომლობ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 46 მუხლის საფუძველზე ქეთევან კუპრაძის მიმართ განსაზღვრული იქნეს პირობითი სასჯელი.

ს ი ზ უ ვ ე

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის.

ბ ე ნ ო ხ ო მ ე რ ი კ ი ს ა

გ. ნ. ბაქრაძის

საქმეზე

საქმის მოკლემწინაარსი

სამართალში მიცემულ გიორგი ნესტორის ძე ბაქრაძეს ბრალი დაედო იმაში, რომ თბილისის კავეულობის ქარხნის საამქროს გამგედ მუშაობის დროს დაიტაცა და მიითვისა 31332 კგ. ლურსმანი. საბრალდებო დასკვნის მიხედვით მას აღმოაჩნდა როგორც ნედლეულის, ისე მზა პროდუქციის დანაკლისი, რისთვისაც ის მიცემული იქნა სამართალში სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლის მესამე ნაწილით.

1961 წლის 16 მარტის განაჩენით ქ. თბილისის 1 მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ გ. ბაქრაძე დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, პირადი ქონების კონფისკაციით და განიავებული ლურსმნის საფასურის გადახდით ქარხნის სასარგებლოდ.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1961 წლის 20 აპრილის განჩინებით გ. ბაქრაძის დანაშაული შეცვალა სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლით, ამორიცხა განაჩენიდან ბრალდება მტაცებლობა-მიითვისების შესახებ, მოუხსნა ქონების კონფისკაცია, ლურსმნის საფასურის გადახდა და ამნისტიის საფუძველზე გ. ბაქრაძე სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლა.

გ. ნ. ბაქრაძეს იცავდა ადვოკატი ბ. ი. ხომერიკი.

ადვოკატ ბენო ხომერიკის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

სამსჯავრო გამოძიების ხანგრძლივ პროცესში ენერგიული მონდომებითა და საკმარისი სიზუსტით იქნა შესწავლილი საქმეში არსებული და მისთვის საჭირო ყველა მასალა, წინასწარი გამოძიებით შემოწმებულ იქნა ბრალდების საფუძვლად აღიარებული მტკიცებანი, და მე დარწმუნებული ვარ სასამართლო მივიდა იმ რწმენამდე, რომ სამართალში მიცემული გ. ბაქრაძე უდანაშაულოა.

ასეთ რწმენამდე მისვლა არ იყო იოლი საქმე, ის არ მომხდარა ერთბაშად და დაუბრკოლებლად, რადგან საქმე გვაქვს სამეურნეო ხასიათის სისხლის სამართლის მოვლენასთან; ასეთი საქმე კი, როგორც მოგეხსენებათ, მეტად რთული და უაღრესად სპეციფიკურია.

კერძოდ, ამჟამად ჩვენთვის საყურადღებო საქმეზე შეკრებილი ყველა მასალით, მოწმეთა ჩვენებებით, ტექნიკური და საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნით, საგამომძიებლო ექსპერიმენტითა და საქმეში არსებული ყველა ობიექტური ნონაცემით დამტკიცებულია, რომ ქ. თბილისის კავეულობის ქარხნის საამქროში აღმოჩენილი მატერიალური დანაკლისი გამოწვეულია არა მითვისება-მტაცებლობით, არამედ წარმოების პროცესში მომხდარი ბუნებრივი დანაკარგებით.

ეს ნათელი ხდება საქმის მასალის საგულდაგულო, ობიექტური და გონივრული ანალიზის მეშვეობით.

სამართალში მიცემულ გ. ბაქრაძეს ბრალი ედება იმაში, რომ თბილისის კავეულობის ქარხნის საამქროს გამგედ მუშაობის დროს დაიტაცა და მიითვისა 31332 კგ. ლურსმანი. საბრალდებო დასკვნით ბაქრაძეს აქვს როგორც ნედლეულის, ისე მზა პროდუქციის დანაკლისი, რისთვისაც ის მიცემულია სამართალში სისხლის სამართლის კოდექსის 94 მუხლის მესამე ნაწილით.

სამართალში მიცემული ბაქრაძე არ უარყოფს, რომ მას აქვს ნედლეულის დანაკარგი, მაგრამ იგი ამ საქმის აღქრიდან დღემდე ამტკიცებს, რომ მას არა აქვს მზა პროდუქციის დანაკლისი, რაც შეეხება ნედლეულის დანაკლისს, ის გამოწვეულია არა მითვისება-მტაცებლობით, არამედ წარმოების პროცესის ბუნებრივი დანაკარგებით. გ. ბაქრაძის დებულება იმის შესახებ, რომ მას აქვს ნედლეულის დანაკარგი და არა მზა პროდუქციისა, და რომ აღნიშნული დანაკლისი გამოწვეულია წარმოების პროცესით, არამტუ უბრალოდ დამტკიცდა, არამედ დადასტურდა მათემატიკური სიზუსტით, დიდი დამაჯერებლობით, მთელი სიცხადითა და სისრულით.

ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი: ქ. თბილისის კავეულობის ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკების — დავითაშვილის, გიორგაძის, ვასაძისა და პროდუქციის გამოშვებაზე დასაქმებული მუშების — ივანოვის, სარქისიანისა და სხვათა ჩვენებით და აგრეთვე ქალაქის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის სამმართველოს მუშაკების — ნიკოლაიშვილისა და ვერულავას, ამასთანავე ქარხნის უფროსი ბუღალტრის მიქაელიანის მიერ ამ საკითხის შესწავლის შედეგად შედგენილი აქტით უცილობლად დამტკიცებულია, რომ სამართალში მიცემულ ბაქრაძეს აქვს არა მზა პროდუქციის დანაკლისი, არამედ მას აკლია განსაზღვრული რაოდენობის პროდუქციის გამოშვებისათვის საჭირო ნედლეული, სახელდობრ მავთული.

რატომ მოხდა, რომ სამართალში მიცემულ ბაქრაძეს აქვს ნედლეულის დანაკარგი, ხოლო საბრალოდ დასკვნით ნედლეულის დანაკლისთან ერთად აწერია აგრეთვე მზა პროდუქციის დანაკლისიც?

სამართალში მიცემულ ბაქრაძეს 1957 წლის დამთავრებასთან დაკავშირებით, თბილისის კავეულობის ქარხნის დირექციისათვის მიუცია ცნობა საამქროს მიერ 228 ტონა ლურსმინის გამოშვების შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ეს ცნობა ბაქრაძეს ისე მიუცია ხსენებული დირექციისათვის, რომ მას საამქროში ტარის უქონლობის გამო მზა პროდუქცია არ აუწონია, ის იძულებული ყოფილა თვალის ზომით აეღო პროდუქციის რაოდენობა და ამის მიხედვით ეჩვენებია 1957 წლის 31 დეკემბრი-

სათვის საამქროს მიერ 228 ტონა პროდუქციის გამოშვების შესახებ. ამ დროისათვის საამქროში ტარის უქონლობა დამტკიცებულია ზემოდანახელებული მოწმეების ჩვენებით.

სამართალში მიცემული გ. ბაქრაძის მიერ მოწოდებულ ცნობების საფუძველზე ქარხნის დირექციამ თავის მხრივ ასეთივე ცნობა მიაწოდა ზემდგომ ორგანოებს, ხოლო ქარხნის ბუღალტერიამ გასცა რა ხელფასი დამზადებულად ნაჩვენები საქონლის მიხედვით, 1958 წლის 1 იანვრისათვის ბრალდებულ ბაქრაძეს, როგორც საამქროს უფროსს, დააწერა 228 ტონა მზა პროდუქცია.

1958 წლის იანვარში სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა გ. ნ. ბაქრაძე. ამასთან დაკავშირებით მან საამქროში არსებული ყველა მატერიალური ფასეულობა გადააბარა საამქროს ახლად დანიშნულ გამგეს. მზა პროდუქციის გადაბარებისას გაირკვა, რომ 1957 წლის 31 დეკემბერს ბაქრაძის მიერ ქარხნის დირექციისათვის მიცემული ცნობა სწორი არ ყოფილა. მზა პროდუქციის გადაწონით გამოირკვა, რომ ხსენებული თარიღისათვის სახეზე ყოფილა არა 228, არამედ 197 ტონა პროდუქცია, ე. ი. 31 ტონით ნაკლები, ვიდრე ბაქრაძის მიერ მიცემულ ცნობაში იყო ნაჩვენები.

სწორედ ამან შექმნა გაუგებრობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ბაქრაძეს დაეწერა მზა პროდუქციის დანაკლისი მაშინ, როდესაც საამქროს ნამდვილად აკლდა არა მზა პროდუქცია, არამედ მისი გამოშვებისათვის საჭირო ნედლეული.

ეს გარემოება ამჟამად არავითარ დავას არ უნდა იწვევდეს, იგი საქმის ყველა მონაცემით დამტკიცებულია. ამის გამო სამართალში მიცემულ ბაქრაძეს პასუხი უნდა მოეთხოვოს არა მზა პროდუქციისა და ნედლეულის დანაკლისისათვის, არამედ მას უნდა დაეწეროს განსაზღვრული რაოდენობის ნედლეული, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს მასთან ანგარიშსწორება.

სამართალში მიცემული ბაქრაძე არ უარყოფს, რომ მას აღწერის შედეგად დააკლდა ნედლეული, მხოლოდ გასარკვევია, რამ გამოიწვია ნედლეულის დანაკარგი და სწორია თუ არა საბრალდებო დასკვნის ძირითადი დებულება იმის შესახებ,

რომ დანაკლისად ნაჩვენები მატერიალური ფასეულობა სამართალში მიცემულ ბაქრაძეს მითვისებული აქვს.

ბრალდებული გ. ბაქრაძე თავს არ ცნობს ღამნაშავედ და არ ადასტურებს საბრალდებო დასკვნაში მოცემულ დებულებას დანაკლისის წარმოშობის მიზეზების შესახებ. ის მრავალგზის მიცემული ჩვენებით დანაკარგებს ხსნის იმით, რომ საამქრო ვერ ეტეოდა ნედლეულის ბუნებრივი დანაკარგების ნორმაში, რაც დაწესებულია 5 პროცენტის რაოდენობით. მისი განმარტებით საამქროში პროდუქციის გამოშვებისას ბუნებრივი დანაკარგები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ოფიციალურად დაწესებული ნორმა. ხოლო ქარხნის დირექცია საამქროდან დანაკარგების ჩამოწერას აწარმოებდა ხსენებული ნორმისა და არა დანაკარგების ფაქტიური რაოდენობის მიხედვით.

სამართალში მიცემულმა ბაქრაძემ ეს საკითხი მთელი სიმწვავეით დააყენა ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების ღრის და მაშინვე მოითხოვა საქმეზე ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება. მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა და პროკურატურის დადგენილებით დაინიშნა ტექნიკური ექსპერტიზა. გადაწყდა ჩატარებულიყო საგამომძიებლო ექსპერიმენტი.

საგამომძიებლო ექსპერიმენტის ჩატარებისას დაცული იქნა ყველა ის ტექნოლოგიური პირობა, რაც საამქროში 1957 წელში არსებობდა, კერძოდ, პროდუქცია გამოშვებული იქნა იმ ნედლეულით, რაც საამქროს ხსენებულ ღრის გააჩნდათ, დაცული იქნა პროდუქციის ასორტიმენტი, ექსპერიმენტი ჩატარდა იმ დაზგაზე, რომლითაც საამქრო სარგებლობდა 1957 წელს და ა. შ. ექსპერიმენტის მონაცემებით გაიჩვენა, რომ საამქროში პროდუქციის გამოშვებისას ნედლეულის ფაქტიური დანაკარგი უდრის არა ნორმით დაწესებულ 5 პროცენტს, არამედ შეადგენს 7,3%-ს.

სასამართლო პროცესზე იმ პირთა დაკითხვით, ვინც ეს ექსპერიმენტი ჩაატარა, დამტკიცდა ამ გზით წარმოებულ დიების სისწორე და მისი შედეგის ტექნიკური შეუვალობა.

ექსპერტიზამ, როგორც ცნობილია, ამ მონაცემების მიხედვით გაიანგარიშა საგამომძიებლო ექსპერიმენტით მიღებული ნედლეულის ბუნებრივი დანაკარგები, შეადარა ის გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას და მივიდა იმ დასკვნამდე,

რომ საამქროს 1957 წლის განმავლობაში გამოშვებულ პროდუქციაზე ნედლეულის ფაქტიური დანაკარგების გამოკლებით აქვს მხოლოდ 1362 კგ ნედლეულის დანაკლისი.

საქმის სხვა მასალების ანალიზით მტკიცდება, რომ სინამდვილეში არც ამ 1362 კგ ნედლეულის დანაკლისთან გვაქვს საქმე. ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

სასამართლო პროცესზე ექსპერტებმა მათი დასკვნები უცვლელად დაადასტურეს, ამ უტყუარი მონაცემების მიხედვით ნედლეულის დანაკარგი პროდუქციის ერთეულზე უფროს დაახლოებით 7,3 და არა 5 პროცენტს, როგორც ეს დადგენილია და რა რაოდენობითაც ის სამართალში მიცემულ გ. ბაქრაძისაგან არის ჩამოწერილი.

ექსპერიმენტით შემოწმებული ბუნებრივი დანაკარგების ფაქტიური რაოდენობის გარკვევის შემდეგ, ქარხანაში 1957 წლის შედეგების მიხედვით ნედლეულის დანაკარგის საკითხი განიხილა ქალაქის საბჭოს აღმასკომმა, რომლის დადგენილებაში ნათქვამია: „ტექნიკური ექსპერტიზის მიერ დადგენილი ნედლეულის ფაქტიური დანაკარგის რაოდენობა ძალზე უახლოვდება რს ფსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ანალოგიურ საწარმოებში დაწესებულ დანაკარგების ნორმებს. რაც იქ შემოღებულია ხსენებული სამინისტროს მინისტრის 1950 წლის 11 აგვისტოს ბრძანებით“.

ქალაქის საბჭოს აღმასკომი აქვე აღნიშნავს, რომ თბილისის კავეულობის ქარხნის დირექცია საამქროდან დანაკარგების ჩამოწერას ახდენდა არა ფაქტიური დანაკარგის მიხედვით. არამედ დადგენილი ნორმის ოდენობით. აღმასკომი ავალებს ქარხნის დირექციას ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ტექნიკური ექსპერტიზის მონაცემების საფუძველზე დააწესოს დანაკარგების ნორმა და მის მიხედვით აწარმოოს დანაკარგების ჩამოწერა.

ეს ზედმეტად ამტკიცებს სამართალში მიცემული ჰაქრაძის ახსნა-განმარტებათა სისწორეს იმის შესახებ, რომ მასზე დანაკლისად დაწერილი ნედლეულის რაოდენობა გამოწვეულია არა მითვისება-მტაცებლობით, არამედ ნედლეულის ბუნებრივი დანაკარგებით პროდუქციის გამოშვებისას და იმ არასწორი პრაქტიკით, რომლის მიხედვით საამქროდან ნედლეულის ჩა-

მოწერა პროდუქციის ერთეულზე ხდებოდა 5 პროცენტის ანგარიშით, რაც, როგორც თქმული იყო, ნაკლებია, ვიდრე ფაქტიური დანაკარგი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო ორგანიზაციებში არსებული სწორი წესისა და მართებული პრაქტიკის მიხედვით ბუნებრივი დანაკარგების ჩამოწერა ხდება არა ნორმის, არამედ ფაქტიური მონაცემების საფუძველზე, ნორმის ფარგლებში.

საბრალოდ დასკვნაში განვითარებულია დებულება იმის შესახებ, რომ თუ საამქროს ნედლეულის ბუნებრივი დანაკარგების რაოდენობა ფაქტიურად 5 პროცენტზე მეტი ჰქონდა, რატომ არ იყო 1956 წელს შენიშნულ ნორმაში ნედლეულის დანაკლისი? საბრალოდ დასკვნის ეს დებულება შეცდომისა და გაუგებრობის შედეგია. სასამართლო პროცესზე ნათლად გაირკვა, რომ 1957 წელს, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა ქარხნის პროდუქტიულობა, რამაც თავის მხრივ განაპირობა ნედლეულის დანაკარგების გაზრდილი რაოდენობა.

გარდა ამისა, შეიცვალა პროდუქციის ასორტიმენტი, კერძოდ, ქარხანას დაევალა წვრილი ზომის ლურსმნის გამოშვება, რაც გაცილებით მეტ დანაკარგს იწვევს.

ამრიგად, უდავოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ 1957 წელს ქარხნის პროდუქტიულობის გაზრდამ და პროდუქციის ასორტიმენტის შეცვლამ გაზარდა საამქროში ბუნებრივი დანაკარგების რაოდენობა.

არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიენიჭოს საქმეში არსებულ ერთ საგულისხმო დოკუმენტს, ის გამოთხოვილი იქნა ჩვენი შუამდგომლობით კავეულობის ქარხნის დირექციისაგან და შემდეგ, სასამართლოს დადგენილებით, დაერთო საქმეს. საქმე ის არის, რომ საამქრო, როგორც წესი, პერიოდულად აბარებს სათანადო ორგანიზაციას ჯართის სახით იმ დანაკარგებს, რაც პროდუქციის გადამუშავების შემდეგ საამქროში რჩება.

კავეულობის ქარხნის დირექციის მიერ გაცემული რეცეპტული ცნობით 1957 წლის განმავლობაში საამქროს ჩაუ-

ბარებია ლურსმნის გადამუშავების შედეგად დარჩენილი ჯართი 147.475 კგ რაოდენობით.

სასამართლო თავის დროზე არ დაკმაყოფილდა ამ ცნობით და დაავალა ტექნიკურ ექსპერტიზას შეემოწმებინა მიანი სისწორე. ექსპერტიზის დასკვნით ცნობა სწორი აღმოჩნდა. ხსენებული ჯართი შეადგენს 1957 წელს გამომუშავებული პროდუქციის 6 პროცენტს. იმავე დასკვნით ამას უნდა ნივინატოს ეგრეთ წოდებული უხილავი დანაკარგი — მტვერის სახით, რაც პროდუქციის ერთეულზე გარდა ხილული დანაკარგებისა 1,5 პროცენტამდეა. ამრიგად, ერთად აღებული ზილული და უხილავი დანაკარგი შეადგენს 7,5%-ს.

ასეთია ნედლეულის ბუნებრივი დანაკარგების ფაქტიური რაოდენობა, რაც გაირკვა პროდუქციის გადამუშავების შედეგად მიღებული ჯართის რაოდენობის დაპირისპირებით გამოშვებულ პროდუქციასთან. ამაზე უფრო დამაჯერებელი და ყოველმხრივ უტყუარი მტკიცების წარმოდგენა კი შეუძლებელია. უბრალოდ რომ ვთქვათ, ირკვევა — 1957 წელს გამოშვებული პროდუქცია რომ მივემართოთ იმავე წელს ამ პროდუქციის შედეგად დარჩენილ ჯართს, მივიღებთ ნედლეულის იმ რაოდენობას, რაც გამოყენებული იყო პროდუქციის გამოსაშვებად, ყოველგვარი დანაკარგის გარეშე.

ისმება საკითხი სად არის აქ დანაკლისი, რომ არაფერი ვთქვათ იმ მითვისება-მტაცებლობაზე, რაზედაც ლაპარაკია საბრალოდებო დასკვნაში?

საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნით, თუ საამქროს ჩამოეწერება ნედლეულის ფაქტიური დანაკარგი 7,3 პროცენტის რაოდენობით, საამქროს არც ერთი კილოგრამი მზა პროდუქციისა და ნედლეულის დანაკლისი არ გააჩნია.

საგამომძიებლო ექსპერიმენტით, როგორც მოგახსენეთ, ნედლეულის ბუნებრივი დანაკარგი პროდუქციის ერთეულზე შეადგენს 7,3 პროცენტს, ხოლო ჯართის შედარებით გამოშვებულ პროდუქციასთან ვლებულობთ 7 ნახევარი პროცენტის დანაკარგს. განა ეს შემთხვევითია, მოსამართლენო? განა ეს უდიდესი დამაჯერებლობით არ ამტკიცებს ჩემ ნიერ დაყენებული დაცვის ძირითადი დებულების უცილობლობას იმის შესახებ, რომ საამქროში პროდუქციის გამოშვებისას ნედლეუ-

ლის დანაკარგები მეტია, ვიდრე იგი ქარხნის ბუღალტერიის მიერაა ჩამოწერილი?

ასეთია საქმის ობიექტური სურათი მას შემდეგ, რაც სასამართლო პროცესზე ასე ზუსტად და თვალნათლივ დამტკიცდა ნედლეულის დანაკარგების გამომწვევი მიზეზი და რაოდენობა, ამხანაგ პროკურორს არ ჰქონდა არავითარი საფუძველი წინააღმდეგ ამ მასალებისა ემტკიცებინა, რომ დანაკლისი თითქოს მითვისება-მტაცებლობით იყოს გამოწვეული.

სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობა სამართალში მიცემულს არ ავალებს თავის მართლებისათვის გამოძიების წინაშე დააყენოს რაიმე დებულება, მტკიცების ტვირთი გამოძიებას ეკისრება. მიუხედავად ამისა, სამართალში მიცემულმა ბაქრაძემ კანონიერი გზით დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა. პრინციპულად უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს ბაქრაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება იმის შესახებ, რომ თითქოს დანაკლისის სახით გამოვლენილი მატერიალური ფასეულობა მას მითვისებული ჰქონდეს.

აქვე უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ ეს ეწინააღმდეგება სსრკ უმაღლესი სასამართლოს არა ერთგზის მითითებას იმის შესახებ, რომ დანაკლისის გარდა, ასეთ შემთხვევებში აუცილებელია საქმის კონკრეტული მასალით დამტკიცებული იქნეს, რომ ეს დანაკლისი მითვისება-მტაცებლობით არის გამოწვეული, რადგან დანაკლისი შეიძლება მოჰყვეს ბევრ სხვა მოვლენასაც და ბოროტმოქმედებასთან არ ჰქონდეს არავითარი კავშირი.

2600 კგ ლურსმნის მტაცებლობისათვის სამართალში მიცემული გ. ბაქრაძე უდანაშაულოა. გ. ნოღიასა და დ. გულაშვილის ჩვენებანი, რასაც ასე დაჟინებით ემყარება საბრალდებო დასკვნა, ბრალდების საფუძველად არ გამოდგება. ამ მხრივ მტკიცების წყაროდ არ გამოდგება მილიციის N განყოფილების მიერ დაკავებული ლურსმანი, რომელიც სპეციალისტების დასკვნით იმ ქარხნის პროდუქციაა. სადაც ბაქრაძე მუშაობდა.

საქმის მასალებით დამტკიცებულია, რომ საამქრო ყოველდღე ათეულ ტონა მზა პროდუქციას უშვებდა. ყოველდღიურად ეს პროდუქცია დიდი ოდენობით გაჰქონდათ მომხმარებელ ორგანიზაციებს. ნუთუ გამორიცხულია შესაძლებლობა,

რომ 1957 წლის ოქტომბერში ქარხნიდან წესიერად მიღებული პროდუქცია, რომელიმე მომხმარებლის მიერ უწესო გზით ონში იქნა მიტანილი?

როგორც ვიცით, მოქალაქე გ. ნოდია ამ საქმეზე ქ. თბილისის 1 მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულია. ხოლო მოწმე დ. გულაშვილის მიმართ თავის დროზე აღძრული საქმე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 1 ნოემბრის ამნისტიით წარმოებით შეწყდა.

თუნდაც ამის გამო მათი ჩვენებანი საეკვო და საცილობელია და ნდობას არ იმსახურებენ. მათი ჩვენების უსაფუძვლობას იხილავს გვიჩვენებს, რომ როგორც ერთი, ისე ივორე გამოძიების მთელ მანძილზე სისტემატურად ცვლიან ჩვენებებს და არაგულწრფელ ადამიანებად გვევლინებიან.

ამხანაგო მოსამართლენო!

თქვენთვის ცნობილია, რომ გ. ბაქრაძის მიმართ ამ საქმეზე გამოტანილი ორი გამამბტყუნებელი განაჩენი გაუქმებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სამართალში მიცემული ბაქრაძის მიერ დასმული ყველა საკითხი, როგორც რესპუბლიკის პროკურორის პროტესტში, ისე უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებაში, ბრალდებულის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი.

უწინარეს ყოვლისა, პრეზიდიუმის დადგენილებით დადებითად არის გადაჭრილი საკითხი იმის შესახებ, რომ სამართალში მიცემულ ბაქრაძეს აკლია არა მზა პროდუქცია, არამედ ნედლეული, ამასთანავე, პრეზიდიუმის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ „პროდუქციის გამოშვების შედეგად ბაქრაძისაგან ჩამოწერილი ნედლეულის ბუნებრივი დანაკარგი 5 პროცენტის რაოდენობით, როგორც ექსპერტიზის დასკვნითა და მოწმეების ჩვენებით დასტურდება, არ იყო საკმარისი, ვინაიდან პროდუქციის გამოშვებისას ფაქტიური დანაკლისი გაცილებით მეტი იყო“.

იქვე ნათქვამია: „გ. ბაქრაძემ სათანადო ორგანოს ჩააბარა 147 ტონა ქართი“. ახლა საკითხავია, თუ საამქროს დანაკარგი

53 პროცენტით ისაზღვრებოდა, საიდან იქნა მიღებული ხსენებული რაოდენობის ჯართი?

უფიქრობ, ყველაფერი ნათელია და ამასთან ერთად დიდად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ საქმეზე ორი გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმებულია საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ.

დიახ, მეტად დამაფიქრებელი და დიდად საგულისხმოა ყველაფერი ეს!

გ. ბაქრაძის სამსახურებრივი ცდუნებაა ის, რომ მან 1957 წლის 31 დეკემბერს ქარხნის დირექციას მისცა არასწორი ცნობა გამოშვებული პროდუქციის შესახებ. მას ხსენებული თარიღისათვის ტარის უქონლობის გამო არ შეეძლო აეწონა ქარხნის ეზოში უზარმაზარ ზვინებად დამდგარი მზა პროდუქცია. ეს მოქმედება არ ატარებს სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ქმედობის ნიშნებს, რადგან იგი უნებური შეცდომისა და შემთხვევითი მიზეზის შედეგია. მათი დაძლევა არ შეეძლო გ. ბაქრაძეს, მაგრამ იმის გამო, რომ მან შექმნა განსაზღვრული გაუგებრობა, ის უნდა დაისაჯოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის წესით. ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ სამართალში მიცემულის შეუბღალავ პიროვნებას: მას ნასამართლობა არა აქვს, სამამულო ომის მონაწილეა და მეორე ჯგუფის ინვალიდია; კმაყოფაზე ჰყავს ორი არასრულწლოვანი შვილი და ღრმად მოხუცებული დედა.

ამასთან ერთად გ. ბაქრაძეს წარსული მუშაობა შესანიშნავად ხასიათდება: იგი დიდი ხნის განმავლობაში ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანი იყო და წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის ქალაქის საბჭოს ადგილობრივი შეურნეობის სამმართველოს კავეულობის ქარხნის პარტორგანიზაციას.

ასეთია საქმის ვითარება. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი გ. ნ. ბაქრაძის პიროვნება — ერთიცა და მეორეც წაყენებული ბრალდების საწინააღმდეგოდ ლაღადებენ.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ სამართალში მიცემული კარგა წანია, რაც ამტკიცებს თავის სიმართლეს და საქმის

შინაგანი სირთულითა და გარეგნული ხლართების გამო, შედარებით უჩვეულოდ გაკვიანურდა ეს ძიება და მართლმსაჯულება.

ამიტომ მხოლოდ ისლა დამრჩენია გთხოვოთ, რომ დღეიდან გაიფანტოს გიორგი ბაქრაძის პიროვნების ავი ბრალდება და იგი გამართლებული იქნას.

ს ი ზ ყ ვ ე

საქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ა. მ. ჭიჭინაძის
გ. დ. ბაჩიაშვილის
საქმეზე

საქმის მოკლე ზინაარსი

გ. დ. ბაჩიაშვილს ბრალად ედებოდა, რომ ს-ის რაიონის უფროს ვეტეჩიმად მუშაობის დროს ცხვრის ფარების გასაბანად აბაზანები კრეოლინის ხსნარით განზრახ იმგვარად მოაწყო, რომ ამ აბაზანებიდან დაქცეული წყალი უერთდებოდა გეოლოგიურ პოლიგონზე მიმდინარე წყაროს და სწამლავდა. მას, ამ წყაროთი მოსარგებლე ადამიანები და პირუტყვი დაილუპა. გ. ბაჩიაშვილს ბრალი ედებოდა აგრეთვე იმაში, რომ აღმოაჩინდა 327 მან. მედიკამენტების და წვრილი იხვენტარის დანაკლისი. საბრალდებო დასკვნით მას წარედგინა ბრალდება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების I მუხლის I ნაწილით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“.

ბაჩიაშვილის საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. როგორც სასამართლოს პირველმა ინსტანციამ.

ბაჩიაშვილმა წინასწარ გამოძიებისას და სასამართლოში წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და თანმიმდევრად აჩვენა, რომ მან აბაზანები მოაწყო სათანადო წესების სრული დაცვით და აბაზანებში ნამყოფ კრეოლინის ხსნარს არავისათვის არავითარი ვნება არ მიუყენებია. იგი აჩვენებდა, რომ არავითარი დანაკლისი დაპატიმრებამდე არ ჰქონია.

უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ საქმე განჩინებით დაუბრუნა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის, ხოლო სამართალში მიცემულები იქვე სასამართლოს დარბაზიდან თავდებში გაუშვა.

(ბაჩიაშვილთან ერთად სამართალში მიცემული იყვნენ ბრიგადირი და ორი მწყემსი.)

დამატებითი გამოძიებისას ბაჩიაშვილის მიმართ წარდგე-

ნილი ბრალდება სსკ 58⁷ მუხლით არ დადასტურდა, ამის შემდეგ მას წარედგინა სსკ ბრალდება 114 მუხლით და საქმე განსახილველად გადაეცა ს-ოს რაიონის სახალხო სასამართლოს, რომელმაც ბაჩიაშვილს სსკ 114 მუხლით მიუთაჩა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს განაჩენი მსჯავრდადებულ ბაჩიაშვილის მიერ გასაჩივრებული იქნა საქასაციო წესით საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს წინაშე.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა ეს საქმე და მსჯავრდადებულ ბაჩიაშვილის მიმართ საქმე წარმოებით შეწყვიტა, მის მიმართ წარდგენილი ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო.

ბაჩიაშვილს სასამართლო ყველა ინსტანციაში იცავდა ადვოკატი ალექსი მიხეილის ძე ჭიჭინაძე.

აღვოკატ ა. მ. ჰიზინაძის სიტყვა

სასამართლო პროცესის მსვლელობის მეშვიდე დღეს ჩვენ, პატივცემულნი მსაჯულნი, თქვენს წინაშე აღვძარიტ შუამდგომლობა, რათა საქმე დამატებითი გამოძიებისათვის გადაგვეცა, ხოლო სამართალში მიცემულნი თავდებით გაგვეშვა.

ჩვენს, ამ მეტად გაბედულ, შუამდგომლობას (ასეთი მძიმე ბრალდებისას) საფუძვლად დაედო ის უდაო მატერიალური კეშმარიტება, რომელიც სამსჯავრო გამოძიებისას თანდათანობით დადგინდა და რომელმაც ძირფესვიანად უარყო ბრალდების მტკიცებანი და მოსაზრებანი. პატივცემულმა პროკურორმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ამ ჩვენს შუამდგომლობას უსაფუძვლო უწოდა.

სამწუხაროდ, ჩვენი ეს ყოველმხრივ დასაბუთებული შუამდგომლობა თქვენ არ დააკმაყოფილეთ და მხარეთა კამათს შეუდექით.

ვფიქრობთ, რომ განაჩენის დასადგენად სათათბირო ოთახში ყოფნისას თქვენ კიდევ იმსჯელებთ ჩვენი შუამდგომლობის შესახებ, ვინაიდან მას ასე ადვილად გვერდს ვერ აუვლით, ხოლო თქვენი ნებაა — დაადგენთ განაჩენს თუ განჩინებას გამოიტანთ.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ, ნება მიბოძეთ დაცვითი სიტყვა მოგახსენოთ. მე უეჭველია მომიხდება ერთგვარი გამეორება იმ მოსაზრებებისა, რომლებიც შუამდგომლობისას მოგახსენეთ, მაგრამ იმედი მაქვს ეს გარემოება არ მოტლის თქვენს ყურადღებას და იქ, სათათბირო ოთახში შებრძანებისას და განაჩენის დადგენისას, თქვენ არ დაივიწყებთ ამ გარდუვალ გარემოებებს და მოსაზრებებს.

ჩვენ სრული რწმენა გვქონდა, რომ სამსჯავრო გამოძიების საქმეში ბრალდების უარყოფელი მასალის უხვად დაგროვების შემდეგ, სახელმწიფო ბრალდების წარმოჰადგენელი, მოიპარკვებდა სსრ კოდექსის 306 მუხლს და იშუამდგომლებდა

თქვენს წინაშე სამართალში მიცემულისათვის წარდგენილი ბრალდების მოხსნის შესახებ.

სამწუხაროდ, პატივცემული პროკურორის საბრალდებო სიტყვაში ეს ჩვენ ვერ მოვისმინეთ.

სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საბრალდებო დასკვნას, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ მან ვერ დაგაჯერათ ამ დასკვნის სისწორეში და საფუძვლიანობაში. პირიქით, როდესაც პროკურორი მტკიცებათა ანალიზს შეუდგა, აშკარად ჩანდა, რომ მის მსჯელობას თანდათან ეცვლებოდა საფუძველი. ან როგორ შეუძლიან ვინმეს, და ამ შემთხვევაში პატივცემულ პროკურორს, სერიოზულად ამტკიცოს, რომ კრეოლინის ხსნარი ორი მეტრით ავიდა ქვევიდან ზევით და პოლიგონზე წყალი მოწამლა. ამის მტკიცება ხომ აბსურდია!

პატივცემული პროკურორის -- გამოცდილი მუშაკის, იურისტის ჩვეული სიტყვა ჩვენ ვერ მოვისმინეთ. ამ უხერხულობას პატივცემული პროკურორი თავს სულ ადვილად დააღწევდა, რომ მას ბრალდება დამტკიცებულად არ ჩაეთვალა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ნუ ეხებით პროკურორის პიროვნებას და ნუ მიმართავთ მას შეკითხვით. განაგრძეთ სიტყვა.

ა დ ვ ო კ ა ტ ი ჳ ი ჳ ი ნ ა ძ ე: — პატივცემულ თაემქდომარე! თქვენგან ნებადაურთველი რეპლიკისათვის ბოდიშს ვიხდი. პროკურორს მე დიდ პატივს ვცემ და ვაფასებ, ამიტომ მის პიროვნებას მე არასოდეს უხეშად არ შევეხები. აქ კი, შე ვაიოქრობ, სრულიად დასაშვებ ფორმებში, აღვნიშნავ პროკურორის საბრალდებო სიტყვის სისუსტესა და უსაფუძვლობას. ხომ არ შეიძლება დავადგეთ გზას „ბრალდება ბრალდებისათვის“.

იმის შემდეგ, რაც უკვე სასამართლოში გამოიკვა და დადგინდა, განა საქმეზე შედგენილი საბრალდებო დასკვნა იმსახურებს მხარდაჭერასა და დაცვას!

მე არ მინდა ამ ლიტონ განცხადებას დავეჯერდე, ამიტომ შევეცდები ეს გარემოება საქმის მასალით დავამტკიცო.

საბრალდებო სკამზე ზის ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი არ ცდილა სა-

მუშაოდ ქალაქად დარჩენილიყო, არამედ პერიფერიაში წავი-
და და მთელი მონდომებით შეუდგა საქმეს.

სამართალში მიცემული ბაჩიაშვილი ძალ-ღონეს არ ზოგავ-
და, რათა ცხვრის ფარები სათანადოდ მოვლილი ყოფილიყო.

უამინდობისას, დღეების მანძილზე მას ტანზე და ფეხზე
არ გაუხდია, იგი ფხიზლად იყო და ფხიზლადვე ყავდა თავისი
ხელქვეითები, რათა ცხვრის ფარებს რაიმე ვნება არ მოსვლო-
და. ცივ ამინდში წყალში დგომაც შეხვედრია, რათა მოვარდ-
ნილი ნიაღვარი ცხვრის ფარებისათვის აეცდინა. პროცესის
მესამე თუ მეოთხე დღეს ტყუილად კი არ გიჩვენათ აქ მოწ-
მედ დაკითხულმა ბრიგადირებმა, რომ იგი თავდადებული მუ-
შაკი იყო და ხელით ატარებდა დაავადებულ ბატყებს,
ცხვრებს. დღე და ღამე არ ეძინა, როდესაც ცხვარს რაიმე სა-
ფრთხე უქადდა.

ტყუილად კი არ გამოეხმაურა მას რაიონის გაზეთი, რო-
დელმაც არა ერთხელ აღნაშნა მისი თავდადებული და ნაყო-
ფიერი შრომა.

ტყუილად კი არ იყო იგი რამოდენიმეჯერ წარგზავნილი
სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ამგვარი მონდომებით და ენერგიით მუშაობდა სამართალ-
ში მიცემული ბაჩიაშვილი და მისთვის სრულიად მოულოდ-
ნელად, მაშინ, როდესაც იგი პირნათელი იყო ყველას წინაშე
და როდესაც მთელი დღის ნაჯაფს ტკბილად ეძინა კარავში,
თავს დაატყდა უდიდესი რისხვა — იგი დააპატიმრეს!

ამ დღიდან იწყება მისი სულიერი ტანჯვა, რაც უფრო
მწვავე და გულსაკლავი შეიქნა მას შემდეგ, როდესაც ბრალი
ესოდენ მძიმე დანაშაულში დასდეს.

იგი უცვლელად, თანმიმდევრულად და დამაჯერებლად
ასახელებდა ბრალდების საწინააღმდეგო და უარსაყოფ საფუ-
ძვლებს, მაგრამ ამოდ. წინასწარ გამოძიებისას მას დაეინებით
ეუბნებოდნენ, რომ შენ განზრახული გქონდა ადამიანთა და
პირუტყვთა განადგურება და ამით სოციალისტური სახელმწი-
ფოსათვის დიდი ზარალის მიყენებაო.

ადვილი წარმოსადგენია, პატივცემულო მსაკულნო, თუ
რაოდენ შეურაცხყოფელი და შემზარავი იყო სამართალში
მიცემულ ბაჩიაშვილისათვის ეს ბრალდება, მაშინ, როდესაც

ასეთი განზრახვა მას არასოდეს გულშიც არ გაუვლია და როგორც ქვეშარიტი პატრიოტი მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობისათვის იბრძოდა.

ჩვენში ასეთი სახის საქმეები მეტად იშვიათია, თითქმის აღარ არის, სწორედ ამიტომ, წინასწარ გამოძიებას მართებდა და თქვენც, პატივცემულო მოსამართლენო გამართებთ გამოიჩინოთ განსაკუთრებული დაკვირვება, სიფრთხილე ამ საქმეში. მართლაც, შეეძლო თუ არა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოზრდილ სპეციალისტს, მწყემსის შეილს, ასეთი მძიმე დანაშაული ჩაედინა? ადგილი, ხომ არა აქვს ამ შენთხვევაში რაიმე გაურკვევლობას?

სულიერმა ტანჯვამ და 11 თვე გამოძიების ქვეშ ყოფნამ და ავადმყოფობამ თავისი კვალი დააჩინა სამართალში მიცემულ ბაჩიაშვილის ჯანმრთელობას და დღეს საბრალდებო სკამზე, ნაცვლად ბრგე, ჯან-ლონით სავსე ახოვანი ვაჟაკისა, თქვენს წინაშეა ძვალი და ტყავი. მას ფეხზე დგომა და ლაპარაკიც კი უჭირს. მაგრამ მის თვალეში იმედის ნაპერწკალი მაინც არ ჩამქრალა.

დადგა დღე, როდესაც თქვენ საქმეს საჯაროდ იხილავთ, მასში იღვიძებს იმედი, რომ თუ წინასწარ გამოძიებისას არ დაუჭერეს, აქ, სასამართლოში, გაუგებენ, დაუჭერებენ და ცილისმწამებელი მოწმისა და უხეირო გამოძიების მსხვერპლად არ გახდინან.

სათანადო ოფიციალური საბუთების წარმოდგენით ჩვენ შევძელით დაგვემტკიცებია, რომ სამართალში მიცემულმა ბაჩიაშვილმა ცხვრის ფარები ჩაიბარა არასახარბიელო მდგომარეობაში, მისი მუშაობის პერიოდში კი ეს ფარები სანემუშოდ მოვლილი იყვნენ.

ბრალდების მთავარმა მოწმემ ვეტფერშალმა მალიაზოვმა შეისძლო წინასწარი გამოძიების ზოგიერთი მუშაკი დაერწმუნებია იმაში, თითქოს მან საკუთარი თვალთ ნახა თუ როგორ სწამლავდა აბაზანებიდან დაქცეული კრეოლინის ხსნარი პოლიგონზე არსებულ წყაროს, ნახა, როგორ დაიღუპა პირუტყვი, ადამიანები. სასამართლოში ჯვარედინ დაკითხვისას კი სინწრის ოფლი ასკდებოდა მას, იგი თვალს ვერ უსწორებდა სამართალში მიცემულ ბაჩიაშვილს და ბოლოს ჩვენს შეკითხვაზე იძუ-

ლებული გახდა ელიარებინა, რომ მას არ უნახავს არც წყლის მოწამელა და არც მისი შედეგი. მანვე აქ ველარ დაადასტურა წინასწარ გამოძიებისას სამართალში მიცემულ ბაჩიაშვილის საწინააღმდეგოდ მიცემული ჩვენებები.

აი, რა სახით გვევლინება ბრალდების მთავარი მტკიცება! ამის შემდეგ, ცხადია, არავინ არ დაუჭერებს მოწმე მალხაზოვს:

სასამართლო პროცესის მსვლელობის მეორე დღეს ჩვენ აღძვართ შუამდგომლობა, რომ საქმეში წარმოდგენილი იქნეს დაცემული პირუტყვის ვეტერინარული შემოწმების აქტები და აგრეთვე ადამიანის გვამის სასამართლო-სამედიცინო განაკვეთის ოქმი, ავადმყოფობის ისტორია, რათა ამ გზით ახლა მაინც დადგინდეს პირუტყვის და ადამიანის სიკვდილის მიზეზები. იქნებ მიზეზი სულ სხვაა და კრეოლინის ხსნარი აქ არაფერ შუაშია?

ამავე დროს, თქვენს ყურადღებას გავამახვილებ მეტად მნიშვნელოვან, უფრო სწორად, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე: საქმის მასალებით დადგენილია, რომ ცხვრის ფარების განბანვამდე გაცილებით ადრე, ადვილი ჰქონდა პირუტყვის დაცემას და ადამიანის დაღუპვის ერთსა თუ ორ შემთხვევას. ამაში თქვენ სულ ადვილად დაოწმუნდებით თუ გადასინჯავთ ცხვრის ფარების განბანვის დაწყების, ადამიანთა გარდაცვალების ცნობების და პირუტყვის დაცემის აქტების თარიღებს.

ასეთ პირობებში აუცილებელია საქმეში წარმოდგენილი იქნეს ზემოაღნიშნული აქტები და ოქმები. სამწუხაროდ, ისინი საქმეში არ ჩანან, მაგრამ ის, რაც წინასწარ გამოიხიბოსას დაურთავთ საქმისთვის, ბრალდების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. მაგალითად, პირუტყვის დაცემის ერთ-ერთ აქტში აღნიშნულია, რომ პირუტყვს თივაისთან ერთად შეყვა მავთულის დიდი ნაჭერი. ადამიანის გარდაცვალების ერთ ცნობაში მოხსენებულა, რომ იგი გარდაიცვალა მინინგიტური მოვლენების შედეგად, მეორეში, -- თუმცა გაურკვეველად, -- ნაწლავების გადახლართვაა დასახელებული. რამდენადაც ვიცით, მოწამლულობისას მინინგიტურ მოვლენებს და ნაწლავების გადახლართვას ადვილი არა აქვს. მაშ რა შუაშია აქ კრეოლინის ხსნარი?

სასამართლო პროცესზე გამოიკვე და დადგინდა ისეთი რამ, რაც მთლიანად გამოიციხავს საბრალდებო დასკვნის ვერსიას და სავსებით ანთაეისუფლებს სასამართლოში მიცემულ ბაჩიაშვილს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ამ საქმეში. ეს ჯერ კიდევ წინასწარ გამოძახებისას უნდა გამოიკვეულიყო, დაკვირვებით, სიფრთხილით და გულისხმიერად რომ ჩაეტარებინათ იგი

აი, რა გამოიკვე და დადგინდა აქ: —

სასამართლო პროცესის მესამე დღეს, სამსჯავრო გამოძიებაზე დაჯროვილი მასალების მიხედვით ჩვენ საკიროდ ვცაანთ აღგვეძრა შუამდგომლობა აბაზანების ადგილის და პოლიგონის პლატოს ადგილობრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ, მაგრამ თქვენ ეს კანონიერი შუამდგომლობა არ დააკუმყოფილეთ და ისიც კი დაგვეამეთ, თითქოს შუამდგომლობა საქმის მხოლოდ გაჭიანურებას ისახავდა მიზნად.

ამ შუამდგომლობაში მხარი არ დაგვიჭირა სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელმაც.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ერთგვარი კერპობა - გამოვიჩინეთ და ეს შუამდგომლობა ზედიზედ კიდევ სამჯერ აღეძართ. მხოლოდ მეოთხედ, თქვენი განჩინებით ჩვენი შუამდგომლობა დააკმაყოფილეთ და ზემოაღნიშნული ადგილების დათვალიერება ჩატარდა. —

მერე, განა სწორი და საფუძვლიანი არ გამოდგა ჩვენი შუამდგომლობა!

ამ ადგილების დათვალიერებამ ნათელი მოჰფინა მთელ საქმეს და საბოლოოდ დადგინდა სრული სიმართლე ბაჩიაშვილისა და სრული უსაფუძვლობა ბრალდებისა. თურმე გეოლოგიური პოლიგონის პლატო, სადაც წყაროა, — ორი მეტრით უფრო მაღლა მდებარეობს, ვინემ აბაზანები.

განა რა ისეთი თვისება გააჩნდა ბაჩიაშვილის მიერ მოწყობილი აბაზანებიდან დაქცეულ კრეოლინის ხსნარს, რომ იგი ორი მეტრის სიმაღლით ზევით ავიდა და იქ პოლიგონზე არსებულ. წყარო მოწამლა?

ცხადია, ასეთი თვისება, სპეციალური საქაჩის გარეშე, სითხეს საერთოდ და კერძოდ იმ ხსნარსაც არ გააჩნდა.

შუბლის ძარღვი უნდა გასწყვეტოდა ბრალდების მთავარ

შტკიცებას, მოწმე მალხაზოვს, და მაშინ, როდესაც თქვენ, პატრივცემულო თავმჯდომარე, მას გამოუძახეთ და ჰკითხეთ. თუ რას იტყოდა იგი ამის შემდეგ, მან თქვენ ვერაფერი გიპასუხაო. ან რა ჰქონდა საპასუხო?!

ცხადია, თუ მას მოქალაქეობრივი გამბედაობა ოდნავ მაინც გააჩნია, რაშიაც ეჭვი მეპარება, უნდა ეპასუხნა, რომ იგი ცრუ და პირადი ინტერესით მოქმედი მოწმეა.

მის სინდისზე იყოს თავდადებული მუშაყის საწუშაოდან ჰოწყვეტა, უმართებულოდ 11 თვე პატიმრობაში ყოფნა, მისი ფიზიკურად დაკნინება.

უმთავრესად, მოწმე მალხაზოვის ჩვენებაზე აგებული საბრალდებო დასკვნა გვაგონებს კრილოვის იგავს „მგელი და ბატკანი“.

მასში ასეთი აზრია გატარებული: „თუმცა რუ ქვევიდან აევით არ მოდის, მაგრამ შენ, ქვევით მდგომი, წყალს მაინც ამღვრევ და ამიტომ უნდა შეგქამოაო“.

ასევე ეუბნება სამართალში მიცემულ ბაჩიაშვილს საბრალდებო დასკვნა, თუმც პოლიგონის პლატო ორი მეტრით უფრო ჰალდა მდებარეობს. ვინემ ცხვრის გასაბანი აბაზანების ადგილი, მაგრამ ამ აბაზანებიდან დაღვრილი ხსნარი ქვევიდან ზევით, ვიმეორებ, ორი მეტრის სიმაღლეზე ავიდა იქ და წყალი მოწამლაო. შენ ასე გსურდა, ასეთი განზრახვა გქონდაო.

ცხადია, ამ უსუსურ და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ მოსაზრებას თქვენ არ გაიზიარებთ, პატრივცემულო მსაჯულნო, და თქვენი კანონიერი განაჩენით სამართალში მიცემულ ბაჩიაშვილს არ ეტყვიტ იმას, რასაც წინასწარი გამოძიება მას, სამწუხაროდ, ეუბნება.

ასეთი გახლავთ მასალეები ბრალდების მთავარი და უმძიმესი ეპიზოდისა.

მოკლედ შევეჩები, და თქვენს ყურადღებას აღარ დავლლი ბრალდების მეორე ეპიზოდით. ბაჩიაშვილს აბრალევენ, რომ სხვადასხვა მედიკამენტის და რაღაც წვრილმანი ინვენტარის დანაკლისი აქვს. ღირებულებით სულ 327 მან.

საერთოდ, პირველად ვხვდები ისეთ გარემოებას, როდესაც მატერიალურ პასუხისმგებელ პირს დანაკლისისათვის ბრალს სდებენ და მას არ უდგენენ ან მატერიალური ფასეულობის

აღწერილობას, ან რევიზიის აქტს, ან კიდევ ექსპერტიზის დასკვნას, რომლებითაც დანაკლისი მტკიცდება. მსგავსი რამ მასალა საქმეში არ მოიპოვება და წინასწარი გამოძიება დაკმაყოფილდა მხოლოდ იმ უბრალო ცნობით, რომელიც სამართალში მიცემული ბაჩიაშვილის პატიმრობაში ყოფნის პერიოდში გაიცა. მასში აღნიშნულია, რომ „დანაკლისი ბაჩიაშვილს უნდა დაეწეროს“.

თქვენ, პატივცემულო მსაჯულნო, ერთხელ კიდევ გადახედეთ ამ დანაკლისის ერთადერთ „დამდგენ“ საბუთს, მასში ისიც კი არ წერია, თუ რა სახის მედიკამენტი ან ინვენტარი აკლია მას.

სამართალში მიცემული ბაჩიაშვილი თავიდან ბოლომდე უარყოფს ამ დანაკლისს და აჩვენებს, რომ მედიკამენტები მას გახარჯული აქვს არსებული ნორმების მიხედვით, რაზედაც არსებობს სათანადო უწყისები და გაცვეთილი ინვენტარის ჩამოწერის აქტები.

როდესაც სამართალში მიცემული ბაჩიაშვილი ღამით საძოვრებზე დააპატიმრეს, მედიკამენტები და ინვენტარი არ აღუწერიათ მისი თანდასწრებით და არც შემდეგში დაუსწრიათ აღწერაზე. მაშ რას თხოულობენ მისგან? ჩვენი აზრით, ეძებენ იმას, რაც არ დაკარგულა და თუ დაიკარგა, ციხის საკანში მოთავსებულ ბაჩიაშვილს ამ დანაკლისისათვის ვერავითარი პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება.

ბრალდების ამ ეპიზოდის შესახებ, მე გგონებ, კმარა, რაც მოგახსენეთ.

ერთი რამ უეჭველად აღსანიშნავია და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზედმეტი არ იქნებოდა თუ თქვენ, პატივცემულო მსაჯულნო, განაჩინებთ ერთად, განჩინებასაც გამოიტანთ იმ უმსგავსო გამოძიების შესახებ, რომელიც ამ საქმეზე ჩატარდა. აბა, რით აიხსნება, თუ არა უმსგავსოებით და უსულგულობით ის გარემოება, რომ ცხრა თვის განმავლობაში გამოძიებელმა ვერ შეამოწმა პოლიგონის პლატო და წყაროს ადგილი?

ზედმეტი არ იქნება ისიც, თუ თქვენი განჩინებით ერთხელ და სამუდამოდ მადას დაუკარგავთ მოწმე მალხაზოვს და მის მსგავს პირებს, ვაგრძნობინებთ, რომ საბჭოთა კანონი უღმობელია მათ მიმართ, რომლებიც თავისი ცრუ ჩვენებებით პა-

ტიოსან მუშაკებს ჩირქს ცხებენ. სისხლის სამართლის წესით ასეთი პასუხისმგებლობის ღირსია მოწმე მიღებაზე.

მე ვამთავრებ, პატივცემულო მსაჯულნო, ჩემს დაცვით სიტყვას. მე, შეძლებისდაგვარად, მოგახსენებ იმ მასალების შესახებ, რომლებიც წინასწარი და სასამართლო სამსჯავრო განიძიების შედეგად საქმეში დაგროვდა.

შესაძლებელია ვერ შევძელი თქვენთვის მომეწოდებია ყოველივე ის, რაც სამართალში მიცემულ ბაჩიაშვილს ამართლებს და რაც მისთვის სასარგებლოა, მაგრამ ეს არ მაშინებს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტის, პატრიოტის, წარსულში შეუბღალავი პიროვნების ბედი საბჭოთა მართლმსაჯულების საიმედო ხელთ არის.

ს ი ზ უ ვ ა

შაქ. სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრის
ვახტანგ კერესელიძის
ა. გ. ბურცევის
საქმეზე

საქმის მოკლე ზინაარსი

18 წლის ბურცევს ანატოლი გიორგის ძეს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1960 წ. 21 აპრილს, ღამით არასრულწლოვან გოგოქესთან ერთად სანაპირო პარკში ოთხი მოქალაქე გაძარცვა. დანით მიაყენა მათ ჭრილობები, რომელთაგან სამი მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა, ხოლო ერთი მსუბუქად. სტუდენტი გარსევანიძე იქვე გარდაიცვალა. ბურცევს აღრეც ჰქონდა ნასამართლობა დანით დაჭრაზე.

ამ მძიმე დანაშაულმა აღაშფოთა ფართო საზოგადოებრიობა. საქმე საჩვენებელი პროცესით გაარჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ.

პროცესს აშუქებდა პრესა, შექმნილი იყო ერთიანი საზოგადოებრივი აზრი დამნაშავეთა მკაცრად დასასჯელად. დარბაზი პროკურორისა და საზოგადოებრივი ბრალმდებელის სიტყვებს, რომლითაც ისინი სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდებას მოითხოვდნენ, ტაშით ხვდებოდა.

ბრალდება სავსებით დადასტურებული იყო და სწორი იყო კვალიფიკაციაც. ამ პირობებში უნდა განხორციელებულიყო მთავარი დამნაშავეის, ბურცევის დაცვა, რაც ერთობ ართულებდა დაცვის მდგომარეობას.

ადვოკატ ვახტანგ ქაჩუაშვილის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

დიდი ყურადღებით მოვისმინე პატივცემული პროკურორის სიტყვა და თითქმის ყველაფერში ვეთანხმები მას.

ეს პროცესი უჩვეულოა ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში, დანაშაულის სიმძიმითა და უგუნურებით, რისი მსხვერპლიც გახდა ახალგაზრდა ადამიანი. მე თავსა ვხრი მისი ნათელი ხსოვნის, მშობლების და მეგობრების განცდათა და საზოგადოებრივი აზრის წინაშე!

მე, სამართალში მიცემულის დამცველი, ვდგავარ აქ, ვინაიდან ბრალდებულის ინტერესთა დაცვა კონსტიტუციური პრინციპია ჩვენს ქვეყანაში.

ყველა მოვლენა რთულია თავისი შინაარსით, ყველაფერი შედგება შემადგენელი ნაწილებისაგან და თუ აქ პატივცემულმა სახელმწიფო ბრალმდებელმა წარმოადგინა დანაშაულის ესოდენ თვალნათელი, შემაძრწუნებელი სურათი, მე მმართველს წარმოვადგინო კანონიერი დაცვა.

ეს საქმე მარტივია თავის გარემოებათა მიხედვით, იმდენად მარტივი, რომ ჩვენ თუ მხოლოდ 21 აპრილს მომხდარი ფაქტით შემოვიფარგლეთ, აღარც კი დაგვჭირდებოდა მსჯელობა.

არავის შეუძლია უარყოს, რომ მკვლელობა უმძიმესი და უბოროტესი დანაშაულია, რომ არ შეიძლება ხელი აღმართო

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მომხდარი შემთხვევა არ შეიძლება განვიხილოთ სხვა, ზოგიერთ გარემოებათაგან მოწყვეტილად.

მიუხედავად იმისა, რომ დაცვა არ გააჩნია იურიდიული საფუძველი იდავოს წარმოდგენილ მტკიცებებზე, კვალიფიკაციაზე, თვით ფაქტზე ან დანაშაულის ჩამდენ პირზე (ყოველივე ეს დამტკიცებულია უცილობლად), მაინც არის ზოგიერთი გარემოება და საკითხი, რომლებიც თქვენს ყურადღებას მოითხოვს და რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით განაჩენის დადგენისას. ამ საკითხთა რიგი შემდეგია:

რა მიზეზებმა დაამახინჯა სამართალში მიცემული?

როგორ მოხდა, რომ ჩვენს ქვეყანაში. რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს სიკბაბუკისა და ნათელი მომავლის ქვეყანა — მე ამას სამართალში მიცემულთა საყურადღებოდ ვამბობ: იქნებ ახლა მაინც შეისმინონ — წარმოიშვა მკვლელები?

შემდეგი საკითხია დამნაშავის ასაკი და სასჯელის მიზნობრივი დანიშნულება.

და ბოლოს, არსებობს თუ არა პერსპექტივა, რომ სამართალში მიცემული შეიგნებს მის მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულის შინაარსს, ანუ არის თუ არა იმედი, რომ იგი გახდება ადამიანი.

აი საკითხთა წრე, რომელზეც თქვენი ყურადღება უნდა შევაჩერო. მისი აწონ-დაწონვის შედეგად, თქვენ დაადგენთ უდიდესი მნიშვნელობის მართლმსაჯულების აქტს, რომელსაც ეწოდება განაჩენი და ენიჭება კანონის ძალა.

სამართალში მიცემულის მამა იყო პატროსახი მოქალაქე, იგი წავიდა სამამულო ომში, დატოვა მეუღლე ძუძუთა ბავშვით და აღარ დაბრუნებულა.

იგი დაიღუპა თავისი შვილისა და სხვათა შვილების ბედნიერებისათვის, რათა მათ არ სცოდნოდათ თუ რა არის ომი, ტანჯვა და სოციალური უსამართლობის საშინელებანი, დარჩა მარტოხელა დედა პატარა ბავშვით და ცხოვრობდა შვილის ბედნიერების იმედით.

ომმა და მისგან გამოწვეულმა უბედურებამ ბევრი საბჭოთა ოჯახი დაანგრია, მათ შორის იყო ბურცევის ოჯახიც.

და ალბათ მაშინ, როდესაც დედა მეორედ ქორწინდებოდა, პატარა ბავშვის მიმართ გადაიღვა ის საბედისწერო ნაბიჯი, რამაც განაპირობა მისი მოქალაქეობრივი ფორმირების რთული პროცესი. ბავშვი დარჩა შესუსტებული მზრუნველობის პირობებში, შემდეგ კი სრულიად მარტო, ქუჩაში.

გადიოდა დრო, დედამ შექმნა ახალი ოჯახი, ცხოვრებამ წარმოშვა ახალი ინტერესები და სამართალში მიცემულს სწორედ მაშინ მოაქლდა ზრუნვა, როდესაც ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო.

და თუ ზრუნვის ეს შესუსტება გულის გაციება იყო, მით უფრო საოცარი და დაუჯერებელია, რადგან დედის გულის გაციებას ვერ ეგუება ადამიანის გონება. მაშინაცვალს არა უჭონდა მამობრივი სიყვარული და აქედან გამომდინარე ზრუნვის კეთილი ტვირთი.

ფაქტი კი მაინც ერთია და ტრაგიკული: მამას და დედას აკლდათ, სიყვარულის გრძნობასთან ერთად, პასუხისმგებლობის გრძნობაც, მათ აკლდათ ადამიანურ-მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობაც.

და თუ ყოველივე ზემოთქმული, საბედისწერო შემთხვევა — მხოლოდ მწუხარე შესაეალი იყო, ტრაგედია მაშინ დაიწყო, როდესაც უპატრონოდ მიტოვებული ბავშვი და ქუჩა იღმონდნენ ერთმანეთის პირისპირ.

საბედისწერო შემთხვევამ იგი შეახვედრა მასავით გზაბნეულ მცირერიცხოვან ადამიანებს, რომელნიც სიზარმაცეს, ქვენაგრძნობებს, მანკიერ ჩვევებს და უმსგავსოებას მინდობოდნენ.

ერთი მტკიცედ გამოწვდილი ხელი გადაარჩენდა, განწმენდდა პატარა ადამიანს, რომელსაც არ ესმოდა თავისი მდგომარეობის საშინელება.

და აი აქ კანონდება მშობელთა, ცალკეულ ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფის უდარღელობა სხვისი ბედისადმი, ეგოიზმი, გულცივობა და საკუთარ ნაჭუქში ჩაკეტვის სამწუხარო მოვლენა, რააც აქა-იქ კვლავ აქვს ადგილი.

ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი წყობის საფუძველი, მისი პრინციპები, მისი არსი, ძირეულად ეწინააღმდეგება ასეთ გამოვლინებას და ყველა პირობას

ქმნის ბავშვის სწორი აღზრდა-განვითარებისათვის, რათა აღამიანთა შეგნებისა და კეთილი ნების პირობებში, ყველამ ბედნიერად იცხოვროს. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაცია აღამიანთაგან მხოლოდ ერთ პირობას მოითხოვს: მაღალ შეგნებულობას, ორგანიზებულობას და კოლექტივისადმი პატივისცემას.

და აი, აქ იყო საჭირო ცალკეულ აღამიანთა ჯგუფის პირადი პასუხისმგებლობა და ინიციატივა, რომლებიც ხედავდნენ წაქცეულ ხეს და ფეხზე არ აყენებდნენ, ხედავდნენ პატარას მოლიპულ გზაზე და არ იზრუნეს, არ მიაწვდინეს ხმა ჩვენს აღმზრდელობით დაწესებულებებს.

აი ასე განუკითხავად იღუპებოდა ნორჩი სიცოცხლე, რომელიც თავისი ლოგიკური განვითარებით დალუპვის კარამდე მივიდა.

მოზარდი ბავშვი უყურებდა მანკიერებას და მისი გონება ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, მას არ ჰქონდა ნებისყოფა რათა დაეოკებინა ბიწიერი გავლენის ქვეშ მოქცეული სურვილები და რასაც ხედავდა, მასვე იმეორებდა.

ვერ ხედავდა ახალი აღამიანის ჩამოყალიბების დიდ ისტორიულ პროცესს, ბედნიერ ახალგაზრდობას, ტექნიკის დიად მიღწევებს, რითაც ამაყობს ჩვენი ქვეყანა, ვერ ხედავდა თუ მის ახლოს, სულ ახლოს, რა ბედნიერი იყო მოძავალი თაობა, ვერ ხედავდა შრომისა და სწავლის გზას, რადგან გონება მისი დახშული იყო იმ შხამიანი საზრდოთი, რაც მას ჩაუნერგეს ცალკეულმა პირებმა. და თუ ხედავდა, არ ჰქონდა ძალა და შემეცნება, ზეალმდგარიყო დანაშაულებრივ წრეზე, რადგან სიბნელე დასაბამითვე მისი დანგრეული სულის ხვედრი იყო... ასე რჩებოდა მის თვალთახედვის მიღმა სიცოცხლე, მისი ყველა სიკეთე.

თუ ჩვენ მაინც გვყავს ბოროტმოქმედი, ეს საზოგადოების მძიმე ტვირთია, როგორც წარსულის გადმონაშთი, რასაც უნდა ორგანიზებულად ვებრძოლოთ, ამის შესანიშნავი პრაქტიკა დიდი ხანია დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში.

და როცა ვასამართლებთ 18 წლის ჭაბუკს მძიმე დანაშაულისათვის, იმ აღამიანებმა, ვისაც მართებდა ყურადღების გა-

მოჩენა, უნდა იკისრონ მორალური პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დამახინჯდა უპატრონობის გამო — ბოლოტმოქმედთა წრეში.

განა თვითეული ჩვენგანი 18 წლის ასაკში ისე აღვიქვამდით მოვლენებს, საგნებს, მათ ურთიერთ კავშირს და კანონზომიერებას, აზრს, ჩვენი მოქმედების მნიშვნელობას და მის შედეგებს, ცხოვრებას, კეთილსა და ბოროტს, როგორც შემდეგ, ცხოვრებისაგან უკვე გამობრძმედილნი? არ არის ეჭვი, რომ განსხვავება აქ დილია, და ნუ მოვაქცევთ ერთ სიბრტყეზე გონიერებას უგუნურებასთან.

იგი მანკიერად, დამნაშავედ და მკვლელად არ დაბადებულა. ლომბროზოს მოძღვრებას „თანდაყოლილი დამნაშავის“, მის კონცეფციას „დამნაშავეთა დაბადების ბიოლოგიურ თვისებათა ერთობლიობის შესახებ“ ჩვენი კანონი არ იზიარებს. არა, მას ქვენა გრძნობანი არ დაჰყოლია, მან ისინი ცალკეული პირებიდან შეიძინა და ჩვენს საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ძლეობას შესწევს უნარი გარდაქმნას იგი, მით უმეტეს, როდესაც დამნაშავე ჯერ კიდევ 18 წლისაა.

სასჯელის მიზანი თავის პრაქტიკულ განხორციელებას სასამართლოს ამოცანაში ჰპოვებს, რათა სასჯელის ინდივიდუალიზაციით, ბრალის სიმძიმისა და პიროვნების საზოგადოებრივად საშიშროების გათვალისწინებით, ბრალდებულმა იგრძნოს, რომ სასჯელი მისი გამოსწორების საფუძველს წარმოადგენს.

როდესაც ბრალდებულმა თავი თვითვე დაიჭრა, იქნებ ეს სინანულის ნიშანი იყო. ან იქნებ მისმა ასაკმა, ან ჩვენი ცხოვრების სისხლჭარბმა მაჯისცემამ, ჩვენი ქვეყნის სულიერმა ძალამ შემოაბრუნოს ის და გახადოს საზოგადოების წევრი?

ნუ დაივიწყებთ, რომ მის მიერ მოქმედულ დანას მიზნად არ ჰქონია უცილობელად ადამიანის მოკვლა. აქ, როგორც ჯაჭვი, რიგათ არის ჩამწკრივებული ერთი სურათი, როდესაც ბოროტმოქმედი ყველა შემთხვევაში დაჭრას ხედავდა. ეს ფსიქოლოგიური მომენტია, რაც გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დამნაშავე სწორედ ამას გულისხმობდა. ამიტომ მისი ფსიქიკური დამოკიდებულება მოქმედებასთან და ამ მოქმედების შედეგთან, მკვლელობას არ ისახავდა.

ყოველივე ეს აწონ-დაწონეთ მოსამართლენო
მე ვეთანხმები პროკურორს, მაგრამ სიმართლე მაინც ერ-
თია, სწორია ის, რაც ემსახურება მიზანშეწონილებას და სი-
ცოცხლეს.

ის მოვიდა ცხოვრებაში ისე, რომ ვერ შეიძნო სიკეთის ძა-
ლა, რადგან მშობლებისაგან მიტოვებულს, მარტო ბაროტება
ასწავლეს. ის იყო მსხვერპლი შემთხვევის და უგუნურების.

მისი დასჯა ადვილია. უფრო რთულია მისი ფეხზე
წამოყენება.

ზ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	8
ნ. კანდელაკი—ქართული სამოსამართლო მკვევრმეტყველების ისტორიიდან	8
შ. მესხიშვილი—სიტყვა ს. ა. სტოლერმანის საქმეზე	27
ბ. ბარათაშვილი—სიტყვა ს. ვ. მოუბაძის საქმეზე	87
ჯ. ბაქრაძე—სიტყვა ჯ. ა. ტარსაძის საქმეზე	65
ა. გელოვანი—სიტყვა ბ. ი. კილაძის საქმეზე	71
შ. გვათუა—სიტყვა დ. ნ. თუმანიძის საქმეზე	97
ა. დოლიძე—სიტყვა გ. გ. ცინცაძის საქმეზე	115
პ. ინასარიძე—სიტყვა ვ. გ. თამარაშვილის საქმეზე	125
კ. კალანდაძე—სიტყვაჰილზა სუნას საქმეზე	137
ი. კაშია—სიტყვა ა. ბ. ლომთათიძის საქმეზე	145
ვ. კაჭახიძე—სიტყვა გ. გ. ბერიძის საქმეზე	161
ნ. კველიშვილი—სიტყვა ლ. დ. წინწავას საქმეზე	171
ვ. კეკელია—სიტყვა ი. პ. გრიგოლაშვილის საქმეზე	181
გ. ლეჟავა—სიტყვა ა. გ. ერადის საქმეზე	193
ა. ლომინაძე—სიტყვა ო. ს. არაბიძის საქმეზე	205
ა. საგინაშვილი—სიტყვა პ. ლ. მურულუღას საქმეზე	215
გ. სიღამონიძე—სიტყვა ა. ა. ვერძეულის საქმეზე	231
გ. უგრეხელიძე—სიტყვა კ. ნ. შადურის საქმეზე	243
ვ. ურატაძე—სიტყვა ქ. გ. კუპრაძის საქმეზე	259
ბ. ხომერიკი—სიტყვა გ. ნ. ბაქრაძის საქმეზე	275
ა. კიკინაძე—სიტყვა გ. დ. ბაჩიაშვილის საქმეზე	289
გ. კორეხელიძე—სიტყვა ა. გ. ბურცევის საქმეზე	301

34 6 65 (6 41)
340.96 (47.922)
ქ. 273

რედაქტორი ნ. გ უ რ ა ბ ა ნ ი ძ ე
მხატვარი ს. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე
მხატვ. რედაქტორი ირ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი
ტექნიკური თ. მ ა მ ფ ლ ო რ ი ა
კორექტორი ც. ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XI-63 წ.
ანაწყოების ზომა 5,5×9
ქალაქის ზომა 84×108^{1/8}
სააღ. საგამომც. თაბახი 11,54
სასტამბო თაბახი 19,5
უფ 05059
ტარაფი 30.000
შეკვ № 1923
ფახე 1 მან. 14 კაბ.

Судебные речи грузинских адвокатов
(На грузинском языке)
Издательство „Литература да Хеловнеба“
Плехановский, 181
19 Тбилиси 63